ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

5

1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი მაისი

პირველი მაისი,
პირველი მაისი,
პირველი მაისი,
მოვიდა ამაყი:
წითელი ყაყაჩო
თუ იასამნი,
ხავერდის ვარდები
და თეთრი ზამბახი.
მეფეს კი, მეფეს კი —
ქარით და გრიგალით,
თითქოს არავისა
და არარაისი —
ციხეში, ბორკილში,
შიმშილში, ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.
დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს.
სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ გაწვევას,
იმ პირველ მაისებს!

გალაკტიონ ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

358
გამოცემის ოცდამეათე წელი

5

მაისი
1987
თბილისი

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
ბივი ალსაზიშვილი
თედო ბეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
ბივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დღიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მვლდა კაჩიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ შანკიტაძე
ეორის ფოცხიშვილი
ალიკო შარაშიძე
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხეიკეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ლოსო ციცაკაძე
გოგი ფერეფელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
შაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია და პროზა

3. ვახტანგ ჯავახაძე — ფიბნიდან: — „მომიკითხე ზღვაც. ლექსები.
9. რევაზ მიშველაძე — ნოველები
43. ბესიკ ხარანაული — ლექსები
48. მანანა ამირეჯიბი — სადაც არ უნდა ფახვიდე. მოთხრობა. დასაწყისი
68. ბელა შალვაშვილი — ლექსები
71. ჯანსულ კორძაია — ლექსები
74. ნოდარ კოპერიძე — თეთრი ლიმილი. რომანი. დასასრული.
101. ბივი ციცაქიშვილი — ლექსები
103. ნოდარ ხუნდაძე — თანატოსის მოციქული. მოთხრობა.
117. დოდო გვიშიანი — ლექსები
118. დავით ტაკიძე — ლექსები
119. რეზო მორჩაძე — ლექსები

ახალი თარგმანები

120. ფრანც კაფკა — „ძმის სისხლი“. გერმანულიდან თარგმნა გაგა ჩხეიძემ
121. კარლო კალაძე — 80

დიდი ოქტომბერი — 70

122. გურამ გვერდწითელი — ბმირი და დრო. გაგრძელება.

წერილები

135. აკაკი სურგულაძე — ქრისტიანული რელიგია და ფეოდალური ეკოძის კართული კულტურა
146. რუსუდან კილაძე — ბურამ დოჩანაშვილის ერთი მოთხრობის გამო

სამამულო ომის ეპო

149. ვიქტორ ბურნელა — მეგობრობის ხმები

ხელოვნება

153. პაატა იაკაშვილი — „ნეილონის ნაძვის ხე“

158. ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

ფიგნიდან:—„მოგიკითხე ფლვა“

პოეტი

...და ქართლი ჰგავდა ქართლის
ფილიალს,
ჩრდილებიც დაუმოკლეს...
ყვარელში რომ ვერ მოკლეს ილია,
დუშეთში რომ ვერ მოკლეს ილია,
თბილისში რომ ვერ მოკლეს ილია, —
ვერც წიწამურში მოკლეს!

გმობდა პოეტი მისნებს და მოგვებს
და წუთისოფელს მოკლეს,
და წიწამურში რომ ვეღარ მოკლეს
და გრენადასთან რომ ვეღარ მოკლეს
და შეგეშვართან რომ ვეღარ მოკლეს
და თეირანში რომ ვეღარ მოკლეს
და პეტერბურგთან რომ ვეღარ
მოკლეს, —
ვეღარც მაშუკთან მოკლეს!

ჭარი და ვაზი

უცებ გაჭირვეულდა ჭარი ჭარბატონი,
უცებ გაგვინაწყენა ვაზი ვაზბატონი,
ზერების კაბაკუბები დაკაბადონა,
არაჩვეულებრივი შესთავაზა ტონი.

შემოკლა ვადები დღეთა
უძვირფასესთა,
მაგრამ, თქვენი ჭირიჭე, ნუ მოიწყენთ,
ვაზებო:
რაკი გაგვაჯავრეს და
რაკი გაგვაბრაზეს და
რაკი გაგვაგულიხეს, —
ესე იგი — ვარსებობთ!

●

ირჯ,
ირენ,
ირინა,
ირინოლა, ირინე —
ლექსი შემაწერე და
მსხვერპლად შემაწირინე.
გიხმობს მამა-პაპათა
ნახნავი და ნათესი —
დიდზე დიდი, დი-დი-დი,
უდი-ადი-ადესი.
არაგველი კრწანისთან
ისევ მესამასე ზის —
უმა-მა-მა-მაცესი და
ულა-ლა-ლა-მაზესი.
დაემგზავრე: მრავალი
აჰყვა წმინდა სათავეს,
არ ზოგავენ თავ-თავიანთ
თავებსა და თავ-თავებს.
მე კი ჩემი ოცნებით,
დარდებით და ფიქრებით —
მაინც შენთან ვიქნები,
როცა აღარ ვიქნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა
სას. რესპუბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცებ გაინბები,
უცებ გაირინდები,
ჯერ ირა ხარ, პატარა,
მალე გაირინდები.
მკლავი — საამირანე,
ყელი — საჯეირანე —
გელოდება,
ირა,
ირენ,
ირინოლა, ირინე!

ფრანგ მეგობარს (რა თქმა უნდა, ხუმრობით)

მომწონს თქვენი სიყვარული — ეიფელის ოდენა,
მაგრამ უცებ მახსენდება თქვენი გილიოტინა:
ვინც კი თავდადებულების მზე აქო და ცა აქო
და ვინც თავი გამოიდო, ყველამ თავი წაგო.
ხოლო ვინც თავს ევლებოდა სამართლიან მოტივებს,
თვი გაამეტებინეს — გაგილიოტინეს.
არ ცდებოდნენ: ანსხვავებდნენ უთავოს და თავიანს,
რადგან ტანი — დანარჩენი თავის ზედსართავია...
იცოდა სიხარული,
სიყვარული ტიროდა,
ბევრ დარჩა თავმოკრილი — უგილიოტინოდაც...
თუ დაგჭირდეს, რას მიქვია თმა და თვალი — გიშერი:
შენი გილიოტინა და
ჩემი — კისერი!

●

დრო სამად გაკვეთილია,
დრო წარსულს აბალზამებს,
ცხოვრება გაკვეთილია:
აქაც გვიწერენ სამებს.
გრძელი გზა გაგვითელია,
არიფი მისდევს არიფს,
სიცოცხლეც გაკვეთილია:
ბოლოს გვიწერენ არებს.

არყები

ამაყად დგანან არყები,
არყები არშიყებია, —
ჯერ თვალი არვის დაუდგამს,
ჯერ ხელი არ შეხებია.
გეპატიჟება დუმილი,
დუმილში დაიმარხები,
ჯერ თვალი არვის... ჯერ ხელი...
არშიყებია არყები.
არყები სდუმან — განათუ
ხე-ატამი და ხე-ბია,
რაც შეეხება შეხებას,
ჯერ ხელი არ შეხებია.
ნიავი ისე ირხევა,
როგორც ქარი და ქარში ხე,
არყები არშიყებია,
მაგრამ ჯერ ხელიც არ შეხე...
დადუმებულან არყები,
ქარიც დადუმდა ყეფია...
ნიავმა ხელი შეახო,
ჯერ ხელი არ შეხებია.

●

ჩემი ლექსი წაიკითხეთ მეორედ —
მივიწყებულ ბაღში შემომიარეთ.
იქნებ ვინმე გამომიჩნდეს მეურვედ,
ჩემი ლექსი წაიკითხოს მეორედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეკამათეთ, მედავეთ და მეომეთ,
ოღონდ... ოღონდ წამიკითხეთ მეორედ.

ერთი ამბობს: კარგად ვერ მომიარეთ,
ერთიც თხოვნით მუხლისთავებს
ეტყვებს,
ერთხელ ყველას კითხულობენ...
მეორედ —
რომელია, რომელს წაიკითხავენ?!

თქვენ ტევრი ხართ, არ ვიშნები
მე ოლე,
რაკი ყური ჩემს ნიკარას მიადეთ,
თუკი ჩემს ლექსს წაიკითხავთ მეორედ,
ესე იგი — მესამედ და მეათედ...

დიდი ნიკარაგუელი —
ეტყვის რუბენ დარიო:
ლექსმა უნდა მოგაწონოს,
ლექსმა უნდა მოგანატროს
და მეორედ თვითონ უნდა
წაგაკითხოს თავიო.

●

ხანდახან ისევ გვამშვიდებს ღიმილის თბილი ნარკოზი,
ჯოკონდას ირონიული — ყოფილა ლეონარდოსი.
მურილიოსი ვისია, ვერონეზესი ვისია? —
მეისტორიემ რა იცის, —
გვაუწყებს ტელევიზია,
და პასუხს დაგვიდასტურებს ერთგული ქარის სისინიც,
სხვისია, არ აგერიოს, ქალი, რომელიც იცინის.
შენია: ხმა ჩამოგესმა მუზების საყრილობოდან
და სუპერკომპიუტერმა ხმამაღლა წაირობოტა.
ღიმილებს ახურდავებენ და ცოდვებს ინანიებენ,
საკუთარ ხარჯებს ფარავენ იაფი ირონიები.
სიცილისა და ღიმილის ბეწვის ხიდებზე გადიან,
მოკვდება, ზურგს არ გაჩვენებს დამარცხებული გვარდია.
არის კაცი და გუნება: აწონასწორებს ორ პინას,
რაც ერთხელ ცელქი ბიჭივით ღიმილმა გადაურბინა, —
გაფრთხილდა, გამოერიდა ბილიკებს განსაცდელიანს,
სიცილ-კისკისის უფსკრულში ფეხი არ გადასცდენია.
იცავდა ფათერაკებში თავისი შემწე ეგიდა,
თავისი დღე და მოსწრება ღიმილის თოკზე ეკიდა.
ბოლოს საკენკიც იშოვნა,
მაგრამ არ ჩანდა წიწილი,
ღიმილი მოერია და სისხლივით წასკდა სიცილი.

ყვავები

ავდგები და შევამოწმებ
ამ ყვავების მეტრიკებს.
ჩავამწკრივებ, ჩავარიგებ
მეტ მწკრივებს და მეტ რიგებს.
თორემ ისევ გვაჩქარებენ
ავიო თუ ავია,
ყვავილები ყვავილობენ
და ყვავები ყვავიან.

და შორს ისე უმიზნებენ,
ვეღარც წაუშველები...
მომიკითხეთ, ყდანჩალებო,
შვილისშვილის
შვილისშვილის
შვილისშვილის
შვილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ვინღა უსმენს: ჟამი მეიგავეთა
წავიდა და სამშვიდობოს გავიდა.
სისხლის, ანუ ომის დამხა'ძავეთა
მზე ჩავიდა, მერე მთვარეც ჩავიდა.
მეწამლეთა და მემალამოვეთა
დრო მოვიდა და მუშტარიც მოვიდა.
და მკითხველი ძველი წიგნსაცავიდან
წავიდა და
წავიდა და
წავიდა.

ბაჯვარედინზე

გაჯიუტდა ზედა ფერი,
რიტმი უნდა დაძაბოს,
ვის გაუშვებს სვეტაფორი:
სახანძროს თუ სასწრაფოს?
თითქოს პასუხს ცით ელიან,
მზერა უნდა დაქანცონ,
მწვანეა თუ წითელია?
სასწრაფო თუ სახანძრო?
აქეთ, აქეთ, გულადებო!
აქეთ, აქეთ მობრძანდით:
მოცარტივით გელოდებათ
მომავალი მოცარტი!

●

განებივრდნენ ძაღლები და
გამორბიან სახლებიდან.
სადაც ვერანდებია და
ნეილონის ფარდებია,
გამოსეტერდებიან და
გამოსერბერნარდებიან.
ფულიან და ქონებიან
პატრონს ეპატრონებიან.
საიმედო არსენალთან
ჩაივლიან ორივენი,
მაგრამ ძაღლი ახსენე და
ისევ წავა ქარავანი.
დრო გაივლის სახიფათო,
ისევ იცნობს ძაღლი პატრონს,
და დაფრთხებაª მგლის ოჯახი,
თუ პატრონმაც იცნო ძაღლი...
მონადირე მომაძახებს:
ძაღლი სჯობსო მამაძაღლებს!

●

ოთარ მამფორიას

ქალებს მხოლოდ სახელები ჰქვიათ სხვადასხვა
და ერთმანეთს ჰგვანან, როგორც ზღვა და ზღვა და ზღვა,
როგორც თეთრი ტულიპი და თეთრი ტულიპი,
მსგავსები და ტოლები და თანატოლები,
როგორც ორი კედარი და ორი კედარი,
ანდა როგორც გიშერი და გი-და-შე-და-რი,
როგორც ბრილიანტები და ბრილიანტები,
როცა ბროლიანდები და ბრალიანდები, —
რადგან მიწამ ყვავილები ცაზეც გადასხა:
ვარსკვლავებსაც სახელები ჰქვიათ სხვადასხვა.

რაბა

რაკი არი ზე-ცა,
უნდა იყოს ქვე-ცა...
სოფელი რომ გავიარეთ,
ანწლის სუნი გვეცა,
თხილიანში დაგვემალა
სიო მატრაკვეცა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინ დაგვიჯდა შავი შაშვი,
ფრთები მოიკეცა,
შეგვეგება მონასტერი —
საღვთო, სამოგვეცა,
ჩერო გვეპატიჟებოდა,

მაგრამ აღარ გვეცა-
ლა და
ვადღეგრძელეთ
ქვე მიწა და ქვე ცა.

●

როდესაც სცენაზე გამოდის თაგვების იატაკქვეშეთი,
გუგუნებს კატების პარტერი,
ჭერს არყევს ტაშით და ვაშათი,
და როცა ერდოზე ნებივრობს კატების არისტოკრატია,
ეზოდან თავს უკრავს მწევართა რაფინირებული გვარდია.
ლაჩარი ითვლება ლაჩრად და მამაცი ითვლება მამაცად
და ძაღლი ძაღლადაც არ აგდებს
ძაღლიშვილს, მით უფრო — მამაძაღლს.

●

ათენს ვიცნობ, პარიზს ვიცნობ, შემიძლია რომი ვიცნო,
მაგრამ ერთი უცნაური ქალაქია, რომელიც რო...
დირიჟაბლით დაატარებს მაწვნის მეპატრონე მაწონს,
ახირებულს შერეკილი ედავება, რომელმაც რო...
არყევს მეკარნავალეთა ქუჩის სივიწროვე საცობს,
სუფთა სიყვარულობანას თამაშობენ, რომელსაც რო...
ყვავებს სწყვეტენ ხეებიდან ენადაუცხრომელები —
რომელები.

●

იყო,
არის,
იქნება, —
რაც ხვალ იყო, ის იქნება გუშინაც,
ქარი ტოტებს ისევ ეხულიგნება,
ისევ ტირის გულგარეთ და გულშინა.
ისევ ბრუნავს... რაღას მოიმიზეზებ?!
კვლავ ჩხრიალებს ბამბა ზოგიერთისა...

ისევ შენ და ისევ შენ და ისევ შენ —
ვარდს ახარებ, სადაც ბარდი ეთესა.
კვლავ ამოდის შიბებით და შიკებით,
კვლავ ნათდება, ყველას ეჭაშნიკება,
კვლავ ჩადის და... როცა აღარ
ვიქნებით, —
იყოარისიქნება
იქნება.

●

ჩაქრა ყველა ჩირაღდანი, დარჩა ერთი მაშხალაღა,
სულ ცხვირ-პირი ჩამოგტირის, მაგრამ მაინც მასხარა ხარ.
შენ — მერანი! შენ — მირონი! მას — ხარი და მას — ხარიხა!
სდუმხარ, მაგრამ მასხარა ხარ, თუმცა სხვაზე მაძღარი ხარ.
შენ გემბანზე დასეირნობ, ის კი ტალღებს ანძას ახლის,
შენ ან მეფის მასხარა ხარ, ან სახლის და ან სასახლის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ან მეზობლის, ან მეგობრის, ან ცოლის და ან საყვარლის —
ხარ და ვეღარაფერს შეცვლის უსტარი და არზა ხვალის.
ჯერ არ ამხელ, ჯერჯერობით არც გეტყობა სიარულზე,
ჯერჯერობით კი ატყუებ პარტერსა და იარუსებს.
მაგრამ ისევ მოაკითხავს ელადიდან ანდა რიონს,
გავიცინებთ, რომ იყვირებ: ხანძარია, ხანძარიო!

ტირი

მოვჭრათ მუხა,
მოვჭრათ წაბლი,
მოვჭრათ ბზა და ტირიფი,
ავაშენოთ ბევრი ტირი,
ავაშენოთ ტირები.
მომეწონა ეს აზრი და
მომეწონა ეს როლი,

ავდგები და ვისროლი და
ავდგები და ვესროლი.
ნუღარ წავალთ ომში, ტყეში,
თოფი გამოვიტიროთ,
ტირში ხშირად ვიაროთ
ანუ ხშირად ვიტიროთ.

●

ვიდრე ამ ლექსს ჩაიკითხავთ,
ათასცხრაასცამეტი
თვალს დახუჭავს, მზეს მოსწყდება, დაღამდება ცა მათი...
ფეხზე დგანან ათასები, ამხნევებენ ათასებს,
მთვარე ფრთხილად ამოდის და სხივებს ამეტასტაზებს.
ბანი მოდის გოდრებით და ტაში — კოკისპირული,
ბრუნავს რესტავრირებული ბაბილონის სპირალი.
შუბს ხალთაში მალავენ და ცეცხლს მალავენ თივაში
და იზრდება ღიმილის და სინანულის ტირაჟი.
სიმწვანეში იძირება დედამიწის ფიტული —
აღპებით და ანდებით და ნისლით გადაბინტული.
ახლა აირწინაღები სპილოებსაც აცვიათ,
მაგრამ უფრო საშიშია ეჭვის რადიაცია.
გამოფიზიზლდა ამინდივით ცვალებადი აორტა,
მაინც სულმა აჯობა და მაინც გული გაორდა.
ხან ორბიტას უბრუნდება, ხან სახლს, ხან კიიუტას,
ანტიქრისტეს კი არ ელის, ელის ანტიიუდას,
და მომავლის გადმონაშთებს წარსულივით იშორებს,
გოლგოთაზე აზიდავენ მალე ტელევიზორებს,
მაგრამ გარდამოხსნასავით მოგვევლინა ვიდეო,
ვისღა უნდა ვედაო და ვისთან უნდა ვიდაო,
ისე ბრწყინავს მზე მათი და ისე ბრწყინავს ცა მათი...
ვიდრე ამ ლექსს კითხულობდით,
ათასცხრაასცამეტი...

რევაზ მიშველაძე

ნოველა

იაგო მეჩონგური

ამ სამი თვის წინათ გაზეთ „საამური ცხოვრებაში“ დაიბეჭდა პატარა ნარკვევი სათაურით „იშვიათი პროფესიის ადამიანები“. გაზეთის მესამე გვერდიდან მკითხველს ულიმოდა მართლაც იშვიათი და კეთილშობილური პროფესიის კაცი — მეჩონგური იაგო დოღონაძე. ნარკვევის ავტორი მიმზიდველად მიუთითებდა, რომ მეჩონგურის ხელობა იაგოს მამამ შეასწავლა, ხოლო მამას კი, შესაბამისად, ჩონგურის გამოთლის ძნელი საქმე მემკვიდრეობად თავისი მამისგან ჰქონდა მიღებული. 1985 წლის 11 მარტს, ესე იგი, ჩანახატის გამოქვეყნების მეორე დღეს, ორშაბათ საღამოს იაგო დოღონაძეს შინ ეწვია ახალგაზრდა მხატვარი ლევან ხურციძე. ახალგაზრდა მხატვარმა მეჩონგურეს აცნობა, რომ წაიკითხა „იშვიათი პროფესიის ადამიანები“ და სურვილი აქვს, შექმნას იაგო დოღონაძის პორტრეტი. დიდ დროს არ წაგართმევთ, ვიცი თქვენი მოუცლელობის ამბავი, მხოლოდ რამდენიმე სეანსი დამჭირდება, თანაც აქედან შორს არ ვცხოვრობ, ლომჯარიას ქუჩაზე, ოთხ ნომერში, ნაქირავებ ოთახში ვდგავარ, თუ კაცი ხარ, უარს ნუ მეტყვით.

იაგოს, სიმართლე გითხრათ, გაუკვირდა მხატვრის ხვეწნა-მუდარა. მას ვერც კი წარმოედგინა, საერთოდ თუ შეიძლებოდა უარის თქმა ხელოვანისთვის, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, შენი დახატვა უნდა. რა დაგიმალოთ და, იაგოსთან სხვა დროს არავინ მისულა ამგვარი დიდებული სურვილით და, რასაკვირველია, უარის თქმა გულში არც კი გაუვლია, მაგრამ რაკი ასე ძალიან მთხოვს, ჩანს, თავი უნდა დავიფასოო და სერიოზული, მოწყენილი სახით უთხრა მხატვარს: სხვას მართლაც უარს ვეტყოდი, სანატუროდ სად მცალია, მაგრამ ახალგაზრდა კაცი ხარ, შენ ვერ გაგაწბილებო. მხატვარმა უღრმესი მადლობა მოახსენა და შეთანხმდნენ: ყოველ სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, თორმეტ საათზე, ჩონგურის ოსტატი მივიდოდა მხატვრის ბინაზე დასახატავად. საქმე ჩონგურივით აეწყო. იაგო გულისხმიერი მენატურე აღმოჩნდა. დათქმულ დროზე იგი კეთილსინდისიერად ცხადდება და უკვე მესამე თვე იწურება, მორჩილად შესცქერის ახალგაზრდა მხატვარ ლევან ხურციძეს, რომელიც ხატავს იშვიათი ხელობის კაცის საკმაოდ მოზრდილ პორტრეტს ზეთის საღებავებით.

...ყოველ მეორე დღეს ამოივლის შავდრაფისპალტოიანი და შოკოლადისფერშლაპიანი კაცი გოჭიურას აღმართს. ლომჯარიას ოთხ ნომერთან სულს მოითქვამს, ლათინური ამერიკის რომელიღაც პატარა სახელმწიფოს დეტექტიური ფილმის პერსონაჟივით იდუმალ მზერას შეავლებს გარემოს, მკერდზე ორ ტოტად დაშვებული წითელი კაშნეს ერთ ბოლოს უკან გადაიგდებს და, არცთუ გამეტებულად, დაიძახებს:

— ლევან!

— შემობრძანდით, ბატონო იაგო, დაბმულია, — მაშინვე გაეპასუხება შუშაბანდის ღია ფანჯარას მომდგარი, მაისურის ამარა მხატვარი.

იაგო კოინდარზე მიაბიჯებს და თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალს არ აცილებს ბოღმა-ყეფით ლაშებაქაფებულ, შავდრუნჩა ნაგაზს, რომელიც ყეფას ჯერ კიდევ მაშინ იწყებს, მეჩონგურე აღმართს რომ ამოთავავებს და, ხელოვნების ქურუმნი ნაქირავებ ოთახში რომ შეიკეტებიან, მხოლოდ მაშინ წყნარდება. ვერ იქნა და ვერ შეეგუა იაგოს შლაპას და წითელ კაშნეს ძაღლი. რაც დრო გადის, უფრო ენერგიულად უტევს ჭიშკარს მომდგარ, უცნაურად ჩაცმულ სტუმარს.

ღმერთო შეგცოდე და, ძაღლი კი არა, ადამიანებიც გაკვირვებით, შიშითა და რიდით მიაპყრობენ ხოლმე თვალს იმ ვიათი პროფესიის წარმომადგენელს.

გაკვირვებას, შიშსა და რიდს — სამივე გრძნობას ერთად ბადებს, არც მეტი, არც ნაკლები, ის ამბავი, რომ ივნისის ამ ცხელ დღეებში პალტო-ლაბადა-კაშნეთი დარახტული კაცი გამოჩნდება ქალაქის ქუჩებში, თორემ ისე რა, იაგო სიარულის დროს ხელებს არ მიიქნევს და, მითუმეტეს, არც ქვას ისვრის.

ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ადამიანებმა მეჩონგურის არასეზონური ჩაცმულობის მიზეზი რომ იცოდნენ. მარტში, როცა ლევანმა პორტრეტის ხატვა დაიწყო, ქუჩაში თოვლ-ჭყაპი მეფობდა და ნაქირავებ ოთახშიც საკმაოდ ცივდა. იქნებ ოთახის დაბალმა ტემპერატურამაც განაპირობა ის გარემოება, რომ მხატვარმა იაგო სკამზე დასვა და ისე, როგორც მოვიდა, საზამთროდ გამოწყობილი გაამზადა სანატურედ. ეგ იყო, წითელი კაშნე ყელზე შემოახვია და ცალი ბოლო ზურგზე გადაუგდო.

ახლა კი ივნისი იწურება.

იმერეთში ტყემალი უკვე მოოლია და საგვიანო ბალიღა მწიფს აქა-იქ.

ცხელა.

მზე რომ უქიმერიონს გაუსწორდება, ჩიტბატონები სადღაც გაქრებიან. ჰაერს, მათი ჭიკჭიკის ნაცვლად, ჭრიჭინობელების გულისწამღები ორკესტრის ხმა აავსებს. თითქოსდა მთელი ქვეყნის ჭრიჭინობელები ერთად, ამ ბებერ ცაცხვზე შეყრილანო, გაუთავებელი ოროტოტოსავით ერთი და იგივე მელოდიის გამოცემით უფრო აუტანელ ხდიან ივნისის ქარ-სიცხეს. ლევანს ხანდახან მოთმინების ძაფი გაუწყდება, პალიტრას ტაბურეტზე დადებს, ეზოში გავა და დაუსტვენს ან ქვას ესვრის გაბარჯღუღ ცაცხვს. ჭრიჭინობელები წამით დადუმდებიან და მაშინვე ახალი ძალა-რიხით შეუბერავენ ზაფხულის კამკამა ხვატს.

სეანსი დღესაც ჩვეულებრივ დაიწყო.

იაგომ ოთახს შემოუარა, მოლბერტის წინ დინჯშემოყრილი დადგა და თვალები მოკუტა.

— ხომ სწორად გითხარი იმ დღეს, მარჯვენა ყური მაღლაა-თქვა.

— კი, მაღალი იყო. გავასწორე. გუშინ კაშნეზეც წავიმუშავე ცოტა.

კაშნეს ხსენებაზე იაგომ ამოიოხრა.

— რაც დრო გადის, მკვდარი მამის სულს ვეფიცები, უფრო და უფრო მიჭირს ასე ჩაცმული სიარული. დიდებს მოუვლი კაცი რამეფრად, ბოვშებს? ბოვშებმა დამიწყეს გამოკიდება.

— ერთს ვიტყვი მე, იაგო ბატონო, — მხატვარი პორტრეტს თვალს არ აშორებს.

— ჰო.

— აქ რომ დატოვო ტანსაცმელი? მოხვალ და ჩაიცვამ.

მეჩონგურე ერთი შეჩქვიფდა, მაგრამ მაშინვე სახე გაუნათდა.

— შენ აგაშენა ღმერთმა. აქამდე ვერ უნდა მივმხვდარიყავით მაგ ამბავს მე და შენ?

დიდი აღმოჩენები, ზოგჯერ, რა უბრალოდ კეთდება, ძვირფასი მკითხველო. თითქოსდა ისინი ჩვენს თვალწინაა, მაგრამ ვერ მიგვიგნია. რა ღვთაებრივად უბრალო ჩანს იმის შემდეგ, ბედნიერი შემთხვევა რომ ზედ მიგვადენის და საიდუმლო ყუთს გაგვახსნევინებს.

ზის იაგო დოღონაძე მაგიდასთან. ცალთვალოდნავმოჭუტული, ზეწარჩამოფარებულ ფანჯარას შესცქერის; მხატვარს სინათლე არ უყვარს და როცა კაშკაშა მზეა, ორ ზეწარს აფარებს ხოლმე სარკმელს. ხელჩახვეული, წელ-

ეროვნული

ში გამართული, შუბლზე ჩამოწეული შლაპით და ირიბი გამოხედვით, მარილაკ რომ, სადაა პატრონი თორემ. მშვენიერი დასაბატია. ვერა და ვერ მიეჩვია ამ პოზას მეჩონგურე. ნახევარი საათის მერე თვლემა ერევა და საუბარს იწყებს. ლეკვს ხატვის დროს ლაპარაკი მაინცდამაინც არ უყვარს, მაგრამ იცის, რომ თვლემამორეული იაგო ხელოვანის ჩანაფიქრს აკამტვრებს. თვალებმიბღლეტილი, სახეჩამოფენილი, დაღლილ-დაჩუტული გამოხედვის მქონე მეჩონგურე ის აღარ არის და, საერთოდ, ამ ბოლო დროს შენიშნა ლეკვამმა, რომ იაგოს ასაანზე უფრო ცვალებადი სახე აქვს.

— ესე იგი, ვინ ხატავდაო, რა მითხარი, პორტრეტებს მსოფლიოში ყველაზე კარგად?

— ველასკესი.

— რამდენ ხანს უნდებოდა, თუ იცი?

— გააჩნია სახეს.

— მხატვარსაც ხომ არ გააჩნია?

— მხატვარსაც.

— პირველ პორტრეტად მაინც ჯოკონდა ითვლება, ხომ?

— კი.

— რამდენ ხანში დახატაო ლეონარდომ, რას ამბობენ? — იაგო დაიღალა. უნდა გავუგოთ, მას ახლა ყველაფერზე მეტად დიდ მხატვართა პორტრეტზე მუშაობის დრო აინტერესებს.

— არავინ იცის. იქნებ ერთი წელიც მოანდომა.

— აღარ ყოფილა საშველი, — იაგომ ამოიოხრა.

— პორტრეტის ხატვა, რა არის, იცი, ბატონო იაგო? შეიძლება უცებ მიაგნო იმას, მთავარს. შეიძლება დიდხანს ვეღ იპოვო. ფსიქოლოგიაა მთავარი. ერობაშად იცის მოვარდნა მუშაობის დროს.

— ხომ შეიძლება, საერთოდ ვერ მიაგნო?

— ასეთი შემთხვევებიც ყოფილა, მაგრამ იშვიათად, დრო უნდა ყველაფერს.

და იაგოც ჩუმდება. დრო კი ძალიან ნელა გადის ხატვის დროს. ჩვენ შორის დარჩეს და, დოდონაძე გულის სიღრმეში უკვე ნანობს, რომ ახალგაზრდა მხატვარს დაუკავშირდა. სამ საათს მაინც გრძელდება სეანსი. ნახევარი საათი იქით და ნახევარი აქეთ — ეს ერთი საათი. ორმოცი წუთი თქვი, თუ გინდა, მოკლედ, ლამის ნახევარი დღე დაკარგულია. ესეც არ იყოს, იაგო, მე მგონი, მხატვარზე უფრო მეტად იღლება. როგორი დასაჯდომია ამ სიცხეში დრაფის პალტოთი და შუბლზე ჩამოფხატული შლაპით, გაუნძრევლად? ოფლში იწურება, მაგრამ ხმას არ იღებს. სეანსი რომ მთავრდება, დაოთხილი გარბის სახლისკენ. ჩონგურის თლასაც თავისი განწყობა უნდა. წკრიალა ჩონგური სისხამ დილით უნდა გაითალოსო, ასე ასწავლა იაგოს ცხონებულმა მამამისმა. დაღლილი, გასავთებული, ნასადილევს რომ ჩაუჯდება, რა ჩონგური უნდა გამოვიდეს? ერთი სიტყვით, ამ პორტრეტის გადამკიდე, თავის საქმესაც ჩამორჩა დოღიხაძე. აგვისტოს დასაწყისში კულტურის სასახლეს ოცდახუთი ჩონგური უნდა ჩაბაროს. ხელშეკრულება დადებული და ავანსი უკვე შექმული აქვს. ამ ტემპით თუ იმუშავებს, ნახევარსაც ვერ მოასწრებს და შერცხვება კაცი. არადა, ჩონგური ისეთი რამ არის, ეს დალოცვილი, რომ სხვის ხელს არ იკარებს. მაშინვე შეეტყობა. ასე რომ, გულითაც რომ გინდოდეს, ვერავის დაიხმარიებ.

პორტრეტის დამთავრებას კარგი პირი არ უჩანს. კითხვით როგორ ჭკითხავს, მაგრამ საქმეზე ატყობს, ლეკვს პორტრეტის შექმნის დიდი გამოცდილება არ უნდა ჰქონდეს. იქნებ პირველიც კია, ვინ იცი. თავიდან დიდი ინტერესით შესცქეროდა მხატვრის მუშაობას იაგო. სასწაულად ეჩვენებოდა, რომ გრძნეული კაცის ფუნჯს თითქოსდა ბურუსიდან გამოჰყავდა მეჩონგურის თვალები, ცხვირი, ულვაშები, პოინტერის ყურებივით ჩამოყრილი პალტოს საყელოები, კაშნე. ადამიანებმა ხომ არასოდეს იციან ზუსტად თავიანთი გარეგნობა. იაგოს ეჩვენებოდა, რომ პორტრეტიდან ვიღაც ძალიან ნაცნობი და ახლობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსცქეროდა. ჩაცმულობით, მართალია, სამაგშვო წიგნების ილუსტრაციების ხელმოცარულ მეკობრეს ჰგავდა, მაგრამ იმ მეკობრეს იაგოს ხელები და თვალები ჰქონდა და იშვიათი პროფესიის კაცი წინასწარ გრძნობდა სიამოვნებას, რასაც მისი ოჯახის წევრთა აღტაცებული სახეები განაცდევინებდა! პორტრეტს შინ რომ მიიტანდა და სასტუმრო ოთახში ჩაპაეკის პორტრეტის გვერდით დაჰკიდებდა. ამ ბოლო დროს კი იაგოს სევდა დაეუფლა. ამ ფაქტს იგი მხატვრის შესაძლებლობებში დაეჭვებას აბრალებს. პორტრეტი თითქმის დამთავრებული იყო და ლევანმა, როგორც თვით აღნიშნა, მისი „დამუშავება“ დაიწყო. სწორედ მაშინ წახდა საქმე. ნამტანი დამუშავებით პორტრეტი ნელ-ნელა გადაემგვანა მეჩონგურეს და მიმსგავსებული მხოლოდ პალტოს მარცხენა საყელო და კაშნე დარჩა. ძალიან რომ მგავდა, მაშინ უნდა შევჩერებულიყავითო, ხანდახან მოკრძალებით ჩაუკრავს იაგო, მაგრამ მხატვარს სასაცილოდაც არ ჰყოფნის მეჩონგურის მოსაზრება. არა და, რაც დრო გადის, პორტრეტი თანდათან შორდება დოღონაძეს და ვიღაცას, უცხოს, შორეულს ემსგავსება. ყოველ შემთხვევაში, იაგოს ასე ეჩვენება და, ღმერთმა ქნას, სცდებოდეს.

მეჩონგურეს მარჯვენა ფეხი დაუბუჟდა. საათს დახედა, სამის ნახევარია. ქუდი მოიხადა, კოჟლობით წამოდგა და მოლბერტს მიუახლოვდა.

— აბა ვნახოთ, რა ქქენით დღეს...

მხატვარი უკუდგა.

არ მოსწონს, აშკარად აღარ მოსწონს დოღონაძეს პორტრეტი და, მოკალი თუ გინდა. ეს თვალებჩამქრალი, ლოყებდაბერილი, შუბლგახრილი კაცი, შეიძლება, ვინც გინდა, იყოს ამ ქვეყანაზე, მაგრამ მეჩონგურე იაგო დოღონაძე ნამდვილად არ არის. არა და, სანამ დაუმალოს ხელოვანს, რაც დრო გადის, პორტრეტის საქმე უკან-უკან რომ მიდის.

— ლევან!

— ბატონო.

ორივენი ნახატს შესცქერიან. ხან წინ გადადგამენ ნაბიჯს, ხან უკან, ხან კი, უბრალოდ, თავს ატრიალებენ.

— ნიკაპი რომ გაგიმწვანებია, ასე იყო საჭირო?

მხატვარმა ჯერ პორტრეტის ნიკაპს შეავლო თვალი და მერე ნამდვილ ნიკაპს შეხედა.

— მე კი არ გამიმწვანებია, თვითონაა მწვანე. საერთოდ, შავი და წითელი ფერი მწვანედ ურტყამს ნიკაპზე, ბატონო იაგო.

რა დაგიმალოთ და, იაგოს, ეს ცოტა არ იყოს, მწყარალი კილო არ ესიამოვნა.

— კეთილი და პატიოსანი. ეს ყური რომ წითელი ჭარხლის ფოთოლივითაა შეკეცილი ქუდში, ასე დარჩება?

— რა შუაშია ჭარხალი, ბატონო იაგო, — დღეს, როდაც, ლევანიც ვერ იყო ხასიათზე. ჩვეულებრივი ამბავი მოხდა, ძვირფასო მკითხველო. ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც კი წელიწადში, თუ მეტი არა, ერთი დღე მაინც ერთმანეთის დანახვა არ უნდათ. ამას ფილოსოფოსები მიჩვევით გამოწვეულ მოწყენას ეძახიან. როგორც ჩანს, მხატვრისა და მისი მენატურის ცხოვრებაში ეს დღეც დადგა.

— მე გეკითხები, იმისი არ იყოს, რომ ვიცოდე, ხომ არ შეგეკითხებოდი, რა გული მოგდის, შე კაი კაცო?

— გული კი არ მომდის, ჭარხალი ჭარხალია და ყური ყურია.

— მეც მაგას ვამბობ. ახლა კიდევ გეტყოდი რაღაცას, მარა გეწყინება და შარის თავი არა მაქვს.

— ბრძანე, ბრძანე. წყენა რა შუაშია.

— ეს შუბლის ხაზი რომაა ჩატეხილივით, ამნაირი ოღრო-ჩოღრო შუბლი მაქვს მეე?

ლევანმა შუბლის ხაზს შეხედა. ღმერთო შეგცოდე, ამ დეტალს ვერავითარი ნაკლი ვერ უპოვა. პირიქით, შუბლის ხაზი ჩვეულებრივზე უფრო სწორად და შუბლი გაბრტყელებულად მოეჩვენა.

— საერთოდ, პორტრეტს სამ ნაბიჯ-

ზე მეტად არ უნდა მიუახლოვდეთ და თვალმოჭუტულად უნდა შეხედოთ, ბატონო იაგო.

— კი ბატონო, მე, თუ გინდა, სულ დავხუჭავ თვალს, მაგრამ ჩემს სახლში შემოსულ კაცს როგორ ვუთხრა, თვალმოჭუტულად შეხედე-თქვა, ყველამ ხომ არ იცის ეს ამბავი.

— ვინც არ იცის, იმისთვის არც იხატება პორტრეტი.

— რაღაც ვერ გამოდის ეს ამბავი სწორად. ესე იგი, ვისაც არ ესმის, არ შეხედოს ნახატს საერთოდ?

ლევანმა არ უპასუხა. ქილას წვრილ-თავიანი ფუნჯი აიძრო, შავ-ნაცრისფერში აურია, პალიტრის მშრალ კიდეზე თავი კიდევ უფრო გაუწვრილა და იაგოს ჯიქურ მიაწოდა.

— ა, ბატონო, თქვენ გაასწორეთ შუბლის ხაზი.

მეჩონგურემ ანგარიშმიუცემლად ჩამოართვა ფუნჯი და მხატვარს თვალებში შეხედა, ხომ არ მეხუმრებაო.

— რა არი ახლა ეს, ვითომ, ჩემო ლევან, დამცინი?

— როგორ გეკადრებათ, იქნებ თქვენ უკეთესად ხედავთ, გაასწორეთ, როგორც გაგეხარდებათ.

— დამცინი? არ მეკუთვნის შენგან, მკვდარი მამის სულს გეფიცები,—იაგოს მიტკლისფერი იადო.

— არც მიფიქრია. უბრალოდ, რაკი შენიშვნებს იძლევით, იქნებ მართლა უკეთესად გააკეთოთო. იქნებ დავიღალე მე თქვენი ხატვით. ან იქნებ მეტი აღარ შემიძლია და, ხომ არ მივაკლავ თავს.

— მერე ვინ დაგაძალა, შე კაი კაცო. მე მოვედი შენთან, გინდა თუ არა, დამხატე-მეთქი, შეგეხვეწე?

— არ გვინდა ახლა ეგ ლაპარაკი, ბატონო იაგო, უმორჩილესად გთხოვთ, დაუსვით ფუნჯი ნახატს. სცადეთ ერთი. ხომ არ მოგწონთ შუბლის ხაზი? გამისწორეთ, კაცი არა ხართ? დამეხმარეთ, ხომ შეიძლება?

იაგომ უყურა, უყურა, მერე რაღაც წაიბუტბუტა და მოლბერტისკენ შეტრიალდა. ჯერ შეშინდა, ხელი აუკანკალდა, ხაზი ხახს ააცილა, მერე ქვედა ტუჩზე იკბინა და თავს მოერია. „ბოღოს და ბოღოს, ღმერთი არც ეს არის. კაცია ესეც. ამას ჰგონია, თვითონ იცის მარტო ხატვა ამ ქვეყანაზე“, — გაიფიქრა და გული მიეცა. შუბლის ხაზი გასწორა, უკან დაიხია, შეხედა. მერე გულზეხელდაკრეფილ ლევანს კითხვით სავსე თვალები შეაელო. ლევანმა თავი დუჭნა. მეჩონგურე ამ თავის დაქნევაც შეათამამა. ფუნჯი გამოცვალა, პალიტრა მოიმარჯვა და ხატვას შეუდგა. ნიკაპ, ხორბლისფერი დაუბრუნა, შუბლის ცისფერი ღრანი ამოავსო, ყური ყურს დაამსგავსა. ცხვრის ჩავარდნილი ნესტოები ამოსწია და ულვაში დაამოკლა. შლაპის ჩრდილი შუბლს ცერად გადაავლო. ქუთუთოებს სიღმე მისცა და თვალებს სიცოცხლე. დრო ისე შემოადნა ხელში, არ გაუგია. ჭრიჭინობელების ხმა აღარც ესმის. ფერს რომ დაადებს, უკან დაიწევს და თვალმოჭუტულად შეხედავს პორტრეტს. აშკარად ეტყობა, კმაყოფილია თავისი ნამუშევრით.

ლევანს ხმა არ ამოუღია, კედელს მიყრდნობილი, თავაწეული იდგა და მეჩონგურეს შესცქეროდა. როცა ოთახში საღამოს ლანდები აცეკვდნენ, იაგომ ხატვა შეწყვიტა. მასპინძელმა იგი ჭიშკრამდე გამოაცილა. ძაღლი ჩვეულებრივად ყეფდა.

— ხუთშაბათს ისევ თორმეტზე? — დოღონაძეს გატეხილი ხმა და შეშცბარი იერი ჰქონდა.

— არა, ბატონო იაგო, მეტი მოსვლა აღარ არის საჭირო.

— დამემდურე, შე კაი კაცო? შენ თვითონ არ დამაძალე?

— არა, მაგიტომ კი არა, საერთოდ... ისე... მე თქვენ ვეღარ დაგხატავთ, არ გამომდის.

— ის პორტრეტი მაინც რომ გამატანო? — მორცხვად სთხოვა მეჩონგურემ.

— არა, ბატონო. არ გგავთ და ტყვილად რად გინდათ, სახლში გეკიდოთ, სხვა დროს... ბოდიშს ვიხდი, რომ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცდინეთ.. სხვა დროს დაგხატავთ... იქნებ მე თვითონ მოგაკითხოთ...

— მშვიდობით, აბა, ღმერთი შენსკენ.

იაგომ პალტოს ჯიბეში ხელები ჩაიწყო და იავდახრილმა ბანაშვიდურად გაბიჯა.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

●

ოდაშვიდ აგვისტოს ახალგაზრდა მხატვარმა ლევან ხურციძემ იაგო დონაძის სახლის კარი შეაღო და სასტუმ[illegible] დარჩა.

მეჩონგურეს რაიონის კულტურის სასახლის დირექტორი, ხალხური თვითშემოქმედების მეცხრე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი შანშე გიორგაძე დაესვა ვეფხვისფეხება სავარძელში და გატაცებით ხატავდა.

გიორგაძეს კახური ქუდი ეხურა, თავი ამაყად, მაღლა ჰქონდა აწეული, მუხლებზე კი ჩონგური არ ედო.

ბ ი რ ფ ა

ბირეა, ისე როგორც ეს სიტყვა ტრაფალგარის მოედანზე ესმით, ჩვენთან არ არსებობს. „ბირეის კაცს“ ქალაქ კურკანტიაში მცონარა, მუჭატყუილა, ლამიტობია და ქარიხვეტია კაცს ეძახიან. ბირეათა» მრავალსახეობიდან აქ მხოლოდ ბინების ყიდვა-გაყიდვის ბირეაა ნებადართული და ისიც სანახევროდ არალეგალურად. რაკი ადამიანთა და დაწესებულებათა შორის ყოველგვარ გარიგებას კურკანტიაში სახელმწიფო კისრულობს და ამას გაცილებით უფრო კანონიერად და საქმიანად აკეთებს, ვიდრე ადამიანთა არაოფიციალური საკრებულო — ბირეა, ბუნებრივია, მას არ ეპიტნავება ეკრძო არხებით მფეთქავი მოქალაქეთა ეს ბუნდოვანმორალურიანი საკრებულო და ყოველის ღონისძიებით ხელს უშლის მის არსებობას. მიუხედავად ამისა, ადამიანთა ერთ არცთუ მაღალი შეგნების (და, სამწუხაროდ, ისინი საზოგადოების უმნიშვნელო პროცენტს როდი შეადგენენ) ნაწილს პირადი კონტაქტებით საქმის მოგვარება ურჩევნია სახელმწიფო დეპარტამენტის ხელდასმით ამის გაკეთებას. მათ მიაჩნიათ, რომ არსებობს პრობლემები, რომელთა გადაწყვეტისათვის არც კი ღირს სახელმწიფოს შეწუხება და, თუმცა ასეთი პრობლემების რიცხვი დღითიდღე მცირდება, ჯერჯერობით ნახევრად დაშვებულ ბირეებზე მაინც ბუზივით ირევა ხალხი.

რას ავიჩირე ეს, ცოტა არ იყოს, საშარო „ნახევრად დაშვებული“ და „სანახევროდლეგალური“? საქმე იმაში გახლავთ, რომ კურკანტიის ხელისუფალნი გაცვლა-გაყიდვის ბირეას ოფიციალურად არ კრძალავენ. მეტსაც გეტყვით, ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს იგი სასარგებლოდაც კი ეჩვენება, „რა გვენაღვლება, შეხვდეს ხალხი ერთმანეთს. მოიჭუკჭუკ-მოითათბირონ, საქმეს მდინარება მისცენ, სულ ერთია, ჩვენი ბეჭდის გარეშე მათს ნათათბირევს ძალა არა აქვს, ბოლოს მაინც ჩვენს კარზე უწევთ მოსვლაო“. უმრავლესობას კი ბირეა ჩვენი საზოგადოებისთვის უცხო, არაჯანსაღ მოვლენად მიაჩნია და, რომ არცთუ უსაფუძვლოდ, ამაში ქვემოთ, რამდენიმე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ, დარწმუნდებით.

ბირეაზე ათასი ჯურისა და მისიის მოქალაქე ირევა. შემკრთალი სახით დადიან არაშრომითი შემოსავლით გამდიდრებული პატივცემული გვამები, რომელთაც მოსალოდნელი საშიშროება იყოსეს და კაპიტალის გადარჩენის იმედად საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა ან მაღალფასიან ბინაში ფულის დაბანდება ეგულებათ. მოკუმული

ტუჩებით და მტკიცე გადაწყვეტილებით დაბიჯებენ ქმრის ულირსობაში საბოლოოდ დარწმუნებული ცოლები, რომლებიც უმეტესწილად სამოთახიანი კომუნალური ბინის ორ თითოოთახიანზე დახურდავებას სთავაზობენ შემხვედრთ. ხელჩაკიდებულნი დაპყავთ მშობლებს პირველი კურსის სტუდენტები ან აპიტურიენტობაგახანგრძლივებული ქალ-ვაჟნი და ცენტრში გასაქირავებელ, იაფფასიან, არცთუ კაცილამია დიასახლისიან ოთახს დაეძებენ. კატის ნაბიჯებით და მორცხვი ღიმილით დაბიჯებენ საყვარლიანნი მამაკაცები და გრიაოდ იმგვარ ოთახს ითხოვენ, რომელსაც თბილი წყალი და ცალკე შესასვლელი აქვს. ამგვარ ოთახს ისინი „სამუშაო ბინას“ უწოდებენ და ეჭვისგან შეჩქვიფებულ გამქირავებელს აღუთქვამენ, რომ ელექტროენერგიის იდეალური მომჭირნეობით გამოირჩევიან და შეუკარებელთა საიდუმლოს შენახვის უნარის მქონე სახლის პატრონს გულითად მეგობრობას გაუწევენ.

იქ, სადაც ადამიანები იკრიბებიან, სრულიად ბუნებრივია, გული მიუწევდეთ თაღლითებს და ქურდებს. ბინების დაქირავება-დაგირავება-ყიდვა-გაცვლის კურკანტიის ბირჟის ისტორიას სამარცხვინო ლაქად შერჩა მიმნდობ ქალიშვილთათვის და გულუბრყვილო ბინის ყიდველთათვის სავალალოდ დამთავრებული არა ერთი ეპიზოდი. აი, რატომ არ ეკუშნიკება ქალაქის ხელმძღვანელობას ბირჟა და რატომ ცდილობს იგი ჩააგნოს ცხოვრების უკეთ მოწყობის მსურველებს, რომ ერთადერთი სწორი გზა ბინის (და არა მარტო ბინის) საკითხის მოწესრიგებისა აღმასკომის სათანადო უჯრედებზე გადის. ამ კეთილშობილური სურვილით ხელმძღვანელობს საქალაქო საბჭოს შინაგან საქმეთა განყოფილება, როცა ფუთფუთის ექსტაზში შესულ ბირჟას წამდაუწუმ უცვლის ადგილს, კურკანტიას ცენტრალური მოედნებიდან და პარკ-სკვერებიდან ნელ-ნელა, დარბევისა და ხელჯოხის კაპიტალისტური მეთოდების გამოუყენებლად, თხოვნისა და მეგობრობის ხერხით უბიძგებს ქალაქის გარეუბნებისაკენ. რამდენადაც ხშირი ჩანს ბირჟის მი და მო გადაადგილების მასშტაბები, იმდენად უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ბირჟის კატეგორიის მოქალაქენი მის გარშემო და გასაკვირი სწორედ ის გახლავთ, რომ გაზეთისა და ტელევიზიის დაუხმარებლად იგებენ ყველანი ბირჟის ახალ ადგილსამყოფელს და ენთუზიასტთა შემწეობით ბინების შეძენა-დახურდავების ფრიად საჭირო საქმე წუთითოც არ ფერხდება.

1986 წლის 28 აგვისტოს, ზუსტად თორმეტ საათზე, მაშინ, როდესაც გოროაანას გადასახვევთან, ბეჟიაშვილის ქუჩის ბოლოს, პატარა მოედანზე ორი დღის წინ მიდენილმა ბირჟამ, როგორც იქნა, მუშაობა განაახლა და საათივით ააწყო საქმე, მაშინ, როდესაც ადამიანებმა რამდენიმე საათით დაივიწყეს რეიგანის ახალი პროოვაციული განცხადება და, როცა მათი გონება მაღალ მატერიებზე ფიქრის ნაცვლად წვრილმანი საყოფაცხოვრებო განსჯა-ბჭობით დაიტვირთა, სიცხისგან ავარვარებულ ჰაერში მკაფიოდ და ღონიერად გაისმა: „ამხანაგებო, მიტინგს, მიძღვნილს ჩვილ ბავშვთა და ინვალიდთა საერთაშორისო დღისადმი, გახსნილად ვაცხადებ!“

მებირჟეებმა ერთბაშად ასწიეს თავები და იმ ადგილს მიაჩერდნენ, საიდანაც ხმა მოდიოდა, მოედნის თავში (ასეთივე წარმატებით იმ ადგილს შეიძლება მოედნის ბოლოც ვუწოდოთ), სახელდახელო ტრიბუნაზე, მიკროფონის წინ ქალალდით ხელში იდგა რიხხმიანი, საკმაოზე უფრო დაბალი, ლამის უკირო კაცი, ხოლო მის უკან, თითქოს საგანგებოდ, კონტრასტისთვის შეურჩევიათო, ხუთიოდე ახოვანი ჩაპალსტუხებული მამაკაცი და მათზე არანაკლებ ტანადი, თეთრკოფთიანი ქალიშვილი ბრძანება „სმენას“ პოზაში გარინდულიყვნენ. ეგ არაფერი, სხვა დროსა და სხვა ადგილს ამგვარი სურათი ხშირად უნახავთ კურკანტიას მოქალაქეებს, მაგრამ ბირჟის წევრთა გაოცების უკიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განობას ამჯერად ორი რამ იწვევდა. ჯერ ერთი, ამ მილეთის ხალხში რატომ ერთმა კაცმა მაინც ვერ შეამჩნია ტრიბუნა-არენისა თუ მიკროფონების გამართვა და სატელევიზიო მანქანების ალყიდან გასვლა რატომ არავინ სცადა? ან რა დროს მიტინგი იყო სწორედ მაშინ, როცა კურკანტიის მოქალაქენი, როგორც ისინი ფიქრობდნენ, უფრო სერიოზული და პრაქტიკული საქმით იყვნენ გართულნი?

ამ გაოცებაზე მე ვწერ, თორემ არც სატელევიზიო კამერებს აღუბეჭდავს და არც ჟურნალისტებს დაუძრავთ კრინტი ამის შესახებ. უკისრომ მშვენიერი შესავალი სიტყვა თქვა, მერე მის უკან მდგომნი რიგრიგობით მივიდნენ მიკროფონთან და ისევე, როგორც ჩვილ ბავშვთა, ინვალიდთა დაცვა-პატრონობის მსოფლიო პრობლემებსაც თავიანთი ხმა შეუერთეს. მიტინგის მსვლელობისას არაერთხელ გაისმა უოვაციონ, მაგრამ მქუხარე ტაში და არც ის შეუმჩნევია ჟურნალისტთა ფხიზელ თვალს, რომ დასასრულ, სხვა მიტინგთა მსგავსად, მემიტინგეები კი არ დაიშალნენ, თავიანთ ყურეებს კი არ მიაშურეს, არამედ ადგილზე დარჩნენ და ბირეის მცირე ხნით შეფერხებულ მდინარებაში გადმოერთვნენ.

●

ქალაქ კურკანტიას ტაშაურის რაიონის კულტმუშაკთა პროფკავშირის რეფერენტი ჩინო კიკნაძე თავის მომცრო კაბინეტში იჯდა და ტელეფონს ზარს ელოდა. „ექვსის ნახევრიდან ექვსამდე, თუ ვინიცობაა, ვერ დავრეკო, ექვსზე შენი სამსახურის წინ, ქუჩაში დამხვდი და გამოგიელიო“, დილითვე გაფრთხილა ცოლისძმამ. ექვსს ხუთიოდე წუთი აკლდა, ზარი იგვიანებდა. მკითხველს რომ რამე საბანძღო საქმე არ ეგონოს, აქვე ვაუწყებ, რომ ჩინო და მისი ცოლისძმა — მეარმატურე ჯამბულ ვასაძე სტადიონზე უნდა წასულიყვნენ. მეორე ლიგაში გადაბარგების მუდმივი და ერთადერთი კანდიდატის კურკანტიის „ალპასს“ საგულშემატკივროდ. ჩინო ოცდარვა წლის მაღალი და მუქწარბებია, გაბზარულხმიანი, მკვირცხლთვალება ყმაწვილი გახლდათ. განათლებით ზოოტექნიკოსმა სამი წელი იმუშავა სკოლაში ხელგარჯილობის მასწავლებლად და ეს ერთი კვირაა, რაც პროფკავშირში დაწინაურეს. კიკნაძეს წინ პროფკავშირული მუშაკის უალრესად სანტტერესო და დრამატიზმით აღსავსე გზა უდევს და დმერთმა ხელი მოუმართოს, თუ პატივცემულ მკითხველს საწინააღმდეგო არაფერი ექნება.

ის იყო, ჩინომ მაგიდა მიალაგ-მოალაგა, სიგარეტი და გაზის სანთებელა ჯიბეში ჩაიდო და გამოსვლას აპირებდა, რომ ტელეფონი აწკრიალდა. ორი წუთით ადრე რომ გამოსულიყო ჩინო თავისი ოთახიდან, ტელეფონის ზარი აცდებოდა და ამ ნოველის ავტორის საეჭვოდ პროდუქტულ შემოქმედებას ეს ერთი ნოველა მაინც დააკლდებოდა (რაც, იქნებ, მცირე შეღავათი მაინც ყოფილიყო კითხვისგან თავგამბეზრებული მკითხველისათვის).

— გამოვდივარ! — ყურმილს ჩასძახა კიკნაძემ, მაგრამ დამრეკავი ჯამბული არ გახლდათ და, ბუნებრილია, რეფერენტმა „გამოვდივარ“ მას ბევრს არაფერს ეტყოდა.

— კიკნაძე ბრძანდებით? — ჩინოს ხმა ეცნაურა, მაგრამ გამოსაცნობად დრო აღარ ეყო, — ალო, გეგუჩაძე ვარ, სამართველოდან, ალო! რა ცუდად ისმის, დარეკეთ თქვენ თვითონ, ოცდათხუთმეტი ნოლ — სამი ჩვიდმეტი.

დარეკა. ამასობაში გაიხსენა კიდეც, სამმართველოში ამ ერთი კვირის წინათ, როცა დასამტკიცებლად უხმეს, კარგა ხანს მოუწია დერეფანში ყურყუტმა. მაშინ შეამჩნია; ერთი ოთახის კარს სამი გვარი ეწერა „გელანტია, გეგუჩაძე, სვანიძე“. ძალაუნებურად, წინ და უკან სიარულისას მრავალჯერ წაიკითხა და იმიტომ დაამახსოვრდა.

— გისმენთ, ბატონო.

— ალო, თქვენ წეკაძის ადგილზე რომ ხართ, ხომ ის ხართ, ხომ არ მეშლება?

— ის ვარ, პატივცემულო.

— ალო, კიკნაძე, აბა მიიღე სასწრაფო დავალება. ხვალ შენს რაიონში მიტინგი უნდა ჩატარდეს და შენ გეკალება ყველაფერი.

— რისი მიტინგი, ბატონო?

— ჩვენ ბავშვთა და ინვალიდთა დაცვის ამბავზეო, რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, რაზე იქნება, თორმეტ საათზეა დანიშნული.

— სიტყვა უნდა ვთქვა, პატივცემულო?

— კიკნაძე, — ტელეფონში ხითხითი გაისმა. — როდის იყო მე და შენ სიტყვას გვთხოვდნენ. გამომსვლელები უკვე გაფრთხილებულია. შენ ორგანიზაცია უნდა გაუკეთო მიტინგს. ერთი სიტყვით, ხალხი უნდა მოიყვანო.

— სად, რა ადგილას, ბატონო?

— მე მგონი, წყალსადენის წინ აჯობებს, მანდ ვატარებთ ხოლმე, ავტობუსები რომ უხვევენ. აბა შენ იცი, არ დაიბნე ახლა. დღესვე ჩამორეკე დაწესებულებებში და დაავალე, ვისაც საჭიროა, ჩვენი სახელით.

— ვეცდები, ბატონო.

— რას ვიზამთ? — ყურმილში კვლავ გაისმა ხითხითი, მაგრამ ამჯერად შედარებით მოზომილად, — „ვეცდები“ რომ სამსახურის სიტყვა არ არის, არ იცი შეენ? რას ჰქვია, ვეცდები. ეცდები კი არა, უსიკვდილოდ უნდა გააკეთო. დამირეკე ხვალ დილით. არ გადადო ხვალისთვის ეგ საქმე. ხვალ ვეღარ მოასწრებ, იცოდე.

ჩინო, რაააკვირველია, ფეხბურთზე არ წავიდა. ქუჩაში გამოირბინა, გზის იქითა მხარეს მდგარ ცოლისმამას გასძახა — ამა და ასეა ჩემი საქმეო და კაბინეტში შემობრუნდა.

ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ თუ ასე ძნელი იყო ერთი პატარა მიტინგის „ორგანიზება“, სხვას რომ ეთქვა, არ დაიჯერებდა. დაიდო სია წინ და რეკა წარმოება-დაწესებულებებში, მაგრამ უმეტესობამ არ უპასუხა, ზოგიერთ ვინც ყურმილი აიღო, ან კატეგორიულად უარი უთხრა, „რაღა მე მებდღვენი, რა მეგბიტინგგბა, ხალხის მოცდენი მინდა მეო?“ ან მამის სული დაადაფიცა, „ვითომ ვერ დამიჭირე ადგილზე, ჩემთან ისედაც ცოტა ხალხი მუშაობს, ახლა ნახევარი შვებულებაშია და არავინ არ წამოვა მიტინგზე, ვიცი მეო“. მეორე დილითაც რომ იგივე განმეორდა, ჩინო სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ცხრა ხდებოდა და მიტინგზე მომსვლელი მხოლოდ ჩვიდმეტი კაცი ეგულებოდა, (არც ეს იყო მტკიცე სია). ჩვიდმეტი კაცით რა მიტინგი გაიმართებოდა, ტელევიზიას და ფოტორეპორტიორებს ხალხი ხომ უნდა გადაეღო? ფუჩ-ფუჩ გავარდა სამმართველოში და გეგუჩაძეს გამოეცხადა:

— არ გროვდება ხალხი, ბატონო.

— რაიო?! — დაიგრგვინა გეგუჩაძემ, — ახლა მეუბნები ამას, მიტინგამდე ორი საათი რომ დარჩა? ხომ იცი, მიტინგის ჩაშლას რომ გადაგვაყოლებენ ორივეს? გავარდი ახლავე და წელში რომ გაწყდე, ას კაცზე ნაკლები არ იყოს მიტინგზე. ჩამოუარე შენ თვითონ ყველას და შენვე გამოუძახი. არ დაიღუპო თავი და არ დამღუპო მეც! — ბრძანება, მუქარა, ხვეწნა, მუდარა — ყველაფერი ერთად იგრძნობოდა გეგუჩაძის ხმა-მიმიკაში.

ჩინოს სიტყვა აღარ შეუბრუნებია. ჩამოირბინა, გადაჭრა ქუჩა, პირველივე ტაქსში ჩაჯდა და სარეცხელას დაღმართზე რომ მორიხინებდა, თავი დენიაზე ყველაზე უბედურ კაცად წარმოიდგინა: „რა საჩქარო იყო ახლა, დღეს, მაინცდამაინც თორმეტ საათზე ეს მიტინგი. გავეფრთხილებიეთ ამ მამაცხონებულებს სამი დღით ადრე მაინც. რას უშველის ახლა, ვითომ, მაინცდამაინც დღეს, ეს მიტინგი ჩვენ ბავშვთა და ინვალიდთა საქმეს? ხანძარია? ბოლოს და ბოლოს, არც გუშინ გამართულა მი-

რევაზ მიშველაძე
ნოველები

სას. რესპ. ბიბლიოთეკა

ტინგი, მარა არ დაქცეულა ქვეყანა, ხომ ვიცი, როგორ იქნება ეს სამქე დაწყებული. მოუვიდათ ჯერ იქ თავში. მერე ატეხეს რეკვა. რეკეს ქვევით-ქვევით, ქვევით-ქვევით ინსტანციებში და ბოლოს ჩემი თავმოსაყრელი გახდა ხალხი. რა ჭირში ჩავვარდე, რა ქვა გავტეხო, სად ვიშოვო ამდენი ხალხი. რა მიტინგობია აუტყდათ...“

გორაყანას გადასახვევთან, ბუჯიაშვილის ქუჩის ბოლოს ხალხ. რომ ჰკიდა თვალი, ტაქსის შოფერს ჰკითხა, „რა ხდებაო“. „ბიჭეა გადმოუტანიათ გუშინწინ აქეთ. რას დაარბენინებენ ამ საწყლებს იქეთ-აქეთ, თუ არ უნდათ, აუკრძალონ საერთოდ და ის იქნება“,—უპასუხა მძღოლმა.

უსაშველოდ ჩინოს მდგომარეობაში კი არა, მაშინაც არ არის კაცი ჩაძიროული, ზომალდის სიახლოვეს ოკეანეში რომ ტიტიტვებს, რეფერენტს ისეთმა ახალმა იდეამ გაუნათა გონება, რომ სიხარულისგან კინაღამ შეჰკვირა, ტაქსის მძღოლის პირველსავე ტელეფონ-ავტომატთან გაიჩერებინა და გეგუჩაძეს სთხოვა: „თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მიტინგი გორაყანას გადასახვევთან, ბუჯიაშვილის ქუჩის ბოლოს მოედანზე ჩავატაროთ, წყნარი ადგილია და ხალხსაც მეტს დავატევთო“.

გეგუჩაძე მცირე ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა.

დანარჩენი მკითხველმა უკვე იცის.

ცოლი

ცოლის ქება რომ აუგია, ჩემზე უკეთ თქვენ იცით, ბატონო, მაგრამ სიტყვას მოპყავ და, ჩემს მეუღლეზეც უნდა გიამბოთ. თქვენ რომ არ წამოგეწყოთ ეს საუბარი და არ შეგეთამამებინეთ, ალბათ, არც მე გამახსენდებოდა. კაი ხანია არავისთვის მიამბნია. ფარსაგი არაფერი გეგონოთ, ჩვეულებრივი ამბავია.

მეც მედღეხვალიე კაცი ვიყავი ზოგიერთივით და დაოჯახება დამიგვიანდა. ცხონებულმა ბიძაჩემმა, მარტოხელა გახლდათ, ერთოთახიანი ბინა დამიტოვა და იმ ბინამ კინაღამ დამღუპა, უშვილძიროდ კინაღამ გადამავო. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, ჩამოვედი გოჭიურაში, „ტყავფეხსაცმელში“ დავიწყე მუშაობა უმცროს ეკონომისტად და ვიყავი არხეინად. არხეინად იმიტომ, რომ ერთოთახიანში ვცხოვრობდი, ბიძაჩემის ანდერძის წყალობით, თავზე არ მაწვიმდა, თორემ შემოსავლით დიდად გალაღებული გახლდით-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, ხელფასზე ვიჯექი. ზოგს ასე ეგონა მაშინ, „ტყავფეხსაცმელში“ თუ მუშაობ, თავი ქუდში გაქვსო, მაგრამ არც იმ დროს იყო მთლად ასე. სად იყო ფული, ფულს უმცროს ეკონომისტამდე ვინ მოუშვებდა. ბედს მაინც არ ვუჩიოდი, რაც მეტს იშოვი კაცი, ხომ იცი, მადაც გემატება. საბანს ისე ვიხურავდი, როგორც მწვდებოდა და მივყვებოდი დღეებს ალმა-დალმა. ერთოთახიანი ბინის პატრონი უცოლო კაცები, დამერწმუნეთ, თითქმის ყველანი ერთნაირად ცხოვრობენ. ოჯახს არ ეკიდებიან, ფართობი არ გვეყოფაო, ხოლო იმ საშმაკო და სამამაძაღლო საქმიანობისთვის, უმეტესი მათგანი რომ ეწევა, ერთოთახიანი ბინა ფრიად მოხერხებული რამ არის. ასე რომ, ჩემი ფიქრით, ერთოთახიან მარტოხელა კაცებს, თუ მათთვის კარგი გვინდა, ან მეორე ოთახი უნდა დაუმატო და მკაცრად დაავალო ცოლის შერთვა, ან ის ერთიც უნდა წაართვა და ქუჩაში დატოვო. ჩემ აზრს მოგახსენებთ, რასაკვირველია, და კანონის ძალას ნუ მისცემთ ამ ჩემ ნათქვამს, მე თვითონვე გთხოვთ.

გადიოდა დრო, გარბოდნენ წლები.

ჯერ ისე არ გამჭირვებია, რომ ცოლი შევირთო-მეთქი, ვიმეორებდი უცოლშვილოთა აჩემებულ ნათქვამს, ხოლო უპარტენზიო და მშვენიერი ქალები, ღვთის წყალობით, მაშინაც საკმარისად იყვნენ.

თავი რომ არ მოგაწყინოთ, ნელ-ნელა ჩავდექი ჯიუტ უცოლოთა მწყობრში. ჩემი წრე მაქვს, ჩემს პატატვრან სიყვარულებს ვაგროვებ, ჩემს სეზონურ ტრფობა-ცრემლობანას და წერილობანას ვთამაშობ. ორმოცს რომ მივუკაკუნე, ჩემ თავს მე თვითონვე ვუთხარი: — ერიჰაა, ნამეტანი გაუტიე, ბუჟა ხომერიკო. ისე არ ივარგებს, ყურები გამოიფხიკე და, მამაჩემსა აქვს ცხონება, პირველივე ქალი, რომელიც თვალში მოგივა, რასაკვირველია, თუ შენს ცოლობას ღვთის რისხვად არ მიიღებს, შეირთე და ოჯახს მოეკიდე-მეთქი.

ვთქვი და გავათავე კიდეც. იმ წელს მოანგარიშეთა კურსებზე საბუღალტრო აღრიცხვის საათები მომცეს. მოვძებნე სტუდენტობისდროინდელი, დაჩრჩილული რვეული და შევუდექი ლეტტორის ძნელი პურის ჭამას. ერთ კვირაში, კარგად რომ მივიხედ-მოვიხედე, სამტრედიელ მოანგარიშე გოგოს დავადგი თვალი. ბევრი გაკითხვა-გამოკითხვა არ დამიწყია, ამ საქმეს რაც მეტს გააჯანჯლებ და ხალხის ჩარევას დაიწყებ, მით უფრო ცუდად დამთავრდება. შესვენებაზე სამასწავლებლოში დავიბარე გუგული და მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვაჯახე ცოლად გამოყოლის წინადადება. ხვეწნის და დევნილოდინის თავი არა მაქვს, ა, ეს ვარ, რაცა ვარ და, თუ ქალი ხარ, ხვალ მითხარი პასუხი-მეთქი. რაღა ხვალ, ახლავე გეტყვიო, გაეცინა, რა გაქვს ჩემი დასაწუნონ. თურმე იმასაც ჩავვარდნოდი გულში. მე მორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ რაღაც შინაგანი ძახილი აპოვნინებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთს. კარგა ხნის მერე მითხრა ჩემმა ცოლმა: შემოხვედი თუ არა ჩვენთან ლექციის წასაკითხად, იმ წუთიდანვე ვიცოდი, რომ შენი ცოლი ვგახდებიდეო, სამასწავლებლოში რომ დამიბარე, უკვე მესმოდა, რასაც მეტყოდი და ისიც კარგად ვიცოდი, რაც უნდა მეპასუხნაო.

ასე, გაუჭირვებლად ჩაიფარცხა ჩვენი საქმე. ერთი კვირის შემდეგ განცხადება შევიტანე და პატარა პურ-მარილი გავმართე. შვიდ-რვა ძმაკაცს დავუძახე, მეტის თავი არა მქონდა. მშობლებსაც არ შევატყობინეთ. ჩემებს იმ შუა ზამთარში ჭრებალოდან ჩამოსვლა გაუჭირდებოდათ, გუგულის ავადმყოფი დედაც ჰყავდა. ამ, და სხვა მიზეზების გამოც, ყაზაფხულზე დავთქვით ქორწილი.

განცხადება შევიტანეთ-მეთქი, უკვე მოგახსენეთ და სუფრა რომ ჩამთავრდა, მივაცილე გუგული თავის საერთო საცხოვრებელში. კაკიტელაშვილის ქუჩაზე იყო მაშინ, ახლა მგონი იმ შენობაში ფარმაცევტული სასწავლებელია. ცოლი ხარ, ჩემი დღეიდან, ქალბატონო გუგული. შეკარი შენი ბაღრი და წამოდი ჩემთან-მეთქი. ამ წუთში ჩამოვალ, დამიცადე, არ წახვიდეო, თქვა და გაფრთხილდა. წისქვილის ბორბალი შვიდ შეჭობრუნებას ვერ მოასწრებდა, ისე ჩქარა გაჩნდა ჩემს წინ პატარა, ნაცრისფერი ჩემოდნით ხელში. იმ ჩემოდანს აქამდე ვინახავდით, მაგრამ ბავშვებისაგან ვერ ვიპატიეთ. ჯერ სათამაშოებს ყრიდნენ შიგ, მერე აფრა გაუკეთეს და ნავად აჯალოლაებდნენ აბაზანაში.

პირველ ღამეს ვათევ ჩემ ცოლთან და ბედნიერებასთან ერთად, ცოტა არ იყოს, შიშიც გამიჯდა გვერდებში. რისი შიში? ვინმემ არ მომიკაკუნოს შუაღამეზე. არ მომეჭრას თავი. რა დაგიმალოთ ფ, უსტეშრობას არ ვუჩიოდი მაინცდამაინც. ხან ქმარსგაშორებული ნაზიკო შემოირბენდა, ბავშვს და დედამთილს რომ დაძინებულს დაიგულებდა, ხან, ეს უფრო მიწყალებდა გულს, ძმაკაცთაგანი დამეღრიჯებოდა: გოგო მყავს მოყვანილი და ჩამოგვჯინე ხუთ წუთს შენს ლოგინზეო. რამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დენჯერ „მისეერნია“ შუაღამისას აკანკალებულ-ეზოში და შორიდან მიოვალიერებია ჩემი ოთახის ჩამქრალი ფანჯრები. არა და, ისე ჯიუტია ზოგიერთი, შენც რომ სტუმრად ქალი გყავდეს, არ შეგეჯუება, გააცილე ჩქარა და შემომიშვი, კაცი არა ხარო? არ შემოუშვებ და ცუდი კაცი ხარ, შემოუშვებ და ერთსაათიანი იძულებული ბოლოის ცემით გამწარებული, სწყევლი მარტოხელა კაცის გაჩენას.

ისე აგიხდები ყოველივე კარგი, როგორც მე ეს, შიში გამიცხადდა. შუაღამისას ფრთხილი კაკუნი გაისმა. ჯერ წავუყურე, იქნება გუგული? ვერ გაიგონოს-მეთქი. ქალს კატის სმენა აქვს, შენ გამოაპარებ რამეს? საათს შეეხედე, პირველს ალარაფერი აკლია. მივფშლატუნდი კართან ტრუსის ამარა. გავაღე და ელდა მეცა. ყელმოღრეცული, თეთრხუჭუჭთმიანი, ანგელოზივით რუსის გოგო დგას კართან ჩემ-ოდნინთ ხელში. ეიბაკვირდი — ლუსია, ლუსია კუჩჩატოვა. ამ ზაფხულს გავიცანი ზღვაზე, სევერნოდვინსკიდან ვარო, მისამართიც მიწერია ბლოკნოტში სადღაც. რა ქნას ვეცე ახლა, ამ შუაღამისას. რამ გაახსენა ჩემი თავი ამ ოჯახაშენებულს. თუმცა რაღა რამ. რაც მე ამას სიყვარული ვუმტკიცეკუტორატის ლამაზ ფერიებთან ლაპარაკი ყველა მამაკაცს მშვენივრად გვაქვს დამუშავებული: მე-მეთქი ჩემი ბუნებით გულჩახვეული, უენო კაცი ვარ და პირველი, ერთადერი გოგო, რომელსაც გაეესაუბრე, თქვენ ბრძანდებით-მეთქი. დამინახო რომ შეგხვდათ, ისეთი სათნო თვალები გაქვთ და ისე სუფთა გამოხედავ, რომ არ შეიძლება სიმპპათიით არ განეწყოს თქვენს პიმართმეთქი. აჰა, ჩემი გული და ჩემი მისამართი, სიკვდილამდე ერთგულ მეგობრობას გთავაზობთ-მეთქი. საქართველო ღვთის სიკეთით პირთამდე სავსე ქვეყანაა, იქნებ დაგქირდეთ ხილეულ-ციტრუსეული, ღვინო, სუფთა ჩაი, ხურმის ჩირი და ამისთანობა, პირველივე თქვენს ზარზე ერთ ვაგონს გამოგგზავნით-მეთქი. საერთოდ, როგორც კი დროს იშოვით, ჩამობრძანდით, გოკუოურა დინნოზავრების ქალაქია, რიონის პირას თხმელებში ახლახანს „არგოს“ ნარჩენები იპოვნეს-მეთქი. ნამეტანი დაპირება ვიცით, მაგრამ იმ წუთებში ისე უზდება საქმეს. ჰოდა, მოკიდა თავის ჩემოდანს ხელი ლუსიამ და ჩამოვიდა ამ სიშორეზე. რას ეტყვი, მე რა ვიცოდი, ცოლს თუ შევირთავდი ასე მალე. კაცმა რომ თქვას, არც თვითონაა მთლად მართალი. დაერეკა (თუმცა სად დამირეკავდა, სადაა ტელეფონი) ან დეპეშა მაინც გამოეგზავნა მაგ მამაგანათლებულს.

გამოვიხურე კარი და გადავეხვიე ლუსიას. საიდან, როგორ, რატომ არ შემატყობინე, ამ შუაღამეზე რამ მოგიყვანა-მეთქი. მიხვდა, რომ შევაცბი, მთლად ისე რომ ვერაა ჩემი საქმე, როგორც ელოდა. მოსკოვ-წუალტებოს ჩამოვყეევო. „გოკუოურა-მეთრე“ სადგური თქვენგან საკმაოდ შორს ყოფილა, ავტობუსს საათნახევარი ველოდე და მერე ტაქსს გამოვეკეოო. შინ რატომ არ მეკითხეიენ, სტუმარი ხომ არ გყავსო. — ჩემო ლუსია, საყვარელო, ცრემლი ყელში მაწვება, ცოლი შევირთე-მეთქი. „ტი ჩტო-ვო“, გაიკვირვა, მერე უეცრად სევდამ გადაუბრინა გადაკეცილ, ლამაზ სახეზე, რა ვქნა აბა ახლა, საღდა წავიდე ამ შუაღამეზეო.

ამასობაში გუგული ამდგარა, ხალათი ჩაუცვამს და გამომდგომია. „ვის ელაპარაკები, ბუჭა, შემოიყვანე სახლშიო“, მეძახის. კარი გავაღე და ერთმანეთს წარვუდგინე. გაცნობის ცერემონიალი მშვიდად ჩამთავრდა. მოსალოდნელზე გაცილებით უფრო ტკბილად შეხვდნენ ერთმანეთს. ჩემი დალეწილი რუსულიდან სწრაფად ჩამოქვართულდი, რაღა ახსნა უნდოდა, მაგრამ მაინც: გუგული-მეთქი, ეს გოგო ამ ზაფხულს ზღვაზე გავიცანი და სტუმრად ჩამოვიდა. რა ცეცხლში ჩავვარდე, არ ვიცი-მეთქი. ვენაცვალე, იმის შემდეგ ორჯერ მეტად შემიყვარდა ჩემი ცოლი, რა სასწაული ეს არის, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ყველა გაგიგებს? ქორწინების პირველ ღამეს გიფაშფაშებული რუსის გოგო მოგადგა ჩემოდნით ხელში, პატარა საქმეა? „ზაბადიტე პაკალუსტაო“, გუგულიმ, შემოიყვანა, მოეფერა, სუფთა პირსახოცი მხარზე გადაფინა და აბაზანაში შეუძღვა, ჩაი გაწყო, დაალევინა, აბრეშუმის კულულებზე ხელს უსვამს, ალბათ, გზაში ნამეტანი გაწვალდითო, ეშიკჩიკება ჩიქორთულად.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აწი რაღას შვრები, ბუკა ხომერიკო. სად აწვენ ამ გოგოს. ერთადერთი არაბული ტახტი გვაქვს. შეზლონგი მქონდა მიყუდებული კამოდს უკან, მაგრამ მეზობელს სტუმარი ჩამოუვიდა და, ჩემდა იღბლად, გუშინწინ ვათხოვე, რა ვქნა ახლა?

სად დავაწვინოთ ეს გოგო-მეთქი, გადავუკარი გუგულს. წარბიც არ შეუხრია. ჩემს გვერდით დავაწვენ, აბა, ეს რომ სასტუმროში მივიყვანოთ, გადარევენ, თუ ვინმე სალახანაა გოჭოურაში, ამის კართან დადგებაო. არ იცი, რა დაფეთება იციან, ამნაირი თმის პატრონ გოგოებზეო?

ასე იყო თუ ისე, მოვასვენე ჩემი ცოლის გვერდით არაბულ ტახტზე ლუსია კურჩატოვა, მე კი — სოძე-კაცი ნათლიაჩემს მივადექი შუაღამეგადასულზე. რომ მოვუყევი, ასე და ასე მომივიდა-მეთქი, ფარანი ხელიდან გაუვარდა ნათლიაჩემს და ისეთი სიცილ-ხითხითი ატეხა, ოჯახის წევრებს ვინ დაეძებს, მეზობლებიც დააღვიძა.

ხვამლს კარგად აშორებული იყო მზე, ნირწამდარი და ფეხაფრიული შინ რომ დავბრუნდი. სხედან ჩემი ცოლი და სტუმარი, ჩაის შეექცევიან და ისე ტკბილად მასლაათობენ, თითქოს ერთი დედის მუცლიდან იყვნენ ნაშობნი და მთელი ცხოვრება ერთად გაეტარებინოთ. „რა მშვენიერი გოგოა, რა საყვარლად ფშვინავდა, რომ იცოდე, მთელი ღამეო. დაბინებულზე ამის ყურებას არაფერი სჯობდაო. რა სუფთა გოგოა, რომ იცოდე, დაწკრიალებული აცვია ყველაფერიო. ნამეტანი ალალი გულის პატრონია, მიამბო ყველაფერი. მომკლა ამის საცოდავობამ, ლოთი შეხვედრია თურმე ქმარი და ხუთ თვეში გამოქცევიაო. ქსოვილ-კომბინატში ვმუშაობ და საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობო. ისე, რომ უქირს, ეტყობა საწყალს. უბრალო აცვია ყველაფერი, მაგრამ კოხტად მორგებული. სად ექნებოდა ამას ამხელა გზის ფული. ხელფასზე მორჩენილი კაპიკებითაა, ალბათ, ჩამოსულიო“.

გუგული ამას რომ მეუბნებოდა, ოქროსთმიანი სტუმარი ხან მე შემომხედავდა და ხან ჩემ ცოლს შეავლებდა ალერსიან მზერას. გადამდები, მომნუსხავი სითბო და თვინიერება დასცდგურებულიყო მის დიდრონ ცისფერ თვალებში.

ერთ კვირას დარჩა ლუსია გოჭოურაში. ის ერთი კვირა გვერდიდან არ მოვშორებივართ მე და გუგული. მთელი დღე ხელჩაკიდებული დავატარებდით. რაც შეგვეძლო, ვაგვეგუთ-ვაგელაპარაკებდით, ხოლო ღამით სტუმარი ჩემი ცოლის გვერდით იწვა და მე, სამზარეულოში, შეზლონგზე მეძინა.

გაცილებისას რაიონის სადგურში ისე ხმამაღლა აქვითინდნენ და ჩაეფსკვნენ ერთმანეთს — ძლივს მოვაშორე.

ახლაც დიდი მიმოწერა აქვს ჩემ ცოლთან ლუსიას. ჩამოსვლით კი მეტი აღარ ჩამოსულა. გათხოვდა მალე და, ალბათ, ქმარმა აღარ გამოუშვა.

ცხენოსანი

მე ფეხით მივდიოდი, ის ცხენით. მე საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ვარტყამდი წრეს იპოდრომს, ის — საათის ისრის მიმართულებით. სანამ მე ერთხელ შემოვუვლიდი იპოდრომს, სამჯერ მაინც ეხვდებოდით ერთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანეთს. პირველ ხანებში, რასაკვირველია, თვალს ვარიდებდი. რა მესაქმებოდა იპოდრომის კანონიერ მფლობელთან — ცხენოსანთან, მე, ფეხით მოსიარულეს. მერე და მერე თვალს შეეკვლებდი ხოლმე და შევეცქეროდით ერთმანეთს იმ დროის განმავლობაში, რაც ცხენოსნისა და ფეხით მოსიარულის გვერდით ჩავლას სჭირდება. ბოლოს ვუღიმოდით და ვესალმებოდით კიდეც. ჩემი არ იყოს, არც თვითონ იყო წელში გადამტყდომი. უნაგირზე უხერხულად, გადაქანჯულად იჯდა. შუბლზე ჩამოშლილი კუპრივით თმა ნიადაგ აბურდული ჰქონდა და ნეიღონის მწვანე ჯუბაჩა მუცელზე ასკდებოდა. მოკლეზე ეჭირა აღვირი. უნაგირთან ახლოს, ცხენის ფაფარზე ედო აღვირიანი მარცხენა ხელი, ხოლო ძირს დაშვებულ მარჯვენაში წკნელი ეჭირა, მაგრამ არ ხმარობდა. როცა გამშორდებოდა, ჩექმიან ფეხს შემოჭარავდა ფერდებში ოქროსფერ ულაყს და აარორთებდა. ჩორთით სვლის დროს მუხლებს მოუჭერდა ცხენს, კისერს წაიგრძელებდა და უნაგირზე წამოდგომა-დაშვებისას კისერში ჩასული შავი თმა ისე ებურდ-ეკეცებოდა, გეგონებოდათ, ყვავის ბუდე ახურავს თავზე და ცხენის ყოველ მოძრაობაზე აგერ-აგერ წაძვრება და ჰაერს შერჩებაო. მძიმეწონიანი მხედრის ჩორთით ტარება ცხენს, ეტყობოდა, არ სიამოვნებდა, ამიტომ ამე ოცდათ-ორმოც ნაბიჯზე რომ გააძუნძულებდა პატრონს, უბრძანებოდ კვლავ სიარულზე გადადიოდა პირუტყვი და მერე ისე ნელა, ლამაზი თვალების ბრიალით ჩამივლიდა, თითქოს ერთი სურვილი ჰქონდა, მხედარს გამოვლაპარაკებოდი და ამით ოფლში გახვიეთქულ ცხენს შეღავათი მისცემოდა.

ასმერომელიღაც შეხვედრაზე უკვე სრულიად მომწიფებული იყო ვითარება იმისათვის, რომ ორ უცნობ მამაკაცს ერთმანეთისთვის სიტყვები გაგვეცვალა. ინიციატივა მე გამოვიჩინე.

— დიდი ხანია ცხენოსნობთ, ამხანაგო?

— ბატონო?

აღვირს მოკაჩვა არ დასჭირვებია, ცხენი გაჩერდა.

— დიდი ხანია-მეთქი, რაც ცხენით დადიხართ?

— მეორე თვე შესრულდება მალე. მეტყობა, ხომ?

— მე დიდი ვერაფერი შემტყობი ვარ. ცხენზე, არ დაიჯერებთ და, ჩემდა სამარცხვინოდ, ჯერ არც კი ვმჯდარვარ.

— მეც პირველად ვსინჯე, გითხრათ სიმართლე, ამ ორი თვის წინ. არ ვიყავი შენაჯდომი. რა სირცხვილი ეგ არის, სადღაა ცხენი დღეს.

— ისე, ვარგა? გშველის რამეს? ამ ჩვენს გასაჭირზე გეუბნები, — მუცელზე ხელი მივიტყაპუნე.

— სხვათა შორის, იშვიათი რამეა. თუ გული დაუდევი, ისე დაგბერტყავს, თავს ვეღარ იცნობ. მე რომ მიყურებ, ხუთი კილო ვარ დაკლებული ამ ორ თვეში, ჭამით ისევ ისე ვჭამ. პირველ კვირას, ცხენიდან რომ ჩამომსავმდნენ, ყველა კუნთი ერთად მტკიოდა.

— რას ბრძანებთ. იღლები, აბა, კაცი ცხენზე?

— იღლები რომელია, ერთ საათს რომ ჩორთით იარო, გასაწური გახდები. რა მაინტერესებს, იცი? ძველი მოლაშქრეები რომ იყვნენ, ვთქვათ, ქართველები, ან მონღოლები თქვი, თუ გინდა, სულ ერთია, ასე წამდაუწუმ ისვენებდნენ ნეტავ ისინიც? წიგნებში ეს არ წერია და არც კინოში მინახავს. ვკითხე ჩვენს მწვრთნელს სპეციალურად: ჩორთით სვლას — მხედრები უმეტეს წილად ჩორთით დადიოდნენ, — ვერც მხედარი ულაზს ერთ საათზე მეტს და ვერც ცხენი. ნამეტანი დიდი დატვირთვაა. იცოდით ეს ამბავი თქვენ? არ იცოდით. არც ბევრმა იცის სხვამ. მეცინება ახლა ისტორიულ წიგნში რომ ამოვიკითხავ, „მავან და მავან მალემსრბოლმა დილამდე შეუსვენებლივ აჭენა ცხენიო“.

— იქნებ მაშინდელ მხედარს შეეძლო. იმ დროის კაცის გაძლება და ჩვენი გაძლება ერთია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ დაიჯეროთ ეგ ამბავი. ადამიანი, ბატონო, ბევრად არ შეცვლილა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ფიღარათმა მოკლა ალექსანდრე მაკედონელი და რომის იმპერატორების უმეტესობას ბუსალი სტანჯავდა. პირიქით, ახლა უფრო გამძლე და მაგარია ადამიანი. ცოტა მეტი თავის მოვლა ვისწავლეთ და რაღაც-რაღაცების წამალიც გამოვიგონეთ.

ჩვენს გვერდით შავი ტაიჭი გაშლილიგნდა. ტაიჭზე პირწმინდად შუაზე მოკეცილი იდგა გავაფართო ცხენოსანი გოგონა.

აპრილი თავდებოდა. ძალამიცემული მზე ღონივრად ანათებდა იპოდრომს და მშრალ ბილიკებზე სამ-სამად მოჩიქჩიქე ურიკიანი ცხენოსნები მტვერს აყენებდნენ.

ვიფიქრე, ლაპარაკით შევიქცევ ეს პატიოსანი კაცი, ვინ იცის, დროის რა ბიუჯეტის პატრონია, ახლა დავემშვიდობები და, მაინც მზე კისერში მაჭერს, ცოტას ნაძვების ხეივანში გავიარ-მეთქი. კარგად ყოფნა ვუსურვე და ბილიკზე გადმოვუხვიე, მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ გზა გაგრძელებინა, ჩამოქვეითდა და გვერდით გამომყვა. ზურგზე დაწყობილ ხელებში ალვირი უჭირავს, ცხენი მორჩილად, ფრუტუნით მოჰყვება. რა ვუთხრა ახლა, რა ვკითხო. ასე ვიცი, ჯერ მე თვითონ გამოველაპარაკები კაცს და მერე ვნანობ, სასაუბრო უცაბ შემომელევა ხოლმე და სიტყვის ძებნის უხერხული სიჩუმე მაღიზიანებს.

— როგორი წესია თქვენთან, ერთი სიტყვით, ცხენზე ჯდომა რომ უნდოდეს კაცს? — რაში მაინტერესებდა, მე ცხენოსნობას არ ვაპირებდი, მაგრამ ისე, სიტყვის მასალად ვკითხე.

— თქვენ ენებავთ? თქვენ თვითონ?

— საერთოდ, ისე მაინტერესებდა, კაცმა რომ თქვას, რატომაც არა...

გაიცინა და ცხენს კისერზე ხელი გაუტყაპუნა. შეჩერდა, კიდევ ერთხელ გაიცინა და დამაკვირდა.

— რაზე გამეცინა, იცით? ზუსტად თქვენს დღეში ალმოვჩნდი ამ ორი თვის წინათ. ცხენოსნობა არც მიფიქრია, ამბავი რამ ისე აეწყო საქმე, რომ უკან დასახვევი გზა აღარ მქონდა. მერე მივეჩვიე და მივეჩვიე. ახლა ენანობ კი არა, იმ პატარა ბიჭის გამზრდელს ელოცავ. საერთოდ, მე კუს ტბაზე დავდიოდი. ერთხელ მანქანა გამიფუჭდა და, რაკი კუს ტბაზე ვერ ავიდოდი, იპოდრომს მოვაკითხე. ტროლეიბუსი უდგება და ისედაც ახლოა ჩემს სახლთან. ორ წრეს შემოვუვლი ფეხით და წვაალ სამსახურში-მეთქი. ასე, თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი წამომეწია ცხენით. ყოჩაღ, ბიძია, ნამდვილი ცხენოსანი ხარ, ვინ დაგსვა ასე პატარა ბიჭი ცხენზე-მეთქი. სექციაში ვარ, ბიძიაო, ყველას წერენ, მე მგონი, თუ ვნებავთო, არაა ძნელი საქმეო. ბუთხუნა ბიჭი იყო, მაყვალ-თვალება, გაგა ჰქვია. შენც შეგიყვედრია, ალბათ. ეს ერთი კვირაა არ გამოჩენილა. როგორ არ მინდა, ბიძია, მაგრამ მე ვინ ჩამწერს თქვენს სექციაში, ბებერი ვარ-მეთქი. ვეხუმრები ბავშს. ცხენი, რომ მიჩუქონ, არ მინდა სინამდვილეში. მერე დღეს მივირწევი ჩემთვის ფეხით ამ გზაზე და მოჩინდრიკობს ვიღაც უკან. მოვიხედე, ჩემი ბუთხუნა. შორიდან დავუნახიავარ და დამწევია. ბიძიაო, მომაძახა, ვკითხე თავლის უფროსს და შეიძლება თქვენი მღებაო. ტერენტი ჰქვია, მესამე თაველშია. ახლავე შეგიძლიაო მიხვიდეთ და აგიხსნიან ყველაფერსო. კარგი, ჩემო გაგა, ახლა ველარ მოვასწრებ და დღის განმავლობაში მივალ-მეთქი აუცილებლად. ტერენტი მინდა? რა ვქნა, ბავშს ხათრი ვეღარ გავუტეხე. მისცლით, რაასაკვირველია, არ მივსულვარ. არ დაიჯერებთ და, არ მომეშვა გაგა. ჩემია ჭირად, ტელეფონს ნომერი შემიქნა მიცემული. რეკვით ამიკლო. რა ჰქვენთ, ბიძია, რატომ არ მიხვედით ტერენტისთანო. ერთი პერიოდი ვემალებოდი იპოდრომზე, ჩემი მანქანის შეკეთებასაც აღარ დაადგა საშველი. ძრავის ბეჭდებს ასე ადვილად იშოვი? რაღა დაგიმალო, დამიჭირა გაგამ, ჯერ ანეტა შემავსებინა, მერე ჯანმრთელობის ცნობა მიმა-

ტანინა და მიმგვარა ტერენტის. ასე დამიყოლია პატარა ბიჭის სიჯიუტემ და ნებამ. პირველ სამ ვარჯიშზე გაქცევა დავაპირე, ცხენმა კინაღამ გადმომაგდო. და არც მომეწონა მაინდამაინც. მერე მივეჩვიე და ახლა, ბავშვებს გეფიცები, უცხენოდ ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია. ჯანმრთელობას რომ თავი დავანებოთ, თვითონ ცხენი ისეთი რამ არის, თავს შეგაყვარებს. ჯერ შესახედავად როგორია. ამაზე სრულყოფილ ცხოველს ვერ წარმოიდგენ კაცი. ულამაზესი რამ არის, ხომ? თუ მე მეჩვენება ასე? იქნებ მე მეჩვენება. ნატეხი შაქრით სავსე მაქვს ჯიბეში. ღილით ხელისგულზე ცხლად შეგასუნთქავს და ფრთხილად დრუნჩვით აგაცლის შაქარს, მერე ჭკვიან თვალებს გიელვებს და მორჩილად გელოდება, როდის ამოსდებ ლაგამს და მოუჭერ მოსართავებს. ისე მომენატრება, ხანდახან შესვენებაზე გამოვსულვარ, თავლაში შემირბენია, პეშვით შაქარი მიმიტანია და მოვბერუნებულვარ. ამ კმაყოფილების სიტყვებით ახსნა არ შეიძლება. ცხენი სულ სხვა რამეა, ბატონო. სჭირდება კაცს პირუტყვთან სიახლოვე. მიჩვევა იცის და მონატრება. რაღაცით, რაღაც ახლით ავსებს შენს ცხოვრებას. ასე რომ, იმ ჩემი პატარა კარგი ბიჭის [illegible] იყოს, თუ მართლა გადაწყვეტთ ცხენზე შეჯდომას, ჯანმრთელობის ცნობა გამოართვით თქვენს პოლიკლინიკას და ეგერ, მარცხნივ, მესამე შენობაში ტერენტი იკითხეთ, ურიგო კაცი არ არის. ჯერ შედარებით თვინიერ ცხენს შეგარჩევს, მერე, ცოტა რომ გიეჩვევი, სხვაზე გადგსვამს.

დიდი მადლობა მოვახსენე, საათზე დავიხედე. ბოდიშს ვიხდი, სამსახურში მაგვიანდება-მეთქი და შინისკენ გამოვწიე. ტერენტისთან მისვლა კი, რა თქმა უნდა, გულში არ გამივლია.

...მეორე დღეს მწვანე მინდორზე რომ წამომეწია ჩემი ახალი ნაცნობი, ცხენი რომ შეაჩერა და გულწრფელად მკითხა: რა ჰქენი, ტერენტისთან ხომ არ მისულხარო, საბოლოოდ დავიწუმუნდი, რომ ცხენისნობა არ ამცდებოდა.

ასეც მოხდა.

ასე რომ, თუ ამ ნოველამ ოდნავ მაინც აღძრა შენს გულში ყველაზე კეთილშობილი პირუტყვის — ცხენისადმი ინტერესის ნაპერწყალი, არ დაახანო. ძვირფასო მკითხველო, ჯანმრთელობის ცნობა აიღე და მიდი ტერენტისთან, მესამე თავლაში.

კითხვა-ძახილის ნიშანი

ნურავინ დაიჩემებს, ბატონო, ვიცნობ ადამიანსო. ისეთს მოიმოქმედებს კაცი ხანდახან, თვითონ ვერ გაუგებს თავის საქციელს გასაგისს და სხვა მიეცემა? ამიტომ აღარ მიკვირს ქვეყანაზე არაფერი. ვერავინ გამოიცნობს წინასწარ, რას ჩაიდენს ადამიანი. საქებარი ძაღლის ნიახურის არ იყოს, ამ ბოლო დროს ერთმა-ორმა იმნაირი სიგლახე იკისრა, ველოდით კი არა, სასამართლოზე ბრალდებას რომ კითხულობდნენ, ყურებს არ ვუჯერებდით. იურისტი? იურისტიც, ბატონო, ჩვენნაირი ადამიანია. ადამიანის სულში ბოლომდე ჩახედვის იმას არც უნარი აქვს და არც დრო. ხომ გეუბნებით, ვერანაირი გულთმისანი ვერ ჩასწვდება-მეთქი ადამის გაჩენილს. გამომძიებელს მომარჯვებული აქვს კანონის ფარანი და ამით ანათებს კაცის ნაქიჩმაჩ-ნაბურჯოლების, კანონს ვერ გასცდება. არადა, ყოველთვის ვერ მოაქცევ კაცის ნამოქმედარს კანონისა თუ უკანონობის ჩარჩოებში. კაციშვილი სხვა ვიღაცაა, ჯერ ამოიცნობი და წაუკითხავი. ფსიქოლოგებმა იციან ადამიანის ამოცნობაზე პრეტენზიის გამოცხადება, შენ არ მომიკვდე მეტად, ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინი პიროვნების საქციელს ჩამხვდარნი არ იყვნენ. ეიხირებენ ხანდახან, ადამიანის მოქმედებას ინსტინქტი მართავსო არაო, სხვანი ამტკიცებენ, ინსტინქტი კი არა, გონებაო; გონებაც და თანდაყოლილი გენიცო, — მესამენი გაჰყვანრიან. მაგრამ ხომ არის საქციელი, ლოგიკას რომ არ ემორჩილება და მეცნიერის განსჯის ფარგლებში არ ექცევა? ზოგადად ყველაფრის პასუხს მოძებნი კაცი, მაგრამ კონკრეტულ საქმეს რომ მიადგები, მაშინ ხარ ცოდვა და სათაგურის თაგვივით გასაძრომს ეძებ. სხვის დახასიათებას მე ვინ მკითხავს, აგერ, ა, ჩემს ამბავს მოგიყვები. თუ ტყუილი გითხრა, ტყვია მოხვდეს შუბლში ჩვენს მტერს და ავის მდომს.

ოცდაათის მთლად არ ვიყავი მაშინ და არც აღარაფერი მაკლდა. ამ ხნის კაცი რომ ბავშვად აღარ ჩაითვლება, მოგეხსენებათ. ნაქირავებში ვცხოვრობდი ზევით, ურიცკის ქუჩაზე, მეწაღე ჯიქიასთან. ოჯახს გვიან მოვეკიდე მე, საერთოდ. მაშინ უცოლო გახლდით და მწვანეყვავილაში ვმუშაობდი საგურეზე. ოთახი პატარა დავიქირავე, ხელმოკლედ ვცხოვრობდი და ფულს ნაკლებს გადავიხდი-მეთქი. მეორე სართულზე, ქუჩის მხარეს იყო ჩემი ოთახი, მართალია, თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა, მაგრამ სამაგიეროდ მზიანი და მშრალი გახლდათ. კაცმა რომ თქვას, რად მინდოდა დიდი ოთახი. თუნუქის ღუმელი მედგა და ყინვაშიც კი ხელად თბებოდა. ზაფხულში, მუშაობას რომ მოვრჩებოდი, გვიანობამდე რიონში ვგრილდებოდი. ზამთარში ერთ პირ ცეცხლს შევანთებდი და შევწვებოდი ლოგინში.

ერთ საღამოს, გუშინდელივით მახსოვს, ძველით ახალი წელი ჩათავებული იყო, ვზივარ ღუმელთან და ცეცხლის ჩუილს ვუსმენ. გარეთ ცივა და ზენა ქარი უბერავს. დაკაკუნა ჩემს კარზე ვიღაცამ. ახალი დაღამებული. ზამთარში, ხომ იცი, მოიხედავ და, დაღამებულია. ვინ უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ ზოგიერთმა რომ შეკითხვა იცის; „ვინ ხარ, რომელი ხარო". ასეთი რამ ჩვენად არა მაქვს. ღმერთმა იცოდეს, კარგია თუ ცუდია, რომ დამიკაკუნებენ, ახლაც, ა, ამ ხნის კაცი ვარ და, იმ წუთში უთქმელ-ულაპარაკოდ ვაღებ კარს. გავაღე. ჩვენი უბნის რწმუნებული მორგოშია შემრჩა ხელში. მორგოშია პირმრგვალი, პუტკუნა ბიჭი იყო. ბარე ორჯერ მყავდა ნანახი, გემრიელი „გამარჯობა" იცოდა. პირველად, ითახი რომ დავიქირავე, მაშინ გამომეცხადა, ჩაიწერა ვინ ვიყავი — რა ვიყავი, ერთ დოქ ცოლიკაურს მოვუძღენეთ ფსკერი და წავიდა. იმის მერე ტკბილად ვუღამოდით ერთმანეთს. რა ჭკნნა ჩემთან საქმე, რომელი უხუჯური და უბედური მე ვიყავი.

გახსნა ჩანთა მორგოშიამ, ქაღალდი ამოიღო და უსიტყვოდ გამომიწოდა. რა იყო-მეთქი, ვკითხე დაბნეულმა. მეზობელი გიჩივისო. ვინ მეზობელი, რა მეზობელი, ვისთვის რა დამიშავებია, რწყილივით უხმაუროდ ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე. სანამ საჩივარს ჩავიკითხავდი, ჩემი დამემართა. რომ ჩავიკითხე, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ჯერ სიცილი ამიტყდა, მერე მორგოშიას სერიოზულ თავ-ღრანჭა რომ შეეხედე, ეცადე, საქმიანი იერი მიმეღო, მაგრამ ტუჩებს თავი ვერ მოვუყარე.

არ იკითხავ, რაში მედება ბრალი? კედლებიდან, მეზობლად ვინმე უჩა ჭუმბურიძე ცხოვრობდა. ისიც ჩემსავით მარტოხელა იყო. ასე, ორმოცდაათს გადაშორებული იქნებოდა მაშინ. ახლა აღარც ვიცი, ცოცხალია თუ არა. ერთი დაბალი. დაბასკული კაცი იყო, თავკოტორა, ტყორბიანი. მგონი, მექუდედ მუშაობდა. სახლიდან იშვიათად გამოდიოდა. რაც იქ ვცხოვრობდი, არ დავლაპარაკებივარ. რა საქმე მქონდა, ერთმანეთს თითქმის არ ვხედებოდით. მის ბინას შემოსასვლელი მეორე ქუჩიდან ჰქონდა. ეზო გადაკვეთული იყო. ამ ჩემ მასპინძელს და მაგას სანახევროდ აეშენებინათ სახლი. მერე რაღაცაზე შელაპარაკება მოსულოდათ და, მოკლედ, უბრად იყვნენ. მიჩიოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭუმბურიძე: ესა და ეს კაცი (არც კი ვიცოდი, ან სახელი თუ იცოდა ჩემი და ან ის, რომ საკაურეში ვმუშაობდი) შუაღამისას სხვენზე ახოხდება, ჩემი ბინის მხარეს გადმოვა, ჭერის ხუფს ახდის და ჩემს ოთახში იმზირებაო. გთხოვთ გაარკვიოთ, მილიციას სთხოვდა, რა უნდა ჩემგანო.

„მაგი ჭკუაზე შუშუთ ხომ არაა-მეთქი — მეტს რას ვეტყოდი მორგოშიას, — მაგის ტყორპის სანახავად სახურავზე ვიღოღიალებ, მეტი საქმე არა მაქვს, რამ მოაფიქრა ამნაირი სისულელე-მეთქი".

მორგოშიამ ჯერ ჩემი ოთახი მიათვალიერ-მოათვალიერა, მერე შუშაბანდში გავიდა და ჭერს დააკვირდა, „საიდანაა აქ სხვენზე აასვლელიო", მკითხა. „რა ვიცი-მეთქი" წარბშეკრულმა — რა მინდა სხვენზე, რომელი მებუხერე მე ვარ. დამთხვეული ჭუმბურიძის ჭკუაზე იარა შენმა დამაწყევარმა, შენ მართლა ხომ არ მამოწმებ, მორგოშიამეთქი".

„არაო, ისე, ჩემთვის მაინტერესებსო, ხომ უნდა გავერკვე საქმეში და ხომ უნდა ავუხსნა იმ კაცს, რომ გლახა სიზმარს გამოყოლიაო". ეზოში ჩავედით. მანსარდზე აასვლელი რკინის კიბე გარედან აგურის კედელზე იყო მიმაგრებული. სიმართლე გითხრა, ის კიბე აქამდე არც შემინიშნავს. ამ სიცივეში, თურმე გარეთ უნდა გამოვსულიყავი, ავფორთხებულიყავი კიბით მანსარდში, იქედან თუნქის მილს ავყოლოდი ჭუმბურიძის სხვენამდე, სიბნელეში ხუფი უნდა მომეძებნა და ჭერიდან მექუდის სურსულებით დაჭმული სახე შეთვალიერებინა. მორგოშიამ კაი დეტექტივივით გააკეთა თავისი საქმე, შენ წარმოიდგინე, სხვენზე ამიყვანა, ჯიბის ფარნით გაანათა ჭერი ჩასასვლელიდან ჭუმბურიძის ხუფამდე და რაკი დარწმუნდა, რომ ჭერზე ახლა კი არა, ბოლო ხუთწლედში საერთოდ არავის გაევლო (თითის დადებაზე იყო ხელუხლებელი მტვერი. კაცს რომ გაევლო, ამსტრონგმა და მისმა ძმაკაცებმა რომ მთვარეზე ნაფეხურები დატოვეს, ისეთი ნაფეხურებს დატოვებდა), ისევ უხმოდ ჩამომიყვანა ძირა და მიწაზე ფეხის დადგმისას ჩაილაპარაკა:

— ჭუმბურიძის ქოქი არ გეიშვა, არ გვაყლაპია ტყუილად მტვერი? მაგის მორჩენებები და ვოფოფები მინდა მეე? შედი შენ, დეიძინე მშვიდად. მაგას მე მოვიყვან აზამბარში, ვასწავლი, როგორ უნდა ცილის დაწამება".

ჩემი მასპინძლის ოჯახს, რა თქმა უნდა, არ გამოპპარვია მილიციის რწმუნებულის ვიზიტი. ყველანი გარეთ გამოსულიყვნენ და მდუმარედ შესცქეროდნენ ჩვენს სეირნობას სახურავზე. მორგოშიას სიტყვა რომ მოისმინნეს, სახლში შებრუნდნენ. ჩემთვის, ღვთის წინაშე, არაფერი უკითხავთ. იცოდნენ, რა ბელენძუხა და ღვთის პირიდან გადავარდნილი ჰყავდათ სახლის მენახევრე.

მორგოშია ქუჩაში გავიდა, ეზოს შემოუარა და ჭუმბურიძის კიბეს აუყვა. რა ილაპარაკეს, მე რა ვიცი, კაი ხანს არ გამოსულა. შუაღამემდე ენთო სინათლე მექუდის ბინაში. დაწოლას ვაპირებდი, ხმამაღალი ლაპარაკი რომ შემომესმა, ფანჯარა გამოვაღე და მივაყურადე.

— ექიმთან მიდი, ექიმთან! — გულმოსული ეუბნებოდა მორგოშია.

— მე საექიმო არაფერი მჭირს. შენ მასეთ ლაპარაკს და, დანაშაულის დასაფარავად, კეხის აქეთ შემობრუნებას თავი დაანებე, თვარა დაკარგავ მაგ პაგონებს! — არ ეპუებოდა უჩა.

მორგოშია ამ საუბრის დროს ეზოში იდგა. „რა უნდა გითხრა, ჩხუბში რომ აგყვე, უფლება არა მაქვს. არადა, ენა უძვლოა, თქვი რაც გინდაო, ოღონდ იმ პატიოსან ბიჭს თავი დაანებე, თავისი გასაჭირი ეყოფა, ტყვილად ნერვებს ნუ მოუშლი. შენი ჭერისთვის სულ არ ცხელა მაგასო", ერთი ჩემი ფანჯრისკენ ამოიხედა მორგოშიამ და სიბნელეში გაანიჯა.

მეორე დილით, ჩვეულებრივ, სამსახურში წავედი და, სიმართლე გითხრა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ამბავი კიდეც გადამვარდა გულზე. დიდი ანგარიში არ მიმიცია, ათასნაირ ჭკუაზეა კაცი. რა მოხდა მერე, იქნება მოეჩვენა ან ცუდ ფეხზე დაიძინა და დაესიზმრა. ამის გულისთვის ხომ არ შევჭამ კაცს-მეთქი. ის დღე ჩათვადა, მეორე დღესაც არაფერი და მესამე დღეს, ახალშელამებულზე, ისევ მოვიდა მორგოშია.

„ნასადილევს რომ მოვიდა, ახლა ძლიერ მოვიცილეთ შენი მეზობელიო. ამტკიცებს, ვითომ, წუხელის ორჯერ ჩამოგეხედოს ჭერიდან მის ოთახში. როგორც კი მოჩვენებაზე და დასიზმრებაზე ჩამოვაგდებ სიტყვას, თავს ურტყამს კედელს. შენ მე გადარეული ხომ არ გგონივარო. როგორც ახლა მე გიყურებ, ისე მივჩერებოდით ერთმანეთს წუხელისო. რა უნდა, რას მერჩის, რას მათვალიერებს სხვენიდანო. რატომ აქამდე არ მეჩვენებოდა, რატომ სხვაზე არ გეუბნებით, რატომ სხვა არაფერი მეშლება და ქვას რატომ არ ვისვრი ქუჩაშია. მეოთხე ღამეა იხედება ჩემს ბინაში, მოსცენება დავკარგე კაცმაო. — აუდე ის ხუფი და მოისვენებ-მეთქი. ავუდე, მაგრამ ააგლიჯაო. ვითომ შენ აგიგლეჯია. რა სიკვდილი ვუყო, არ ვიცი. ვეუბნები: ჩიტი ხომ არაა, რომ ჩამოფრენილიყო, კვალს ხომ დატოვებდა ჭერზე-მეთქი, მაგრამ ესმის?“ სხაპასხუპით, სუნთქვაჩქარებით ლაპარაკობდა მორგოშია და სიტყვასა და სიტყვას შორის ლოყებს საბერველივით ბერავდა.

— რა ვქნა ახლა მე-მეთქი, — ვკითხე.

— დამიწერე, რომ ჭუმბურიძე ცილს გწამებს, რომ სხვენზე ასვლა აზრადაც არ მოგსვლია და ინ კაცთან კეთილგანწყობილი ხარ. გულში ცუდი არაფერი გიდევს და, რაც აქ ცხოვრობ, ერთი გადაკრული სიტყვაც არ გითქვამთ ერთმანეთისთვის, — მირჩია მორგოშიამ.

დავწერე ყველაფერი ისე, როგორც მითხრა და, მორგოშია რომ წავიდა, გავიხადე და უკახშმოდ შევწექი ლოგინში; იმის ფიქრით, რომ ხვალ თუ რამეს არ ვისაშველებდი, ეს დათხვეული ჭუმბურიძე არ მომასვენებდა.

აი, სწორედ მაშინ მოხდა ჩემს არსებაში ის აუხსნელი და გაუგონარი, რისთვისაც ამ ამბავს გიყვები.

ვწევარ და რული არ მეკარება.

მუნიანივით ვწრიალებ საწოლში. თვალ-გონებიდან ჭუმბურიძე და მისი დაზეთილი, წყალმანკიანივით უპეებშესივებული სახე არ მშორდება.

„რა უნდა ჩემგან? —ვფიქრობ. — ჩემზე გადამტერებული რატომ უნდა იყოს, რა დამიშავებია. აშკარაა, რომ ეჩვენება. მაგრამ რადა მე ამომიჩემა ამ ოჯახქორმა. რომ შევიდე ახლა და ველაპარაკო, მოდი, ერთი კაცურად გავარკვიოთ რას მეკერჩჩიმალები. რა გინდა ჩემგან-მეთქი, ვაითუ, მიხტომად ჩამითვალოს და ყვირილი ატეხოს ან, უფრო უარესი, — კეტი მდრუზოს თავში. ამნაირისგან ყველაფერს უნდა ელოდე. მე რომ ვუჩივლო პირიქით, ცილს მწამებს და არ მასვენებს-მეთქი? რა მოჰყვება ამას, საქმე ისედაც დაფუებულია. მორგოშია ქე მაინც მიცნობს. ახალი გამომძიებელი დაგიწყებს გამოკითხვას, ვინ ხარ, რა ხარ, რატომ ჩამოხვედი სოფლიდან, რამდენს იხდი ამ ოთახში; არც მე მაძლევს ხელს ეს კითხვები და არც ჩემს მასპინძელს — ჯიქიას. რა ვქნა ამა, რა ქვას ვეცე? ნეტავი გამაგებინა, რას აკეთებს ისეთს შუაღამისას თავის ბინაში ეს მურთხი მექუდე, ასე რომ ეშინია კაცის თვალის? რაღაცაშია საქმე, თვარა მიყუროს ჭერიდან ვისაც უნდა, რას დაინახავს დოუნახავს. მაგაზე დევითხრი თვალებს? ნეტავი სძინავს ახლა თუ დაჭყეტილი აქვს თვალები და ელოდება სხვენიდან მესიასავით ჩემს გამოცხადებას. მართლა რომ ჩავიხედო, ნეტავი რა სახეს მიიღებს?“

აღარ მახსოვს, როგორ წამოვხტი, ჩავიცვი და ეზოში გამოვედი. ერთი სურვილით ვიყავი შეპყრობილი, ჩამეხედა ჭერიდან და უჩა ჭუმბურიძის საქციელწამხდარი სახე დამენახა. გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგო, რას ჩიჩმაგურობდა ამ შუაღამისას. ავფორთხდი კიბეზე, კატის ნაბიჯებით გავიარე მანსარდა, გადავძვერი ფანჯრიდან ჭუმბურიძის სხვენში, მოვძებნე ხუფი და ავხადე თუ არა, პირველად მექუდის დაჭყეტილ თვალებს წავაწყდი და არაადამიანური ყვირილიც მომესმა:

— მორგოშია მიშველე!..

— აქ ვარ! — ჩემს ყურთან დაიღრიალა მორგოშიამ და მის ღრიალს ჭუმბურიძის მგზნებარე ხმა მოჰყვა:

— ახლაც მერჩენებაო?! ახლაც იტყვი სიზმარიაო?!

მერე ჭერზე ფეხის ბრაგუნი ატყდა, ფარანმა ზურგში მომანთა და მორგოშიას ბრძანებაც გავიგონე:

— არ გაინძრე, გესვრი! — მცირე პაუზის შემდეგ რწმენებულმა ჩაილაპარაკა, — ამოდი ზევით, კიბეს ჩამოყევი და ჩამოდი ძირს, ქვევით გელოდები.

კიბეს დარცხვენილი რომ მოვყვებოდი, მაშინ მივხვდი, რაც ჩავიდინე. მანამდე რაღაც სასწაული, რაღაც უცხო ძალა მართავდა ჩემს საქციელს.

ქვემოთ მორგოშია, ჩემი მასპინძლის ოჯახი, ტაფამომარჯვებული ჭუმბურიძე და მილიციის მანქანა მიცდიდა.

პირველი ჩვენება ისე აბდაუბდა მივეცი გამომძიებელს, რომ მამაზეციერი ვერ მიხვდებოდა, რა მინდოდა სხვენზე. მერე ვიღაცამ მასწავლა: ვითომ ხუმრობითო, შესაშინებლად ახვედიო. ერთი სიტყვით, ამხანაგურ სასამართლოს გადაუგზავნეს ჩემი საქმე და, თავის მხრივ, ორმოცდაათი მანეთით დამაჯარიმეს. რა თქმა უნდა, ხელწერილი ჩამომართვეს, რომ მსგავს „ხუმრობას“ აღარასოდეს ჩავიდენდი.

იმ სახლში აღარ დამედგომებოდა, მეორე დღესვე ავიკარი გუდა-ნაბადი და ორიოდე თვის მერე საადგურესთანაც გავასწორე ანგარიში.

ტყიბულში გადმოვედი საცხოვრებლად.

მ ხ ვ რ ი ნ ა ვ ნ ი

იცოდა, ამ სასტუმროში ერთადგილიანი ნომრები საერთოდ არ იყო და როცა სამსართულოვანი ვარცხნილობის პატრონმა, ლინზსათვალიანმა, კოტიტათითება ადმინისტრატორმა ქალმა მოწყალება მოიღო — ვაინაჩრობით დაჯავშნილი ადგილი გამოუწერა, ქვითარი უხმოდ, უმადლობოდ გამოართვა და ლიფტისკენ წავიდა. სასტუმრო „ჰკა მაგას“ ელემენტარულ კომფორტსმოკლებულ სასტუმროთა რიცხვს განეკუთვნებოდა. ავთანდილი აქ არასოდეს ჩამომხტარა, მაგრამ გაეგონა, რომ იგი იმ პერიოდში იყო აშენებული, როცა მოქალაქის ნომერში მარტო ყოფნა დაუშვებელ ამბად იყო მინიეული თვით მოქალაქისე ინტერესებიდან გამომდინარე (მარტო შთენილს თავში ავი აზრები რომ არ მოსცლოდა და ახალ დავიდარაბაში არ გაეყო თავი). სწორედ

ამ ხუთწლედებში აშენდა ჩვენს უკიდეგანო ქვეყანაში უამრავი სასტუმრო და დასასვენებელი სახლი მაღალმერიანი, შვიდ-თერმეტკაციანი ოთახებით, სადაც პიროვნება არა მარტო ისვენებდა და მორალურად იწრთნებოდა (კოლექტივის ჯანსაღი ზემოქმედების გამო), არამედ მის მიერ ჩამოყალიბული ანეკდოტების მიხედვით ამ კაცის შეხედულებათა სკივრსაც მშვენივრად ეცნობოდნენ დაინტერესებული თანამეოთახე ამხანაგები. ავთანდილს ისიც კი წაეკითხა სადღაც, რომ ამ სახელოვანი ტრადიციების მქონე სასტუმროში სრულიად საკავშირო მამასახლისს — კალინინსაც გაეთია რამდენიმე ღამე, თავისი რაზმით დუშანბეს მიმავალ ლეგენდარულ ფრუნზეს კი შვიდი საათი გაეტარებინა.

— შვიდას ოცდასამი, — საშვი გაუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წოდა სართულის მორიგე ხუჭუჭთმიან გოგონას, რომელმაც, ის-ის იყო ტელეფონზე ლაპარაკი დაამთავრა და ახალ სტუმარს თეგზისფერი, დაღლილი თვალებით ამოხედა. გოგონას ლამაზ ცხვირის ნესტოებთან შეფარდებით არაჩვეულებრივად დიდი პირი და აფუებული, გამოწეული ტუჩები ჰქონდა.

— მიბრძანდით, — მორიგემ დერეფნის გაყოლებით გაიშვირა ხელი.

— გასაღები?

— თქვენი მეზობელი შინ არის.

ავთანდილი დერეფანს გაუყვა. დერეფაში ფლოსტების ტკაპატკუპით გარბი-გამორბოდნენ მხარზე პირსახოცგადაკიდებული, სახეგაფაციცებული სტუმრები. ავთანდილი დაღლილი იყო და, ერთი სული ჰქონდა, სანამ სასუმალზე მიდებდა თავს. თვითმფრინავი დროზე ჩამოფრინდა, მაგრამ ჯერ ტრაპის მიდგმას და ბარგის მოტანას არ დაადგა საშველი და მერე, ლმის ერთი საათი, ჩემოდნით ხელში ტაქსის რიგში დგომამ მოუწია. რასაკვირველია, ჩემოდნის ასფალტზე დადგმა და სხვებივით ფეხით გაჩოჩება შეეძლო (ნაცლებად დაიღლებოდა), მაგრამ ახალი ჩემოდანი მარილ-მტკრიან ჭუალპ-ტალახში გასასვრელად ვერ გაიმეტა.

ფრთხილად დაეკაკუნა და, რომ არავინ გაეპასუხა, კარი შეაღო. შმორის სუნი ეცა. კარის პირდაპირ, საწოლზე უშალითოდ გაშოტილი კაცი ხვრინავდა. კედლისკენ შემობრუნებულს აბურდული თმა და ამოუპარსავი სქელი კისერიღა მოუჩანდა. მოკეცილ ფეხებზე ფართომაჯებიანი, კიბოსფერი ხელი ედო. სამამულო წარმოების იაფფასიანი პიჟამა და ქუსლებთან გაცვეთილი, მწვანე შალის წინდები ეცვა. დაბალ-ფეხება მაგიდაზე გაშლილ გაზეთზე ეწყო რამდენიმე ნაჭერი შავი პური. შებოლილი თევზის ნარჩენები და ლუდის ოთხი, ცარიელი ბოთლი. ავთანდილმა ფეხაკრეფით აუარა გვერდი მაგიდას, ჩემოდანი კედელს მიაყუდა და ფანჯარასთან, თავის საწოლზე, წელმოწყვეტილივით ჩამოჯდა.

აუხდა, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა — მეზობელი ხვრინავდა. ძვირფას მკითხველს მოეხსენება, რომ ხვრინვა მრავალნაირია. ავთანდილის მეზობელი დაანლოგებით ისეთ ხმას გამოსცემდა, მოზარდ მაყურებელთა თეატრში დიდი ხომალდის ღუზის ჩაშვებას რომ ახმოვანებენ. დიახ, ეს კაცი ტრადიციულად, ჩვეულებრივად კი არ ხვრინავდა, უტაოტო ოწინარივით ღრჭიალებდა. თანაც ამ ხმას მხოლოდ ჩასუნთქვისას გამოსცემდა. ამოსუნთქვისას ოდნავ შეაყოვნებდა ტუჩებთან ჰაერს და ფშვინვით ამოუშვებდა. ერთი სიტვით, მწვანეწინდებიანი ამხანაგი ცალფად ხვრინავდა, მაგრამ ისეთ ღონიერ, ჯანმრთელ ხმას გამოსცემდა. რომ ავთანდილს, შვიდი ღამის უძინარიც რომ ყოფილიყო, არ დაეძინებდა.

ავთანდილი ფეხაკრეფით გამობრუნდა, პალტო და პიჟაკი კარის ჩარჩოს მიეკიდებულ ლურსმანზე დაჰკიდა, კარადის გაღებას მოერიდა, მეზობელი არ გავაღვიძოო. ჩემოდნიდან საპონჯგრისი ამოიღო, პირსახოცი მხარზე გადაიკიდა და დერეფაში გამოსული კოლექტიური ამაბანის ძებნას შეუდგა. კითხვა არ დასჭირვებია. დერეფნის ბოლოს, ავთანდილის ნომრიდან სულ რაღაც სამოციოდე ნაბიჯზე, კარს საშხაპის სიმბოლური ნიშანი ეხატა.

როცა დაბრუნდა, ფეხთ გაიხადა და საწოლზე წელის გამართვა სცადა, მოეჩვენა, რომ მეზობელი წელანდელზე უფრო მძლავრად ხვრინავდა. ცოტა ხანს ითმინა და იმედი რომ გადაეწურა, საწოლის საზურგეს მუშტით მიუკაკუნა, კაკუნზე ხვრინვა შეწყდა, მოქალაქემ გვერდი იცვალა, მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოიღო და ორიოდე წუთში ისევ საშინელი გრგვინვა-ღრჭიალით ამოძრავდა გიგანტური ხომალდის ღუზა. ავთანდილმა რამდენჯერმე დააკაკუნა და რომ ვერა გააწყო რა, პირში ორივე თითი ჩაიდო და დაუსტვინა. სტვენაზე კიდევ ერთხელ გაიტრუნა მეზობელი, პირაღმა გადმოტრიალდა და ხვრინვა განაგრძო. თითქოსდა ავთანდილს უმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკიცებდა, რომ ყოველგვარ პოზამდგომარეობაში შეეძლო ხვრინვა.

ავთანდილს მოთმინების ფიალა აევსო. წამოდგა, თავზე დაადგა, ერთხანს უყურა მეზობლის გაჭარხლებულ, ოფლიან სახეს, მხარზე ხელი დაადო და ჯერ მოზომილად, მერე უფრო მაგრად შეანჯღრია.

მხვრინავმა თავი წამოსწია, გაბურბუსალებული, უაზრო თვალები მიაპყრო მეზობელს. არც რაიმე გაჰკვირვებია, არც წყრომა გამოუხატავს ამ საკმაოდ უხეში მეთოდით რომ გააღვიძეს.

— ვხვრინავდი?! — მორჩილად ჰკითხა.

— ძალიან. იქნებ ცოტა უფრო მოხერხებულად დაწოლილიყავით.

— არის, — მიუგო მეზობელმა, გადაბრუნდა და ავთანდილს ზურგი შეაქცია, მერე ჯერ ნელა, გაუბედავად გამოსცდო ჰაერის ჭავები ყრონტს, თანდათან მოუმატა და ბოლოს ისეთი ხვრინვა ამოუშვა, თითქოს გაცდენილ ათიოდე წუთს ინაზღაურებსო.

ავთანდილი ოთახში ფეხაკრეფით უკვე აღარ დადიოდა. ნერვიულად სცემდა ბოლთას და შემოტრიალებისას ფეხის ქუსლებს ერთმანეთს შემოჰკრავდა, რადიოს აუწია და ერთი ორჯერ ქუსლების ბაკუნით მექსიკური ცეკვის ილეთიც კი შეასრულა, მერე პიჯაკი მოიხურა და კარი გამოაღო. საათზე დაიხედა, თორმეტს აღარაფერი აკლდა.

— იცით რა, ჩემი მეზობელი ხვრინავს, — აუწყა ავთანდილმა წიგნში თავჩარგული მორიგეს.

გოგონამ წიგნს ხელისგულები დააფარა და სტუმარს გაუღიმა.

— იცით რა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას მეტყოდით.

— იცოდით, რომ ხვრინავდა?

— აბა საიდან, კაცი თქვენზე ერთი საათით ადრე შესახლდა.

— აბა?

— საერთოდ. თქვენ ხომ ყველას, უკლებლივ, მარტო ყოფნა გიყვართ.

— წამობრძანდით, თვითონვე განსაჯეთ, თუ შეიძლება იქ დაძინება.

— მე არ ვამტკიცებ, შეიძლება-მეთქი. მობინადრეთა ხვრინვის პრობლემა მე ნაკლებად მაინტერესებს.

— აბა რა ვქნა, რას მირჩევთ?

— ადმინისტრატორთან მიბრძანდით, მაგრამ ეუბნი მეპარება, რაიმეს მიაღწიოთ.

მორიგემ გაშლილ წიგნს ხელისგულები მოაცილა და ჩაახვეა. მერე მაგიდის ნათურის ღილაკს თითი დააჭირა და კითხვა განაგრძო. ამით, რა მიხვედრა უნდოდა, სტუმარს აგრძნობინა: რაკი უფრო საინტერესო თემას ვერ მთავაზობ, საუბარს დამთავრებულად ვთვლიო.

ავთანდილმა ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა და ელექტროდაფას მიაჩერდა. ერთმემორის მიყოლებით ინთებოდა „პირველი“, „მეორე“, „მესამე“. „მეოთხე“, მეხუთეზე ვიდაცამ ლიფტი გააჩერა. ტაბლო ჩაქრა, წამის შემდეგ ისევ აინთო და ლიფტი ქვევით წავიდა, „მეოთხე“, „მესამე“, „მეორე“, „პირველი...“ ავთანდილმა ხელი ჩაიქნია და კიბეს ჩაუყვა.

სამსართულოვანი ვარცხნილობისმთმიანი, მსუქანმკლავება ადმინისტრატორი ჰოლანდიური ჯიშის წითელი მაყვალს შეექცეოდა. ორი თითით, პიწკად, ყუნწით აიღებდა მაყვალს, კურდღლის კბილებით ზედ ყუნწთან მიაკენტდა და ყუნწს საფერფლეზე აგდებდა. შეხედა თუ არა ადმინისტრატორმა მისკენ მოძმარული სახით წამოსულ ავთანდილს, მაყვლის მირთმევა შეწყვიტა და ხითხითი აუტყდა.

— ხვრინავს, ხომ? — ავთანდილი შეზარა სასტუმროს მოხელის უტიფარმა გამომეტყველებამ, მაგრამ არ შეიმჩნია და თავშეკავებულად შეუბრუნა კითხვა.

— რაზე შემატყვეთ?

— რა შეტყობა უნდა, — ადმინისტრატორმა, მსოფლიოს გამოჩენილ მომიკოსთა გულგასახეთქად, არაჩვეულებრივი ოსტატობით შეცვალა ღიმილი პირგამეხებულ მზერაზე — ამ სასტუმროში ყველა ხვრინავს. თქვენ ხომ პირველი არა ხართ. დღეს უკვე მეშვიდე კაცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთხოვა სხვაგან გადაყვანა.

— გამონაკლისის წესით, — შეემუდარა ავთანდილი. — ვალში არ დაგრჩებით.

— ვერაფერში დაგეხმარებით. ადგილები არ არის.

— იქნებ ორ მხვრინავს ერთად მოუყარით თავი და უხვრინველები ერთად მოგვათავსოთ?..

— ახლა გვიანია და, საერთოდ, პასპორტში არავის უწერია „მხვრინავი“.

— აბა როგორ მოვიქცე, ღმერთივეა შემიძლია მე, ისედაც დაღლილ-გასავათებულს? ხვალ ქვეყნის საქმე მაქვს.

ადმინისტრატორმა მაყვლის ჯამა გაგაგრძო წელადელზე უფრო მადიანად და უდარდელად.

— იქნებ რამე მოიფიქროთ, ა? არ გაწყენინებთ, — ადმინისტრატორის დახლს ნიკაპი ჩამოაყრდნო ავთანდილმა.

— ექვსკაციანში ერთი ადგილი მაქვს, გნებავთ, იქ გაგიშვებთ.

— იქ რა შანსი მაქვს?

— დიდი არაფერი. ექვსიდან, ჩვეულებრივად, სამი ხვრინავს ხოლმე.

— დამეცინოთ?

— არა, გეხუმრებით, — ადმინისტრატორს ღიმილის მსგავსი რაღაც დაეხატა ფუმფული სახეზე, მაგრამ უცებ დასერიოზულდა და ტელეფონს დასწვდა.

— ტატიანა, შედი ერთი შვიდასოცდასამში, მართლა ასე საძაგლად ხვრინავს ის ოჯახქორი? ეს ამხანაგიც (ავთანდილს მწყარალად შეხედა) ამოავ და ორივე შედით. თუ უსაშველოდ ხვრინავს, დამირეკე.

ავთანდილმა მადლობა მოახსენა ადმინისტრატორს და სულმოუთქმელად აირბინა კიბე. ორიოდე წუთში იგი მორიგეესთან ერთად თავის ნომერში იდგა. ორივენი კარგა ხანს ყურადღებით დასცქეროდნენ მწვანეწინდებიან მამაკაცს. თითქოსდა ავთანდილს ჯინაზე, თანამოთახეს მშვიდად, უდრტვინველად ეძინა. არათუ ხვრინავდა, ქსუტუნთაც არ ქსუტუნებდა.

— არ გრცხვენიათ, ამხანაგო? კაცს ანგელოზივით სძინავს და ცილს სწამებთ! — მწყარალდ შეხედა ავთანდილს მორიგემ.

ავთანდილმა პირის გაღებაც ვერ მოასწრო, გოგონა გატრიალდა და კარი გაიჯახუნა.

გულდაწყვეტილად გადახედა მეზობელს და თავისი საწოლისკენ წავიდა. გაიხადა, ტანსაცმელი სკამის საზურგეს გადაკიდა, ფანჯარა ოდნავ გამოაღო და დაწვა. ხელები თავქვეშ ამოიდო და ჭერს ააცქერდა. რცხვენოდა, რომ სასტუმროს დარბაისელ თანამშრომელთან გაიწბილეს. ერთი პირობა გულიც კი დასწყდა, რომ ლუდისა და შებოლილი თევზის მოყვარული არ ხვრინავდა.

ის იყო, თვალი უნდა მიელულა, რომ ოთახი დაუზეთავი ოწინარის ღრჭიალით გაიგსო. ხომალდის ღუზა ბრაგან-ღრაჭუნით ირწეოდა. ავთანდილს ნერვიულობისგან ტანზე ბუსუსები დაეყარა, უცნაურმა ჟრჟოლამ აიტანა. ერთხანს ითმინა და ხვრინვამ უმაღლეს წერტილს რომ მიაღწია, ჩაცმა დაიწყო. დერეფანი ჩქარი ნაბიჯით გაიარა. მორიგე გოგონას სავარძლები ერთმანეთზე მიედგა და, ვერ დაეუკარგავ, ლამაზად იწვა. ავთანდილის მიახლოებისას არ ამდგარა, თავი წამოსწია მხოლოდ.

— მაპატიეთ, იქნებ ერთხელ კიდევ შეგემოწმებინათ, ხვრინავს თუ არა, — შეეხვეწა სტუმარი.

— რას გადამეკიდეთ, — გაწყარა მორიგე. — ხომ ენახეთ წელან. არ ხვრინავს, მორჩა და გათავდა!

— მაშინ... ჩემდა იღბლად... რა მოხდა, არ ვიცი... ახლა ისე ხვრინავს, სახერხში მგონია თავი.

— რატომ ვერ გაიგეთ, მე ნომრის შეცვლასთან არავითარი კავშირი არა მაქვს, ჩადით, ადმინისტრატორი დაარწმუნეთ.

ავთანდილი კიბეს ჩაუყვა და დაახლოებით ნახევარსაათიანი დაფინებითი თხოვნა-მუდარის შემდეგ იგი, ადმინისტრატორთან ერთად, შვიდს ოცდასამი ნომრისკენ მიაბიჯებდა. კარს რომ მიუახლოვდნენ, სტუმარი დაწინაურდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმინალისტური სიზუსტით, ფრთხილად, შეუმჩნეველად გადაატრიალა სახელური, ტუჩზე ხელი მიიდო და ქალი წინ გაატარა. ორივენი კატის მიმთხვრით შუა ოთახში შევიდნენ. ერთდროულად შემოტრიალდნენ და საქმრესქვემით ხელებშეერთებულები მძინარეს დააკვირდნენ. ავთანდილს სიბრაზისგან და ნერვიულობისგან გულმა ბრაგაბრუები დაუწყო და საფეთქლებზე მოაწვა. მწვანეწინდებიანი მდგმური ოდნავადაც არ ხვრინავდა. უფრო მეტიც, მის მშვიდ ძილს არც იმის ნიშანწყალი ეტყობოდა, რომ ეს კაცი პოტენციური მხვრინავი იყო. ადმინისტრატორმა გაბრაზებით გამოხედა. ავთანდილი იმედს არ კარგავდა, ხელით ანიშნა, ცოტა კიდევ მოითმინეთო. სასტუმროს პასუხისმგებელმა პირმა ხუთი-ოდე წუთიც მოითმინა და დერეფანში უკან ადევნებულ ავთანდილს სიარულში ტყვიამფრქვეველივით დააყარა:

— არა ხართ თქვენ პატოსანი კაცი. ჭიპზე რომ ვასკდეთ, მაინც არ გადაგიყვანთ სხვა ნომერში. ძალიან მარტივი და უტიფარი ხერხი აგირჩევიათ. ეგ ილეთი ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია. ახლა შედით და დაიძინეთ. იცოდეთ, თუ კიდევ შეგაწუხეთ, მილიციას გამოვუძახებ და საქმეს შეგიდგენთ. თქვენს სამსახურს მივწერო, რომ ნევრასთენიკები აღარ გამოგზავნონ მიელინებაში!

ადმინისტრატორმა ავთანდილის ლუღლუღის მოსმენა აღარ ისურვა, თავი ასწია და ხელების ქნევით, სამხედროსაპარადო ნაბიჯით წავიდა ლიფტისაკენ.

ავთანდილი სიბრაზისგან გამობრუნდა. კენგურუს ნახტომებით მიეახლა თავის საწოლს, ელვის სისწრაფით გაიხადა და თავი ბალიშში ჩარგო, იქნებ, მეზობლის ამ შემოქმედებითი პაუზის დროს დაძინება მოვასწროო. თქვენც არ მომიკვდეთ. ლოგინის გათბობაც ვერ მოასწრო, რომ სწორედ იქვე, ყურის ძირში ამოძრავდა გიგანტური ხომალდის ღუზა. ავთანდილი წამოჯდა, პირსახოცს წასწვდა და თავ-ყურები შეიხვია, მაგრამ, ამაოდ. ქალაქში გვიანი ღამის შეუფერებით ჩამომდგარ სიჩუმეში უფრო ხაზგასმულად და შემზარავად ისმოდა ხვრინვა, თითქოსდა ათასი ოწინარი ერთად ღრჭიალებდა. ხმა ოთახის ყველა კუნჭულს ავსებდა და სარკმლის ღრიჭოში მიძვრებოდა, — ძარღვებმომშლელი, ჟრუანტელისმომგვრელი, თმის ამბურძგლავი ხვრინვა.

რასაკვირველია, მთელი ღამე თეთრად გაათია. ალიონზე ჩაიცვა, ჩემოდანს ხელი წამოავლო და, რომ გადიოდა, სწორედ მაშინ წამოჯდა მეზობელი საწოლზე.

— მიდიხართ? — ჰკითხა და აბურდული თმა ხელის წაქიჩ-წამოქიჩავებით კიდევ უფრო აიბურდა...

— დიახ, ერთი დღით ვიყავი ჩამოსული, — ავთანდილმა იცრუა. იგი დღეს ყველა სასტუმროს შემოირბენდა, თუ ვერაფერს გააწყობდა, სადგურში, მოსაცდელში, ფეხზე, ცხენივით გაათევდა ღამეს, ამ ოთახში კი აღარ მობრუნდებოდა.

— ვხვრინავდი? — სირცხვილეულად გაიღიმა უცნობმა.

— რა დაგიმალოთ და, საკმაოდ ლაზათიანადაც.

— რა ჯანდაბა მოვუხერხო. ცოლიც ამ ხვრინვის გამო გამექცა.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

ავთანდილმა კარი გაიხურა, ხვრინვის გამო ოჯახის დანგრევის სევდიანი ამბის მოსმენის თავი აღარ ჰქონდა.

გავიდა თუ არა ავთანდილი, მწვანეწინდებიანი მოქალაქე ტელეფონს ეცა:

— ინოკენტი, ამოდი, მარტო ვარ... იცოცხლე, გაჭრა... უკანმოუხედავად გაიქცა... ისე, მეც გავწამდი, მთელი ღამე ძალად ხვრინვა იოლი საქმეა? — თავი მოიფხანა და ახითხით-აძიგძიგდა. — ისე, კი შემეცოდა, რომ იცოდე, ჰალსტუხიანი, თხელცხვირა, მოწყენილსახიანი ინტელიგენტი იყო. ხვრინვა დავიწყე თუ არა, მაშინვე გავარდა და-ორ-ჯერ დამაყენა თავზე ადმინისტრატორი! — ისევ ახითხითდა, — აბა ჰე, იქ-

ნებ შენ სიდედრს თვეზი კიდევ დასტეუო, ლუდს მე ამოვიტან, რვაზე იღება ბუფეტი.

ამ საუბრიდან არ გაუვლია ერთ საათს, რომ შვიდას ოცდამესამე ნომრის კარზე ზომიერი კაკუნი გაისმა.

— შემოდ! — წამოუდგომლად დაიძახა მწვანეწინდოსანმა, — სადა ხარ, ინოკენტი, აქამდე?

კარში ჭილოფიშლაპიანი, ჯმუხი, ნელონის შავსაწვიმროსანი კაცი იდგა, პატარა, ყვითელი ჩემოდნით ხელში.

— ინოკენტი არა ვარ, — სევდიანად თქვა სტუმარმა.

— მობრძანდით?! — წამოჯდა დამხვდური.

— თქვენთან გადმომიყვანეს... წუხელ შვიდას თერთმეტში გავაიე: ვბერინავ, ეს ოხერი, და არ დავაძინე. მეზობელი. თურმე თქვენც ხვრინავთ, ხომ ასეა? ჰოდა, ორივემ იხვრინეთ, ერთმანეთს ხელს არ შეუშლითო, ადმინისტრატორმა, — პასუხს არ დაელოდა, მოსასხამს სკამზე გადაჰკიდა და ფანჯრისაკენ გააბიჯა. ჩემოდნიანი ხელი უმოძრაოდ, გაჩიკინებულად მიჰქონდა.

მასპინძელმა პირი დააღო, არ ვიცი, გაოცებისგან თუ სიბრაზისგან. სასოწარკვეთილება კი ნამდვილად ედგა თვალებში, მაგრამ პირი რატომ დააღო, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად, ვერ გეტყვით.

დ ე დ ა

ცვალებადობის საშინელ კანონს ყველაფერი ემორჩილება ამქვეყნად მოსაცდელების ცხოვრების გარდა. დამერწმუნეთ, მოსაცდელებში სხვა ცხოვრებაა — თითქოსდა დამუხრუჭებული, მოჩვენებითად მშვიდი, მღვიმესავით უხმაურო. მე, მაქვს ამის თქმის უფლება, მე ბონდო ქარსელაძეს, ლამის მთელი ცხოვრება მოსაცდელებში რომ გამიტარებია. ხალხი ნერვიული გახდა ამ ბოლო დროს. რამდენი სერიოზული კაცი მინახავს; ჯერ თავს. ჩამოჰკიდეს ჭაჭანაჭამი ინდაურივით, მერე მუხლებზე დადებულ საქაღალდეზე თითების კაკუნს მოჰყვება. ბოლოს წამოხტება, მდივან ქალს მივარდება და ენაზე ბზიკნაკებნი კაცის ჩიფჩიფით მიახლის: „ისინი, ეტყობა, დღეს არ გამოვლენ, წავედი მე!“ სანამ მდივანი პირს გააღებდეს, შეტრიალდება და ქარს გაიყოლებს. მეცოდება ასეთი ხალხი. მათი უმეტესობა ან ინფარქტით ამთავრებს სიცოცხლეს, ან ხელფეხაძიგძიგებული თავის ჭიშკართან ზის და, თუ თამამმა გამვლელმა დრო ჰკითხა, სანამ აკანკალებული ხელით საათს დააძრობდეს ჯიბიდან, მოქალაქე ცხრა მთას გადაივლის. არ დამიჯერებთ და, მიყვარს მოსაცდელები. მარტო მიჩვევის გამო კი არა, საერთოდ. მიყვარს მოსაცდელების შეჩერებული დრო და მყუდროება. ქალაქის ორომტრიალიდან თავდაღწეული მაჯაჩქარებული და გულამოვარდნილი შემოვარდები მოსაცდელში და აქ დაესმება წერტილი შენს თავაწყვეტილ სრბოლას. „ჰყავს, დაბრძანდით, დაელოდეთ“, — გეტყვით სანდომიანი სახის მდივანი გოგონა და სკამზე მგიითხებთ. ჯდები, თანდათან მშვიდდები. მოსაცდელის ძილ-ბურანში იძირები. კედლის საათის ტიკტიკი ისმის მხოლოდ. კედლის გასწვრივ თავიანთ დარდში ჩაძირული მოქალაქენი სხედან. კართან მდივანი გოგონა ზის და ქსოვს. როდის დაინტერესდებიან სოციოლოგები იმით, [illegible] ჩვენმა საუკუნემ კიდევ ერთი საჩუქარი უძღვნა კაცობრიობას — გაჩნდა სრულიად ახალი ტიპი ადამიანისა — მდივანი ქალი. დედამიწაზე მდივანი ქალების უმეტესობა ერთმანეთს ჰგავს, სანდომიანობ-

რევაზ მიშველაძე
ნოველისტი

ით, სიმშვიდით და სხვათა ჭირისადმი თითქმის ერთნაირი დამოკიდებულებით. იქნება, სწორედ ეს არის მომავლის ადამიანი? სწორედ რომ იგი გაუძღლებს ურბანიზმის ღიაბულობას თავისი რკინის ნერვებითა და რობოტის დაპროგრამებული თავაზიანობით. მიყვარს-მეთქი მოსაცდელში ჯდომა. ყველა მოსაცდელში ერთი და იგივე განწყობილება სუფევს. მდივანი ქსოვს მთხოვნელები, მცირე გამონაკლისის გარდა, თვლემენ. უფროსის კაბინეტის კარი არ იღება. არც არავინ შედის, არც გამოდის. „უფროსი დაკავებულია, ჰყავს“. იციან რა მოსაცდელებისადმი ჩემი დამოკიდებულება, სამსახურშიც და ოჯახშიც საკაბინეტო საქმეებს ყოველთვის მე მავალებენ. ქალაქში რამდენიმე კაცი ვართ, როგორც ჩანს, ასეთი და ამიტომაც იშვიათზე იშვიათია, მოსაცდელში კედლის გასწვრივ მსხდომი ათი მთხოვნელიდან შვიდი მაინც არ აღმოჩნდეს ნაცნობი. დიან, სხვადასხვა რანგის ნომენკლატურულ ამხანაგებს კაბინეტებთან თითქმის ერთი და იგივე მოქალაქენი ელოდებიან. მე ვიცი ეს და, იმათ, თანამდებობის პირებს, არ ეცოდინებათ? იციან, და სწორედ ამიტომ მშვენივრად აქვთ დამუშავებული მიღების საყოველთაო სტილი — ხშირად ყველაფრის დაპირებითა და არაფრის გაკეთებით. რომ გამოიხატება.

იმ დღეს კონფერენციის ქუჩაზე მეთერთმეტე სამმართველოს უფროსის მოსაცდელში ვიჯექი. ამ სამმართველოში კარგა ხანია არ ვყოფილვარ და აქაურობა მესხვაფერა. მოსაცდელში ავეჯი ხომ შეუცვლიათ და შეუცვლიათ, მდივანიც ახალი ჩანს. მთელს ქალაქში ერთადერთი ჩემთვის უცნობი მდივან-მემანქანეა და, ცოტა არ იყოს, ამრეზილად შემხედა. „იცის?“ — შემომაგება უცნობ მთხოვნელთათვის გამზადებული შეკითხვა. „იცის, დამბარა“, — იხტიბარი არ გავიტეხე და შემოუთავაზებელ სკამზე დავეშვი. საკმარისია ასეთ დროს დაიბნე, თქვა „არ იცისო“, — ან შეკითხვა-ინფორმაციის საქმეზე ხართო“, „პირად საქმეზეო“, უპასუხო, გათავდა. უფროსთან შეხვედრა არ მოგიწევს. თუ გახსოვთ, ოსტაპ ბენდერის დროსაც კი „პირად საქმეზე“ მოსული თავმჯდომარესთან ურიგოდ შედიოდა. ახლა თუ რამე არ ჭრის მოსაცდელებში, „პირად საქმეზე მოსვლა“ გახლავთ. პირად საქმეზე უფროსები (პირად მდივანთა სიტყვას თუ დაუჯერებთ) კარგა ხანია აღარავის ღებულობენ. და, კაცმა რომ თქვას, მოსაცდელში მსხდომთა სოციოლოგიური გამოკვლევა რომ ჩატარდეს, გაირკვევა, რომ უბრალო მოქალაქენი უფროსებთან პირად საქმეზე აღარ დადიან. თუ ოდესმე დამიმადლებთ, პირად მდივნებთან ჩემი მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად მოპოვებულ, უფროსთან მოხვედრის ერთ უებარ ფრაზას გაჩუქებთ: „დაბარებული ვარ“, მტკიცედ უნდა განაცხადოთ და ირგვლივ დაჯერებულად მიმოიხედოთ. არ შეგაშინოთ პასუხმა: „დაელოდეთ, ესენი ყველანი დაბარებული ბრძანდებიან“. დაბრძანდით და თქვენი ვიზიტის მიზეზისთვის უფრო სერიოზული სახის მისაცემად მოსაცდელის მშვენებას — მიმდინარე ხუთწლედის ვადაზე ადრე დამთავრებისთვის აღმაფრთოვანებელ პლაკატს მიაჩერდით. უფროსებს იშვიათად ახსოვთ, ვინ ჰყავთ დაბარებული და მთხოვნელისაგან სიცრუეს არ ელიან, ამიტომ „დაბარებულები“ ჯერ კიდევ დაუბრკოლებლად შედიან კაბინეტებში. ამ ნოველის შექმნამდე ეს ხერხი ჭრიდა, აწი, ვინ იცის, იქნებ. აღარ გაჭრას.

მეთერთმეტე სამმართველოს უფროსთან, გარდა სამსახურებრივი საქმისა, პირადი საქმეც მქონდა. სამსახურებრივი საქმე ჩვეულებრივი კანცელარული პრობლემა გახლდათ და ვიცი, არც თქვენ დაგაინტერესებთ, ხოლო პირადი საქმე იმგვარი საკითხია, თავისი დელიკატურობის გამო მხოლოდ ახლო ნაცნობთან რომ ითქმის და,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ნებას მომცემთ, არც იმას გაგიმხელთ.

ტელეფონი აწკრიალდა.

— ვენერას? მოითმინეთ, ვნახავ თუ არის, — მშვიდად ჩაუტელეფონა მდივანმა და ჩანს, ვერ გააგებინა დამრეკს, ხმას აუწია: — ვნახავ-მეთქი, მოვიდა თუ არა!..

წამოდგა, წელზე შემოხვეული ვეებერთელა თეთრი შარფი მოიხსნა, უფრო კოხტად და მჭიდროდ შემოფსკვნა ქვედატანზე და ტანის ლამაზი რხევით თუ ლამაზი ტანის რხევით (ამ შემთხვევაში სულ ერთია) გავიდა. ორიოდე წუთში ჩვეულებრივზე უფრო მაღალ, მხრებზე დალალდაყრილ, ცხვირკეხიან ქალს შემოუძღვა. ჟირაფის ყელი რომ არა, ვენერა მშვენიერი ქალი იქნებოდა, მაგრამ ყელი ჰქონდა გრძელი და სიმაღლეც, ძირითადად, ყელის ხარჯზე შემატებოდა. ასეთ შემთხვევაში ქალები მაღალყელიან სვიტრს იცვამენ ხოლმე, ვენერას კი რატომღაც ყელი მოეღება და სადღაც მაღლა ასროლილ პატარა, კოპწია თავს აქეთ-იქით არცთუ ძალიან მოხდენილად ატრიალებდა. დაწინაურდა, ყურმილი აიღო, „ალო", — დაღლილი ხმით თქვა და შეშფოთებულმა ელვის სისწრაფით მიაჩეჩა მდივან-მემანქანეს.

— ლედი, შენი ჭირიმე, აქ არ არისთქო, მიშველე!

ლედიმ ყურმილი გამოართვა და მხნედ ჩასძახა:

— ალო, ქალბატონო, მისმენთ? არ არის ოთახში, ჯერ არ მოსულა. როდის მოვა? — ვენერას შეხედა.

— არ ვიცი-თქო, შეიძლება დღეს არ მოვიდეს-თქო, — ხელები გაასავსავა ქალმა.

— ვერ გეტყვით, ქალბატონო, შეიძლება დღეს არც მოვიდეს.

ყურმილი თავის ადგილს დაუბრუნდა. ქალები ერთდროულად დაეშვნენ სკამებზე. ვენერამ თავისი ღერო-ყელიდან თავი, რამდენადაც მოახერხა, ჩამოსწია, ტუჩთა კიდეებზე ორი თითი ჩამოისვა და თვალები რომ ირგვლივ მიმოატარა, ისევ ლედის მიაჩერდა.

— დავიღუპე, აქაც მომაგნო, — ისე ხაზგასმულად უთხრა ლედის, რომ შეეტყვე, ჩვენს გასაგონდაც იყო ნათქვამი.

— ვინ იყო? — ლედიმ მკლავები მკერდსქვემოთ ჩაიხვია და წელში გაიზნიქა.

ვენერამ კიდევ ერთხელ მიმოატარა მოსაცდელს მზერა.

აღარც მახსოვს, ვთქვი თუ არა, რომ მოსაცდელში შვიდი მთხოვნელი ვიჯექით. ერთი ამდენიც რომ ვყოფილიყავით, დავეტეოდით, კედლის გასწვრივ თხუთმეტი სკამი იდგა. შვიდივემ შეთანხმებულებივით თავი შევაბრუნეთ, თითქოსდა სულ არ გვაინტერესებდა, ვის ემალებოდა ვენერა ასე ენერგიულად.

— შენ არ იცი, ლედი. რაკი აქაც მომაგნო, ჩემზე უბედური ქალი აღარ არის ამ ქვეყანაზე. ღმერთო, ან ტელეფონი საიდან გაიგო, ვინ გამომჭრა ყელი.

— აღარ იტყვი, ვინ არის? — მდივანმა გაუღიმა, — ეგ ის მძივებია?

ჩამონაოჭებულ ყელს ქვემოთ მიკარგულ მწვანე მძივებს, ვინ მკითხავდა, მაგრამ მეც შევავლე თვალი.

—მძივების თავი მაქვს, თუ ქალი ხარ, ახლა მეე? ვინ ეტყოდა ამ ტელეფონს, საიდან მომაგნო. რაც აქ გადმოვედი, დავისვენე-მეთქი და ესაა საქმე? რისიც ყველაზე უფრო მეშინოდა, ამიხდა.

— რას გერჩის, რა უნდა? — ლედიმ ჩახვეული მკლავები უფრო ღონივრად ამოსდო მკერდს.

— იქ მუშაობდა, ჩვენთან. საქმეთა მმართველის თანაშემწე იყო თუ რაღაც ამგვარი. აღარ მახსოვს, კაი ხნის ამბავია. თან ქარგვა იცოდა. ქარგავდა ბალიშის პირებს, ხელსახოცებს. მაშინ ქარგვა მოდაში იყო. ერთი-ორჯერ შინაც ვეწვეე ამ გასახმობი ფეხებით, ერთი-ორჯერ მუშტარიც მივუყვანე. მაშინ, ხომ იცი, ეძებდნენ მქარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე პენსიაზე გავიდა. დაგვავიწყდა ყველას, რასაკვირველია. არ იცი, რა დროა? ყოველდღე ხვდები ადამიანს და ხანდახან ის დაგავიწყდება. ვის ახსოვდა მარუსა დეიდა — ასე ვეძახდით. — ამ ორი თვის წინათ დამირეკა. გამახსენდა, ქალო, რასაკვირველია. ხომ იცი, ჩემი ხასიათი. ველაპარაკე ტკბილად, გემრიელად. შარშან ქმარი მოკვდომია საწყალს. მარტო დავრჩიო, შემომჩივლა. მოწყენილი ვარო. მე ჩემი მოწყენისთვის ვერაფერი მომიხერხებია, მარუსიას გამრთობად ვვარგავარ მეე? დღე ერთია და, ხუთჯერ მაინც დამირეკავს. მელაპარაკება, მელაპარაკება, გამიხარიტა ტვინი. არც შემიძლია ტელეფონის დაგდება, არ ვარ ასე გაზრდილი. ცრადა, რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი.

—შვილები არ ჰყავს?

— როგორ არა. გოგო მაშინაც გათხოვილი ჰყავდა. ბიჭს გვიან შეურთავს ცოლი. ფოსტის გამგედ მუშაობს სადღაც, დიდუბისკენ. ახლა ორმოცდაათს გადაშორებული იქნება, მე ახალმოსული ვიყავი გაერთიანებაში, ერთი ორჯერ სამსახურში რომ მოაკითხა დედამისს, თმა არც მაშინ ჰქონდა თავზე. კავშირგაბმულობა დაამთავრა მოსკოვშიო, ამბობდნენ მაშინ. ყველას თავისი უჭირსო, მეუბნება, შვილებს არ ამტყუნებს ლაპარაკში, ჩემთვის ვეღარ იცლიანო.

— აბა, შენგან რა უნდა?

— რა უნდა, შენ გაიგებ? ჯერ მითხრა, ახლა თავისუფალი ვარ და იქნებ მუშტარი მიშოვო, ცოტას წავიმუშავებ, სანამ შემიძლიაო. სიბერის ოფოფები სჭირს საწყალს. სადაა ქარგვის მუშტარი, ვის უნდა ამოქარგული ბალიშისპირი დღეს. გავიკითხავ-მეთქი, მარუსა დეიდა, რას ვეტყოდი, აბა?

— შენ თვითონ გაგიბამს მახეში თავი.

— არა, შენ გგონია მაგისთვის მირეკავს? ალარც ახსოვს, რა გითხრა გუშინ. თავიდან მოგიყვება ყველაფერს. არ გინდა ნერვებზე? როგორი მოსასმენია ყოველდღე: მეო, სხვანაირი ქმარი მყავდაო. ჩემი ქმარიო, სახლიდან უჩემოდ ფეხს არ გაადგამდაო. არ მახსოვს, სტუმრად მარტო წასულიყოსო. შვილებიც აუ გავზარდეო. ჩემი ბიჭი ოჯახის ერთგული და წესიერი კაცია. რა ქნას, უჭირს ცხოვრება, მეც ვერაფერს ვეხმარები, მოუკვდეს დედა, ფოსტის გამგის ხელფასი რას გიზამს დღესო. მერე თავის ავადმყოფობებზე მელაპარაკება. არ აროს ქვეყანაზე დაავადება, მას რომ არ სჭირდეს. მოუსმინე, აბა, როგორი მოსასმენია. დღესო, გუშინ დამირეკა, მარჯვენა ფეხის ცერა თითი გამიკვდა, ვეღარ ვამოძრავებო. ღამე ტელეფონს ვთიშავ, მაგრამ ჩავრთავ თუ არა დილით, სამსახურში წამოსვლამდე პირველი, ვისი ხმაც მესმის ყურმილში, მარუსა დეიდაა.

— ქმარი რით მომიკვდაო?

— რით მოუკვდებოდა, სიბერით. რომ ჰკითხო, ძალათ მომიკლესო. ვერ გაუგეს ინფარქტი და კუჭის ამორეცხვა დაუწყესეო, — აქ ვენერამ ხმას დაუწია. — ისე, თუ ასე მოხდა, მართლა ძალათი მოუკლავთ.

ტელეფონი აწკრიალდა.

ლედი ყურმილს დასწვდა, მაგრამ ყურთან მიტანამდე შეატყო, რომ გაითიშა და დადო.

— მეცოდება მაინც. კაცმა არ იცის, რა ელის ცხოვრებაში ადამიანს, — ლედის ეს სიტყვები, ვენერასთვის არ ვიცი, და ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

— მეცოდება, აბა არ მეცოდება? — ვენერამ ყურს ჩამოაყოლა თითები და ყელის გასწვრივ წითელი ხაზები დაარჩნდა. — მეცოდება, მაგრამ მე რა ვქნა? მე შემიძლია რამეს შეცვლა? შინ ტელეფონთან ვერ მივსულვარ. გაუძლებს ვინმე სკლეროზიანი დედაბრის მოსმენას ყოველდღე? ერთი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე, ერთი და იგივე. ხანდახან მაგიდაზე დავდებ ყურმილს და ჩემს საქმეს ვაკეთებ. ხანდახან ავიღებ და შეეხებიანები: „ჰო, ჰმ, კი“, — ასეთი ბგერები უნდა ჩემგან, მეტი არაფერი. შენ გგონია, ჩაურთავ სიტყვას? ორ საათს ისე იქაქანებს, ბზარს ვერ უპოვი, სულს არ მოითქვამს... რა ენერგია აქვს, ღმერთო. ლაპარაკის ენერგიად გარდაქმნა რომ შეიძლებოდეს, ერთ მომცრო ელექტროსადგურს აამუშავებს.

— მე შენს ადგილას, — ლედიმ უჯრა გამოსწია, საბეჭდ მანქანას ლურჯი ჩვარი გადაუსვა, ზედ მკლავები დააწყო, მკლავებს ნიკაპი ჩამოადო და ვენერას ამოხედა. — ავდგებოდი და ვეტყოდი; თუ ქალი ხარ, მეტი აღარ დამირეკო-მეთქი.

— შენ გგონია, არ გადავწყვიტე? მეტი გზა არა მაქვს, მაგრამ რამდენჯერაც დავაპირე, ვერ ვუთხარი. ყელი გამიშრა, სიტყვა აღარ დამემორჩილა. რა გრძნობაა, იცი? შენი იმედი აქვს ადამიანს. რას უკეთებ, მაგრამ გულს მაინც ოიხებს შენთან. თანაც ხანდახან ხმა აუკანკალდება, შიშგარეული ხმით გელაპარაკება, თითქოს გრძნობს, რომ თავი მოგაბეზრა. როგორი სათქმელია, მეტს ნუღარ დარეკავო. აბა, ვის დაურეკოს.

— შენს გარდა, შენ გგონია, სხვას არ ურეკავს? ბარე ორი იქნება შენს დღეში.

— რა ვიცი... არა, არა, ასე დამალვით სანამდე ვემალო. ახლა ჩემი სამსახურის ტელეფონიც გაუგია და სისხლის გაშრობა აწი ნახე..

თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, ტელეფონი ისევ აწკრიალდა.

— არ მოვალო, ქალბატონო, დღეს ვერ მოვალო. დავალებაზე გაგზავნეს. ხვალ დარეკეთ, ხვალ, ალბათ, იქნება! — ჩასძახა ყურმილს ლედიმ და ვენერას თავისი ლამაზი კბილები უჩვენა. — ისევ ის იყო, შენი... რა ჰქვია?

— მარუსა.

— მარუსა დეიდა. ტელეფონი მაინც არ უფუჭდება? რა ვიცი, ჩვენთან ნახევარჯერ გამორთულია.

— რას ამბობ, ქვეყანას დააქცევს. ამ ცხოვრებასთან მარუსა დეიდას ერთადერთი კავშირი ტელეფონია... უტელეფონობას ერთ დღეს ვერ გაუძლებს, გული გაუსკდება.

●

რომ წამოვხტი და კარისაკენ გავიქეცი, მახსოვს. ტელეფონის ჯიხურთან როგორ აღმოვჩნდი და ორკაპიანი ვის გამოვართვი, აღარ მახსოვს. დიდხანს, მტანჯველად დიდხანს ვრეკავდი. ყურმილს არავინ იღებდა. ღილაკს კიდევ ერთხელ ჩამოვკარი და ცრემლგამშრალმა, კიდევ ერთხელ ვცადე.

— დედა! სადა ხარ, დედა?!

— შენ ხარ? სად დაიკარგე. ხომ მშვიდობაა, ბიჭო?!

— ყურმილს რატომ არ იღებდი, დედა? — სახეზე სისხლმოწოლილი, ხმაკანკალებული კი არ ვამბობ, ვტირი.

— მამაშენის ზანდუკს ვალაგებდი, უკანა ოთახში. ჩრჩილს შეუჭამია ყველაფერი. აღარ მესმის ყურში, დედა, დიდი ხანია რეკავ? მოგიკვდა ჩემი თავი.

— შემეშინდა, შე ქალო! — ცრემლი თვალთა უპეებს სადაცაა დამიხეთქავს. — კარგად ხომ ხარ?

— მე რა მიჭირს, ვარ.

— დედა!

— ჰო.

— მოვდივარ, ახლა, ა, ამ წუთში მოვრბივარ, ხუთ წუთში შენთან ვიქნები!

ქუჩაში ვდგავარ და გიჟივით ყველა მანქანას ვუქნევ ხელს. ეს ტაქსი, ეს დალოცვილი, როცა ძალიან გეჩქარება, მაინცდამაინც მაშინ არ გამოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა კაცი

— რატომ ჩამეცინა, თუ მიხვდი? რატომ, ჩემო ბიძია, და, სიხარული ვეღ დავმალე. ჩემმა ეშმაკმა გამაცინა. შენ რომ მოხვედი ახლა ჩემთან, შებრუნებულ ტაბურეტზე დაჯექი და ჯიუტად მომაჩერდი: — დავიბენი, ეპიფანე ბიძია და, თუ კაცი ხარ, მასწავლე, როგორ ვიცხოვროვო, სიმართლე გითხრა, სიამაყემ დამრია ხელი; ერთ კაცს მაინც დასჭირდა ამ ქვეყანაზე ჩემი გამოცდილება-მეთქი. რა დაგმალო და, ამნაირი შეკითხვით ჩემთან ჯერ არავინ მოსულა. ადამიანები ისე გულდაგულ და თავდაჯერებით დაფუსფუსებენ თავიანთ საქმეებზე, გარედან შემხედვარეს ეგონება, ყველამ მშვენივრად იცის, რომელ მხარეს უნდა მიუდგეს ამ ცხოვრების გორგალსო.

სამოცდაათი ზაფხული მოვჭამე მე და, ახლა, ამ ჩემს დათვლილ საკრიალო-სნო დღეებს, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდე. ჩემებურად ვიცხოვრე. ქვეყანა თუ არ ამიშენებია ჩემი ქიჩმაჩით, ვერც დაქცევას დამაბრალებს ვინმე. ცუღლუტი და არამგამა არ ვყოფილვარ და არც ახლა მინდა დიდკაწში მყოფ აბრეშუმის ჭიასავით გაზიზინებული მნახოს ხალხმა. ჩემს ლუკმას ჯერ კიდევ ჩემი მარჯვენით ვშოულობ. წუწუნა ბებრები მეზარება. მე ჩემი სიბერით დავბერდი, ვის რატომ უნდა დავწვე კისერზე და ხანდაზმულობის მარაოს ქნევა ვაკალდებულო? წასვლითაც უხმაუროდ წავალ. ჯალაბი გაფრთხილებული მყავს; ტირილ-ფლუკუნი არ დამიწყოთ კუბოსთან, თორემ წამოვხტები და სათითაოდ ჯოხით აგიწვავთ უკანალს-მეთქი. რა მოხდა, ყველა წამსვლელები ვართ, მე ჩემი კალო გავლეწე. მიწა ვიყავ და მიწად ვიქცევი. ჩემს საფლავზე ვარდს დარგავენ თუ ოყრალუა ბალახი ამოვა, არც ამით შეიბრუნებს მთვარე პირს, მე ჩემი ტორიკი და ჩემი ხეტიალი მოვთავე. ახლა სხვისი რიგია.

სასწაულია, აბა რა არის, ათაბაბადან დღემდე რამდენი კაცი მდგარა ამ ცის ქვეშ და ორი კაცის ცხოვრება არ დამსგავსებია ერთმანეთს. ყველას თავისი ბილიკი მიუჩინა ბუნებამ. რა ფანტაზიამ მოიფიქრა მაინც მილიარდი კაცის ცხოვრების სხვადასხვა ვარიანტი. გიფიქრია ამაზე? როგორ ვიცხოვროვო, რომ მეკითხები, ყასიდად მეკითხები, ისე, გული რომ გამიკეთო და მაგრძნობინო: შენც საჭირო ხარ ამ ქვეყანაზეო, თორემ განა ჩემზე ნაკლებად იცი, რომ ჩემი ცხოვრების გაკეთილები შენ არ წაგადგება, შენ სხვანაირ დროში, სხვა ხალხში, სხვა გზაზე გიწევს სიარული? ასე რომ არ იყოს, ცხოვრება ინტერესს დაკარგავდა. პლანეტის უზარმაზარ დაფაზე ჩვენ — ჭადრაკის ფიგურებს, ჩვენ-ჩვენი სვლა გვაქვს და ჩვენი ბედი გვითვალთვალებს.

შენ ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოს, რაც მე გლახა დღე ვნახე და თუ რამე კარგი დამადგა — უდაბნოს ქვიშასავით გიმრავლოს გამჩენმა. შენ სხვა დროში იცხოვრებ-მეთქი, გითხარი, მაგრამ არ იფიქრო, შენსობას ვარდის წვიმა წამოვიდეს და ბედის ჯარამ სულ წაღმა იტრიალოს. ჯერ შორს ვართ, ძალიან შორს. ჯერჯერობით ადამიანებმა ვერ ისწავლეს, როგორ უნდა ცხოვრება. არც ადრე იცოდნენ და არც ახლა იციან. გაეცინება ოცდამეათე საუკუნის კაცს, ჩვენს ამბავ-წრიალს, ჩვენს წუხილს და სიხარულს რომ ჩახედავს. რა სასწაული დრო იყოო, იტყვის, რანაირად ჰქონდათ ნეტავი ტვინი მოწყობილი, იმ დალოცვილებს, ამას რომ სჩადიოდნენ და ამას რომ ამბობდნენო. ვერც იმაზე დავდებ თავს, მომავლის კაცი ჩვენზე დიდად ჭკვიანი იქნებამეთქი, მაგრამ ადამიანებს ერთმანეთის გამწარების ამდენი მუღამი რომ არ ეცოდინებათ, რაც ახლა ვიცით, ეს მინდა მჯერიდეს. კი, კი, უფრო ადვილად და მშვიდად ვიცხოვრებდით, შენ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომიკვდე, ჩვენ რომ არ დაგვებურდა და დგგებნია ჩვენივე თავი და ერთმანეთი. სულ მეგონა, ეს ჩემი დროა ამნარი უკალაპოტო, თორემ სხვა ეპოქაში ხალხმა მშვენივრად იცოდა, რისთვის გაჩნდა და რა ეკეთებინა-მეთქი. არ ყოფილა ასე. არც არასოდეს სცოდნია და არც ახლა იცის. თუ ოდესმე იყო დალაგებული ადამის შვილი, ახლა უნდა იყოს, მაგრამ ამ ჩემს გამოვლილ გზას რომ გავხედავ, რა მოჩანს, შენ შემოგვევლე, დაპირების და ცდის მეტი? სულ მეგონა, ხვალ უკეთესობა იქნება, ასე როგორ გაგრძელდება-მეთქი და ისე შემომფცქვნა წლები ხელში, იმას მაინც ვერ ვეღარსე, რასაც ველოდი. ახლა რომ ვაკვირდები, მგონია — ვერ გეტყვი, შეიძლება სიბერის ბრალიცაა და მეშლება — მგონია, უკან-უკან მიდიოდა საქმე-მეთქი. იქნება მე მოვითხოვდი უფრო მეტს, რისი მოცემაც ცხოვრებას არ შეეძლო. იქნება ასე ლოდინისთვის, წვალებისთვის და ცრუ ფაფხურისთვის არის კაცი გაჩენილი. არ ვიცი, ვერ გეტყვი. ღმერთმა ნუ გაფიქრებინოს, ჩემი ხნის რომ მოიყრები, მოტყუებული კაცი ვარ მეო. სულ სხვა გზით უნდა მევლო და სხვა გზით მატარეს ჩემს წუთისოფელშიო.

შენ ვერაფრით წარმოიდგენ, რომ დავიწყეთ, როგორ დავიწყეთ მე და ჩემმა ამხანაგებმა. ეჭვი რა იყო, ვინ იცოდა. რა საქმე უნდა ყოფილიყო ამ დუნიაზე, ჩვენ რომ არ გამოგვსვლოდა, — ასე ვფიქრობდით. იქნებ, საერთოდ ასეა, ყველა ახალგაზრდა და დამწყები ასე უნდა ფიქრობდეს, სხვანაირად ქალაქი არ აშენდება, ალბათ, მაგრამ თქვენ რომ გიყურებთ ახლა, თქვენ მაინც სხვა ხართ, უფრო წყნარი და უფრო ფიქრიანი. შეიძლება ასე სჯობდეს, იქნებ არც ასეთი ჭოჭმან-ჩუმალობა გამოდგეს დიდი საქმეების დასაწყებად. რა ვიცი, ხომ გითხარი, დამბანია-მეთქი ცხოვრებამ. ერთი კი ვისწავლე წუთისოფლის ამ წალმა-უკუღმა ტრიალში — ყველაფერზე ტაშის დაკვრა და საიერიშოდ ატროკება არ არგებს კაცს. ბევრჯერ მივაწყდით აქეთ-იქეთ, კაპიკიან საქმეს ხალხი მივალიეთ და მერე გაირკვა, რომ თურმე მთლად სწორად არ ვირჯებოდით. ისტორიისთვის ეს ჩვენი ფაფხური ერთი სტრიქონია, მეტი კი არაფერი. ამ გზით მიდიოდნენ და კინაღამ ხრამში გადაცვივდნენ, მერე შემოტრიალდნენ და სასწრაფოდ სწორ გზას დაადგნენო, იტყვის მეისტორიე და იმ მსჯავრს გამოგვიტანს, ბრმა ქათამივით იქეთ-აქეთ მოფარფატე კაცს რომ გამოუტანს ხოლმე. მაგრამ მე? ჩემი ცხოვრება რომ გაილია? მართალია, ისტორია მე არაფერ პასუხს არ მომცემს, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა ვკითხო სამარის პირას მისულმა: — რა დაგიშავე მე, ბავშვობიდანვე რომ ამომაგდე კალაპოტიდან და ასე უმოწყალოდ მართე ჩემი ცხოვრება, რანაირად ვზიდო დარჩენილ ორ კვირაში ფუყე დაპირებებით გაბერილი ეს გული-მეთქი? რა პასუხი უნდა მომცეს იმანაც. თვითონ კი იცოდა, შენ გგონია, ასე რომ იქნებოდა?

შეიძლება, მე გავჩნდი გლახა და სხვებს ასე არ ემართებოდათ, არც კი დავლაპარაკებივარ ამ საკითხზე სხვას, ვაითუ, უადგილო ადგილას წამოცდეს-მეთქი, რაც კაცობაში შევდგი ფეხი, სულ ვიღაცის მეშინოდა, სულ მეგონა, ვიღაცა მითვალთვალებს-მეთქი. ხანდახან ისე ამიწყვადა ყურებს ზურგში დამიზნებული მზერა, რომ უცებ მოვიხედავდი, ეგება ჩემით დაინტერესებული, აბეზარი თანამგზავრის თვალებს წავაწყდე-მეთქი. შეიძლება უსაფუძვლო იყო ჩემი შიში, შეიძლება მეჩვენებოდეს, ხომ გაგიგონია, ფაფით შეშინებული დოს სულს უბერავდაო, მაგრამ ამ ჩემს მოწეულ ასაკში მაინც მგონია, რომ გადავრჩი. რატომ მაქვს გადარჩენილის განცდა, ვერც ამას გეტყვი. რა მჭირდა გადასარჩენი, რისგან უნდა გადავრჩენილიყავ, კაცმა რომ თქვას? მაინც მადლობელი უნდა ვიყო ჩემი იღბლის. ერთ დროს ჩემნაირ უდანაშაულობს მოჰკიდეს ყურზე ხელი? ჩიტი ბდღვნად არ ვღირდი, ალბათ, ან ნამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანი პატარა ყურები მქონდა. შეიძლება ბეუტიტად გეჩვენება ახლა ჩემი მუსაიფი, მაგრამ ზოგიერთის ბედს რომ გავიხსენებ, ცოტა არ იყოს, სიხარულიც კი გამკრავს გულში — ხომ მაინც დავუსხლტი ნემეზიდას ხელიდან-მეთქი.

ორი ჩემი ხნის მოგყაოს გამჩენმა, მაგრამ მაინც კაი ბრძნობაა, სამოცდაათ გაზაფხულს უფთერაკოდ რომ შეხვდები. ახლა მე დიდი ფაციფუცი მოთავებული მაქვს. მთლად მაყურებელივით არ ვარ ამ ცხოვრებასთან, მარა არც შუაგულში ვტრიალებ. აწი ჩემი არც ადვილად აყოლიება შეიძლება და არც ლამაზი სიტყვით გაცუცურაკება. ნეტავი იმ დროს, როცა ყველაფერი მჯეროდა. შენ გგონია, ძალიან მიხარია, რაღაც-რაღაცეებს რომ ჩავხვდი და ბევრნაირი მწარე თუ ტკბილი გამოცდილება ხუნდივით მადევს ფეხებზე? არაფერი არაა, ჩემო, სიბერის სიბრძნეს რომ ეძახან, არ დაიჯერო ეგ ამბავი. ჯერ ერთი, ეტყობა გულდაგულ დაგვიმალა არსთაგამრიგემ სწორად ცხოვრების გასაღები და მთელი სიცოცხლის მანძილზე ამაოდ ვეძებთ, მეორეც, ვინ გაარკვევს, ვისი სჯობია ამ ქვეყანაზე? ეგეც რაც მე ახლა ჭეშმარიტებად მეჩვენება, გითხარი, მისი არ იყოს, ოცდამეათე საუკუნის კაცისთვის სასაცილო აღმოჩნდეს. და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რად მინდა იმნაირი ჭკუა, ტოროლასავით ცაში ავარდნას რომ დამიშლის და მიწაზე ფორთხვას რომ მიჩიჩინებს.

ჩემი მაინც უნდა გითხრა. რაკი ჭკუის საკითხავად მოხვედი ჩემთან, ჩემებურად უნდა დაგარიგო. ყველაფერი ისე, როგორც ახლა ვეტყვი, მე ვერ გავბატარე, რასაკვირველია. ეს სიბრძნე, თუ შეიძლება ასე დავარქვა, ჩემს შეცდომებზე ნასწავლი სიბრძნეა. ცხვირში რომ მდრუზავდა ცხოვრება, მერე ვპოულობდი გზას გადაბრუნებული ურემივით, მაგრამ მერე გვიანღა იყო. ასე და ამნაირად, წინა კაცი თუ უკანას ხიდია, შენ მოგცემ რამდენიმე რჩევას, ჩემნაირი შეცდომები მაინც რომ არ დაუშვა. შენს საკუთარ შეცდომებსაც ბევრს დაუშვებ, ნუ გეშინია, რად გინდა, ეს ჩემი შეცდომებიც დამიატო. აბა, ყური დამიგდე:

სამსახურში, ეცადე, ჩუმი და გაუგებარი კაცის სახელი დაიგდო. საჯაროდ გამოსვლებს ერიდე. მეკრებიე და აქტიური ადამიანები სამსახურში არ უყვართ. ნამეტანიც რომ შეგაწუხოს სათქმელმა, გულში ჩაიბრუნე. სხვებმა ილაპარაკონ, შენ იყუჩე. წინამასწაროობა დამღუპველია. სხვებს დააცადე, ყველა რომ ხელს დაიკაპიწებს, მერე შენც მიჰყევი.

კარგი მუშაკის სახელის გეშინოდეს. საკმარისია, თავი გამოიჩინო, მეგობრებიც კი მტრად მოგეკიდებიან. სამსახურში. რაც შეძლო, ფეხი აითრიე. წაუყრუე მოწოდებებს და ლოზუნგებს. იცოდე, თუ მთელი ენერგიით იმუშავებ და ერთგულად მოეკიდები საქმეს, ჯერ ერთი, ბრბო კარიერისტად ჩაგთვლის, ხოლო უფროსები ადგილზე გაგყინავენ. შენს დაწინაურებაზე არავინ იფიქრებს, რაკი კარგად მუშობ, ძველ ადგილზე დაგტოვოთო. თუ წინსვლა გინდა, ზერელედ იმუშავე, უფრო შეგამჩნევენ.

უფროსს ბრიყვად მოაჩვენე თავი. დარწმუნებული იყავი, მასზე ჭკვიანი კაცი არავის უყვარს. საერთოდ, თავის გამოჩენას მოერიდე. არ დაგავიწყდეს, სადმე, შემთხვევით სუფრაზე ყველაზე ლამაზი სადღეგრძელო შენ თუ თქვი ან ყველაზე კარგად თუ იმღერე, ერთორ მოფუქსავატო გოგოცუნას მოეწონები, დანარჩენი ყველა კაცი დაკარგული გყავს. ძმაც რომ იყოს, ძმასაც არ უზარია, რომ აჯობებ.

ვინც უნდა გკითხოს, როგორა ხარო, არ უპასუხო „კარგადო“, რა კარგადაც უნდა იყო, უთხარი, ესა და ეს მაწუხებს-თქო ან, უარეს შემთხვევაში, „არა მიშავს-თქო“. იცოდე, ვინც შენი ჯანმრთელობის ამბავს კითხულობს, მართლა შენი კარგად [illegible]ინა კი არ აინტერესებს, ისე, [illegible] გეკითხება. „კარგად ვარო“, რომ მიახალო, ვერაფერი სანუგეშო ამბავია მისთვის. სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცაზე გულნაკლული და მოწუწწუნე უფრო ახლობელი და საყვარელი ხდები ადამიანებისთვის, დამიჯერე. მაშინ სხვებს ეშაგვსები და იმიტომ. არავინ არის დღეს დუნიაზე ისეთი, რამე რომ არ აწუწებდეს.

თუ რამეს სასიხარულოს ელი ან შეიტყობ, ნუ წავარდები და ნუ იჩქარე, ვინმეს გააგებინონ. ისიც კი, ალტაცების ტაშს რომ დაასცხეს და მოსალოცად წაგეტანება, გულში ფიქრობს, უკეთესი იყო, ჩემს თავს ყოფილიყო ეს საკეთილო. დაფიქრდი აბა, შენც ასე არა ხარ? ხოლო რაც შეეხება საიდუმლოს, ღმერთი არ გაგიწყოს და არავის გაანდო. საიდუმლოს რომ შეგინახავს, ასეთი კაცი დღეს იშვიათზე იშვიათია. ჩათვალე, რომ ყოველ ამ, თუნდაც ყველაზე ახლობელ ადამიანში, ერთ-ერთი შემტყობინებელის ფუნქციას ასრულებს.

არც მტრები გიიმავალო და არც მეგობრები, მტრები ხომ შეგეპარენ და შეგეპარენ, ბევრი მეგობარიც არ ვარგა, ბევრი ყურადღება და ბევრი სიყვარულის გაცემა უნდა. მოსისხლე მტრისაც არ აგრძნობინო, რომ შენ იცი, რომ იგი მოსისხლე მტერია შენი, პირიქით დაუყვავე, გაუცინე, ისეთი სახე მიიღე, ვითომ უკვე ყველაფერი დაივიწყე და აპატიე, ამ ბოლო დროს ძალიან შეგიყვარდა და პატივს სცემ. ამით მტერს სიფხიზლეს მოუდუნებ. ისე, საერთოდ, მტერს მტრულად უნდა მოექცე, ოღონდ მაშინ უნდა დაჰკრა, როცა დარწმუნებული იქნები, რომ გაანადგურებ. მტერი იმად არა ღირს, მთელი ცხოვრება ებრძოლო პატარ-პატარა პწკენა-წყენებით. ამით შენც გაიმწარებ სიცოცხლეს. ერთხელ უნდა დაჰკრა და გაათავო.

საიმედო საფარში მყოფად ან გაღმა გაპულად არასოდეს ჩათვალო თავი. ქვეყანას გრძელი ხელები აქვს, ღრმა სიბერეშიც მოგწვდება. თუ მანამდე ვერ გიყელა, უმწეო რომ იქნები, მაშინ მოგწვდება და „ცოდვებს“ გაზღვევინებს. სიკვდილის შემდეგაც არ მოგასვენება, საფლავიდანაც ბარე-ორი ამოუთხრიათ, ამიტომ, რამდენადაც შეგიძლია, მთელი ცხოვრების მანძილზე ეცადე, კაცი არ გაამწარო, არ გადაიკიდო. არავინ იცის, რომელი უფრო საშიშია, დიდი მტერი თუ პატარა მტერი.

ხალხის თვალს ვერაფერს გამოაპარებ. ღარან ტყეში და უკუნეთ ღამეშიც იფიქრე, რომ მარტო არა ხარ. ამიტომ სიბნელეში ისეთს ნურაფერს მოიმოქმედებ, სინთლეზე შეგრცხვეს. ქვეყნის ფხიზელ თვალზე ჩემს ბავშვობაში ერთი ანეკდოტი გამიგონია: მთის წვერზე ორი ძმა თიბავდა. ნიკოლოზის დროს ხდება ეს ამბავი. ირგვლივ, ოც კილომეტრზე, კაცაშვილი არ ჭაჭანებდა, ერთმა ძმამ, ეშმაკს არ სძინავსო, და ყურში უთხრა მეორეს: — „რას ამბობენ თუ იცი, როდის გვეშვილება, როდის ჩამოაგდებენ ნიკოლოზასო“, როგორ ფიქრობ, რა მოჰყვა ამას? მეორე დღეს მარტო ერთი კაცი თიბავდა. აბა, ასეა საქმე.

მეზობლებს თვალში ხშირად არ შეეჩხირაო. ყველაზე კი მეზობლობაც, ბოლოს, იცოდე, ჩხუბით და შუღლით მთავრდება. ამიტომ ნამეტანს ნუ გაშლი ხელს და მეზობელს გულში ნუ ჩაიხუტებ. შენს საიდუმლოებაში, შენი ოჯახის ავანჩავანში ნუ გარევ. მეტსაც ვეტყვი, რამე ფასეულ ნივთს თუ შეიძენ, ეცადე, ღამით მოიტანო, ისე, რომ მეზობლებმა არ შეგამჩნიონ. ერთი მათგანი მაინც გაიფიქრებს, რა სახსარფარნასით იყიდა, ერთი გამაგებინაო, შეხარებებით კი, თუნდაც კეთილი შეხარებებით, — კეთილი სიხარბე თუ არსებობს საერთოდ — ყველას შეეხარებება, ეჭვი არ შეგეპაროს. არავინ არის დედამიწაზე გულით გამფიქრებელი — „როგორ მიხარია, ასეთი მშვენიერი საგანი მე რომ არა მაქვს და ჩემს მეზობელს აქვსო“.

ლაპარაკში ყველას ისე მოაჩვენე თავი, თითქოს სწორედ მასთან ხარ ყველაზე გულახდილი და გულწრფელი. სინამდვილეში გულით არავის გაეხსნა. შენი უკანდასახევი ლაბირინთები ყოველთვის დაიტოვე. ნამეტანი გულახდი-

ლი. კაცი დღეს სულელის თუ არა, გულუბრყვილოა შთაბეჭდილებას მაინც ტოვებს. სამსახურში უფროსთაგან ისე არავის დაუახლოვდე, „იმის კაცი“ გეძახონ. ჯერ ერთი, ამით სხვებს თავს შეაძულებ და ყველანაირად ეცდებიან, იმ უფროსთან შენი ურთიერთობა გაფუჭონ. რას არ დაგბრალებენ, რომ იცოდე. ადამიანი მაინც ადამიანია და ბოლოს ის შენი მფარველიც გაგიორგულდება. ღამურას დღეში აღმოჩნდები: არც ზვივით მიგიღებენ ჩიტად და ვეღარც ქვეკით მობრუნდები — თაგუნად. უფროსთან მეგობრობა იმითაცაა საშიში, რომ თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ის მაინც არ აგცდება, იმ უფროსს სკამა რომ გამოაცლიან, შენც უკან მიგაყოლონ. დამიჯერე, მარტოკაცის სახელი, შენთვის ჩუმად ყოფნას არაფერი სჯობია ამქვეყნად.

ცხოვრება ცხოვრებაა და რომელიღაც მოსახვევში ერთი-ორი ქალიც გეიჩითება შენს ბარობაზე. საყვარელ ქალს, რა ლამაზიც უნდა იყოს, სხვებს შესახედავად თავზე ხელის გადასმას და ქუჩაში ჩამოტარებას ნუ მიაჩვევ. სუსტმა მამაკაცებმა იციან ქალით თავის მოწონება — აქაოდა, შემოგვხედეთ, რა გოგოს გული მოვინადირეთო. გახმაურებული სიყვარული უმეტეს შემთხვევაში ცუდად მთავრდება, შური დაგღუპავთ ორივეს. გამიგონე, არ უნდა ქვეყანას, არა, შენ რომ სიყვარულში გალაღებული იყო. ასი თვალიდან მხოლოდ ოთხი თვალი თუ შეგხედავს, ასეთ შემთხვევაში, კეთილმოსურნის მზერით. ბაირაღივით აფრიალებულ სიყვარულს ქალებიც შურით შეჰყურებენ და კაცებიც.

ავი თვალი, ავი თვალი გახსოვდეს ყოველ ნაბიჯზე!

●

ოქტომბრის მშრალ-ცივი ქარი ბატონობდა ქალაქში.

ლექსო საავადმყოფოს ჩასახვევით კიროვის ქუჩაზე გამოვიდა და ადგილობრივ ბას რომ გაუსწორდა, მარჯვნივ გაიხედა. ტროლეიბუსი თუ ახლოს ჩანს, დავუცდი, თუ არადა ფეხით გავუყვებიო.

კიროვზე, ეს ორი კვირაა, ცალმხრივი მოძრაობის ნიშანი გაჰკიდეს. მანქანები სადგურის მოედანთან ამუხრუჭებენ, მძღოლები ნიშანს ახედავენ, რაღაცას უკმაყოფილოდ წაიბუტბუტებენ და ქვევით, არხის ქუჩისკენ იზამენ პირს.

ეპიფანეს შეგონებებმა ლექსოს გუნება აომღვრია: „ნეტავი, სულ არ მოვსულიყავიო, — ფიქრობდა. — რანაირადაა დაშნებულ-დაგლახავებული. მე კაცი მეგონა. ამნაირი იქნებოდა ჩემხანობასაც, თორემ ასე როგორ დაეუთოვა წუთისოფელმა. რა სამსალა ასვა ასეთი, მიწაზე ხოხიალს რომ მასწავლის დს სხვას ვერაფერსო.“

ინსტიტუტის წინ, ასფალტზე, მტრედები ირეოდნენ.

ფეხით მოსიარულე რომ ჩაივლიდა, მტრედები წამოტკაცუნ-წამოფრთხიალდებოდნენ, იქვე, მოაჯირზე გამწკრივდებოდნენ და წამის შემდეგ ისევ დაშვებოდნენ ტროტუარზე.

თავის ფიქრებში გართულ მგზავრს, რომელიც მტრედებს, იქნებ, ვერც კი ამჩნევდა, შეაკრთობდა ფრინველთა ფრთების ტკაცანი, მოიხედავდა და, სხვას თუ ვერაფერს იზამდა, ჯიბიდან ხელებს ამოიღებდა.

ლექსომ ნაბიჯი შეანელა, მარჯვნივ გაიწია, ტროტუარის კიდეს ფრთხილად აუყვა. არ უნდოდა, დაეფრთხო ასფალტზე მოფუსფუსე მტრედები.

სამიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, მტრედები მაინც აფრინდნენ. მხოლოდ ერთი მტრედი დარჩა ადგილზე. ლამაზი თავის შეტრიალებით ახედა მიმავალს და თავის საქმეს დაუბრუნდა.

კაცმა არ იცის, ყველაზე ჭკვიან მტრედად მიიჩნია თუ არა ლექსომ ის ერთადერთი მტრედი. ეგ იყო, სითბო ჩაეღვარა სულში. რატომო, რომ გეკითხათ, იმ წუთში, ალბათ, ვერ გიპასუხებდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მიყვარს ძებნა ისეთი რამის,
რასაც, ვიცი, რომ ვერ ვიპოვნი.

ეს ახირება როდი არის,
არც სიგიჟეა.

მაგრამ ეს მშველის,
რომ ვიპოვნო ისეთი რამე,

რაც დიდხანს, დიდხანს იდო ჩემში
და დაეანგდა ლამის კიდევაც.

ვაცი — ნაპირი

მე ხომ იგავი არა ვარ,
რომ დავბრუნდე და დავბრუნდე
და რომ ვერავინ შეუშალოს ხელი ჩემს
მოსვლას

მე ხომ ადამიანი ვარ,
რომლის ერთადერთი თვისებაც
წასვლაა,
წასვლა!

დაე!

დაე, ძღებოდნენ მაძღრები მაგრად,
დაიავადონ ღვიძლები, დაე,
და ნაღველებიც დაისივონ და იმკურნალონ
ჩვენთვის უშოვნელ წამლებით, დაე!

ჩვენ ვივლით იმათ სანახავად,
მუხლს არ ჩავიხრით,
უმადურობა და ღალატი რომ არ დაგვბრალდეს,
ჩვენ, იმათგან „ხელდასხმულნი“, „სიკეთექმნილნი“
და სანაცვლოდ უამრავჯერ დამცირებულნი.

ჩვენ ვივლით მათთან,
შევაცდებით საავადმყოფოს,
ამოვიდაღავთ გულზე მათი პალატის ნომერს
და სიმარტოვე რომ არ იგრძნონ, თავთით ვეჯდებით
და მშვიდად ვუმზერთ მაძღართ ნელ-ნელ ფერიცვალებას:

როგორ ხდებიან აქ ისინი კაცთმოყვარენი
და ლამის არის ჩვენნაირნი, ჩვენისთანები,
ყურებსა ცქვეტენ ბებოჩვენის ნასწავლ წამლებზე,
ხატსაც და ღმერთსაც იჯერებენ, სხვის ტკივილებსაც
და სხვის დარდებსაც ახლა უფრო კარგად იგებენ.

მაგრამ თუ ღმერთმა ისურვა და თუკი გადარჩნენ,
თუ გამოვიდნენ და ქვეყანა ისევ იხილეს,
მშიერ მგლებივით დაიცხრებიან, რაც გამოტოვეს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა ავად იყვნენ და თავი უჭირდათ,
როცა კეთილნი იყვნენ და კაცთმოყვარენი,
როცა ღმერთიც სჯეროდათ და ჩვენი ლამაზი
მოხუცი ბებოების ნასწავლი წამლებიც.

პეპლები

სიყვარული ჩვენ დავიწყეთ, როგორც პეპლებმა,
რომლებზეც ყველამ მხოლოდ ის იცის,
დათვლილი როა იმათ დღეები.
ამის გამო გვპატიობდნენ, აღარ გვდევნიდნენ.

ჩვენ თვითონაც გვეშინოდა იმ სიყვარულის,
იმ პირველი დღეების და იმ შეხვედრების,
სადაც არ უნდა შევფრენილიყავით,
თავს უცხოდ ვგრძნობდით,
რადგან მუდამ გვახსოვდა, რომ პეპლები ვიყავით,
რომლებზეც ყველამ მხოლოდ ის იცის,
დათვლილი როა იმათ დღეები.

მაგრამ დრო თურმე ჩვენ გვედგა მხარში.
გაზაფხული... ზაფხული... როცა
ერთ ცივ საღამოს ამოჩემებულ კაფეში შევედით,
შევამჩნიეთ, რომ ყავის მომტანი,
რომელიც აქამდე უტყვი სახით გვემსახურებოდა,
ახლა ნდობით გვიყურებდა და გვიღიმოდა.

მადლობა, პეპლებო!
თქვენ გაფრინდით, მიგვატოვეთ და ჩვენგან წაიღეთ
თქვენი სუსტი, მსხვრევადი ფრთები,
თქვენი ხანმოკლე არსებობა და ვერგაძლება,
მაგრამ სახსოვრად დაგვიტოვეთ ისეთი რამ,
რაც მუდამ თრთის.

ხმაური სიჩუმეში

რამდენი შემამსუბუქებელი, რამდენი მაყუჩი
და რამდენი შემცველი გაჩნია კივილს!
ტვინში სისხლის ჩაქცევა, ტუჩების კენტა,
მტვრევა თითებისა... მუშტი კედელს, მუშტი ჰაერს,
წიხლი არაფერს...
წიხლი ძაღლს და წიხლი მაგნიტოფონს...

რამდენ ჭიქას დაიმტვრევს თავზე,
რამდენ ტყვიას დაახლის მხიარულების ხარის ფაშვის ბუშტს,
რამდენჯერ ასწევს მაგიდას და გადააბრუნებს,
რამდენჯერ გასწყვეტს სუყველასთან კავშირს საერთოდ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცი, რომელიც წყნარად ზის და არაფრით გამოირჩევა,
კაცი, რომელსაც დასთამაშებს მშვიდი ღიმილი,
კაცი, რომელმაც ერთი-ორჯერ ისე იხუმრა,
რომ სამი-ოთხი ქალის გული ჯიბეში უდევს...

კნუტები

მე ყოველთვის იმას ვამბობდი,
რომ ეს ჩვენი ძველი საბძელი უნდა დაინგრეს.
ჯერ ერთი იმიტომ,
რომ დამპალი აქვს ჭერიცა და სახურავიც,
საცოდავად არის გვერდზე გადაფერდილი
და ზამთრის თოვლიც წლითიწლობით უფრო აშინებს:
დაიდებს ხოლმე უშველებელს და ელოდება
ელოდება — გავატან თუ ვერ გავატანო...

მეორეც, ჩვენ ის არაფერში აღარ გვარგია,
სავსე არის უსარგებლო ათასი ნაგვით
და ქარის მეტს იქ არაფერს არ უხარია.
მაგრამ საბძელი გაზაფხულებს ისევ ხვდებოდა,
კვლავ ივსებოდა უსარგებლო რაღაცეებით,
გადასაგდები რომ არის და ვერ შელევიხარ.

ეს ოთხი კნუტი ჩვენს საბძელში ვიღაც უცხო კატამ დაბადა.
დედაჩემმა ნახა პირველმა:
გამოეყვანა იმ ოხერს და მზეზე აშრობდა.
ო, რა გულწრფელად შევიცხადეთ! კატების ყოლა
არასოდეს გვიოცნებია.
უცებ ვიგრძენით
იმ ძველისძველი საბძლისადმი დანაშაულიც —
ბედოვლათობაც ჩვენი, როგორც შთამომავლების,
და ცხოვრების უცვლელი წესი:
რომ იგი, ვიდრე სინამდვილედ გადიქცეოდეს,
ჯერ მეტაფორად ეელინება ადამიანებს
და თუ შენ შენსას არ მოუვლი, სხვა მიიკუთვნებს.

ჩვენ კატების მოძულენი ვართ,
მაგრამ მაინც კი ვაღიარეთ,
რომ ლამაზი კნუტები იყვნენ.
გამოჰფენდა დედამისი ჭრელჭრულებივით
და შორიდან გვევაჭრებოდა:
— ესენიც ღვთის შვილებია, აბა რა ექნაო,
ამათ გაჩენა განა მე კი მიხაროდაო,
სასმელ-საჭმელს არ იკითხავთო, მალვა-პარვასო?
თან ისეთი მეზობლები გყავთ,
კოჭის ძაფიც რომ დაკარგონ, მე მბრალდებაო,
სამჯერ მესროლა ბერიკაანთ ლოთმა თოფიო...
მაგრამ, ნახეთ, რა ლამაზი კნუტებიაო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს სამი როა — შავ-თეთრები — მე დამემსგავსნენ,
მეოთხე კიდევ — ცეცხლისფერი — მამამისსაო.

ასე იცოდნენ ბოშებმა ხოლმე —
გაჭირვებიდან თამაშის შექმნა.
ღვთის ანაბარად ყოფნა, პარვა და მოტყუება
ხელოვნებად გადაექციათ...
თან რომ გპარავდნენ, თან თვალებში რომ გიყურებდნენ,
რაღაც ძალებით სახლის კართან რომ მიგიმწყვდევდნენ,
მთელ ეზოს რომ მოედებოდნენ და უპოვნელს გაპოვნინებდნენ.
სისულელედ რომ მიგაჩნდა სუყველაფერი,
მაგრამ მაინც რომ ასეთ რიტმში ჯერ არ გესუნთქა,
ამდენ რამეს დარაჯად რომ არა სდგომიხარ
და წვრილმანი დანაკარგის გემოც რომ არ გაგისინჯია.

კნუტები კი იზრდებოდნენ, მუხლს იმაგრებდნენ,
წვიმასა და ქარს ან საბძელში გადიკარებდნენ,
ან ჟოლოს ჩრდილში.
თუ საბძლის წინ იყვნენ ხოლმე და გაივლიდი,
მდინარის მიერ შეხვრეპილი ტალღასავით შეცევდებოდნენ,
საერთოდ კი ეზოს ბოლო ჰქონდათ სადგომად.
იმათ დაჭერა ან დახოცვა
არასოდეს მოგვსვლია თავში.
ვერც ვერავის გავატანეთ მდინარის გაღმა,
რომ იქ გაეშვათ და სახლამდის ვერ გამოეგნოთ.
ასე შემოგვჩჩნენ, შეუმჩნეველად,
ჩვენი თვალებიც არამარტო შეეჩვივნენ მათ არსებობას,
არამედ ხშირად დაეძებდნენ კიდევაც ხოლმე —
ეზოს ბოლოში გახშირებულ ჟოლოს ბუჩქებს შეფარებულნი
ცნობისმოყვარედ სულ ოდნავ რომ თავებსა ჰყოფდნენ.
მერე და მერე სითამამე შეემატათ და ნაბიჯ-ნაბიჯ
და მტკაველ-მტკაველ იწყეს ეზოს დაპატრონება.
იმათ დედა კი,
სულ საშოვარზე მოწანწალე და მოარული,
სამუდამოდ დარჩა სადღაცა
და ოთხი კნუტის სიობლითაც დამძიმდა მიწა.

ვეგეტარიანელებად იზრდებოდნენ ჩვენი კნუტები.
ამის ეჭვი იქიდან ამყვა,
რომ დედაჩემი ქათმების საჭმელს საბძლის კართან ტოვებდა ხოლმე,
ისე, ვითომ ავიწყდებოდა,
ან უბრალოდ, მიბრუნება ეზარებოდა
და — ჯანაბასო — დაუდევრად ხელს ჩაიქნევდა.
მერე მეც ვნახე ერთი კნუტი — მეთონესავით
ღრმა ქვაბში რომ ჩაკიდულიყო
და ქატოში აფშრუკულ მხალს შვექცეოდა.

დრო გადიოდა და კნუტები უფრო მეტად ლამაზდებოდნენ,
უფრო მეტ ადგილს იუფლებდნენ ეზოშიაც და ჩვენს ჩვევებშიც,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმათაც ჰყავდათ — უფრო მხდალი, უფრო მამაცი —
აივნამდე ვინც მოდიოდა
და იმათაც ჰქონდათ სურვილი, გრძნობები რომ გამოეხატათ:
როცა ვინმე ჩვენთაგანი (სხვების მალულად)
მსუყეს რასმეს უნაწილდა.
აი, მაშინ კი მიხვდებოდით, რა ძალა აქვს კაცისთვის ჭამას —
გამძღრები ყირაზე რომ გადადიოდნენ
და მუცლებში ძალმიცემულნი ხის ტოტებს რომ ააჭრელებდნენ.

ზაფხული და შემოდგომა ასე გავიდა
და კნუტები ახლა უკვე აივნის კარს უტრიალებდნენ,
მაგრამ უნებართვოდ იყვნენ რაკი გაჩენილები,
და დედაჩემსაც თავის თავის მოვლაც უჭირდა
და ერთხელაც რომ შეეშვა — თუნდ გასათბობად,
მერე წესად დაიყენებდნენ —
დაე, იცხოვრონ როგორც სხვებმა,
გარეულმა კატებმა, მგლებმა,
ჩვენ ისევე გვეკუთვნიან, როგორც სამყაროს...
მე ერთ სიტყვასაც ვერ ვპოულობდი იმ კნუტების გასამართლებლად:
მართალია, კატას ვერ აუკრძალავ
სხვის საბძელში კნუტების დაყრას,
მაგრამ ადამიანსაც ვერ უბრძანებ,
დამატებითი საზრუნავი გაიჩინეო.
გარდა ამისა,
როცა ერთი ებრძვის კაცი ცხოვრებასა და სიმარტოვეს,
დაფასებაც უნდა იცოდეს:
რა შუაშია კატა, ძაღლი და ბუხრის ცეცხლი.

შუა ზამთარში, როდის-როდის მომიწია სოფელში ჩასვლა.
როცა აივანზე ავედი და მხრებიდან თოვლის ჩამოყრა ვიწყე
და იატაკზე ჩემი სქელძირა ფეხსაცმელი ავაბრახუნე,
როცა თავი ავწიე და მივაჩერდი დაორთქლილ მინებს,
ყველაფერს მივხვდი.

როცა დაზამთრდა და დედაჩემმა საბოლოოდ გადიწყვიტა ჩემი იმედი,
როცა ზამთრის გრძელ ღამეებს შეეჭიდა თავის საქმეთვით,
მაშინ გაუღო კნუტებს კარი და შინ შეუშვა
და ახლა ყველა იმ ფანჯრიდან შემომცქერიან,
შეხმატკბილებულ და ერთმანეთს შებერებულ მოხუცებივით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ამირეჯიბი

სადაც არ უნდა წახვიდე

მოთხრობა

მიწურული ზამთრის ერთ უღიმღამო დღეს, როცა ქალაქს არც თოვლი ამშვენებდა და არც წვიმა, მომცრო ბაღის გვერდით, ტაქსის გაჩერებასთან ხეზე მიკრული იყო ასეთი შინაარსის

განცხადება

თებერვალში, დედაქალაქიდან არც ისე შორს, ხელმისაწვდომ ფასში ვაქირავებ კეთილმოწყობილ ბინას ოთხი ორ-ორსაწოლიანი ოთახით და ბუხრიანი დარბაზით. ვინც მოწყენილია და არ იცის, სად და როგორ გაიყვანოს თავისუფალი დრო, უზრუნველყოფილი იქნება თბილი ბინით, კვებით, საინტერესო ბიბლიოთეკით, თოვლით. მაპაკაცებს შეუძლიათ ინადირონ. დარეკეთ: 38-46-40.

იმ მხარეს დიდთოვლობის გამო ხალხი ბარში ჩადიოდა გამოსაზამთრებლად და ავტობუსიც, რადგან ზევით მგზავრი არ იყო, მხოლოდ დაბამდე მიდიოდა. სოფელი, სადაც სტუმრებს ეპატიჟებოდნენ, დაბიდან შვიდიოდე კილომეტრზე მდებარეობდა. მძღოლი გაოცებული შეათვალიერებდა-ხოლმე ზევით მიმავლებს და ერთსა და იგივეს ეუბნებოდა: — ასეთი თოვა თუ გაგრძელდა, იმედი არა, გქონდეთ, თქვენს წამოსაყვანად ამ აღმართში ვიარო, მანქანა ვერ შეძლებსო.

პირველი მგზავრები იყვნენ ახალგაზრდა კაცი და ჩვიდმეტიოდე წლის გოგონა. გადმოვიდნენ თუ არა ავტობუსიდან, მაშინვე დაინახეს გორაკზე მდგარი აღთქმული სახლი. თოვლი ფაფანაკივით ედოთ სახურავებზე, სახლსაც და სახლზე მიდგმულ კოშკსაც. აღმართი რომ აათავეს, შეჩერდნენ. კაცმა მიდამოს მოავლო თვალი. ხელისგულივით მოჩანდა ხეობაც, სევდიანი გამომეტყველების მიტოვებული სოფლებიც და ქათქათა მთათა ფერდობებიც, რომელთაც წარსულის უსაამო მოგონებებივით აჩნდა შავად დაკლაკნილი ჩქარი მდინარეები. სახლს უკან ტყე იყო, ტყის იქით, ჰორიზონტზე, თოვაში ნაცრისფერი ეკლესია ილანდებოდა.

— გასაგიჟებელია აქაურობა! ხვალ, მზე რომ ამოვა, რაღა იქნება! ხვალ, მზე რომ ამოვა, ტყეში წვალ და სიჩუმეს მოვუსმენ, ხომ მოგისმენიათ ზამთრის ტყისათვის?

კაცმა ხელების ფშვნეტას თავი ანება, შეჰღიმა, თავი დაუქნია და აივნის მოაჯირიდან გასაღები აიღო.

გოგონა თოვაში იდგა და წამწამებზე ფიფქი ეფინებოდა.

ოთახი მართლაც რომ დარბაზს ჰგავდა. შუაში დიდი მრგვალი მაგიდა იდგა, მის გვერდით კედელზე ეკიდა ფერადი ყვავილჩაქსოვილი ფარდაგი. ერთი კუთხე ძველ როიალს ეკავა. ბუხართან ერთ ზომაზე დახერხილი და კოხტად დალაგებული შეშა ეწყო. დარბაზში რამდენიმე კარი გამოდიოდა. კოშკის პირველი სართული სახლის სამზარეულოს წარმოადგენდა, მეორე — ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკაში ამავალი კიბის ყოველი საფეხურის ქვედაპირზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭედებულ უამრავ ლურსმანზე სამზარეულოსთვის საჭირო საგნები ეკიდა.

იმ დღეს აღარავინ ჩამოსულა.

დილით კაცს ეზოდან სიცილი შემოესმა. მალე სახლი ფეხის ხმამ აავსო. გოგონას გადახედა, ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და ტკბილად ეძინა. არც უფიქრია, რატომ, კაცი უცბად წამოხტა, ჩაიცვა, ლოგინი აალაგა და დარბაზში გავიდა.

— აქ უკვე უქეიფიათ კიდეც! — თქვა კაცის ხმამ სამზარეულოში.

ერთ-ერთი ოთახიდან ქალი გამოვიდა.

— გამარჯობათ, ქალბატონო! — მიესალმა ორმოცს გადაცილებულ ოდნავ შესუქებულ ქალს.

— დილა მშვიდობისათ, — ღიმილით უპასუხა ქალმა, — იქ ვინმე დაბინავდა? — თავი ოთახისაკენ მიატრიალა.

— კი, გოგონა. ღამე ეშინოდა და ჩემს ოთახში დაიძინა. დღეს, ალბათ, დაუბრუნდება თავის ადგილს. ოთახები არის, სადაც ინებებთ, იქ დაბინავდით.

სამზარეულოდან ორი კაცი გამოვიდა, ერთი მათგანი თვალშისაცემად ლამაზი იყო.

— გამარჯობათ, — თქვა მეორემ, ხანშიშესულმა და მისასალმებლად ხელგამოწვდილი დათოსკენ წამოვიდა, მეორე ხელზე ლეკი ესვა. — ლუკა, ჩემი ბატონო.

— დავითი, დათო, როგორც გენებოთ, ისე დამიძახეთ.

ძალიან ლამაზი კაციც მოვიდა, მანაც ხელი ჩამოართვა, სახელიც უთხრა:

— ზურაბი.

დათომ ქალისკენ მიიხედა.

— მარეხი, — თავი დაუკრა ოდნავ დაძაბულმა ქალმა.

— დიასახლისი ჩამოვიდა? — იკითხა ბატონმა ლუკამ.

— თუ ეს ქალბატონი არ არის დიასახლისი, მაშინ ჯერ არ ჩამოსულა.

— მეც სტუმარი ვარ, — გაიღიმა მარეხმა.

ბატონმა ლუკამ ტახტზე დაწყობილი ბარგი დაინახა, თავისიც აიღო და იქ მიიტანა.

მარეხი ფანჯარასთან მივიდა, ფარდები გადასწია, ოთახს სინათლე შეემატა.

— ამ ჯემპრის პატრონი ქალი თუ უკრავს, არ მოგვიწყენია!

— რა იცით, რომ ქალია? — საუბარში ასაყოლად ჰკითხა დათომ ზურაბს, თან ბუხრის ანთებას მიჰყო ხელი.

— რა გამოცნობა უნდა, როცა სამზარეულოში ორი ჭიქა, ორი თეფში და არც ერთი სიგარეტის ნამწვი არ არის? ორი კაცოდან ერთ-ერთი, მოსალოდნელია, მწეველი ყოფილიყო. არა, ქალბატონო მარეხ?

— იურისტი ხართ? — ჰკითხა მარეხმა და როიალს დაახურა.

— რად უნდა ამას იურისტობა, — ზურაბმა ჩანთიდან უსახელო ნატის ჯუბა ამოიღო, ჩაიცვა, გრძელი, ყვითელი კაშნე კისერზე შემოიხვია. შინაურულად გამოწყობილი კიდევ უფრო შნოიანი ჩანდა.

— მოდით, სურსათი რაც გაგვაჩნია, ყველაფერი ერთად დავალაგოთ.

— შესანიშნავი აზრია, ქალბატონო მარეხ, უფრო თავისუფლად და მოხერხებულად ვიქნებით, — ბატონმა ლუკამ თავისი ჩანთა სამზარეულოში გაიტანა, დანარჩენები უკან მიჰყვნენ.

— წუხელ, გათბობის რომ გამევო რამე, სარდაფში ჩავედი. აუარებელი სანოვაგეა, კასრები სავსეა სხვადასხვაგარი მწნილებითა და დამარილებული ხორცით. ჩვენი მასპინძელი მეტად კეთილი და წინდახედული ქალი ყოფილა.

ისევ დარბაზს დაუბრუნდნენ.

ბატონი ლუკა და ზურაბი ერთ ოთახში მოთავსდნენ.

მანანა ამირეჯიბი
სადაც არ უნდა ფანჯარიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალბატონო მარეხ, გოგონა ისეთი მშშარა ჩანს, ალბათ, გვერდიდან აღარ მოგშორდებათ. ამიტომ, თუ ნებას მომცემთ, თქვენს ჩემოდანსაც იქ ოთახში შევიტან.

— დიდი სიამოვნებით, მე თვითონ შევიტან, იყოს, ბატონო ლუკა, ნუ სწუხდებით. — მარეხმა ჩემოდანი გამოართვა და გაიტანა.

— რა ხნისაა გოგონა? — ჰკითხა ზურაბმა და მაგიდაზე მდგარ ვაზაში საზღვარგარეთული სიგარეტის კოლოფები ჩაყარა, — აქ, მგონი, მარტო მე ვეწევი.

— ჩვიდმეტისაა. საღამოს სწავლობს. დღისით სპორტშიო ბაღში მუშაობს აღმზრდელად. გუშინ ვკითხე, შენი საშუალო თუ მოგწონს-მეთქი. წელან ოთახში რომ ვიდექი, ფანტელების შრიალი ისე ისმოდა, როგორც ჩვენ ბავშვების ოუნოქვა, ყველას რომ დაეძინებ, ვდგავარ და ვუსმენ ხოლმეო, ასე მიპასუხა.

— ბავშვი კი არა — ქალი ყოფილა! რა გეჩქარებათ, იქნებ თვითონ არ იცვლოს ადგილს.

დათომ დაკვირვებით შეათვალიერა ამის მთქმელის ჭაღარაშერეული, მოკლედ აჭრილი თმა, ოდნავ ნაოუნიანი მშვენიერი შუბლი, მომწვანო-მორუხო თვალები, ზომიერად თხელი პირისახე და, რაც მთავარია, გამომეტყველება ისეთი, ფველ ფრესკებზე რომ გვიხახავს, — მშვიდი და შთამბეჭდავი.

ოთახიდან მარეხი გამოვიდა და ბუხართან მჯდომ ბატონ ლუკას ჰკითხა:

— თქვენი ლეკვუნა რით იკვებება?

— წამოვიღე თითქმის მზა საჭმელები. ცხელ წყალში ერთი წამოდუღდება და მორჩა. კარგი ლეკვია, არ გგვაწყალებს. ყველაფერი იცის, საჭიროების შემთხვევაში გარეთ გადის.

— ჩვენ - საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ბატონო ლუკა, რა თავს იმართლებთ. რა ჰქვია?

— ჯერ სახელიც კი არა აქვს. ერთი კვირის წინ მაჩუქეს. ამ გახსენებაზე საჭმელს მოვუდუღებ. არა, არა, ქალბატონო მარეხ, არავითარ შემთხვევაში არ შემეცილოთ. ამ პატარა საზრუნავს თუ წამართმევთ, უსაქმობა გამაგიჟებს.

— ქალბატონო მარეხ, გეთაყვა, მე დილაობით მხოლოდ ყავას ვსვამ, თუ არ შეწუხდებით, ჭიქადუღეთ, ყველაფერი მაქვს, — ზურაბმა ყავის საფქვავი და მოსადუღებელი ამოიღო ჩანთიდან.

ოთახისკენ მიმავალი მარეხი უკან დაბრუნდა, ყავის მოწყობილობა აიღო და სამზარეულოში გაიტანა.

ზურაბმა თქვა:

— ქალს სიამოვნებს, კაცს რომ ემსახურება, ჩვენც მივცეთ ამის საშუალება.

დათო სამზარეულოში გავიდა, მარეხს ყავის საფქვავი გამოართვა:

— მე მოვადუღებ, ნამგზაური ხართ, დაღლილი იქნებით.

მარეხი გამოვიდა, სკამის საზურგეზე გადადებული კრავის ჯაპარი აიღო და ოთახში შეიყოლა.

— სულ არ მეზერხება ქალის საქმეები, — ხმადაბლა თქვა ზურაბმა.

— ყავის მოდუღება მაინცდამაინც ქალის საქმეა? — ხმადაბლავე ჰკითხა ბატონმა ლუკამ და მერე დაიყოლა: — ძალიან მომეწონა ქალბატონი მარეხის ბრი. მოდით, ყავაც გავაერთიანთ.

— თქვენი ყავა სადაურია?

— როგორ სადაური? არ ვიცი, სადაური იქნება, გასტრონომში ვიყიდე.

— სწორია, — მოისმა დათოს ხმა. — ერთმანეთში ავურიოთ.

— შენც გასტრონომში ნაყიდი გაქვს? — გასძახა ზურაბმა.

— მე არანაირი, არა მაქვს.

— კარგი, ავურიოთ, — დაეთანხმა ზურაბი.

დათომ ლანგარზე დადგმული ყავიანი ფინჯნები შემოიტანა. ოთახიდან მარეხი გამოვიდა. კაბა გამოეცვალა, ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრისფერ ფონზე წვრილი თეთრი ყვავილები ეყარა.

ზურაბმა კრიტიკული მზერა შეავლო და თქვა:

— ერთობ სანდომიანი ქალბატონი ბრძანდებიან.

მარეხს ალმურმა გადაჰკრა.

მაგიდას შემოუსხდნენ. ყავის ფინჯნები აიღეს. ლანგარზე ერთი დარჩა. ბატონმა ლუკამ თვალით ლეკვის ძებნა დაიწყო. საჭმელი შეესვლიპა და თვითონ არ ჩანდა. ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერა და მერე ერთ ადგილას შეაჩერა მზერა. კარში გოგონა იდგა, ლეკვი ლოყაზე მიეხუტებინა და მთკვენ იცქირებოდა. ზურაბი თვალმოუცილებლად უყურებდა, მერე ნელა ადგა, კრავაისაკენ გაემართა, თავი მოწიწებით დახარა და ხელზე ეამბორა. ბატონი ლუკა ფეხზე წამოდგა, თავი დაუკრა. გოგონა სკამიდან წამოწეულ მარეხთან მივიდა, შინაურებივით ლოყაზე აკოცეს ერთმანეთს.

— ეს ჩემია, — თქვა კრავაიმ და ლანგარზე დატოვებული ფინჯანი აიღო, მოსვა. — რა გემრიელია! ეს ლეკვი კიდევ ყვავილსა ჰგავს. თეთრო, საყვარელო, ლამაზო, — მიეფერა ლეკვს.

— ყავა ჯერჯერობით არაბულია, ლეკვი ჩვეულებრივი ქოფაკისაა, ხოლო თქვენ... შავი თმა, ლურჯი თვალები, წითელი ზედატანი, თეთრი ლეკვი — იტალიელ კინოვარსკვლავს ჰგავხართ, — ქათინაურის კორიანტელი დააყარა ზურაბმა.

მარეხი კრავაის უყურებდა და ღიმებოდა:

„ნამდვილი ენძელაა, რას ნიშნავს ასაკი. დილაობით ქალები ცუდად გამოიყურებიან, ეს კი თხუთმეტისასაც არა ჰგავს“.

— ასეთი თეთრი ლეკვი ჯერ არ მინახავს, თოვლზე ორი ნაბიჯიდანაც არ გამოჩნდება. ერთი ყვავილი ყოფილა, სათოვლია, კიდევ მწყემსების ბარომეტრსაც ეძახიან, თურმე თოვლის მოსვლის წინ ჰყვავის-ხოლმე... დათო, გინახავს? დათომ ნება დამრთო, ეზონობით ველაპარაკო, — უთხრა დანარჩენებს კრავაიმ და ლეკვი იატაკზე დასვა.

— კი. მინახავს.

— ლეკვს სახელი მოეძებნა. დავარქვათ, ბაბუ, სათოვლია?

— დავარქვათ! — ტაში შემოჰკრა კრავაიმ.

— შენ და ქალბატონი მარეხი ერთ ოთახში დაგაბინავეთ, თუ წინააღმდეგი არ იქნები.

— რა თქმა უნდა, არა! წუხელ შიგადაშიგ ისე ხვრინავდი, სულ ერთია, მაინც დათვი მელანდებოდა.

დათომ ხმამაღლა გაიცინა, გოგონაც კისკისით აჰყვა.

— ყველაფერს ბედი უნდა. დათოს ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, მშვიდი ძილი გექნებოდა.

კრავაიმ ზურაბის ნათქვამი „ვერ გაიგონა“, მივიდა, ზურგჩანთიდან ყავა ამოიღო და გამოიტანა.

— სადაურია? — ჰკითხა დათომ.

კრავაიმ გაოცებით შეხედა დათოს, ვერც ბატონი ლუკას და მარეხის ჩაღიმების აზრს მიხვდა.

— აფსუს! ასეთ ლამაზ გოგოს რა უნდა ამ მიყრუებულ ადგილს. აქ ხომ მოწყენილობს ეპატიეებოდნენ, ჩემი კარგო, რატომ წამოხვედი, შეყვარებულს წაეჩხუნე? — პასუხში წინასწარდაწმუნებულის კილოთი იკითხა ზურაბმა.

— მხოლოდ მაგიტომ არა, განცხადებამ დამაინტერესა.

— მხოლოდ ჰაგიტომ არა... გამოდის, შეყვარებულსაც წაეჩხუბე. უადგილო ადგილას დაიცემინა თუ ისე ვერ გაიცინა, შენ რომ მოგეწონებოდა?

კრავაიმ დაკვირვებით შეხედა ზურაბს და როგორც მასწავლებელს, ისეთი სრული პასუხი გასცა:

— ქვაწვია იყო და იმიტომ წავეჩხუბე.

ზურაბმა გადაიხარხარა:

— დაბადების დღეზე ბრილიანტის ბეჭედი არ გაჩუქა ამ ბოიემ?

კრავაიმ ოდნავ ნაწყენი კილოთი ისეკ ვრცლად უპასუხა:

— მეყვავილეს ეკაჭრა ბევრი. რა ღირს შენი ისამნები, დეიდაო. სამი მანეთი, შვილო. ძვირია, მანეთად მომეცით. ეერა, გენაცვალე, მანეთად ვერ მოგცემ, ორად წაიღეო. ძუწწი დედაკაცი ყოფილხარო, — სამმანეთიანი მიაწოდა. ხურდა არა მაქვს, შემოგეკლოს ჩემი თავი, სხვა ყვავილებს დაგიმატებო. ძუწწთან — ეშმაკიც ყოფილხარო. რკინის მანეთიანი იპოვნა, ჯიბეებში ხურდაც მოიძია, ისამნები გამოართვა და ხაზგასმული პოზით მომაწოდა. იმ წამსვე მეყვავილეს დავუბრუნე, ძალიან მინდა გაჩუქოთ-მეთქი, ეუთხარი შეცბუნებულ ქალს.

მარეხმა ხმამაღლა გაიცინა.

— ახლა არა გაკავს შეყვარებული? — არ ეშვებოდა ზუთაბი.

— არა, ერთი ბიჭი მომწონს. დიდია. იმასაც მოეწონეთ, ოღონდ ერთმანეთს არ ვიცნობთ. ქუჩაში მხვდება ხოლმე. რატომღაც სულ გაბრაზებულია, უფრო სწორად, თვალები აქვს გაბრაზებული.

— დიდები მოგწონს? კარგი გემოვნების ნიშანია, ახლა სხვანაირი თაობა მოდის, ჭკვიანი და თამამი.

კრავაის სახე მოქუფრა.

ზუთაბი წამოდგა:

— მე სანადიროდ მივდივარ, ბატონო ლუკა, წამობრძანდებით?

ბატონი ლუკა მოგვიანებით წამოდგა:

— ნადირობაში, ალბათ, ვერ გამოგადგებით, მაგრამ ხმის გამცემი მაინც გეყოლებათ, თან სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ. სათოვლიას შენ გაბარებ, ბაბუ. დათო, თქვენ...

— არა. ამჯერად დავრჩები, — თქვა დათომ და ბუხართან მივიდა.

რომ გავიდნენ, მარეხმა თქვა:

— ლამაზი კაცია, არა?

— კი, ძალიან, — გამოეპასუხა კრავაი. — დიდი უკანალი რომ [illegible] ფეხებს, უნაკლო იქნებოდა.

„რა წუნკალია ეს მამაძაღლი“, — გაიფიქრა დათომ ნალვერდლის ჩხრეკისას, მერე ცული აიღო, დერეფანში გავიდა და შეშის ჭრას შეუდგა.

მარეხმა და კრავაიმ სუფრის ალაგება დაიწყეს.

●

— ნახეთ, ავტობუსს დახვედრიან, მათ გარდა, ჯიდეე სამი მოდის, — თქვა ფანჯარაში მზრალმა დათომ. — ჩვენც გავეგებოთ.

მარეხმა საწოლი ოთახიდან ქურქი გამოიტანა, მხრებზე მოისხა და უკვე გარეთ გასულ დათოს მიჰყვა.

— დეიდა მარეხ! სათოვლია დავტოვო თუ გამოვიყოლო? — ღია კარიდან გასძახა კრავაიმ, მაგრამ ვეღარ გაგაგონა. გოგონა მომავლებს დააკვირდა. ერთი მამაკაცი იყო, უქუდო, მაღალი. ორიც ქალი. მალე დათოც მიაწევდა, მარეხი აჩქარებით მიდიოდა შუა გზაზე.

— დათო!!! ჩქარა გამოიქეცი, ჩქარა! — გასძახა კრავაიმ.

დათო ელდანაკრავივით მოწყდა ადგილიდან, მარეხიც შემობრუნდა და გაოცებული მზერა მიაპყრო სახლს.

— ნუ გეშინია, ცუდი არაფერია, მაგრამ მაინც გამოიქეცი, — უფრო მშვიდად დაიძახა კრავაიმ.

...დათო უმალვე მიბრუნდა. დამხვდურებსა და ჩამოსულებს ღიმილით უთხრა, ყველაფერი რიგზეაო, მერე სტუმრებს ჩამოართვა ხელი.

კრავაი ფანჯრიდან უყურებდა. დათომ კაცს ბარგის ჩამორთმევა დაუპირა. კაცმა, ეტყობა, იუარა, მეორე ხელში გადაიტანა, დათო დაეძალა და ამასობაში ჩამორჩნენ კიდეც. კრავაი ცოტა ხანს კიდევ უყურებდა დათოს მოელვარე კბილებს და ნაკრისფერპალტოიანი კაცის ხან გაკვირვებულ, ხან გაბრაზებულ სახეს, მერე თავის ოთახში გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბინავდნენ, მილაგ-მოლაგდნენ, დაისვენეს და საღამოს პირზე დიდ ოთახში მოიყარეს თავი

— ვეცადეთ, თქვენთვის გემრიელი სადილი დაგვეხვედრებინა, თქვენი მადით შევიტყობთ, როგორ გავამართლეთ, — თქვა მარეხმა და დაიყოლა: — რა ვქნათ, კრავი გავაღვიძო? ჩემს შვილებს ჭამისათვის არასოდეს ვაღვიძებ-ხოლმე, ძილი ყველაფერს ურჩევნიათ...

— გავაღვიძოთ, ეშიება, — თქვა ზურაბმა.

— დავანებოთ თავი, გაიღვიძებს და მერე ჭამს, — აზრი გამოთქვა დათომაც.

— ეს დამნაშავედ გრძნობს თავს — ბაადურს მიმართა და თავი დათოსკენ გადააქნია ზურაბმა, — წუხელ თურმე ისე ხვრინავდა, გოგონას თეთრად გაათენებინა.

— არ არის სიმართლეს მოკლებული, — გაიცინა დათომ. — ღამე მარტოს ეშინოდა, ეს ჩემს ოთახში დაძინა, ამ დილას ქალბატონ მარეხთან გადასახლდა. გადასარევი გოგოა, ერთი წლით უფროსია ჩემსაზე, — ჩვიდმეტისაა.

— ასეთი დიდი შვილი გყავთ? რა ბედნიერებაა! — თვალები გაუნათდა თიკას.

დსთო ადგა, ოთახიდან სურათი გამოიტანა და თიკას მიაწოდა:

— გადავწყვიტეთ, შვილებთან სურათი დადაგვეღო. მაგათი დედა ჩემი კლასელია. სკოლა რომ დავამთავრეთ, შინ შევიტყუე და აღარ გავუშვი.

სურათი სათითოდ დაათვალიერეს.

— გეტყობა, მარჯვე რომ ხარ შეტყუებაში, — გაიცინა ზურაბმა.

— ამ ჩემმა მარჯვეობამ სამუდამო სინდისის ქენჯნაში კი ჩამაგდო და...

ნესტანი ოთახიდან გამოვიდა, ხელში ზეთისხილის ვეებერთელა ყუთი ეჭირა:

— თვალი მოვკარი, სანოვაგე ერთად დაგილაგებიათ.

ბატონი ლუკა წამოიწია, დათომ დასწრო, ყუთი ჩამოართვა და სამზარეულოში გაიტანა.

მაგიდას კი შემოუსხდნენ, მაგრამ საჭმელს არავინ ეკარებოდა.

— კაცებო, მოიტანეთ რაიმე სასმელი, თორემ მუნჯებივით ვისხდებით ორ კვირას! — სიცილით თქვა თიკამ.

დთო და ზურაბი წამსვე წამოდგნენ, მარეხიც წამოხტა, კარადიდან ჭიქები გადმოიღო და სათითაოდ ჩამოარიგა. ზურაბმა კონიაკი დასხა.

— ახლა ბატონ ლუკას ვთხოვოთ ჩვენი პირველი საღამოს წარმართვა, ხოლო ხვალ საღამოს დიდი ხნის ნაცნობებივით ვიქნებით, სულაც ვერ ვიგრძნობთ უდიასახლისობას, — ისევ თიკამ თქვა.

— და აღმოვაჩენთ, რომ უდიასახლისობა კიდეც სჯობია, — გაიგრძელა ზურაბმა, — ვინმესთვის თვალებში ცქერა არ მოგვიწევს ყოველი საქციელისა და სიტყვის გამო.

— კარგით მაშინ, — სასმისი ხელში აიღო და ფეხზე წამოდგა ბატონი ლუკა — ჯერ ასეთი ტრადიციული სადღეგრძელო ვთქვათ: ჩვენი თავშეყრის მიზეზს გაუმარჯოს, იმას, ვინც ასეთი ორიგინალური რამ მოიფიქრა და შემოგვთავაზა, ერთად შეგვყარა ადამიანები, ერთმანეთის არსებობა რომ არ ვიცოდით და გვითხრა: აბა, ჩემო მოწყენილებო, თქვენ იცით, როგორ გაალამაზებთ ერთმანეთს და აქაურობასო. ჩვენს დიასახლისს გაუმარჯოს!

— სადღეგრძელოში ნამდვილად გეთანხმებით, ბატონო ლუკა, — ახლა ზურაბი წამოიმართა. — მისი საქციელის დასაგვირგვინებლად, ჩემს ნაფიქრსაც შემოგთავაზებთ. მოდით, ნუ კვითხავთ ერთმანეთს გვარს, პროფესიას, საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილს. უფრო თავისუფლად ვიქნებით, ჭორების გავრცელების და ენის მიტანის შიშიც არ გვექნება. ვილაპარაკოთ, თუ გნებავთ, მხოლოდ სიყვარულზე, არავითარი სამსახური და პრობლემები. თუ დასვენებაა — დასვენება იყოს!

ვნახოთ, რა გამოვა, — დალია ზურაბმა, ჭიქა დადგა და დაიყოლა: — ისე, რა ჭკვიანურად მოქცეული, ოთხი კაცი და ოთხი ქალი რომ აღმოვჩნდით.

— მე მგონია, ეგ რომ ეფიქრა, მე და გოგონას აქ არ მოგვიპატიჟებდა, — — თქვა ბატონმა ლუკამ, როცა შეატყო ზურაბის ნათქვამმა უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენა დანარჩენებია.

— რა იცოდა, ვის ეპატიჟებოდა?

— ეცოდინებოდა, — მშვიდად თქვა ნესტანმა, — ხმით გაარჩევდა დიდ-პატარას.

— კი, ბატონო, ვეპრანჭოთ ერთმანეთს, თუკი ასე გინდათ...

— რატომაც არ უნდა ვეპრანჭოთ? — ღიმილით შეხედა თიკამ ზურაბს.

— ქალბატონო თიკა, — შეინიშნებოდა რომ „ქალბატონო“ ზრდილობისათვის ნათქვამი არ იყო. — სომარლელ გითხრათ, ქალების მატრაკვეცობას კარგად ვიტან.

— აიტან, აბა რა! თუკი თიკას ლაპარაკს მატრაკვეცობას დავარქმევთ, ჯერჯერობით მადლობის მეტი რა გვეთქმის, — გაიცინა დათომ.

გაჩუმდნენ. თვალებჩამქრალები უნდილად შეექცეოდნენ საჭმელს.

— ქალბატონო მარეხ, ხვალ საღამოს ხინკალი გავაკეთოთ? — გაიწკრიალა კრავაის ხმამ.

— დეიდა-თქო, შვილო, გავაკეთოთ, თორემ მერე მარხვა დგება და...

— მარხულობთ-ხოლმე? — ჰკითხა ბაგის კიდეებში ღიმილჩამდგარმა ზურაბმა.

— კი.

— ცოდვებისაგან განსაწმენდად?

— არა მარტო ცოდვებისაგან.

— რას იზამ, დათო, არ შეუერთდები? ქალების ოთახში შეტყუებაც ხომ ცოდვაა, — გულიანად გაიცინა ზურაბმა.

— ვიცოდე, გავიწმინდებოდი — რატომაც არა, მაგრამ, როგორც ჩემი საყვარელი ბებო ამბობდა, მე კი მისი ყველაფერი მწამდა, — ხუმრობა-ლო გაურია დათომ. — არავინ იცის, რა ითვლება ცოდვად. ცოდვაჩადენილი მეორედ პირუტყვად მოდის და ვერ ამბობს, რა შეაცოდო. რასაც ჩვენ ცოდვას ვეძახით, ის ავადმყოფობას ან შეცდომას უწოდებდა. ადამიანის არსებობის მიზნად შეცდომებთან დამქანცველ ბრძოლას, ანუ წვეტიანი ეკლის გლუვად გადაქცევას თვლიდა. ავადმყოფებზე კი ლაპარაკი არ უყვარდა.

— „წვეტიანი ეკლის გლუვად გადაქცევა“, რა მომხიბლავი გულუბრყვილობაა! — გაიცინა ზურაბმა. — ადამიანმა თავის ერთადერთ სიცოცხლეში ყველაფერი უნდა მოასწროს, იმიტომ არის გაჩენილი. სიცოცხლე სწრაფვაა ბედნიერებისაკენ, შეუპოვრად უნდა იარო, აქეთ-იქით არ უნდა გაიხედო, თორემ ცხოვრება არ გაპატიებს, ხელში შემოგადნება გათელილია და გატეხილს. განთლებულმა ადამიანმა ასე უნდა იმსჯელოს. ცოდვა არ არსებობსო, კი კარგად უთქვამს. დააკვირდით, ნებისმიერი საქციელი ერთი კუთხით შეიძლება ცოდვა იყოს, მეორე მხრივ — მადლი.

— სინდისზე რა აზრისა ხართ, ზურაბ? — უღიმღამოდ ჰკითხა ნესტანმა.

— სინდისი გადასარეცი გამოგონებაა მხდალთა და ზარმაცთათვის.

— რა ტყუილად გარჯილა საბა-სულხანი სინდისის განმარტებისათვის! — ჩაიქირქილა თიკამ.

— განთლება სიკეთის მოტანაზე განუწყვეტელი ფიქრისთვის სჭირდება ადამიანს და თოკივით სიღრმეებისა და სიმაღლეთა დაპყრობაში ეხმარება. ვისაც თანდაყოლილი აქვს სიკეთის მოტანაზე ფიქრი, თოკი მაინცდამაინც პირველ რიგში არ სჭირდება, უიმისოდაც ახერხებს წესიერად ცხოვრებას.

რასაკვირველიაო, ბატონმა ლუკამ ხმამაღლა — დათომ კი თავის ქნევით დაადასტურეს ბაადურის აზრი.

— ცოდვიანი პირუტყვად მოდისო? — ნაღვლიანად იკითხა კრავაიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, იმ პირუტყვად, რომელსაც წაგაგვსო, პირუტყვობაში ცოდვისგან განიწმინდება და მერე ისევ ადამიანად მოვაო, — მზრიდან ჩამოვარდნილი ეკაკეი მოახურა დათომ, — ღრმად სჯეროდა, ყოველი ადამიანი რომელიმე პირუტყვს ჰგავსო.

— შენ რას ჰგავხარო, არ უთქვამს ბებიაშენს?

— კი, ზურაბ, ხარსაო, — გაიცინა დათომ.

— აბა, ქალების ოთახში შეტყუების გამო ხარად მოსვლა არ აგიდებ, მაგრამ, ნუ გეშინია, სახნავად და ტვირთის გადასაზიდად აღარ იყენებენ, განაშენიანებისთვისაა არიან საჭირონი და...

ვეღარ დაასრულა, თვალებით ისეთი სუსხი შეაფრქვია დათომ. წამოდგა და მშვიდად უთხრა:

— სარეკელას მონოტონური რაკუნი მხოლოდ ერთი წუთით არის საინტერესო. რამდენ ხანს შეიძლება უსმინონ ჩვენს ერთსა და იგივე რაკუნს. წამოდი (გარეთ, ახლა იქ ვილაპარაკოთ.

— დაა, იუმორთან უკაცრავადა ვართ... — გულგატეხილი კაცის იერით ჩაილაპარაკა ზურაბმა.

— შეხედეთ! — შესძახა უცბად კრავაიმ, — ფანჯარას შეხედეთ!

გაიხედეს. ფანჯრის გარეთა რაფაზე კატა შემომჯდარიყო და მშვიდად იყურებოდა ოთახში.

კრავი წამოხტა, კარი გააღო, კატა დაბარებულივით შემოვიდა და პირდაპირ დათოს ფეხებთან მოკალთდა. სათოვლიამ ყურები დაცქვიტა. მოულოდნელმა სტუმარმა სულ ერთი წუთით მიიპყრო ადამიანთა ყურადღება.

— ხუმრობა უახლოეს ადამიანთა ნება-სურვილია მხოლოდ, ჯერ ჩვენ მოსაპოვებელი გვაქვს ამის უფლება, — თქვა ბატონმა ლუკამ დიდი ხნის შემდეგ და გაოცებულმა გონებაში აღნაშნა ბაადურის მიტკალივით გათეთრებული სახე, შემდეგ დათოს მიუბრუნდა: — რადგან ასე ვერ ისვენებს ზურაბი, იქნებ მოგვიყვე, რა ჩაიდინე ასეთი, ცნობისწადილით აღარ არის კაცი.

— ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, უნდა მოვყვე, ან... მთხრობელის დიდი ნიჭით არ გამოვირჩევი, ვერც იმას დავიჩემებ, ჩემს თავზე ლაპარაკი ქმაყოფილებას მგვრის-მეთქი, მაინც ვეცდები... მეათე კლასში ვიყავი, ჩემი კლასელი გოგონას წყლიანი თვალები რომ შევნიშნე და გულში ჩამიგარდა. გამოსაშვებ გამოცდებს მოვრჩით, შევუდექით საბუთების შეგროვებას უმაღლესში შესატანად. ერთხელ, შემთხვევით, ჩემი სახლის წინ ჩაიარა, გადაეძახე, თუ გცალია, ცოტა ხანს ამოდი-მეთქი. რადგან ჩემგან არასოდეს არაფერი უგრძვნია, უყოყმანოდ ამოვიდა. იმ წუთშივე ჩავკეტე კარი შიგნიდან და გამოვუცხადე, სახლში აღარ გაგიშვებ, ცოლად უნდა შეგრთიო-მეთქი. შეშინებულმა მომაპყრო თავის წყლიანი კი არა, უკვე ცრემლიანი თვალები. ქალის ცრემლს მაშინვე ვერ ვიტანდი, კარი გავაღე, გამოვედი, გარედან გადავკეტე და შევეხე, ტირილს რომ დაამთავრებ, მერე მოიცალ-მეთქი. მე ნათესავთან წავედი, დავჯექი, აუჩქარებლად ვეფხეშე, ცოტა დავლიე კიდეც. სახლში რომ მივედიოდი, მშობლებს ვუთხარი, ცოლი მოვიყვანე და ახლა შინ გველოდება-მეთქი. ნათქვამს რაც მოიყვებოდა, თქვენც კარგად წარმოიდგენთ, ამის მოყოლით თავს არ მოგაბეზრებთ. ფიდაჩემმა ტირილით თვალებდასიებული გოგო რომ დაინახა, მომდგა, ჯერ მიწასთან გამასწორა, მერე ერთი ორჯერ ცომის საბრტყელებლის სიმაგრეც გასინჯა ჩემს ზურგზე. იმას დაუყვავა, შენ მოგიკვდეს ჩემი თავი, შვილო, ვინ იცის, როგორ შეგაშინა ამ უღმერთომ, რა ვქნათ ახლა, გინდა წაგიყვანოთ მშობლებთანო. სად უნდა წაიყვანოთ, მშობლებმა უკვე იცით მაგის გთხოვება და, ვინ იცის, რა ეგონებათ-მეთქი. თვითონვე გვევიცდი ელვის სისწრაფით გამოგონებული ტყუ-

ილის გამო. ის კი ტიროდა და ტიროდა. კინაღამ წამომდა, წვიდეს, თუ უნდა-მითქი. მამაჩემი ცოფსა ჰყრიდა, ამ გამოცდების წინ რა დროს ეს იყოო. კარგი, შვილო, დაწყნარდი, ყველამ ერთად მოვიფიქროთ, რა ვქნათო. გინდა, დავრეკათ, თვითონ მოვიდნენო. მომკლავს მამაჩემიო, არც მომისმენსო, ძლივს ამოილუღლუღა. მაშინ, — გაბრაზდა ფარჩამალდაყრილი მამაჩემი, — ჩვენ წავალთ ცოტა ხნით, კეთილი ინებეთ და რაიმე მოიფიქრეთ, ან შეურიგდით მომხდარს, ან გამოსავალი მოძებნეთო.. (ვიდექი და ნახევარი საათი ბოდიშებს ვუხდიდი, ეს რა გაგიკეთე, მაპატიე-მეთქი. დარჩა! მერე გამომიტყდა, შენი დედამამა მომეწონა ძალიან და იმიტომ დავრჩიო. იმ წელიწადს ვეღარ მოვეწყვეთ უმაღლესში. მე შემოდგომაზე ჯარმა მიწია. შვებულებით რომ ჩამოვედი, უკვე წამოჩიტტული ბიჭი დამახვედრა. მშობლები კმაყოფილი იყვნენ რძლით. ამბობდნენ, სიხარულსა და მწუხარებაშიც კი ზომიერია დ ამის გამო მის გვერდით ცხოვრება ადვილიაო. სულ რომ გავთავისუფლდ ჯარიდან, ერთი გოგო კიდევ დამახვედრა. მალე ჩემი მშობლები სოფელშ გადავიდნენ საცხოვრებლად. ეს ჩვენი ტრადიციაა, შექმნის თუ არა ოჯახს მომდევნო თაობა, წინა — სოფელს უბრუნდება. არ გვინდა წინაპართა სახლ-კარის გამოკეტვა. ჩვენც ასე ვიზამთ, თუ ღმერთმა ინება. მე მაინც მოვახერხე და მისი დიდი ამაგითა დ სურვილით დავამთავრე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. თვითონ მთელი [illegible] შინ იყო და მუხლჩაუხრელად შრომობდა. სკოლასა და სახლს შუა იყო მძსგან გათელილი ბილიკი. ბავშვები რომ წამოიზარდნენ, თვითონ მერე დაიწყო სწავლა საღამოს განყოფილებაზე. მერე და მერე გაიოლდა, გოგონა წამოიზარდა, საქმეში ხელი წაახმარა. დავიწყეთ ყოფილ კლასელებთან და მის ახალ მეგობრებთან დამადების დღეებზე, კინოსა და თეატრში სიარული, სტუმრების მიღება. მოდაზე [illegible] სამკაულები შეიძინნა. მე გული სიხარულით მევსებოდა, როცა აღმოვაჩენდი, რომ თურმე კარგი სიარული სცოდნია, როგორ შვენის თხელი, ოდნავ განიერი მხრები, ფერფლისფრად შეღებილი თმა. ჩემი სიყვარული მისდამი და ამით გამოწვეული სიხარული უნაპირო იყო.

დათოს ხმას ღელვა დაეტყო, თხრობა უფრო მძიმე გაუხდა.

— ასე ათი დღის წინ უგუნებობა შევნიშნე. დავაკვირდი, გაუგებელსა ჰგავდა. ხელი ავწიე თავზე გადასასმელად, სულ ოდნავ შეკრთა, მაგრამ არ მომრიდებია. დაძაბულობა შევამჩნიე. ხელი ლოყაზე რომ დავუსვი, ვიგრძენი, ქანდაკებასავით ცივი იყო და თვალებიც ქვასავით უმეტესველო ჰქონდა. შეკითხვაზე — ცუდად ხომ არა ხარ-მეთქი, არაო, თავის გაქნევით მიპასუხა. შემდეგ დღეებში თვალს კიდებდი-ხოლმე, ხან აელვარებული იყო, ხან ჩამქრალი. თვალებში ხან სიხარული უელავდა, ხან დარდი ჩაუბუდდებოდა ისეთი, ბავშვების ავადყოფობისასაც რომ არ მინახავს. არაფერი მიკითხავს, რადგან თვითონ არ ამბობდა, ვერ შეკადრე. ერთხელაც სამსახურიდან მოვედი, კარი გავაღე, ბნელოდა, ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვა. შუქი ავანთე, სავარეოდ ჩაცმული და გალამაზებული, მაგრამ თვალებჩაღამებული სავარძელში იჯდა. წამით შემომხედა და მზერა უმალ ამარიდა. შორიახლოს დავჯექი, გაზეთი ავიღე, ვითომ ვკითხულობდი, ტელეფონმა დარეკა. ისე შეეშინდა, შეკრთომას კიდილიც ამოაყოლა, მერე მე მომაპყრო სასოწარკვეთილი თვალები, ყურმილს ხომ არ აეიღებდი. ტელეფონი დაეინებით რეკდა. აღარ შემეძლო, გული გახეთქვამდე მიცემდა. ავდექი, პალტო ჩავიცვი, დამაგვიანდება-მეთქი ვუთხარი და კარისაკენ წავედი.

„დათო — მითხრა ღონემიხდილმა — გადამიკეტე კარი გარედან“. მივტრიალდი, ისეთი ტანჯვა ედგა თვალებში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გული მომეწურა, ძლივს დავაბრუნე ცრემლი უკან. ისეთი მუდარით მიცქერდა, არაფერი ვთქვი, გადავუკეტე კარი და წავედი. უკვე მეორედ გადავუკეტე კარი და წავედი... პირველად ჩემი ნებით, მეორედ — მისი თხოვნით, ორივეჯერ ჩემს სასარგებლოდ! ამან გამანადგურა. არ ვიცი, რამდენ ხანს დავეხეტებოდი, წვიმდა თუ თოვდა, შემხვდა ვინმე თუ არა — არაფერი მახსოვს. გაუნელებლად ვფიქრობდი, მქონდა თუ არა უფლება, ჯერ ამემღვრია და მერე დამეშრო სიცოცხლის წყარო ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის, წყალი დამესხა მისი სიხარულისა და აღტაცების ცეცხლისათვის.

— შინ რომ მივედი, ისეთი დამხვდა, ძვირფას ადამიანს რომ დაასამარებს ვინმე და სასაფლაოდან წამოვა, სამუდამოდ შეგუებული და განწირული მარტოობისა და წამებისათვის. ვერა და ვერ მოვეგე გონს. ძილი და მოსვენება რას მიქვია, ადამიანებთან ურთიერთობის უნარი დავკარგე. სულ გაჩუმებული იყო. იმ დღეს, უკვე ნანახი მქონდა ეს განცხადება, ფანჯრიდან ქუჩაში ვიყურებოდი და ვფიქრობდი, ხომ არ წავიდე-მეთქი, მოვიდა თავით მხარზე მომეყრდნო და მითხრა:

„ყველაფერი რიგზეა, ნუ სწუხარ, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა". ისეთი ხმა ჰქონდა, დედა რომ იტყვის, „კარგად ვარ, გუშინ შვილის წლისთავი გადავიხადე". საბოლოოდ გადავწყვიტე, ცოტა ხნით მარტო დამეტოვებინა, ღმერთს მივანდე ყველაფერი და წამოვედი. ბარათი დავუტოვე: „მივდივარ ათი დღით, გაკეთე, რაც გულმა გითხრას, მე შენთან ვარ, ჩემო საყვარელო". აბა, რა უნდა მექნა.

დიდი ხნის ღუმილის შემდეგ ბატონმა ლუკამ თქვა:

— გაგიჭირდება ცხოვრება, შვილო.

— დათოს ნამდვილად უნდა უჭირდეს, ბატონო ლუკა, ღმერთმა დაგვფაროს კმაყოფილად და დალხინებულად ცხოვრობდეს, — ისეთმა თანაგრძნობამ გაიელვა ამ ქალის ხმაში, რომ გაოცებით შეხედეს მუდამ ჩუმად მჯდომარე ჩამქრალთვალებიან ნესტანს, — ერისკაცს მუდამ უჭირს სულიერადაც და ეკონომიურადაც, მაგრამ ერს ერი ასეთი კაცების გამო ჰქვია და არა ფულისმხვეჭელების გამო.

— „ჩემო საყვარელო" კარგად მოგირტყია, სინდისი დაქენჯნის, — თქვა ჩაფიქრებულმა ზურაბმა.

— მხდალია და ზარმაცთა გამოგონება? — „უკბინა" თიკამ.

— არ მინდა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს, ადვილად დაშთმო, აღარ ვუყვარვარო, იფიქროს.

— რაც გულმა უთხრას, რომ გააკეთოს და მერე ერთ მშვენიერ დღეს ისევ მოგიბრუნდეს, რას იზამ, იმან ხომ გაპატია, შენც აპატიებ?

— ის თუ წავიდა, აღარასოდეს დაბრუნდება.

— არსადაც არ წავა, შენნაირებისგან ასე ადვილად არ მიდიან, — ისე თქვა თიკამ, ხმაში გამაღიზიანებელი თანაგრძნობისა და პირფერობის ნატამალი არ ერია.

— არაფერი საჭირო იყო, მოეძებნა მეგობრები და კლასელები. ქალი კრუხი უნდა იყოს, სახლში იჯდეს, ქმარ-შვილს უარის ხეხოს, რეცხოს.

— თუ ლაპარაკიც არ ეცოდინება, მთლად უკეთესი, არა? — გააწყვეტინა თიკამ.

— ასეთი ქალის გარეშე, — გააგრძელა ზურაბმა და მზერა ნესტანს მიაპყრო. — თქვენგან ეგრეთწოდებული ერისკაცი არ იარსებებს. ქალის მომაბეზრებელი ერთგულების გარეშე — ერიც არ იქნება.

— არ არის მთლად სიმართლეს მოკლებული თქვენი ნათქვამი, მაგრამ ჩვენ, ქალებს, რატომ გვინდა ისეთი კაცი გვერდით, რომლითაც ვიამაყებთ, შინაც გამოჩენებული გვეყოლება და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ გამოჩინებაშიც ხელს შეეკეწყობთ?

— იმიტომ, ნესტან, რომ ჩვენ კარგი ტიპები ვართ. კაცებს სახლში კრუხები სჭირდებათ, გარეთ კი მუდამ სხვანაირ ქალებს ეძებენ და იპენენ. კრუხის გამაღიზიანებელ ერთგულებას სიხარულით ჰყიდიან და ცვლიან სხვათა კოპწიაობაზე და არტისტულ ქცევაზე, საინტერესოებსა და გონებგაახსნილებს ეძახიან მათ... — წუხილიანი ხმით დამთავრა მარეხმა.

გაჩუმდნენ. ვერც თავიანთ ოთახებში მიდიოდნენ, ვეღარც ერთად ყოფნას ატანდნენ გემოს. დაიქსქსნენ და ამიტომ ცოტა უხერხულად დამაბუღები იყვნენ. კრავი ადგა, როიალთან მივიდა, იქიდან გამოიხედა, დათოს ღიმილიან თვალებს წაეწყდა, დაჯდა და დაკვრა დაიწყო. პათეტიკური სონატა იყო, მელოდიური და ლამაზი. ყველა ფერში შელივლივდა, ბუხარშიც შეძვრა, ცეცხლს შეერია, ააელვარა, ტაკატკუცი დააწყებინა, კედელზე დაბატული ბრჩოლა გააკვირვა, ჩარჩოდან გამოშბერილ ცისფერ ქალს ბაგის კიდეები საღიმილოდ აეწევინა, ფარდაგზე ამოქარგული ყვავილები მიმოხარა, მერე კარი ჭრიალით გააღო და ფიფქებს კორიანტელით თავბრუ დაახვია, ტყეში გაიჭრა, ხეები წელში გასწორა, მერე ცეკვა-ცეკვით უკან დაბრუნდა, კარიდან შენარნარდა, ნიავივით მიესალბუნა ყველას, მათ თვალებში საკუთარი თავი დაინახა, გოგონას კისრიდან თითებზე გაელამუნა და ისევ როიალში ჩაძვრა.

კრავი სკამიანად შემობრუნდა, მდუმარე მსმენელებს თვალი მოავლო და კისკისით თქვა:

— გამოცდაზე რომ დავუკარი, ტაშით დამაჯილდოვეს!

ნესტანმა თითები ერთმანეთს გადაამდო და გოგონას ღიმილით გახედა. თიკამ მხრებიდან დაცურებული თვოიკის თეთრი შალი მოისხა. ბაადური სულ ოდნავ შეტრიალდა კრავის მხარეს. ბატონმა ლუკამ თავზე ხელი გადაისვა და მზერა გააყოლა კარის მისახურად წასულ დათოს.

ზურაბი ფეხზე წამოდგა:

— გასაყეყეჩებელი გოგო ხარ! — უთხრა კრავის და თავის ოთახისაკენ წავიდა.

მარეხიც ადგა, ბატონმა ლუკამ ახლა მას გაადევნა მზერა და სიარულში ნაღველი შეატყო.

დაიშალნენ, დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ.

მეორე საღამოდან საუბარიც უფრო ბუნებრივი გამოდიოდა და საუბელსაც უფრო თამამად შეეკეცოდნენ. არც შეხვედრას ჩქარობდნენ ხოლმე და არც განშორებას. ხშირად გათენებამდე ისხდნენ და ფილმებზე, წიგნებზე, სპექტაკლებზე მსჯელობდნენ. უმეტესად ადამიანთა ურთიერთობებს ეხებოდნენ.

ერთ საღამოს ბატონმა ლუკამ ჰკითხა მარეხს:

— იმ ქალის, ჩვენ რომ სახლში გვეჯიროდა, და იმის, ვისაც საინტერესოებს, გონებგაახსნილებს ვეძახით, ერთად შერწყმა არ შეიძლება? უფრო სწორად, განა ეს შეუძლებელია?

მარეხმა დაბნეული მზერა მიაპყრო ცოტაოდენი დუმილის შემდეგ უპასუხა:

— ალბათ, არ არის შეუძლებელი, რა ვიცი. მართალი გითხრათ, მე დამყოლი ხასიათის ქალი ვარ, მაგრამ არც ეშმაკობა მაკლია. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ ვერ შევძელი, ოღონდ არ მახსოვს, ვეცადე თუ არა.

— ძალიან საინტერესოა, შენისთანა ქალს ერისკაცი ჰყავს სახლში თუ ფულისკაცი. კაცი ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე. თუ არც ერთს არ წარმოადგენს, მაშინ კაციც არ არის.

— საუბედუროდ, ახლა მართლა ეგრეა. პატიოსნება ძვირი სანახავი გახდა, — გაეპასუხა ნესტანი ზურაბს.

— მთელი ცხოვრება მაინტერესებს, რას გულისხმობენ კაცის „პატიოსნება-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ში“ გონიერი ქალები, — ჩაილაპარაკა ბაადურმა.

— მაგ კითხვას უფრო ადვილად გაეცემა პასუხი, თუ მარეხი თავის ეშმაკობისას ცოტა რამეს გვეტყვის და ნებასაც დაგვრთავს, სამაგალითოდ და კითხვაზე საპასუხოდ გამოვიყენოთ იგი.

მარეხი დიდხანს ჩაფიქრდა. ნესტანი ოდნავ შემცბარი უყურებდა:

— ჩემდა უნებურად ხომ არ გაწყენინე ნეტავ.

— არა, არა, ნესტან. რა დაგიმალო და, მეც დავინტერესდი. გარეთ დაძაბული სამუშაო, ერთ-ერთი დიდი ქარხნის მთავარი ეკონომისტი ვარ, შიხ დაძაბული სამუშაო — ოთხ კაცს ვუვლი, სამი ვაჟი მყავს, უმცროსი წელს ამთავრებს სკოლას. მაშ, აქ რა მინდა? რად მომიცლია დასვენებისთვის? ეს რომ გავიგოთ და ბაადურის შეკითხვასაც ვუპასუხოთ, მნიშვნელოვანი ფაქტების მოყვანაა საჭირო, მე კი ასეთები არ მაგონდება, — ისევ ჩაფიქრდა მარეხი.

— ჭეშმარიტება ხშირად წვრილმანებიდან უფრო ჩანს, — სიტყვა ჩააშველა ბატონმა ლუკამ.

— მაშინ იქნება გავარკვიოთ რამე. ოცდაოთხი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ, ძალიან ვცდილობ, გავიხსენო სერიოზული და მნიშვნელოვანი უთანხმოება ჩვენს შორის, არ მაგონდება! როგორც იტყვიან, ქვაზე დავსახლდით, მაგრამ ჩვენი ქვა ცივი არ ყოფილა, მზით გამთბარი იყო, ერთად ვეწეოდით ჭაპანს. ახლა რაც გამახსენდა, ის არის, რომ დაღლილობისას ერთი საერთო თვისება გვქონდა, უბრალო რამეზე სიცილი აგვივარდებოდა-ხოლმე, მეც ავდგები და ჩვენი სიცილის ამბავს მოგიყვებით.

— ერთხელ მამაკაცის ოცდამეხუთე პერანგს ვაუთოვებდი, ფეხზე ძლივს ვიდექი, სამსახურიდან მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა, ამით ჩემი ქანცგაწყვეტილობის ნახევარი წყალს გაატანა. თავზე ხელის გადასმა იცოდა ისეთი, პოემა დაიწერებოდა. ყველაფერი იყო: აღტაცებული ვარ შენი თვალის ფორმითო, მიყვარს შენს თმაში ხელების გთბობაო, შენი თმის სუნი გაზაფხულის მინდვრებს მაგონებსო და რა ვიცი კიდევ... გადამისვა ხელი, მიყურა, მიყურა და მითხრა: ერთი ენის გასატეხი ვიცი, ჩემი გამოგონებულია, აბა სწრაფად თუ იტყვიო. ვიტყვი-მეთქი. ცალწარბწვრილი — ცალწარბმსხვილი. ვერა ვთქვი. სარკე მომიტანა, ჩაიხედე, იქნებ ახლა მაინც თქვაო. ჩავიხედე. დილით წარბები გამოვიქენი და ერთი მეტად გამეწვრილებინა. ეს რომ დავინახე, სიცილი ამივარდა, ისიც ამყვა და ბაბუაწვერას ბუსუსებივით გაიფანტა ჩემი დაღლილობა.

— ერთ ზაფხულს გადავწყვიტეთ, სანამ ბავშვები ბანაკიდან ჩამოვიდოდნენ, საკუთარი ხელით რემონტი გაგვეკეთებინა. ისე ვიღლებოდით, ფეხზე დგომა აღარ შეგვეძლო. სადილის კეთებას რომ შევუდექი, როგორც წესი, სამზარეულოში დამიჯდა და რაღაცის მოყოლა დამიწყო. სულ ტყუილად ცდილობ, არაფერი გამოვა, ვერ გამართობმეთქი, ვუთხარი, რადგან სადილად იმას ვაკეთებდი, რისი გაკეთებაც მძულდა, ძალიან ბევრ დროს მართმევდა და მომბეზრებელი იყო. აბა, ერთ გამოცანას გეტყვი, ჩემი გამოგონებულია, თუ გამოიცნობ-მეთქი. თქვაო. გამოცანა იმან შთამაგონა, რისგანაც სადილს ვაკეთებდი. ახალი იკლებს, ძველი იმატებს-მეთქი. სრული სერიოზულობით ჩაფიქრდა, დიდხანს მეხვეწა, მითხარი, ჩემმ ჭკუის კოლოფო, რა არისო. უკანასკნელ ლობიოს მოვაწყვიტე თავი და ბოლო, გადავტეხე, ქვაბში ჩავუძახე და მშვიდად ვუთხარი, ახალი ლობიო-მეთქი. ლობიოო?!!! ისე ახარხარდა და მეც ამიყოლია, რომ ძლივს გავჩერდით. საიდან მივხვდებოდი, როდის გამიკეთებიაო, სიცილში მითხრა.

— ერთხელაც, კვარტლის ბოლო იყო, ჩემს ქარხანაში ყველაფერი რიგზე მქონდა და ძალიან გამიკვირდა შუადამეგადასულზე მთავარმა ინჟინერმა რომ მომაკითხა. სასწრაფოდ ლოგინიდან წა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომაგდო და სულ სხვა ქარხანაში წამიყვანა, სადაც მისი მეგობარი მუშაობდა, თურმე მეორე დღისთვის მოულოდნელი რევიზია შეატყობინეს. რამოდენიმე საათის თავაუწეველი მუშაობის შემდეგ, უძილო და დაღლილი, რიყრაჯზე დავბრუნდი შინ. ჩემდა ბედად, ინჟინერმა შემოპატიჟებაზე უარი მითხრა. ჩემდა ბედად-მეთქი, რადგან კარი გავაღე თუ არა, ცხვირწინ, საკიდარზე ის დამხვდა დიდის ამბით ჩამოკიდებული, რისი ჩაცმაც სიჩქარეში დამვიწყებოდა. ისეთი სიცილი ამივარდა, კინაღამ გავიგუდე, პირზე ხელს მაფარებდა, ბავშვები არ გაადვიძოო. აი, ხედავთ, რა უმნიშვნელო, წვრილმანი ამბები გამახსენდა? განა ამის მიხედვით შეიძლება რაიმეს მივხვდეთ?

შეიძლებაო, სიტყვა ჩააგდო დათომ.

— მამაც ასეთი იყო, ბევრს შეშურდებოდა. შვებულებას ჩემს ლოგინობას დაამთხვევდა-ხოლმე და რანაირი 'სიხარულითა და სინაზით გვივლიდა მეც და შვილებსაც! ამდენ ლაპარაკში უსიამოვნებაც გამახსენდა. სხვის საქმეში ჩარევა უყვარდა და ამის გამო, როგორც თვითონ ამბობდა, მილიციასთან „დაუსრულებელი კონტაქტი“ ჰქონდა ხან მოწმის, ხან მოპასუხის სახით.

— ბოლო დღეს, ჩემს საწოლზე, სამშობიაროში მოწერილი წერილები დავალაგე და წამოვედი. ეს მე გონების კარანახით გავაკეთე, მის შესანჯღრევად. გრძნობა ალარა მაქვს ან მაქვს და დამავიწყდა. ჩემი საქციელი ისეთ შეურაცხყოფას მაყენებს, ცრემლი მადგება, მაგრამ რა ვქნა? გულგრილად გადავულოცო ჩემი ცხოვრების ოცდახუთი წელიწადი სხვას? ჩემი სახლი ბოლო დროს, სამწუხაროდ, გადაიქცა ისეთ სახლად, სადაც შესვლისთანავე იგრძნობა, რომ იქ ერთმანეთი არ უყვართ. თითქმის ყველა საგანშია გადასული ჩემი ისტერიული განწყობილება და მისი ცუდად დამალული გულაყრილობა. ყველა საგანი, ჩვენი სიყვარულით რომ იყო გასულდგმულიული, ფუტლიარად იქცა, ჩვენი მზით გამთბარი ქვაც გაცივდა. ყველაფერი დაივიწყა, აღარც ბავშვების ავადმყოფობით გამოწვეული საერთო ცრემლი და შიში ახსოვს და მისი „საკუთარი ცინდალიც“ სხვა გახდა... რომ ვიცოდე, ღმერთის გამოგზავნილი სჯირს რამე და ჩემი „მომბეზრებელი ერთგულება“ არასოდეს დასჯირდება, შევეგუებოდი ყველაფერს, მაგრამ შეცდომა რომ იყოს? მომავალში ისიც ხომ დაიტანჯება შედეგით და მეც? ცოტა ხანს უნდა ვაცადო, არც ისტერიკების გამართვას, არც გადაკრულ სიტყვას ფასი არა აქვს, გაღიზიანდება და უფრო ადვილად წავა, ბიჭები იდარდებენ. წამოვედი... ერთხელ ის მელოდოს, თუ შეიძლებს. მივლინებით ხშირად მიდიოდა. ის მიდიოდა — მე ვაცილებდი, ჩამოდიოდა — ვხვდებოდი, ამის გამო მარტოობისა და მოლოდინის სიმძაფრეს მე უფრო განვიცდიდი, ვიდრე ის. ახლა იმან მიცადოს... მაგრამ რომ არ მიცადოს...

აიწონებოდა, ისეთი ხმა გაუხდა მარეხს.

— ოჯახის დანგრევა! ხედავთ, რამ-ხელა მოვლენასთან, ნგრევასთან დაკავშირა ხალხმა ეს ფაქტი. ნგრევასა ვგრძნობ და თავს ვარიდებ, ვცდილობ, თვალი დავიბრმავო, ყური დავიყრუო. მეც დაახლოებით ისეთი შინაარსის წერილი დავტოვე, როგორც დათომ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გულწრფელი არ ვიყავი, იმას არ გამოხატავს, რასაც ვგრძნობ, უფრო მართალი ვიქნებოდი დამეწერა: „კისერი გიტეხია, უსინდისო კაცო, ჩემთვის სულ ერთი ხართ შენც და რაც შენ გეხება, ყველაფერი ისიც“.

მარეხი გაჩუმდა, სიბრაზე მალე ჩაუქრა თვალებში.

— მერე როგორღა მოიქცევი, მარეხ? — თითქმის ჩურჩულით იკითხა თიკამ.

— ჯერჯერობით ვიცხოვრებ თითქმის ჭერდანგრეულ სახლში. ვიეშმაკე, თუ რაიმე გასაჭირში ჩავარდა, მივეშ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველები, ოღონდ უხალისოდ, ძალიან გამიცივდა გული. თუ ჩამივარდა მომენტი, ვაპატიო და დავსაჯო ერთდროულად, ხომ კარგი, თუ არადა, იმანაც დაიხუროს ქუდი და წავიდეს, სხვას არავის და არაფერს გავატან, იმედი ნუ ექნება.

— თუ უკვე წასული დაგიხვდა? — ჩაეკითხა ზურაბი.

— მაშინ ღმერთი ჩარეულა და სიტყვის მომქმელი არა ვარ.

— ღვთისმოსაობა თურმე როგორ შვენის ქალს, — ჩაილაპარაკა ბაადურმა.

— რას იტყვით, ხომ ვგავარ კრუხს? ის ჰგავს ერისკაცს? ფუძის შერყევა, სამი შვილის მიტოვება რომ აქვს განზრახული, გინდაც საინტერესო და გონებაგახსნილი ქალის გამო?

არაფერი უპასუხეს.

— მაგრამ თუკი დავამტკიცებ, რომ თავის სამშობლოში ერთ-ერთ საუკეთესო არქიტექტორად ითვლება და ბევრი მშვენიერი შენობა შესძინა თავის ქვეყანას, მაშინ? თუ ერთგული მეგობარია და ყველასათვის გაჭირვების ტალვესი, მაშინ? თუ შრომის ფასიც იცის და შრომაში აზარტიც, მაშინ? ნუ მერიდებით, თქვით. არ ამბობთ! ერისკაცს ვპატიობთ-ხოლმე ასეთ სიბილწეს, ფულისკაცს — არა! კაცის პატიოსნებას სამშობლოსადმი უანგარო სამსახურს ვეძახით ქალებ. ნესტანმა კარგად თქვა, გვერდით ისეთი კაცები გვინდა, შინაც რომ ვიამაყებთ და გარეთაც იამაყებენ. ასეთი კაცებისაგან რაღაც-რაღაცებს ვიტანთ-ხოლმე.

აზრის ასეთი შეტრიალებით გახარებული იყვნენ ქალებიც და კაცებიც.

— ამ ეკონომისტმა სიტყვა ხომ არ დაგვიტოვა სათქმელი და დასამატებელი, — ღიმილით თქვა ბატონმა ლუკამ.

კარგა ხნის შემდეგ კრავი ადგა, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია.

— როგორ ბარდნის! ძალიან გთხოვთ, ვიგუნდაოთ, რა მოხდება, ჯერ ხომ არ გვეღინება.

სათითაოდ მოათვალიერა ყველა.

— დათო, — მუდარით თქვა, — დეიდა მარეხ, ბაბუ, ყველამ ვიგუნდაოთ, რა...

საგუნდაოდ მხიარულად გავიდნენ და მდუმარედ შემოვიდნენ. გუნდაობისას ნესტანმა ფეხი იღრძო და სახლამდე ბაადურის სატარებელი შეიქმნა. მეორე დღეს ფეხგასიებული ნესტანი ოთახიდან არ გამოსულა. კრავი მთელი დღე ფერხთით ეჯდა საყვარელ დეიდა ნესტანს, ჩემი ბრალია, მე ავიჩემე გუნდაობა, ძალით წავიყვანეო, წუხდა.

საღამოს მარეხმა ხინკლის კეთება წამოიწყო და კრავი სამზარეულოში წაიყვანა.

დათო, ბაადური და ბატონი ლუკა პრეფერანსს თამაშობდნენ ბიბლიოთეკაში.

ბუხრის პირას, ცეცხლის ალის ფონზე კაცის უცხო სილამაზე და ქალის სათნო გამომეტყველება საუბრობდნენ. ქალს საჩხრეკელი ეჭირა ხელში და ნაკვერჩხალს ქექავდა. კაცი მოლოდინით შესცქეროდა. ქალმა თავი მოატრიალა, კაცს შეხედა, გაუღიმა, რის გამოც ლოყაზე ორი ფოსო გაუჩნდა და ოდნავ ალმურმოდებულმა ჰკითხა:

— ესე იგი, მოითხოვ, გულწრფელად გითხრა, რატომ წამოვედი?

— ძალიან მაინტერესებს, აქ ყველას რაღაც იდევები აწუხებს, ყველა რაღაცაზე წუწუნებს, შენი კი ვერაფერი გავიგე. განა საიდანაც წამოხვედი, იქ უფრო მოწყენილი იყავი?

— მოწყენილი არსად არა ვარ.

— მით უფრო საკვირველია ჩემთვის.

— ო, რა დაეინებით მოითხოვ შეკითხვის პასუხს. გეტყვი და გაგაოცებ. ბავშობაში გამიგია, კაცი ისე არ უნდა მოკვდეს, სახლი არ ააშენოს, ქალი — შვილი არ გააჩინოსო. მოგეხსენება, ბავშვის გაჩენას კაცთან დაწოლა უნდა, ამიტომ წამოვედი.

კაცი აცმუკდა, სკამმა ჭრაჭუნი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყო, მერე თავი დაიოკა და მღიმარე ქალს მშვიდი ხმით ჰკითხა:

— კი, მაგრამ, აქ როგ არ ჩამოსულიყავი, ქალაქში ვერ მოახერხებდი?

— ვერ მოვახერხე. კაცი საქმიანი, მიზანდასახული და პრინციპული მომწონს. ასეთები ან ჩემი მეგობრები არიან ან მეგობრების ქმრები, ამიტომ გამორიცხულია. მე აქ არავინ მიცნობს, ვიფიქრე, შესაფერისი კანდიდატურის მოძებნა ადვილი იქნება-მეთქი. ისე შევეჩვივე მარტოობას, მე კაცის ამტანი უკვე აღარა ვარ. ამიტომ ერთ შვილს გავაჩენ და ვიცხოვრებ ჩემთვის.

— თქვა, — კაცს ხმა უღელავდა, — კარგად დფიქრდი, ახლა შეცდომის დაშვება არ გეპატიება.

— უკვე დავფიქრდი, — მხიარული თვალები მიაპყრო კაცს. — არჩევანიც სახეზეა.

კაცი ფეხზე წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, წყალი დაისხა, ცოტა მოსვა, მერე ფანჯარასთან დადგა, ისევ თოვსო, ჩაილაპარაკა და ბუხართან დაბრუნდა, შეშები გასწი-გამოსწია. დიდხანს იჯდა გაჩუმებული. დაბნეულად გაჩუმებული.

— ასეთდ ცნობისმოყვარეობის პატრონს, ალბათ, გული მიგდის ინტერესით, არა?

კაცს დიდი ნებისყოფა დასჭირდა, სახეზე ნაკვთი რომ არ შერხეოდა.

— დამისვი კითხვები თუ გინდა, გიპასუხებ.

— დათო? — უმალვე ჰკითხა კაცმა, საჩოთიროდ უმალვე.

ქალმა მსუბუქად გაიცინა:

— შენ რა, ოდნავადაც ვერ გაიცანი დათო? ის ხომ სინდისის ფორმულად გამოდგება.

— ბაადური?

— არა, ბატონო, მე სიყვარულით ტანჯვას არ ვაპირებ..

— აბა, ბატონი ლუკა?

— გადამრევ, ზურაბ, ბატონი ლუკა ხომ მამად შემეფერება.

კაცს მეტისმეტი გაოცებისა და სიხარულისაგან თვალები უაზრო გაუხდა, მერე სკამიდან იატაკზე ჩამოცურდა, წამოიჩოქა და არეული ხმით უთხრა:

— ჩემო ფერია, ჩემო დედოფალო, მოდი ჩემთან, ამაღამვე მოდი, ზღაპრულ ღამეს გაგატარებინებ.

თეკა ადგა, ზევიდან დახედა დაჩოქილ კაცს, გადაიკისკისა, მერე უკან დაიწია და მშვიდი ხმით უთხრა:

— მსახიობი რომ იყო, ამ მიზანსცენას არ ჩაგითვლიდი, დამაჯერებლად ვერ ითამაშე. — რა გეჩქარება, ზურაბ, ეგ დროც თავისთავად მოვა, ბუნებრივად.

დარბაზში დათო გამოვიდა. თეკას პერანგი, ნემსი და ძაფი მიაწოდა, ღილი დამიკერეო და იქვე. სავარძელში ჩაჯდა. ამასობაში ზურაბი ადგა, მუხლებზე შარვალი ჩამოფერთხა, ჯიმკრი გაიხადა, საყელო მუშში მოიქცია, გადაგრიხა, იმ ანგარიშით, რომ ყელზე მჭიდროდ მოსდგომოდა და ხმამაღალი სტვენით გავიდა ოთახ-დან. თეკამ თვალი გააყოლა, საქანელა სკამში ჩაჯდა. სულ ოდნავ ირწეოდა, სახეზე მშვიდი, გულგრილი იერი ედო და ღილს აკერებდა.

— ღამით ძილს რომ გადამაჩვიეთ, სხვა დროს მარტომ რა ვქნა? — სიცილით იკითხა შემოსულმა ბაადურმა.

— სულ მარტო არა ხარ, ბაადურ? ყველანი რომ ერთად ვართ, ვიცინით და ვსაუბრობთ, მაშინაც სულ გაჩუმებული ხარ, ერთ ადგილს მიშტერებული. ასე მგონია, არც არაფერი გესმის, არც არავის ხედავ.

— ეგ იმიტომ, თეკა, რომ იცის, ქალებს ჩუმი მამაკაცები მოსწონთ, — თქვა შემობრუნებულმა ზურაბმა.

— შემიძლია დავიფიცო, რომ ასე მშვიდად და კარგად არასოდეს ვყოფილვარ, — თეკას გაეპასუხა ბაადური.

— ზურაბ, თუ იცი, რა ხდება სამზარეულოში, ხინკალი მზად არის?

ზურაბი გატრიალდა და ისევ მალე შემოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემოგითვალეს, შეგიძლია სუფრა გაშალოო.

თიკამ პერანგი ტახტზე დადო და სუფრის გაწყობას შეუდგა. მერე ბატონ ლუკას ასძახა ჩამობრძანდითო და დანარჩენებიც მაგიდასთან მიიწვია. ბატონი ლუკა ნესტანს გამოსვლაში მიეხმარა და სუფრასთან დასვა. მარეხმა ოხშივარიანი ხინკალი მაგიდის შუაგულში დადგა:

— მიირთვით, მე და კრავაიც ახლავე მოვალთ, არ დაგველოდოთ, გაცივდება.

— პილპილი კარადის მარცხენა უჯრაშია, ვისაც უნდა, დაიფრქვიოს, — თქვა ნესტანმა.

თიკამ პილპილი მოიტანა, სამზარეულოდან კრავაის კისკისი მოისმა.

— გასაკეტებელია ,— თქვა თიკამ, — რა გემრიელი წვენი აქვს!

— მართლაც საუცხოოა, შინ გაკეთებულ ხინკალს პირველად ვჭამ.

— რას ამბობთ, ბატონო ლუკა, სულ ვერ წარმომიდგენიხართ სახინკლეში შესული.

— რატომ სახინკლეში, კაბინეტში მიუტანდნენ, — თქვა ზურაბმა.

მართლაც ეგრეაო, დაუდასტურა ბატონმა ლუკამ.

კრავაიმაც შემოიტანა ხინკალი, დეიდა მარეხიც ახლავე მოვაო, თქვა და დათოს გვერდით დასკუპდა.

— მოგეწონათ, ბაბუ?

— ძალიან მომეწონა, ჩინებულია, ასეთი გემრიელი არაფერი შეჭამია.

— მწვანილი არა აქვს, — თქვა შემოსულმა მარეხმა, — სახინკლეში მწვანილს უკეთებენ და ამიტომ კატლეტს, ტოლმას და ქაბაბს ერთდროულად ჰგავს. ხინკალს მხოლოდ წიწაკა, მარილი და ხაჭი უხდება, და კიდევ ხელით ჭამა.

— პირობას გაძლევთ. სულ რომ ვეღარ ეჭამო შინგაკეთებული, სახინკლეში აღარ შევალ. ბაადურ, რატომ არაფერს იტყვი, ხომ კარგია? — მიმართა დათომ.

— გადაჭარბებულად არ ჩამითვალოთ, არც უბრალო ქათინაურად, [illegible] სიმართლეს გეუბნებით, [illegible] ვგვიმშვენებენ გვერდს, ხინკალი კი არა, უმარილოდ მოხარშული კარტოფილიც გვეგემრიელება.

ნიადაგ ფერწასულ ნესტანს იმდენად გაეღიმა, რამდენადაც ენძელას ფერსჰარბობს თოვლისას. დათომ თვალი ჩკიდა და მისი უნიათობის სახეცვლილებამ გაკვირვა. კრავაისა დ ბაადურის თვალი წამიერად შეხვდნენ ერთმანეთს.

— უყურეთ, როგორი ლაპარაკი შესძლებია! — ხმამაღლა გაიცინა თიკამ.

— მაგას მართალს ამბობ, უსახური და უცხვირპირო ქალის გვერდით ხერხანად საჭმლის გემოსაც ვერ გაიგებ, — დაემოწმა ბატონი ლუკა.

— შეხედეთ, — გადაკისკისა კრავაიმ. — დათოს შეხედეთ!

დათოს გაკბეჩილი ხინკალი ეჭირა ხელში და ულვაშები თოვლის პაპასავით გასთეთრებოდა.

ყველს ხარხარი აუვარდა. ციტა რომ დაწყნარდნენ, ნესტანმა კრავაის შესცინა:

— ონავარო, მაინც მოახვიე ფქვილანი ხინკალი?

ზურაბი ფერდებზე ხელს იკერდა, ისე ხარხარებდა, დათო სიცილისაგან მოდგენილ ცრემლს იწმენდდა.

— ერთხელ, შეყვარებული მყავდა, ამის ტოლა ვიქნებოდი, — კრავაიზე მიუთითა ნესტანმა. — ხინკალი გავაკეთეთ, ასეთი რომ შეხვდა, ისე გაბრაზდა, გაგვექცა.

— შენ გყავდა შეყვარებული? — ნამეცი გადაუცდა თიკას.

— ჰო. მე ახალგაზრდა არ ვყოფილვარ?

— ახლაც ახალგაზრდა ხარ, შვილო, მაგრამ რა დასამალია და, რატომღაც მეც მეუცხოვა, ჩიტის წონა გაქვს და მონაზვნის იერი.

— რა იქნა მერე, არ დაბრუნდა?

— იმ დღეს აღარ დაბრუნებულა.

— საერთოდ რა იქნა.

— უმიე, ზურაბ, პირველად მომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წონა შენი შეკითხვები, ისე მაინტერესებს...

— არ ვიცი, რა იქნა, არ ვუყვარდი.

— შენ არ უყვარდი? — ახლა მარეხს გაუფართოვდა თვალები.

— რა, არ შეიძლება? როგორ მოიცებთ, მეც ჩვეულებრივი ქალი ვარ, რომელიც შეიძლება უყვარდეთ, შეიძლება არა.

— გვიამბე რა, ისე მაინტერესებს, ლამის გული წამოვიდეს... — შეეხვეწა თიკა.

— გახსოვთ, ოცდახუთი წლის წინ დიდთოვლობა რომ იყო დასავლეთ საქართველოში. რიკოთზე მოძრაობა ორი კვირით შეწყდა. რადიო-ტელევიზია ყოველდღე გადმოსცემდა, რომ ქუთაისშიც ვეღარ მოძრაობდა ავტოტრანსპორტი. ისიც თავისი მანქანით ქუთაისში გამოიცეტა და ჩემთან პაემნებსაც აცდენდა და ინსტიტუტსაც. ათი დღის შემდეგ ამხანაგს წერილი გამოატანა, სწუხდა, რომ ვერ მნახულობდა. თქვენ რითი ჩამობრძანდით-მეთქი. ორი დღეა, მატარებლით მოვდივარო. ის რად ვერ წამოვიდა-მეთქი? გაოცებულმა შემომხედა, მანქანაც გზა არ არისო. იმავე საღამოს ჩავჯექი მატარებელში და წავედი. მივიარ-მოვიარე დათოვლილი ქუთაისი. არ მეჩქარებოდა, უკან საღამოს ვბრუნდებოდი. მატარებლის გასვლამდე ერთი საათით ადრე დავურეკე, აქა ვარ-მეთქი. მაშინვე მოვარდა სადგურში, აქ საადან გაჩნდიო. მომეწატრე და ჩამოვედი-მეთქი. რატომ ადრე არ დამირეკეო. საღამოს წამოვედი. ის რომ ჩამოვიდა, მე ადარ დავხვდი, მეგობრებთან ერთად ღენინგრადში წავედი ერმიტაჟის სანახავად. მართალი გითხრათ, ადვილად დავივიწყე.

— შეხედეთ, როგორი ყოფილა?!

— როგორი და ჩვეულებრივი, — არ შეარგო თიკას ზურაბმა.

— მერე ადარ გათხოვილხართ, დეიდა ნესტანმ?

— როგორ არა, პირველი კურსიდანვე.

— ჩვეულებრივი ქალი არაფრად ჩაგდებდა იმას, რომ სიყვარულისთვის ერთი პაწია დაბრკოლება ვერ გადალახა ოცი წლის ჭაბუკმა, დაელოდებოდა და ისევ გააგრძელებდა ყველფერს.

— ეჰა, მარეხ, მაგას არაჩვეულებრივი ქალი იზამდა.

— კარგი, რა, თუ ღმერთი გწამს, ზურაბ, მორჩი შენს ლოგიკურ აზროვნებას.

— აი, თურმე როგორი ლაპარაკი შეესძლებია ქალბატონ მარეხს.

— ნუ ბრაზდები, ზურაბ. შენ წარმოიდგინე, მართალი ხარ, ოღონდ ამას ვამბობ ორმოცდასამი წლისა, გინდაც ხუთი წლის წინათ ასე ვერ ვიფიქრებდი.

— არა, ნესტან, სიყვარული თუ იქნება, ზუსტად ისევე მოიქცევი, როგორც თვრამეტი წლისა. სიამაყე ცხოვრების გამოცდილების შეძენასთან ერთად როდი ქრება.

— ალბათ, არა, ბატონო ლუკა, რა ვიცი, — დაღლილობა თუ სევდა შეეპარა ნესტანის ხმას.

ხინკლის ჭამა მოათავეს. მარეხმა და კრავაიმ სუფრის ალაგება დაიწყეს, სხვა არავინ გაიკარეს, ჩვენც ვეყოფითო. დათო დერეფნის გადათოვლას შეუდგა. ბატონმა ლუკამ ნესტანი ისევ ოთახში შეიყვანა, ზურაბიც მათ მიჰყვა. ბუხრის პირს თიკა და ბაადური შემორჩნენ. ბაადური ჩიბუხს წმენდდა, თიკა თვალს ადევნებდა.

— ბაადურ, ცოლ-შვილი გყავს?

— შვილი მყავს, გოგონა.

— ლამაზია? ობიექტურად თქვი.

— მგონი, კი.

— ვაჟი არ გინდოდა?

— ჩემთვის სულ ერთია, ვაჟი თუ ქალი, — სული ჩაუბერა ჩიბუხს ბაადურმა.

— არც ერთი კაცისთვის არ არის სულ ერთი. ვაჟი რომ გყოლოდა, ძმებივით იქნებოდით.

— არ იქნებოდა ურიგო, — ღიმილით შეხედა კაცმა.

— ახლა რა, გვიანია? — მოცინარი თვალები შეაგება ქალმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერს თავისი დრო და განწყობილება სჭირდება, ენერგიაც, სხვათა შორის.

— კაცებს რა ენერგია გინდათ, — გადაიკისკისა თიკამ. — შესაძლებელია არც კი იცნობდეთ.

— ეგ როგორიღა შვილი იქნება, თიკა?

— სხვისთვის იქნება, ვისაც დრო, განწყობილება და ენერგია ექნება.

— თუ სხვისთვის იქნება, მე რაღად მკითხე, ვაჟი არ გინდოდაო?

— რა ვიცი, მე რომ მინდა, ალბათ, იმიტომ, — ისევ გადაიკისკისა თიკამ. — რა მოხერხებულად მომაქციე ჩიხში!

— შენისთანა ქალს ვინ დატოვებს, გათხოვდები და გეყოლება.

— რაღა დროს ჩემი გათხოვებაა, ოცდაჩვიდმეტისა ვარ.

— მარტოსთვის შვილის გაზრდა ძნელია, ეს მე გამოცდილი მაქვს და ვიცი. შენნაირ ქალს ამისთვის ვინ გიმეტებს.

— როგორს?

— საყვარელს, კეთილს, მშვიდს.

— საძულველს, ბოროტს, ანჩხლს, შვილი რად უნდა?

— ჩიხი ჩიხის წილ, — გაიცინა ბაადურმაც და თბილი მზერა მიაპყრო ქალს. — არა მჯერა, ეგ თუ მართლა გაქვს გადაწყვეტილი. სამწუხაროდ, მეტად ჭკვიანი ხარ მაგ ნაბიჯისთვის, ამ ლაპარაკით მხოლოდ ერთობი, მე კი, რომ გისმენ, ისეთი სითბო მეღვრება-ხოლმე, როგორც მამას ახლად ენაადგმული ბავშვის ტიტიკზე.

— ისეთი სიცილი მესმის, რაღაც მხიარულზე ლაპარაკობთ, შეიძლება მეც მოვიდე? — იკითხა დარბაზში გამოსულმა ბატონმა ლუკამ.

— მობრძანდით!

— ძალიან გაგვიხარდება!

ბატონი ლუკა ბუხართან ახლოს, ჯორკაზე დაჯდა და კედელს მიეყრდნო.

— აი, ბაადური მეუბნება შვილივით მიყვარხარო, ამაზე ვიცინოდი.

— მართლაც ძალიან საყვარელი ხარ, შვილო.

— არა, ბატონო ლუკა, არც ისევ საყვარელი ვარ, თქვენ რომ გგონიათ, — ხელი გადაუსვა თიკამ მის მუხლებზე მოკალათებულ კატას. — დაუმსახურებელი ქებისას ისეთივე უხერხულობას განვიცდი-ხოლმე, როგორც ლანძღვის დროს.

— შენისთანა ღიმილიანი ქალი არ შეიძლება ცუდი იყოს, — თქვა იმ წუთს გარედან შემოსულმა და ბუხარს ხელებმიფიცებებულმა დათომ.

— იცით, რა კარგად შემიძლია ასეთი ღიმილით საძაგელი რამეების თქმა და კეთება? ამ ანგელოზზე არაფერს ვამბობ, ლოყაზე ხელი დაუსვა სკამთან ჩაცუცქულ კრავაის. — მე არც ნესტანივით გონიერი ვარ და არც მარეხივით ძვირფასი განძი.

— იმიტომ არავინ გითხოვა ცოლად, — ნიშნისმომგებიანი ხუმრობის კილოთი თქვა ბუხარს მიახლოვებულმა ზურაბმა.

თიკამ გაიცინა:

— ვიითმ იხუმრე, სიმართლე კი გამოვიდა.

— ისე რა გითხარი შენ, — ჩაურთო ბაადურის გვერდით მჯდარმა მარეხმა.

— მართლა! მართლა! ამ ცოტა ხნის წინ ერთი ახალგაზრდა კაცი შემომიჩნდა. მთლად უცნო არ არის, ერთად ვმუშაობთ. მარტოკაცია, განსაკუთრებული სიახლოვე არავისთან ჰქონია, სიტყვამძვირი და არა უშავს შესახედავია. ერთი წელი ყოველ საღამოს მირეკავდა...

— რა სინდისია, — შეაწყვეტინა მარეხმა. — ჩვენ აქ ვერთობით, ნესტანი კი მარტოა.

წამოიშალნენ, ნესტანთან შევიდნენ და იქ მოკალათდნენ.

— თიკა რაღაცას გვიყვება, — უთხრა ნესტანს მარეხმა.

— ოღონდ, ძალიან გთხოვ, თავს ნუ გაინადგურებ. შავ დღეში ნუ ჩაგვ-

---

ბანანა ამირეჯიბი
საფაც არ უნდა წახვიდე

ყრი, ნუ გვაფიქრებინებ, ეს სანდომიანი ქალი თუ ასეთია, ჩვენ რაღა სასიიცოცხლოები ვართო. გულს ნუ გაგვიტეხ. ხომ იცი, დაბნეული და გულგატეხილი ადამიანი არაფრისთვის ვარგა. — მსუბუქი კიცო გაურია ნესტანმა ხმას.

— ყველაფერზე სეროზულად კი არ უნდა ფიქროთ და ილაპარაკოთ, ფიქრი ჭიაა, გულსა ღრღნის, არაფრისთვის არ არის საჭირო, — თქვა ზურაბმა.

— ფიქრი როგორ არ არის საჭირო, მშვიდად და უტანჯველად გარდაცვალებისათვისაა საჭირო. სიკვდილი და სიცოცხლე, როგორც ორი ცოცხალი არსება, ისე ელტვიან ერთმანეთს. რაც უფრო ვრცელია და ღრმა მომრიგებელი, მით უფრო მშვიდია და უშიშარი მოსარიგებელთა შეხვედრის წუთი. ასე არ არის, ბატონო ლუკა? — მიმართა ნესტანმა.

— ასეა, მაგრამ, როგორც ყველგან, ზომიერება აქაც საჭიროა. უზომო ფიქრმა ნარკოტიკივით იცის ადამიანის გამოფიტვა.

— ალბათ, ეგრეა. რა საშინელი ქალი ვარ, რა მხიარულად იყავით იქ და რა სევდიანი სახეები გაგიხდათ აქ. მაპატიეთ, მგონი თიკას ლაპარაკის წადილი დავუკარგე.

— მერე, თიკა, ერთი წლის განმავლობაში რომ გირეკავდა? — ჰკითხა დათომ ისეთი კილოთი, განწყობილების აწევას რომ მიანიშნებდა.

— სტუმრობის ნებას მთხოვდა, — დათოს კილოთი გააგრძელა თიკამ, — ხან ვაძლევდი უფლებას, ხან არა. ერთხელაც მოვიდა, სამი მიხაკი მომიტანა. გამოგიტყდებით, ნამეტანი არ ვეფეთები ყვავილებისათვის, მინდერებში და ეზოებში მირჩევნია იყვნენ, ვიდრე შაქარჩაყრილ წყლიან ლარნაკში. ის, როგორც ყოველთვის, გაქვავებული და გაჩუმებული იჯდა, იჯდა, იჯდა... მეც ჩვეულებრივ ვიკაკანე, ვიკაკანე და ბოლოს გავჩუმდი. ისე მყარად იჯდა, ვიფიქრე, ამას წასვლისა არაფერი ემჩნევა, ეტყობა, ამის წერა ვარ-მეთქი. მხოლოდ იმიტომ, რომ რაღე მეთქვა, პიჯაკი მოვუწონე, ლამაზია, გიხდებამეთქი.

„ჰო, — დამიდასტურა,— შტატებიდან გამომიგზავნეს“.

უცბად გამოვიცოცხლდი, ცნობისწადილი გამიჩნდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხმა ამოიღო, მერე იმიტომ, ხმაში სიცოცხლე გაერია.

„ღია ცისფერი თურმე როგორ გშვენის“.

„კი, პასტელის ფერები მიხდება“.

იფ! სიხარულისაგან გული ამიძგერდა, მოწყენილობის საზღვარი ზურგს უკან დამრჩა. ჩავთვალიერე. წინდა და ყელსახვევი ერთნაირი ფერის ეცვა. შარვალი და პერანგი — ერთნაირი, ხოლო ყველაფერი როგორღაც პიჯაკთან შეხამებული. ვარდის ლიქიორი ჭიქებში შედარებით ბლომად დავასხი, ჩვენ გაგვიმარჯოს-მეთქი, ვთქვი და გადავკარი. თვლებში გაკვირვებამ გაუელვა. ის იყო, ჭიქა პირთან მიიტანა, ხმამაღლა ვკითხე, ძალიან გიყვარვარ-მეთქი? კიო, ჭარხალივით გაწითლდა. მაშ თუ ეგრეა, ლიქიორი პიჯაკზე ჩამოისხი და ცოლად გამოგყვები-მეთქი. თითქოს თითი მოჰყვა კარშიო, გამოხედვა ისე ეტკინა. მე ლიქიორისა და ეშმაკისაგან ისეთი სიცილი ამივარდა, კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი. ის კი უკვე წითლად შეღებილი ძეგლივით იჯდა და გაკვირვებული მიყურებდა.

სიცილს რომ მოვრჩი, ავდექი, კარადას კარი გავაღე, მის თვალწინ საშინაო კაბა გავიხადე, საგარეო ჩავიცვი, ხელკავი გავუკეთე, ეზოში ჩავიყვანე, ტაქსში ჩავსვი და სახლის კარამდე მივაცილე. ალბათ, ეგონა, ჩემთან მოდისო და მანქანიდან რომ არ გადავედი, გაუკვირდა...

— შენი ფიქრით, კაცს გემოვნებით არ უნდა ეცვას?

— რა კუდი აგიწვა, სულაც არა ხარ ისეთი.

— გმადლობთ. მაინც რა უნდა ქნას კარგად ჩაცმულმა, ჩამოისხას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ, კაცო, — შესცინა დათომ ზურაბს. — ვინ გთხოულობს მერეო, რომ ეთქვა, თიკაც ხახვივით შერჩებოდა და პიჯაკიც.

ქალებმა გადაიკისკისეს.

— უნდა გავყოლოდი იმ კაცს, ბაადურ?

— არა, რა თქმა უნდა, არა.

— შენ ისეთი ცინიკოსი დიაცი ხარ, ისიც მეტი იყო შენთვის.

— რა ზუსტი რამეების თქმა იცი, ზურაბ, ხანდახან. მართლაც რომ გულგრილი ვარ, ამაში დიდი ხანია დავრწმუნდი.

— რატომ ხარ ასეთი ულმობელი საკუთარი თავისადმი? — კითხვის კილოთი ჩაილაპარაკა ბაადურმა.

— საკუთარი თავი მყავს შეცნობილი და იმიტომ, სრულად, ალბათ, არა, მაგრამ... რა დაგიმალოთ, ძალიან გამიტყდა გული. მართლა გადაწყვეტილი მაქვს, შვილი გავაჩინო და მის აღზრდაში შეცდომები არ გავიმეორო. ცნობისმოყვარეობა მიპყრობს, იქნება ჩემზე უკეთესი თუ არა.

— შვილი გასართობად და ექსპერიმენტისათვის ჭირდება? რა ეგოისტები ვართ ადამიანები, ცნობისმოყვარეობის გამო რას არ ჩავიდენთ-ხოლმე.

— მე ადრეც მინდოდა შვილი, მაგრამ ღმერთმა ღირსად არ ჩამთვალა, ალბათ, არ მენდო...

— ნუ ფანტაზიორობ ერთი. შენს ასაკს აღარ შეშვენის. — გულგრილად, ხელისჩაქნევით თქვა ისევ ზურაბმა.

— კრავი, ხომ არ გეძინება? — ჰკითხა ალერსიანი ხმით თიკამ.

კრავი გაწითლდა და წასასვლელად წამოდგა.

— არ ეძინება, — თქვა ბაადურმა, — იჯდეს, გვისმინოს, რასაც აქ ვლაპარაკობთ, იმას უმაღლესში არ ასწავლიან.

კრავიმ მადლიერი თვალით შეხედა ბაადურს და ისევ დაჯდა.

— საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი ვარ და ჩემთვის არაფერზე თქმული „არა“. კლასელებზე და მერე კურსელებზე არა მარტო უკეთესი შესახედავი ვიყავი, არამედ სახელიც ნიჭიერისა და გონებამახვილისა მქონდა. ახლა ხომ მოგწონს, ნესტან, თავს რომ ვიქებ?

— საქმემან შენმა გამოგაჩინოს, — ჩაურთო ზურაბმა.

დათომ გაიღიმა, იდაყვი სავარძლის სახელურზე დადებული მეორე ხელის მტევანს დაადო, ზე აღმართა, თითები ერთად შეკრიბა და ზურაბის მიმართულებით მაჯის ტრიალი და სისინი დაიწყო. ისე შესანიშნავად წარმოადგინა კობრას პოზა, ზურაბმაც კი გაიცინა.

— მართლაც გესლიანი ვინმე ხარ.

— ერთნაირები ვართ. რა მნიშვნელობა აქვს, სხვას გესლავ თუ საკუთარ თავს, ზხამი ორივე შემთხვევაში გამოიყოფა, — მიმართა მარეხს ზურაბმა.

— ცხოვრება ისეთია, სულ ფელამუში მტერმა ჭამოს, ნორიც სასარგებლოა ადამიანისათვის. ზოგჯერ მოყრუება და თვალის დახუჭვაც აუცილებელია.

— ასე რომ ვშვრებით, მაშინ უკეთ ვართ, ბატონო ლუკა? — ჰკითხა მარეხმა.

— ჩვენ თუ არა, სხვა იქნება უკეთესად, — თქვა ნესტანმა.

— ამდენი კარგი ქალი ერთად ჯერ არ მინახავს. თქვენ, ბატონო ლუკა?

— ჩემთან კაბინეტში შემოსულ ქალებს, ჩემო ბაადურ, ამათ ვერ შევადარებ. სხვა ქალებს მე არ ვიცნობ. თუმცა, რატომ, ვიცნობდი ერთ ქალს ახალგაზრდობაში, ამათნაირი იყო, — მწუხრის ნიავმა დაჰბერა მის ხმაში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

გაუხუნარი სიყვარული

სიყვარულის წილ სიყვარული, —
მოითხოვს გული,
არის ვედრება, სისხლის ცრემლით
მიჯნურის ხმობა...
ანგარებაა სიყვარულის
ნიშანი სრული,
უანგაროა მარტოოდენ
სამშობლოს ტრფობა.
მამულის ტრფობა, — უმაღლესი,
ნეტარი ფიქრი,
ეს ის გრძნობაა, აქვს რომლითაც
არსობას არსი...

სხვა ყველაფერი არარაა
ამ გრძნობის იქით
და ძვირფასია იმდენად, რომ
არცა აქვს ფასი,
პოტენციურად,
სიყვარულის ყოველის ბოლო
სიძულვილია, ამნაირად
მიცვნია ყოფა...
გაუხუნარი საქართველოს
ტრფობაა მხოლოდ,
ყოველივეზე მაღალია
ამგვარი ტრფობა.

და ფუფუნება მგონია ესეც

აწი ერთმანეთს სიზმრებში ვნახავთ,
ათასში ერთხელ... სიზმრებში მხოლოდ,
გამინათდება ბედკრული სახლი,
დე, ნუ ექნება ამ სიზმრებს ბოლო.
და ამ სიზმრებშიც შეგხვდები
მდურვით,
და ამ სიზმრებშიც შეგხვდები
მწყრალი...
გამომაღვიძებს ფართხალით გული,
ბალიში... ანუ მარტოდენ წყალი.
აწი სიზმრებში შევხვდებით-მეთქი, —
როგორც ტკივილი და როგორც სნება...
არაფერს გეტყვი, ვერაფერს მეტყვი,
შენ არცა რისი თქმისა გაქვს ნება;
მხოლოდ სიზმრებში და არსად მეტად,
ვერ გადმოსცდები ჩემეულ მესერს...
ვერაფერს გეტყვი, არაფერს მეტყვი
და... ფუფუნება იქნება ესეც.

ულექსო ჟამი

არ იწერება ზამთარში ლექსი,
თუ იწერება — ცივი და ქუში;
სიცივე, გვამში ავად რომ კვნესის,
ამღერებას და სილაღეს უშლის.
ზიხარ და, მწარე ფიქრი გესევა,
დგასარ და, არეს გაჰყურებ მდორეს...

არ იწერება ამ დროს ლექსები,
გამოცლილი გაქვს გონი და ღონე.
არ ემღერება ამ დროს ბეღურას, —
არ ჩანს აპრილი — ერთგული მოძმე,
შემოსჩენია საბრალოს ურვა
და თავსაც ძლივსღა იმაგრებს ტოტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძირო სევდა ატყვია პირუტყვს,
უძირო სევდა ანნია მეტყველს...
მზერას აღაპყრობ და — ძლივსღა
ხილულს
ცას უნებლიეთ რაღაცას ჰვედრებ.
არა, არ მოდის ზამთარში ლეკსი
და თუკი მოდის, — ცივი და ქუში,
ტანში გამჯდარი სიცივე კვნესის,
და სიმღერას და სილაღეს უშლის;
მაინცღა ელის გონება ურჩი,
მაინც ნუგეშობს გული რატომღაც...
„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!“

არ ეძებნება სახელი რასაც

გიორგი ბაქანიძეს

მერიის გამო, თხინვალის გამო,
ზედობნის გამო და სხვათა გამო
წამომეპარა თვალებზე ნამი,
გზა კი მიხმობდა: მომყევი, წამო!
მივუყვებოდი ზღაპრისდარ სავალს,
ნამცეცი დარდიც, თუ მქონდა, დადნა...
ამ მსუბუქ სივრცეს და მკურნალ ჰავას
ადგა ნათელი დიადი, სადა;
გამოუთქმელი სინაზე-სითბო,
ძალზე ქართული და რაღაც მეტი...
ფრთების მაგვარიც გამიჩნდა თითქოს
და ვამაყობდი ჩემივე სვეთი.
ძალზე ქართული, დიადი, სადა, —
არ ეძებნება სახელი რასაც,
შეიგრძნობოდა ძალიან ცხადად,
იგი, რაც მიღირს სიცოცხლის ფასად;
მერე კი, მერე... მერიის გამო,
თხინვალის გამო და სხვათა გამო
სამზერელს ჩემსას დასჩემდა ნამი,
ხოლო გონებას — სიზმრები ამო.

ეს მას ეკუთვნის

ოქტომბრის ჩვიდმეტს ძამას ხეობა
იყო ზე ათას ფერადი,
ამ ფერადებში მიირხეოდა
ძამა, როგორღაც მღერადი.
ძამა, ცხადია, არა მღეროდა,
მაგრამ, ცხადია ისიც,
ხმა ჩამესმოდა ანთუ ზემოდან,
ანთუ ტალღების მისის.
ვინ გადმოღვარა, რამ გადმოღვარა
ეს ზე ათასი ფერი...
იგია მპყრობი მაღლით გადმომდგარ
ციხის ამაყი მზერის.
ორთუბნის ირგვლივ სივრცეა,
იტყვი, —
ქვეყნებს დაიტევს მრავალს...
ქვეყნების წილს რომ ოცნებას იტევს,
ამას მეც ვხედავ თავად.
ჰოდა, ამ დღისით ძამას ხეობა
იყო ზე ათას ფერადი,
ამ ფერადებში მიირხეოდა
ძამა ფერადი, მღერადი;
ამ ფერადებში უფრო ჭარბობდა
მეწამული და ქარვა...
ეს მას ეკუთვნის დიდი მადლობა,
ვინც ეს მიდამო ქარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე ლურჯია ტეხური

ძალზე ლურჯია ტეხური,
ჩემს ოცნებაზეც ლურჯი,
ერთობ ურჩია ტეხური,
ჩემს ოცნებაზეც ურჩი, —
როგორაც უნდა ურჩიო,
მიდის, თავის გზით მიდის...
ტეხური ისე ლურჯია,
სულ არ უხდება ხიდი.

ტეხურის ლაღი ბუნება
ვერ ურიგდება ხიდებს,
თან ცისკენ უშლის ყურებას,
თან სულს უხუთავს კიდეც;
დგას ქუჯის ციხე მეფურად, —
არე-მიდამოს ბურჯი...
ძალზე ლურჯია ტეხური,
ჩემს ოცნებაზეც ლურჯი.

განი, განი, მთებო!

ზედობანი, ზედობანი,
ნაკაშიძის ცაცხვი,
არ მოუჩანს სივრცეს განი,
თვალიც გქონდეს საცრის;
არ მოუჩანს არეს კიდე,
გულის ძგერაც მეტობს...
გაიწიეთ, უფრო, კიდევ,
განი, განი, მთებო!
რა სხვაგვარი ჰაერია,
რა სიმწვანე ვრცელი,
რა სიმხნევე გამერია,
რა სხვაგვარად ვმღერი!
ჩემი სულის ძმას ვიგონებ,
პაიჭაძეს, სოსოს...
მას ხომ ამ ცის, ამ მთა-გორის
სიდიადე მოსავს;
არ მოუჩანს არეს კიდე,
გულის ძგერაც მეტობს...
გაიწიეთ კიდევ, კიდევ,
განი, განი, მთებო!

განათებული თუთარჩელათი

კალანდიების მყუდრო ოჯახი,
ოჯახის რძალი — წარმტაცი თუთა...
ჩვენ გვაძალებდნენ მსუბუქ ოჯალეშს
და... უფრო ცხადად მოჩანდა ურთა.
ეს ოჯალეში, ეს ჰოუ ნანა,
ჯუმის წყალი და მაღალი ურთა,
როგორ ადვილად, მსუბუქად, თანაც
რა დიდის ძალით მოიწევს გულთან.
კალანდიების მყუდრო ოჯახი,
ოჯახის თავი — ჭაღარა გეგე...
როდესაც მწუხრის ფერი მოჯარდა,
სულის შემძვრელად გამოჩნდა ეგეც.

აწ... თუთარჩელაც იელვებს მალე —
ულევი ვერცხლის მარადი მფლობი,
არემარეთი ბრწყინდება თვალი,
გული — უმეტეს სავსეა ტრფობით.
კალანდიების მყუდრო ოჯახი,
ოჯახის სამი წერწეტა ცირა
და სამი ვაჟი... ვისი დანახვით
არარა დარდი არ გიღირს ჩირად...
აქ ყოველ ბგერას სევდა ანათებს,
სევდა ნატიფი, მკაცრად ფერადი;
ამღერებული ჰოუ ნანათი,
განათებული თუთარჩელათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსულ კორძაია

შენ უკვე შენ ხარ

შენ უკვე შენ ხარ! და შენ ხარ, რადგან
მიწვდი, რომ ქვეყნად შენი გაჩენა
ნიშნავს ამ ზეცის ისევ და ახლად,
კიდევ ერთხელ და კვლავ გადარჩენას.

მიწვდი! და ჟამი იშლება გზებად,
გზებად, რისთვისაც ხარ გაჩენილი.
და ხედავ, როგორ იხსნება ზეცა
ზეცა, შენს მიერ გადარჩენილი.

●

რაღაც გაწამებს... სხვა მისაწვდომი,
სხვა გზა, სხვა ზეცა, სხვა მოლანდება,
სხვა სივრცეები და სხვა ნახტომი,
სხვა სიყვარული და მონატრება.

სხვა სიცოცხლე და სხვა ამაღლება,
სხვა გაზაფხულთა მწუხრის ფერები,
სხვა ოცნებათა ამონათება,
სხვა ზარი, სხვა ხმა, სხვა სიმღერები,

სხვა საოცრება, სხვა ზმანებები,
სხვა ნაპირი და სხვა დასაპყრობი,
სხვა გაელვების ცეცხლის ენები,
სხვა ელვარებით სავსე მნათობი,

სულ სხვა საწყისი და სულ სხვა ბოლო,
სხვა განგება და სულ სხვა ღმერთები,
...ეწამე სულო! ესაა მხოლოდ,
რითაც სამყაროს გზებს უერთდები.

●

ხომ მართლა იყო და ჩემში იყო
სიყრმის დღეები, ზეცა, სიზმრები,
ის უსახელო და უთარიღო
მწვერვალები და კათარზისები.

ხომ ხელში მეპყრა რიონის ტალღა,
ხომ მმორჩილებდა არსი ყოველი,
რაც ჩემში იყო... რად გახდა ახლა,
რად გახდა ასე მიუწვდომელი...

●

კვლავ ცოცხალია ყველა ის მწუხრი,
ყველა ის გზა და ყველა ტკივილი,
იმ მარტის თოვლიც და ზამთრის
სუსხიც.
ის მთებიც და ის ტალღაც ყვირილის,

იმ ნატვრის სევდაც, უსაზღვრო სევდაც,
ყველა შეხვედრა და განშორება,
კვლავ ცოცხალია... რადგან იმ დღეთა
ექოა მთელი ჩემი ცხოვრება.

იკორთა

აღმართი შეწყდა და მოლოდინში
მაინც უეცრად გაჩნდა ტაძარი,
სიმაღლე — ჟამთა შემძვრელ ტკივილში
ხანძრით, ქარით და მზით გადამწვარი.

სივრცე ცახცახებს შუადღის სიცხით,
შორს უკიდია ცეცხლი ტირიფონს,
...და დგას ტაძარი ისე, ვით ბიძგი,
რომ მე ვიფიქრო და სულ ვიფიქრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიუვარული მეორედ

არ შეგეშინდეს! ერთბაშად მოგწყდა
სამყარო, შენ რომ სამყაროდ თვლიდი,
მოგწყდა და ახლა ნისლივით მოჩანს
უცებ გადახსნილ სივრცეებს იქით.

მაღლდები! სადღაც შორეთში რჩება
ტკივილი, უხმოდ დარეკილ ზარში,
და ჩნდება, სულ სხვა ნაპირი ჩნდება
და სულ სხვა ზეცა გვეხსნება ცაში.

●

გელის მაღალი ზეცა მცხეთაში
და ალავერდის ნათელი გელის,
გელის დიდგორში, მტერთა ძლევაში,
აელვარებულ დროშების ფერი,

გელის ნანგრევი არმაზის კართან,
როგოც პირველი ლოცვის სიწმინდე,
მათ ვერ აცდები... რადგან შენს თავთან,
საკუთარ თავთან უნდა მიხვიდე.

ათასჯერ გავჩნდი

ათასჯერ გავჩნდი!
და ყოველ ჟამში,
ახლად გაჩენის უახლეს გზებზეც
კვლავ ვპოულობდი ჩემს არსებაში
ახალ გზების და სიცოცხლის მძებნელს.

ახალ განსასჯელს
და სულის ახალ შრეთა მიგნებით
სიცოცხლის გზებზე გავჩნდი ათასჯერ.

კვლავ ვპოულობდი
ახალ სიმაღლეს,
ახალ სიღრმეს და

კვლავ ვცოცხლობ!
და კვლავ ჰქრიან ქარები,
გადახსნილია ჟამი და სივრცე
და ახალ გზებით მივექანები
ისევ ახალი გაჩენის დღისკენ.

●

რაღაც, შენს ფიქრზე უფრო მაღალი
და შენს ხილვებზე მეტის დამტევი,
შენს გაფრენებზე უფრო ფრთამალი,
შენს ოცნებებზე უფრო ნათელი.

რაღაც, ჯერ კიდევ ამოუხსნელი
გტკივა
და ახალ სიზმრებს მოელი,
გტკივა, ჯერ კიდევ გამოუთქმელი,
გტკივა, ჯერ კიდევ შეუცნობელი.

უკანასკნელი ფოთლები

უკანასკნელი ჭკნება ფოთლები,
სივრცე ივსება ყვითელ ფანტობით,
თვალსაწიერო, კვლავ იმოსები
ქარით, ნოემბრით და შემოდგომით.

ერთად ატოტებს მირიად არგანს,
აწყდება ხეებს ნოემბრის ქარი
და ფოთლებს რჩებათ, სულ ერთი,
მაგრამ
უსაზღვრობაში გაფრენის წამი.

ამ ფოთოლცვენის უსაზღვროებაში

ამ ფოთოლცვენის უსაზღვრობაში
შემოჭრილია როგორც სინათლე
ის დღე, როს მზის და ჟამის ჭკნობაში
მთებში მაღალი ნატვრით მინატრე.

შემოჭრილია... და კვლავ ელვარებს
იმ შემოდგომის ფერთა ნაკადი
და ათოვს, ათოვს ირგვლივ ყველაფერს
ეს დღე... იმ დღიდან გადმონახატი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან დედოფლის უკანასკნელი ღამე

რაღა დარჩა... ხვალინდელი
მზე, ვით ბოლო წერტილი,
და ეს ღამე, მრუმე ღამე,
ღამე ძილდაშრეტილი.

სიკვდილს ელი... შენს სიცოცხლეს,
უმწარესს და უწმინდესს,
ეს სიკვდილიც გარდუვალი
თვითონ გადაუწყვიტე.

თვითონ! შენ! და სულში კვის
ზარი ზარზე მიჯრილი,
სიკვდილს ელის დედოფალი
შენგან სიკვდილმისჯილი.

სხვა არავის ნაყარ წილს,
სხვა არავის არჩევანს
არ შეეძლო, რომ შირაზი
ეზღო შენთვის სასჯელად.

შენ შეგეძლო, მხოლოდ შენ და...
და მხოლოდ შენ შესძელი...

სულში ისევ კვის ზარი,
ზარი — ყამის შემძვრელი...

ეს შენ თვითონ... და ჰა, ელი
შირაზსა და წამებას,
რომ იქ, გრემში, რომ იქ, ჯვარზე
ისევ რეკონ ზარებმა.

და სიკვდილის დამთრგუნველი
სიკვდილის გზით მიდიხარ...
ეს შენ თვითონ... უარყოფა
შეაგებე წილისყრას...

რაღა დარჩა... ხვალინდელი
მზე, ვით ბოლო წერტილი,
და ეს ღამე, ბოლო ღამე,
ღამე ძილდაშრეტილი.

ცეცხლს ამოაქვს ზმანებიდან
ალი ალზე მიჯრილი,
სიკვდილს ელის დედოფალი
შენგან სიკვდილმისჯილი.

●

ზეცა მძიმეა, მღვრიე და ბლანტი,
უსახო, როგორც ფერი ჭაობის,
ზანტად და ნელა გვშორდება მარტი
დღეთა გაყინულ სანახობით.

სულს უნდა: შორი დასალიერი
და ზეცა, ათას ხილვის მთოველი,
და მზენასვამი თვალსაწიერი —
დასასრულობის უარმყოფელი.

ახლაც იმ პირველ...

ახლაც იმ პირველ ხილვის სიმაღლით,
იმ პირველ განცდით და პირველ
წვდომით,
მავსებს თმოგვი და მიხმობს სიღნაღი,
მაფორიაქებს არშა და წრომი.

მაინც იმ ზარით, პირველი ზარით,
ახლაც იმ ხმებით, პირველი ხმებით,
მავსებს ცის ფონზე მოჭრილი ჯვარი,
მაფორიაქებს არმაზის მთები.

იმ პირველ ხილვას ჩაუქრობ სევდით,
ახლაც იმ პირველ, იდუმალ ფერით,
მავსებს ზეკარი და კაცხის სვეტი,
მაფორიაქებს მოქვი და გრემი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ კობერიძე

თეთრი ღიმილი

რომანი

პირველი მარიკა გამოერკვა.

— კარგი, კარგი, მოისვენე.

გურამ სავანელმა ხელები კისერზე მოხვია, თვალებში აკოცა.

— წავედით და, იცოდე, თუ კიდევ დამირღვევ მყუდროებას, ვაი შენი ბრალი!

გურამ სავანელმა ჯარისკაცივით შუბლთან მიიტანა ხელი:

— გისმენ და გემორჩილები, ჩემო მეუფეო.

მანქანა ნელა დაძრა.

— ცოტა აუჩქარე, თორემ ნამდვილად ჩამეძინება.

— ერთი ეს მითხარი, ეს კასეტა საიდან? — სიჩქარე გამოცვალა.

მარიკას თვალებში სევდა ჩაუდგა.

— ვინახავდი.

— სულ ჩანთით დაგჭონდა?

— არა, მაგრამ ვიცოდი, რომ დღეს მოხვიდოდი და წამოვიღე.

— იცოდი? საიდან!

— სხვა გზა არ გქონდა, თუ გიყვარდი; არ მოხვიდოდი დღეს და სამუდამოდ დაკარგული ვიყავი შენთვის. ამას კი, იქნებ გაუთვითცნობიერებლად, მაგრამ ყოველთვის გრძნობდი. ჰოდა, მეც გელოდი. მთელი დღე ფანჯარაში ყურებით დამწყდა თვალები.

გურამ სავანელს ჩაეღიმა.

— არადა, უცბად გადაწყვიტე. ისე, ეტყობა, ჩემი ქვეცნობიერი მთელი ეს ორი დღე მმუხტავდა, რაღაც მაწვალებდა, მოსვენებადაკარგული დავბორიალებდი. რომ არ მოესულიყავი, რას იზამდი?

— ერინებს შევეეღრებოდი, დაესაჯე.

გურამ სავანელმა ამოოხრა.

— რა იყო, — მარიკა იდაყვით ტორპედოს დაეყრდნო, თვალები ანკი ბავშვივით უბრწყინავდა. — რა მოგვიდა, ყველაფერი რიგზეა. კაცმა რომ თქვას, ახლა, ამ წუთში, თუ ვინმეს რაიმე აქვს დასაკარგი, ეს მე ვარ, მაგრამ, როგორც ხედავ, ეს ამბავი სულ არ მაწუხებს.

გურამ სავანელმა ხელისგულზე აკოცა.

— მაინც სად იყავი აქამდე?

— ეჰ, ჩემო ოდისეესო, მთავარია, ცოტა ხნით მაინც დამიბრუნდი, სხვა კი არაფერი აღარ მინდა. დღეს ბედნიერი ქალი ვარ, გასაგებია? და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, — მხარზე მიეყრდნო. — ხელს ხომ არ გიშლი? — გურამ სავანელმა ხელი მოხვია, თმაზე აკოცა. — ისე, ერთი მხრივ კარგია, ასე რომ მოხდა, თორემ ადრე არც ვისურვებდი და ვერც შევძლებდი ასეთი ნაბიჯის გადადგმას.

— კალამბური ვერ გავიგე...

— როგორ აგიხსნა, — ფიქრიანი მზერა მიაპყრო. — რატომღაც ყოველთვის ვთვლიდი, ჩემს სამყაროს არავინ არ უნდა შეეხებოდა. საკუთარი ცხოვრებით მინდოდა მეცხოვრა. ამის საშუალებას შენ არ მომცემდი, — სახე დაეძაბა, — შენ ნებაზე მოინდომებდი, შეგეკაზმე, მერე კი, ალბათ, გამაქროლებდი გიჟური სისწრაფით, დამირღვევდი ყველა რიტმს და, მინდოდა თუ არ მინდოდა, გაგიდნილ, მორჩილ ფაშატად მაქცევდი. მაშინ ძალიან მიყვარდა ჩემგან შექმნილი სამყარო და ამას არც ვისურვებდი. ჯემალი შენი ანტიპოდია. გავიცანი თუ არა, დავინახე კაცი, რომელიც ზუსტად ისე მაცხოვრებდა, როგორც მსურდა, — ამოიოხრა, — ალბათ, ამიტომაც დავთანხმდი მამაჩემს, ჯემალს გავყოლოდ ცოლად. ჩემს შეცდომას პირველსავე ღამეს მივხვდი. ჯემალის სხეულის სიახლოვე შევიგრძენი თუ არა, ავირე. უცხო იყო, ვერ მივეკარე, სითბოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაშინ მივხვდი, ეგრეთ წოდებული „ჩემი სამყარო“ მხოლოდ და მხოლოდ ჩემს გაუთელ სხეულთან ერთად არსებობდა, იმ წამს კი ყველაფერი ტალახში ამისვარა. ჯემალთან სიახლოვე წამებად მექცა. თანდათან საკუთარი თავისადმი ზიზღიც დამეუფლა. ყოველი ცისმარე დღე შვებას მგვრიდა, ყოველი ძილისპირული ამაზრზენ ყოფას მიქადდა.

ერთხანს მაინც ვებრძოდი თავს. ვცდილობდი, ჯემალის სხეულის სითბო ენებაში აღმექვა. არაფერი გამომივიდა. საბოლოოდ კი დრმამ თქვა გადამწყვეტი სიტყვა: მისმა უწყინარმა, გატკბილებულმა რიტმმა დამიმონა, ყოველივეს შემაგუა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა, მაგრამ ყველაფერი მოჩენება ყოფილი. დაგი-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 4

ნახე თუ არა, რეტი დამეხა, ვნებამ გამთანგა. ვერ წარმოიდგენ, როგორ ველოდი შენს პირველ სიტყვას, ხოლო როცა მოკიე, თრთოლამ შემიპყრო. ძლიან გამოვიღე ბალატიდან, კარი მეიხურე თუ არა, კინაღამ ჩავიკეცე. ყველა ნაკვთი დამმდუღეროდა და მალამოდ შენს ალერსს მთხოვდა. საორდინატორომდე როგორ მივალწიე, არ ვიცი, არ მახსოვს. გოგნეკობელი ივჯეკი მაგიდასთან და ერთ წერტილს მიეჩერებოდი უაზროდ. ხმაური რომ შემომესმა — ავადმყოფი გაიპარო, გონს მაშინღა მოვედი.

იმ წამიდან ველი. შენ რა იცი, რა ველოდა ოთა იყო ჩემთვის შემდგომი ღღეები. კარგად მესმოდა, თუ არ მოხვიდოდი, ყველანირი შანსი მეკარგებოდა, ოდესმე ქალურად ბედნიერი ეყოფილიყავი. შინაგანად მუდამ მჯეროდა, რომ აუცილებლად გამოჩნდებოდი. ასე რომ, იცოდე, რაც უნდა მოხდეს შემდგომში, ერთი წამითაც არ ვინანებ იმას, რის გაკეთებასაც ახლა ვაპირებ, — სიგარეტს მოუკიდა, გზას გაშეშებული მზერა მიაპყრო.

გურამ სავანელს სიტყვა ყელში გახერგოდა, ბედნიერების შეგრძნებას მთლიანად დაეპყრო და მონუსხული, ცრემლმომდგარი იდიოტივით იღიმოდა.

ბორჯომში საკმაოდ ცივდა.

— სოკო ხომ არ გვეჭამა თუ ჯერ პარკში გავისეირნოთ?

— ურიგო აზრი არ არის. თუ ნაცნობი გყავს, სასტუმროში ცოტას მოვისვენებდი, იქნებ ცხელი წყალიც იყოს. ახლა აბაზანა მაცხონებდა.

— რაღაცას მოვიფიქრებ.

— კარგი, ახლა პარკში გავისეირნოთ.

გურამ სავანელმა ხელკავი გამოსწო.

— გაზაფხულზე ბორჯომს ვერაფერი შეედრება, — ჰაერი ღრმად შეისუნთქა.

— ზამთარში კიდევ მათუმს, არა? — მარიკას ტუჩებზე ტკბილი ირონია აუთამაშდა. — მშფოთვარე ზღვა, უკაცრიელ პლაჟზე მიტოვებული ქალიკი მდგარი სოკოს ქვეშ ყავახანა, — ხმაში რაღაც იდუმალი დარდი შეეპარა.— ფერად-ფერადი ოცნებები, რომელთაც ახლენი არ უწერია, ბუღაბრნე აშრიალებული ყვითელი ფოთლები, მეეზოვედ რომ ქარი ჰყავთ, — მიეხუტა. — ვიცით, ბატონო, ვიცით, რომ ეს თქვენნი ცხოვრების რომანტიზმია და ნუ შეგვჭამთ მათზე გაუთავებელი ღაღადით.

გურამ სავანელმა გაიღიმა, ხიდან გამხმარი გირჩი მოწყვიტა.

— თბილისში რომელ საათზე ვბრუნდებითო?

— საქმე გაქვს რამე?

— მე არა, მაგრამ...

— მე დღეს საავადმყოფოში ვმორიგეობ, გასაგებია?

გურამ სავანელი შემობრუნდა: მარიკას თვალებში თბილი, სიყვარულით სავსე ცრემლები ულიცლიცებდნა.

— მიდი, ყურში რაღაც გითხრა, — ხელი მოხვია, — იცი, მაშინ, რომ დაგაკოცე, ლექსი დავწერე და პირველად წუხელ შენს ფანჯრებს წავუკითხე.

— ხომ მეტყვი? — ხმა აუთრთოლდა.

გურამ სავანელი ყელზე აკოცა.

ისე დათენდათ, ვერც შეამჩნიეს. ღილით ადრიანად გამოვიდნენ. მთელი გზა გაბუტულებივით ისხდნენ. ხმა არ გაუღიათ. თავისი სახლის აღმართთან მარიკა უსიტყვოდ ჩამოვიდა, გურამ სავანელმა ერთხანს უყურა; მარიკას ნაბიჯებში რაღაც გათანგა შეიგრძნო, ტუჩი მოიკვნიტა. „ნაერეტიკოსალმა ცეცხლს მისცა სიყვარული, აწი შეუძლია უფრო გაშმაგებით იგალობოს „ოსანა“, — გაფეცლა. იგრძნო, როგორ გაიკინა ძარღვებში სისხლი. მანქანა მოაბრუნა.

— თუ ბორჯომში აპირებდი წასვლას, არ უნდა დადგებარებინა? ნათია გადაირია, ქალაქის ყველა საავადმყოფო შეძრა. რომ არ დაგეჩეკა, ალბათ, გაგიყდებოდა, — უსაყვედურა დედამ.

— რა ვიცი, დედაჩემო, უცაბად ისეთი საქმე გამომჩნნდა, არ წავსულიყავი, არაფრით არ შეიძლებოდა. ჩემთან ვინმეს ხომ არ დაურეკავს?

— ვინ არ დარეკა, რომ? წუხელ დიტო ჩაჩიბაიას თოფი დაუხლია შუბლში.

— მერე?.. ერთთვად აკანკალდა.

— გადარჩა. საავადმყოფოში წევს.

„ეგეც ვერ მოახერხა“. თავბრუ დაეხვა, „რა არამზადა ვარ, ეგ რამ მაფიქრებინა“. ტელეფონს ეცა, — თქვენ ვინ გაგაგებინოთ?

— მგონი ვაჟამ, ზუსტად არ ვიცი, ნათიას ელაპარაკნენ.

ნათიას სამსახურის ტელეფონის ნომერი აკრიფა. დაკავებული იყო. თამაზ გუბგენიძეს დარეკა, იქაც არავინ პასუხობდა. ყურმილი დაკიდა, აბაზანაში შევიდა, პირი დიბანა, ტელეფონმა დარეკა.

„სად დაიკარგე, ბიჭო“, — ჯონდო მესხის ხმა იყო.

„მერე აგიხსნი. საიდან რეკავ?“

„სტუდიიდან, ყველანი შენ გელოდებით“.

„მალე მოვალ“.

ჩაფიქრდა. ნათიასთან ორჯერ დარეკა ზედიზედ. როგორც იქნა, გაეიდა ზარი.

„ნათი, ახლა საყვედურების დრო არ არის. დიტო რომელ საავადმყოფოში წევს?

„პირველში“.

„კარგი, ენახავ და პირდაპირ სახლში მოვალ“.

„შეგიძლია სულ არ მობრძანდე“, — ნათიამ ყურმილი დადო.

საავრძელში ჩაესვენა, სიგარეტს მოუკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერაფრით ვერ გადაეწყვიტა, მისულიყო საავადმყოფოში თუ არა. „რა სინდისით უნდა შევხედო, რა ვუთხრა“, — ჩაიბუტბუტა. ვაჟა ზანდუკელის ტელეფონის ნომერი აკრიფა, მაგრამ გადაიფიქრა. ეალიდოული მოიძია, სახლიდან გავიდა.

სადარბაზოს გამოსასვლელთან შეჩერდა. „ახლა საპესთან რომ დავჯდე, ნაღდად რაღაცას შევასკდები“. ქუჩას უაზროდ დაუყვა. მანქანის მკვეთრ დამუხრუჭებაზე გამოერკვა.

— კიდევ კარგი, დაგიჭირე, — ტაქსის ფანჯრიდან თავი თამაზ გურგენიძემ გამოჰყო. — დაჯექი, მჯირდები.

გურამ სავანელმა ყურადღებით შეათვალიერა. ჩაჯდა.

— რა მოხდა, ადამიანის ფერი აღარ გადევს.

— ნაილიმ დამირეკა, ისრაელში მიედევარ და შენი ნახვა მინდაო.

— მერე მე რა შუაში ვარ?

— ხომ იცი, ჩემს არეულ ცხოვრებაში ნაილის რა ადგილი უკავია. მე თვითონ ვერ გამგია, რა აზრები მტრიალებს თავში, შენ თუ არ დამიდექი ბურჯივით, დიდი შანსია, ავფრინო.

— სად უნდა ნახო?

— პარკში.

გურამ სავანელმა შენიშნა, როგორ უხტოდა ხელში ჩამქრალი სიგარეტი. გაიღიმა.

— გათხოვდა?

— არა. იქ ძმები ჰყავს. ეტყოსა, ახლა მთელი ოჯახი იყრება. მეგობარო, აქ შეგვიჩერე, — მძღოლს ფული მიაწოდა.

გურამ სავანელსაც გადაედო ნერვიული თოროლა.

— შორსაა?

— ბოლოში რომ სკამია, იქ უნდა იყოს.

— რომ არავინ ჩანს?

— მოვა, ალბათ.

საღამაგადაღილილი სკამის დანახვაზე თამაზ გურგენიძემ რაღაც ტკივილით ჩაილაპარაკა:

— ასი წლის მოხუცივით მოტეხილა. — ჩამოჯდა.

გურამ სავანელმა მიდამო მოათვალიერა. სიგარეტი ამოიღო, თამაზსაც მიაწოდა.

— რა იყო, მოგონებები მოგეძალნენ? — ნაილი ისე წამოადგათ თავზე, ვერც შენიშნეს. — შენ როგორ ხარ, გურამ.

გურამ სავანელი წამოდგა, გამარჯობაო, წაილუღლუღა. გაშეშებული თამაზი ადგილიდან ვერ იძვროდა.

ნაილის წლები დასტყობოდა, მაგრამ მიმზიდველობა მაინც არ დეკარგა.

— მე გავიელი, — მორიდებეა იგრძნობოდა გურამ სავანელის ხმაში.

— არა, გურამ, რახან თამაზმა მოგიყვანა, ესე იგი, ასე მიიჩნია საჭიროდ. დასამალიც არაფერი მაქვს, შენ ხომ ჩვენი რთული რომანის პერიპეტიების მოწმე ხარ.

— ბაღის რესტორანში შევიდეთ, — თამაზ გურგენიძეც წამოდგა, — მიხარია, რომ ასე კარგად გამოიყურები.

— რესტორანში? სწორია. რესტორანი ხომ ერთადერთი ადგილია, სადაც თამაზ გურგენიძე თავს ლაღად გრძნობს, ასე არაა, თამაზ? — ნაილის ყალბ ღიმილს ისტერია შეერია.

რესტორანში მომტანი ძველი მეგობარივით შეეგებათ.

— სად დაიკარგეთ, ასე უნდა დავიწყებამ? რას დალეთ, შამპანურს თუ კონიაკს?

— ერთსაც და მეორესაც, ხილი და ტკბილეულიც მოაყოლე, — თამაზ გურგენიძემ ნაილის მზერას თვალი აარიდა.

„მომკლავს დღეს ეს კაცი“, — გაიფიქრა გურამ სავანელმა.

მომტანის მოსვლამდე მონუსხულებივით ისხდნენ.

გურამ სავანელმა შამპანური გახსნა, ჩამოასხა, ერთხანს ჭიქას ჩააშტერდა.

— მე ვიტყვი, გურამ, — ნაილის ხმა გაბზარ-ვოდა. — ჰმ, ყველაზე ძნელი იმის შეგრძნება ყოფილა, როცა რაღაც სამდამოდ ქრება, მთავრდება. ახლა ვხვდები, მომაკვდავი რატომ ებღაუჭება სიცოცხლის ბოლო წამებს. საერთოდ, უკანასკნელ სურვილს ყველას უსრულებენ და, რა უფლება მქონდა, ჩემი სიყვარულისთვის უარი მეთქვა, — თვალებზე ცრემლი მოადგა. — თამაზ, შენს სიყვარულში ექვი არასოდეს შემპარვია, მაგრამ არც არასდროს მქონია ილუზია, რომ ჩვენ ოდესმე ერთად ვიქნებოდით. ჩემი ებრაელობა შენთვის გადაულახავი ზღურბლი იყო — არცაა გასაკვირი, შენ ხომ მაშინ „საქართველოს პატრიარქობაზე“ აცხადებდი პრეტენზიას, — როდესაც გიგე, ფეხმძიმედ ვიყავი და მაგშვის გაჩენას ვაპირებდი, გადაირიე, თამაზ ბიჭი გაბმულად ჩათვალე. რა დამავიწყეს, მთვრალი რომ გამომეცხადე. აქ მოგიყვანე. ბედის ირონია, ალბათ, სამუდამო განშორების დღესაც აქ რომ მოგხვდი. ერთი ბოილი არაყი გამოცალე, მეც მაძალებდი. მერე ბაღში გამიყვანე და მეემე. გახსოვს, რა გამეტებით მიტყლაშუნებდი? მტკიოდა, მაგრამ შენი მესმოდა — ამით ხომ აბობოკრებულ სიყვარულს ებრძოდი. გული მოიოხე და ცხვირსახოცი მომაჩიჩე — სისხლი მოიწმინდეო, მიბრძანე. რომ არ გავინძერი, ერთხელ კიდევ გამარტყი, სახე უხეშად მომწმინდე, უფრო სწორად, სისხლით მომითხუპნე. ქუჩაში გამათრიე, ტაქსში შემაგდე და გამიშვი. ფულის გადახდა არ დაგვიწყებია, — მწარედ გაეცინა. — შენ მაშინ მარტოობის განაჩენი გამოუტანე საკუთარ თავს. მთელი შენი შემდგომი ცხოვრება ხომ ამისი ნაოელი დადასტურებაა. მე სულელმა კი ბავშვი არ გავაჩინე. დღეს ბევრს ლაპარაკობენ ემანსიპაციაზე. სისულელეა. ვერც ერთი ქალი ვერ ააგებს წმინდა პეტრეს ტაძარს, ვერ დაწერს „ეფეზისტყოოსანს“ და, რაც მთავარია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ იქნება ღმერთი. ღვთისმშობელი კი, მაგრამ — ღმერთი, — ვერასოდეს. ქალის არსი სიცოცხლის გაჩენაშია და არა შექმნაში. ყოველთვის მძაღლნენ ქალები, რომელთაც ბუნებისაგან მომადლებული აქვთ ნიჭი სიცოცხლის გაჩენისა და არ აჩენენ, სხვისას კი ზრდიან. ეს, ალბათ, ყველაზე დიდი დანაშაულია. ჩემი ცოდვა ყველას აჭარბებს — ცოცხალს მოეუსწრაფე სიცოცხლე. ეს ცოდვა საფლავში ჩამყვება. სწორედ ამიტომ მივდივარ იმ დასაკარგავში. ყოველივესგან გარიყული, რაც მთავარია, სამშობლოსაგან მოშორებული უნდა ვეწამო და მანუგეშებელი არ არსებობ. შენ არაფერში გადანაშაულებ, — ორად ორი ცრემლი ჩამოუგორდა, — ისევ ისე მიყვარხარ. ბედნიერი ვარ, გნახე. ძალიან ბოხოვ, არაფერი თქვა, — თამაზ გურგენიძეს ამეტყველებული თვალები დახარა. — ერთსლა გეტყვი — ასე ნუ მიპყვები ცხოვრების დინებას. ვისაც თავისი ბედ-იღბალი მისთვის მიუნდია, ბეჩავად დაუმთავრებია სიცოცხლე. შენ კი... აბა, მშვიდობით!

წამოდგა. თამაზ გურგენიძესთან მივიდა. დაიჩოქა, ორივე ხელისგული დაუოცნა და ისე გაქრა, როგორც ბუტაფორიები დღესასწაულის შემდეგ.

ჩამოვარდნილი სიჩუმე ისე აყვირდა, რომ ბიბეებმა საფეთქლებზე ხელები აიფარეს.

თამაზ გურგენიძემ კონიაკი ჩამოასხა. უხმოდ დალიეს.

— მთელი ჩემი უბედურება იმაშია, რომ სულ მეშინია, — თამაზ გურგენიძე მოწყალების მთხოვნელივით იღიმებოდა. — პირველი დემონი მაშინ დამეუფლა, როცა მამამ მიგვატოვა. ახლაც თვალნათლივ ვხედავ დედის თვალებში ჩასახულებულ გიუსალოს შიშს. იმ წუთში იმედნად უსუფთაო იყო, მთელი არსებითი შემძრა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაცას მატლებივით უნდა გაგეცრისეთ. ეს შეგრძნება დიდხანს ბატონობდა ჩვენი სახლის კედლებში, დრო კი მიდიოდა. როგორც შემეძლო, ვებრძოდი შიშის ურჩხულს. ერთ დილას უბნის ყოჩაღაც მაღიარეს. ის დღე ლაღად გავატარე. მოსაღამოვდა. ბიბეები ფეხბურთს ვთამაშობდით, ვიღაცამ დამიძახა. პირველად ყურადღება არ მმიქცევია, მაგრამ ქეჩოში უზარმაზარი თათები რომ ჩამავლო და ჩაწოლებული თვალები დავინახე, თავზარი დამეცა. კუთხეში მიმიყვანა და ჩამსისინა, მე მამეფალ ძმა ვარ, ამ დილით შენ რომ გალახეო. მანამდე ყოჩაღ მამეფას ეძახდნენ. ჰოდა, ახლა ენახთო, ვინ ვის სცემსო. სიტყვა და სამმე ერთი იყო: ისეთი მტრუზა, კუთხეში მიმიგდო. თავი რომ ავწიე, პირველი, რაც დავინახე, მამეფას ზურისძიებით აღსავსე თვალები იყო. მოეკუნტე, მავედრებელი მზერა ბიბეებისაკენ გავაპარე. შეშინებული ცხრის ფარასავით მოშორებით იდგნენ და ადგილიდან არ იძეროდნენ. არ ვიცი, ისეთი რა სასოწარკვეთა ჩამიდგა იმ დროს თვალებში, რომ მამეფასაც კი შეეცოდე—ხელი არ მახლო. იმ დღის შემდეგ უბანში მთელი წელი ღარ გამოვჩენილვარ. შიშის დემონმა კი მეორე თავი გამოიბა, — ერთხანს ჩაფიქრდა, ნაფაზი დაარტყა. — გახსოვს, მეცხრე კლასში ჩემს გვერდით ერთი გოგონა იჯდა. ის შემიყვარდა. მთელი ნახევარი წელი იმის თქმაც ვერ გავუბედე, კინოში წავიდეთ-მეთქი. იმ დღეს ახალი შარვალი მეცვა, მზნეობა მომემატა და... გავბედე. თანხმობა მოვიღე. სახე გამიცისკროვნდა და... ფური ამეწკა. თავი აეწია. მასწავლებელთ წამომდგომოდა, ბორტაღად ქირქილებდა: ო, შე ტუტუცო მამაკაცო, გაეთრიე კლასიდანო. კლასი ახარხარდა, მე კი საღამოს სკოლაში გადავედი. ეს, ამბუნად აგდებულს კინოში ვინღა გამომყვებოდა, — დარდით ჩაიკინა. — იმ დღეს დემონს მესამე თავი ამოუვიდა. ახლა რომ მკითხო, რამდენი თავი აქვსო, ვერც დავთვლი. ისე, ყველს თავისი სახელი ჰქვია: მეგობრის ღალატი, მარტოსულობა, უმადურობა და, ვინ მოთვლის... ერთი ხანობა ვიდეკრე, მონასტერში წავალ-მეთქი, მაგრამ შემიყვარდა, ნაილი შემიყვარდა. ნაილი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ჩემი ცნობიერიდან ვანდევნილ ქვეცნობიერთან იდუმალი დიალოგი ჰქონდა. ჰორიზონტზე ბედნიერების კონტურები დაელანდე, მაგრამ ეშვის დემონი უდაბნოს ქარიშხალივით ამობოძოკოდა და მანამ არ ჩაწყნარდა, ვიდრე თავისი საქმე არ გააკეთა. დღე-ღამ ჩამძახოდა: ყველამ მიგატოვა და ვითომ ეს ტუტო რჯულს ქალი რატომ დაგინდობსო. როგორ არ ვიბრძოდი, მაგრამ გოეთე ხომ გახსოვს, „გენებას შეუძლია აგვიხსნას, მაგრამ ჩვენი დარწმუნება მას არ შეუძლია,“ ჰოდა, რა გასაკვირია, მანიაკად რომ ვიქეცე, ხოლო ამას რა მოჰყვა, შენც კარგად იცი. ბოლოს და ბოლოს, მივაგენი გამოსავალს. მისი არსი ძალიან მარტივია — აროდეს არ ვაკეთებ იმას, რასაც შეუძლია ჩემში ჩასახლებული დემონის გაღვიძება. პირველად გამიჭირდა, მაგრამ გულგრილობაა, ალბათ, ამქვეყნად ყველაზე ადვილად შესაძენი. ყველაფრის მიმართ სოიერად ინდიფერენტული გამხადა ისეთმა პრინციპმა. სულიერმა სიმშვიდემაც — რა გეკინება, ფიქრობ, სიცივეე, — არ დაყოფნა. დღეს ნაილიმ რომ დამირეკა, ამდენი წლის განმავლობაში პირველად დამერეკა წონასწორობა. ხომ იცი, ერთი ცეცხლი მეორეს ანელებს. შენ ჩემი ანტიპოდი ხარ — მეამბოხე ნატურა, ჰოდა, ახლა შენს თვალებში გადვიძებული ეულკანი ჩემსას ანელებს, — სარკასტულად ჩაისისინა. — მე ნელ-ნელა ეუბრუნდები საწყის მდგომარეობას, მისი ბოლო აკორდი კი ნაილის სადღეგრძელოა. ნაილის გაუმარჯოს! — შამპანური გამოცალა, ცარიელი ჭიქა მაგიდას დააჯედა.

გურამ სიდაბელიმაც დალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავიჯერო, ახლა არ გეშინია, — გაბჟუტა ხმა.

თამაზ გურგენიძემ ღრმა ნაფაზი დაარტყა, ტუჩები მოკუმა.

— გეტყვი. სიმართლეს გეტყვი. მხოლოდ შლეგური სიგიჟისება მეშინია, ისე არა, როგორც ადრე. პირველი ზღუბლი რომ გადალახულია, ნახევრად გიჟი ვარ, — ხმამაღლა, ცივად გაიცინა. — მაგრამ აი, იქ, იმ დაწესებულებაში მოხვედრის შესაძლებლობა მზარავს. ახლა იმისა მეშინია, კონტროლის უკანასკნელი ძაფი არ დამისხლტეს ხელიდან, თორემ მერე...

გურამ სავანელმა თვალებში ჩახედა. ცხაღლე დინნახა მეგობრის თვალებში შმაგი სენი. შამპანური სახეში შეასხა,

— ეს რა ჰქენი!

თამაზ გურგენიძე წამოიწია, მაგრამ გურამ სავანელმა დაასწრო, — სილა გაჰწნა.

თამაზ გურგენიძეს ზამთარში ცად აზიდული მთებივით ნაცრისფერი დაედო. სახე მოიწმინდა, სკამს ორივე ხელით დაეყრდნო. თვალები თანდათან იმ ბედნიერი კაცივით მილულა, რომელმაც ეს-ესაა სატრფოს ბარათი მიიღო. გადაიხარხარა.

— გურამ, შენ ჩემზე მშიშარა ყოფილხარ.

გურამ სავანელმა დახედა.

— დავფრეთ?

— მაშ, როგორ!

კონიაკი შამპანურის ბოკლებით გამოცალეს.

— ადრე მსგავსი შეგარცნება ნაღდად არ მჭონია, მაგრამ საავადმყოფოში ისეთი სიზმარი ვნახე, თანაც ყოველივე ისე მენიშნა, ლმის არის, მეეკვსე სართულიდან ვისკუპო.

— რა ნახე ეგეთი?

ვიდრე გურამ სავანელი სიზმარს უყვებოდა, თამაზ გურგენიძე ანთებული თვალებით მისჩერებოდა.

— ისე, როგორ გგონია, წამოდგომა რომ მოინდომო, ადგები? — ჰკითხა, როცა გურამ სავანელმა თხრობა დაამთავრა.

გურამ სავანელს ალაგში მოქცეული სარდლის სასოწარკვეთა აღებეშდა.

— ფილმშიც არ გამომდის.

— შენ, გეტყობა, უსიტყვო კაპიტულაციამდე ბევრი აღარ გაკლია.

თამაზ გურგენიძემ ახლაღა შენიშნა გურამ სავანელის ჩალურჯებული თვალის უპეები, ღაწვებზე მწვანე მოწამბრივი ლაქები.

— არა, — გურამ სავანელმა თავი ნერვიულად გაიქნია. — არც ისეა საქმე, ინკვიზიტორებს. რომ ჰგონიათ, — ჩაფიქრდა, ნაჩქარევად დაამატა: — ჩემი წასვლის დროა, თუ გინდა, გამომყევი სტუდიაში, თუ სადგურზე გახვალ?

თამაზ გურგენიძე დარდად იქცა:

— რა საჭიროა. ერთხანს აქ დავრჩები, მერე დიტოს ვინახულებ.

— აბა, დროებით.

თვალი აარიდა, გასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

— ხომ მშვიდობაა, — ჯინდო მესმს საყვედური ბაგეზე შეაშრა, როცა გურამ სავანელის შეშლილ სახეს ჰკიდა თვალი.

— კი, კი, გალოდინეთ, არა?

— შენ მთვრალი ხარ? — ჯინდო მესმა გაოცება ვერ დამალა. — თავი ხომ არ მოგბეზრებია.

— ცოტა დავლიე.

— გურამ, არ გეწყინოს და, ასე მუშაობა შეუძლებელია.

— ყველაფერი რიგზეა. ჩემს ოთახში ვიქნები.

კარი გადაკეტა. სარკის წინ დაჯდა, ერთხანს თავის ორეულს მიაშტერდა, მერე უჯრიდან სცენარი ამოიღო. გადაშალა.

...სარკეში ჯერ არეულად, მერე ნელ-ნელა, ფოკუსში გასწორებული კადრივით ათამაშდნენ ტიტრები.

●

ბათუმში სექტემბრის შუა რიცხვებში ჩავიდა. ვაჟა ზანდუკელი, უკვე ერთი კვირა იყო, ელოდა და საყვედურებით ავსო.

სასტუმროში ტანზე გამოიცვალა და ბულვარს მიაშურა, ზღვის ტალღას შეუშვირა ხელი, წყალი სახეზე შეისხა. თავი თოიქმის ბედნიერად იგრძნო. ზღვის სანაპიროზე ბუფეტში კთხა ლუდი დალია (არადა, ლუდი არ უყვარდა, მხოლოდ ბათუმში უშვებდა გამონაკლისს). ზღვის სილაჟვარდეს თვალი გაუშტერა, რაღაც წამი დარდად იქცა. თავი ოდნავ შესამჩნევად ჩაბარა, მელანქოლიურმა ღიმილმა გადაურბინა. ორი კათხა ლუდი კიდევ აიღო და ვაჟა ზანდუკელისკენ გაემართა, რომელიც მოშორებით ჩამომჯდარიყო და თბილ ღიმილს არ აშორებდა.

— მორჩი რიტუალს?

— ჩვენაში გადამეზარდა, — გურამ სავანელი გაწითლდა. — როცა აქ ვარ, ყოველთვის მგონია, გამოჩნდებიან იალქნიანი ზღაპრული გემები და წამოყვანენ სადღაც შორს, უსასრულობაში.

ვაჟა ზანდუკელს გაეღიმა.

— მაგაზე, მგონი, ბავშვობაში ერთად ვოცნებობდით.

გურამ სავანელს სახეზე შორეულ მოგონებათა სევდა აღებეშდა. ნაბიჯი მძიმედ გადადგა.

— ვაჟა, ერთი რამ მოიცეს. ქართველები ძველისძველი ისტორიის მქონე ხალხი ვართ და, რამდენადაც ვიცი, არც ერთი საზღვაო ბრძოლა არ გადადგეხდია, ის კი არა, მგონი, პატარა ფლოტილიაც არა გვყოლია. საერთოდ, რატომღაც ვერიდებოდით ზღვასთან სიახლოვეს, არადა, ბუნებას არაფერი დაუშურებია ამისათ-

ვის, რომ ბრწყინვალე მეზღვაურები გვყოლოდა.

— მეც ბევრჯერ მომსვლია ეგ კითხვა თავში, ბევრიც მიფიქრია. ბოლოს კი, აი, რა ბრი დაგბადა: შორეულ წარსულში ჩვენი წინაპრები, მე მგონი, სანაკვნი მეზღვაურებიც იყვნენ ან ზღვა მეორე მეორე სამშობლოდაც მიანნდათ. ისინი ძლიერნი იყვნენ. თავიანთი სიძლიერის ნიშანსვეტიც გაანნდათ — ოქროს საწმისის სახით. მაგრამ ზღვიდან მოვიდნენ ვიღაც გადამთიელნი, მოპარეს საწმისი, წაჰგვარეს ყველაზე ლამაზი ქალი და გაუჩინარდნენ. ამის შემდეგ ქვეყანა აირია, ალბათ, ამ დროიდან უფრთხის ქართველი კაცი ზღვას, რადგან სწორედ მისი უსაზღვრო სივრცეებიდან მოვიდა უბედურება. ასეთი ვერაგობა ვერ ეაპატიეთ და განვუდექით. განდგომამ მემკვიდრეობითი ხასიათი მიიღო, მერე ნამდვილი მიზეზი დავიწყებას მიეცა, მაგრამ შინაგანი შიში მაინც დარჩა. ყოველივე ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა და დღემდე არც მითქვამს არაგისთვის.

გურამ სავანელის სახეზე ცნობისმოყვარეობა აღიბეჭდა.

— უცნაური მოსაზრებაა, არადა, ლამაზ მითსა ჰგავს. სხვისი არ ვიცი და, მე საოცრად მიყვარს ზღვა, ბათუმს ხომ ვერაფერი შედარება. ცხოვრებაში აქ პირველად ვიყავი „მომლოდინე ბედნიერი“. სწორად გამიგე, მაშინ იმ ოჭიკინა ადამიანთა კატეგორიას ეეკუთვნოდი, რომელმაც იცის, რომ მის ცხოვრებაში დრო არაკეთილ როლს არ თამაშობს. დიდი ბედნიერება ყოფილა, როცა ვინმეს ელოდები, ის ოგვანებს, შენ კი ეს ამბავი სულაც არ გაწუხებს, რადგანაც გჯერა, ფწამს, აუცილებლად მოვა, ცისკარივით გაანათებს და ცხოვრებას ლამაზ რითმებად გიქცევს, — იდაყვს დაეყრდნო, თვალებში შორეულ მოგონებათა სხივი ჩაუდგა. — უნდა ეგნახა, რა სასაცილო იყო ლუდის კათხით ხელში. მიყურებდა და მეჩურჩულებოდა, ამა, მითხარი, დღეს რა ლექსი მიძღვენილი. მე კი წინა ღამით შეთხზულ ათასგვარ სისულელეს ვბუტბუტებდი... გეგეყოფა ამაზე ლაპარაკი. აქ როგორი ამინდები იყო?

— არა უშავდა. ერთი სიცრარიზი მაქეს შენთვის,

— თქვი, ნუ მაწვალებ, — მოუსვენრობა დაეტყო.

— მარიკაა ჩამოსული. ყოველ საღამოს ბავშვს ასეირნებს ბულვარზე.

გურამ სავანელი წამოდგა, მაგნოლიის ფოთოლი მოწყვიტა, ორად გაკეცა, ტუჩებთან მიიტანა, მწკლარტე შეგრძნებამ თითქოს გამოაფხიზლა.

— ელაპარაკე?

— როგორ არა. როცა ეუთხარი, შენ გელოდებოდი, ღაწვებში ისე მრავლისმეტყველად შეეფაკაცა...

გურამ სავანელმა მაგნოლიის ფოთოლი პერანგის ჯიბეში ჩაიცურა, ღილი შეიკრა, სგგ-რატის კოლოფი ისროლა.

— არ დაჯდა. ესე იგი, — შუბლი შეეჭმეხნოდა, სევდამორეული ღიმილი დასთამაშებდა ბაგეზე. — უნდა შევიდეთ რესტორანში, რაც ფული მაქვს, დავამღერით და ამდამევე თბილისისკენ ავუსვეთ.

— რას ბოდავ, ხომ არ გაიფრინე!

— ბერბიჭის კვალობაზე ცოტა ჭკვიანი მგონიხარ. ყურადღებით მომისმინე. ახლა რასაც გეტყვი, შეიძლება ცოტა თეატრალური ელფერი დაკარგდეს, მაგრამ, როცა გაიაზრებ, მიხვდები, სწორი ვარ. პირველი — მე ნათია ძალიან მიყვარს; მეორე — ჩემი ბიჭი ქვეყანას მირჩევნია და მესამე — არა ვარ იმის კაცი, ჩემი ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებად ვიღაცის სულში საწამლავი მოვადუღო.

— აი, შენი გაკვანარ ბარტყები ფუ გაკვანან. ქალი დღედაღამ იმის ფიქრშია, სად და როგორ შეგზददეს, მაგრამ შენ ეგა თქვი, აი იქ, სულის ჯურღმულში რომ გაკავს ჩაბუდებული მაგნე არსება, იმისი გეშინია. ქეიფით კი ვითომ რატომ არ უნდა ვიქეიფოთ.

„ახლა ამასთან ლაპარაკი უაზრობაა“, — გაიფიქრა გურამ სავანელმა.

●

კაკუნმა გამოარკვია. კარი გაიღო. ზღურბლთან ჯონდო მესხი იდგა.

— რას მობეზეზლარ, შემოდი; იცი, ახლა რა გამახსენდა? — გურამ სავანელი წამოწოლილ-ბულიყო. — შენ და ქეთინოს ქურდები რომ დაგბეზდნენ და ხოშიანად გბეგვეს, ჯიბეში სამი მანეთის მეტი რატომ არა გაქვსო. მაშინაც სწორედ ასე გამოიყურებოდი.

— აბა, ბიჭო, — სკამზე ჩამოჯდა. — ერთ კეირაში ქორწილი უნდა მქონდა და როგორ შევარცხეი სიძე კაცი.

— არა, ეფეკტურად იქცეოდაო, — სახეზე მსეზეუეი ირონია აუთამაშდა. — თურქე მთელი ხმით გაიძახოდი, ქალს ხელი არ ახლოთ და მე, თუ ვინდათ, მომ...კალითო.

— აბა, აბა, ასეთები არ იყოს, — ლაღი განწყობა ჯონდო მესხსაც გადაედო. — მთელი დღე სად ბრძანდებოდი. ისეთი აკარხლებული ხარ, ნაღდად წნეკვ გაქეს.

— წნეკვ არა, იხვის ტოლმა. მომისმენე, იმ ეპიზოდის შეცვლა მოგვიწევს, ჩვენი გმირი ზღვიდან რომ გამოიპარა, ძველ სიყვარულს არ შეეხვდეო.

— რას ამბობ, გურამ, ეგ ხომ ყველაფერს აგვირეკავს.

— არა, არ აგვირეკავ. აუცილებლად უნდა შეხვდეს და ელაპარაკოს. იქნება სწორედ ამ შეხვედრაშია მათი ბედნიერება.

— შენს თავს რაღაც ამბავია და, ძალიან გთხოვ, მაგით საერთო საქმეს ნუ აურევ. ხვალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირაა, არა? ზეგ დილით დუბლები უნდა გავსინჯოთ, სამე ბლიმად დაგვიგროვდა, შენ კი სულ გაგვიტყიურდი. ზღვაზე გადაღებებს იმ კვირაში დავიწყებთ და მაგაზე იქ ვილაპარაკოთ.

გურამ სავანელმა კუმბაღ შეხედა.

— როგორც ეთქვი, ისე იქნება.

— კარგი, ახლა არაა მაგის დრო. წაველი, დღეს მეტი აღარ დაამატო, თორემ მოკვდები.

გურამ სავანელმა ერთხანს უაზროდ უყურა ნახეკრად მიხურულ კარს. „პირველი სარდალი გადამიდგა,“ ჩაილაპარაკა, კურტაკი ჩამოხსნა, დაბლა ჩაკიდა. ვაჟა ზანდუკელს დაურეკა.

„როგორა გრძნობს თავს ბატონი დიტო?“

„უკეთ. ახლა ეაპირებდი წასვლას“.

გურამ სავანელმა კედელზე ჩამოკიდებული საათისკენ გაიპარა თვალი.

„თხუთმეტ წუთში გამოსასვლელთან შეგხვდები“, — არადა, როგორ არ მინდა ახლა დიტოს ნახვა, — ბოდმაგახეთქილი ხმით ჩაილაპარაკა.

ტაქსი გაიჩერა. ვაჟა ზანდუკელი უკვე უცდიდა.

— ერთი, დაწვრილებით მითხარი, რა მოხდა.

— სახლში აღელვებული მისული, საკმელი უჭამია, ლოჭიაში დიდხანს გაშეშებული მჯდარა, მთელი კოლოფი სიგარეტი დაუცლია, მერე ამდგარა და ბატუმისის ჰოლანდი-ჰოლანდი შუბლში უგდეკია. ეტყობა, გასროლისას ლული ზეკით აკარდა და ამან გადაარჩინა.

— საღამოთი ჩემთან იყო.

— რაო, რამ გამაგიეთ?

— არ იცი მაგის ბოთე თავის ამბავი? რას იტყოდა. არადა, მეც რაღაც ეშმაკი შემოჯდა და მივახალე, ასეთ ყოფას სიკვდილი სჯობიამეთქი.

— მაშ, შენც ესროლე ქვა?

გურამ სავანელს სიზმარი გაახსენდა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, დახეკა. „რას ვუყურებ, დიტოს სისხლს ხომ არ ვეძებ“. გაკერეოლა. არ ელოდა ფიქრთა ასეთ სრბოლას.

— ვაჟა, ვერ ვნახავ ახლა მე დიტოს, არ შემიძლია.

ვაჟა ზანდუკელმა გადმოხედა.

— შენ იცი.

— სახლში ვიქნები, ამოდი, რაღაცა მაქვს საოქმელი.

სახლისკენ მიმავალმა ნუგზარ დავითაიას ჰოჯარა თვალი — პალტომოეკილი, ქუჩას უაზროდ მიუყვებოდა. „დავუძახო თუ არ დავუძახო“. გაახსენდა, ერთი ასეკრ მაინც აარიდა თვალი. ყელში რაღაც ისე მოაწვა, კინაღამ დაახრჩო. მთელი ხმით იყვირა:

— ნუგზარ, ნუგზარ!

ნუგზარ დავითაიამ პირველად ვერც იცნო, მერე რაღაც უაზროდ გაუღიმა. გურამ სავანელმა შენიშნა, კბილები თითქმის აღარ შერჩენოდა.

— შენა ხარ გურამ?

— ერთმანეთი გადაკოცნეს.

— მაპატიე, ვერც კი წარმოიდგენ, რამდენჯერ აგარიდე თვალი. ხომ იცი ცხოვრება, სულ სადღაც ჯანდაბაში გიჩქარება კაცს.

— არა უშავს. მეც შეგენშნე, მივხვდი კიდეც, თვალი რომ ამარიდე, მაგრამ, დამერწმუნე, არ მწყენია. ყველამ თავისი გზით უნდა სდიოს ილუზიებს.

— ჩემკენ რატომ არ შემოხვალ?

— რა მინდა. მოწყალების მისაღებად მოვიდე თუ სამადლოდ დამალვენინებ, — შუბლი დაეღარა. — გურამ, ისე, სჯობია, ეი, ისე, შემთხვევით. სხვა სიტუაციაში ჩვენს ტანდემს აშკარად შეუფერებელი ელფერი დაჰკრავს.

გურამ სავანელმა ინანა გზის გამრდადება.

— პენსია რამდენი გაქვს?

— მყოფნის... რაღაც გეწერნა. ნუ სულელობ, თუ ძმა ხარ. თუ გცალია, წამოდი, თითო კათხა ლუდი დავლიოთ.

გურამ სავანელმა შვებით ამოისუნთქა. ხელკავი გამოსდო.

— აგერ, სასოსისეში შევიდეთ.

კუთხეში მიდგნენ. გურამ სავანელმა ლუდი მოსვა.

— ცოლს რატომ არ ირთავ? გინდა, სამსახურს გიშოვი.

ნუგზარ დავითაიამ თავი გაიქნია.

— ნუ იცი ასეთი ლაპარაკი. ინვალიდი კაცვარ, მაგრამ თავმოყვარეობა არ დამიკარგავს. რაც მსურდა, იმას ვეღარასოდეს შევწვდები, სხვა კი არ მინდა.

— რატომ იმარხავ წინასწარ თავს. კაცები არა ვართ? მთავარია, მოინდომო, ჩვენც დაგეხმარებით.

— მერამდენედ მეუბნები მაგას, აბა, გაიხსენე, — სარკაზმად იქცა. — მე რომ ოდესმე შენი სიტყვები მერწმუნა, ახლა, ალბათ, გისოსებში გამომწყვდეული გიყი ვიქნებოდი. ისე, მჯერა, გულით გინდა, დამეხმარო, მაგრამ შენი ამბავი არ იცი? იმდენი საქმე გამოგიჩნდება, რომ სადღა გეცლება იმ კაცისთვის, რომელსაც თოფით საკუთარი ძმა შემოაკედა და მას შემდეგ განწირული, შემზარავი გოდება გახელებული ცხენივით უთავბოლოდ დაატენებს, — მარჯვენა ხელი კეფასთან მიიტანა. — გავიქეცი, თორემ შეიძლება შტეცვა დამეწყოს. გთხოვ, აწი, როცა ჩემს „შენიშვნას“ გადაწყვეტ, ავადმყოფ ქვეცნობიერს ნუღარ გამიღიზიანებ. ყველა ადამიანს თავისი ბრძოლა აქვს და...

სწრაფი ნაბიჯით გავიდა, ქუჩას დაუყვა. სიარულში ხელებს ისე იშვლეიდნდა, თითქოს ვილაცას ეკამათებოდა.

გურამ სავანელი სახლამდე ფეხით მივიდა. მთელი გზა ნუგზარ დავითაიას ბუდეში ჩავარდნილი, ცისფერი თვალები საყვედურობდნენ: „ხვალ იმდენი საქმე გამოგიჩნდება, რომ სადღა გეცლება იმ კაცისთვის, რომელსაც თოფით

საკუთარი ძმა შემოკვდა და მას შემდეგ გაწყრიანული, შემზარავი გოდება გახელებული ცხენივით უთავბოლოდ დაკუნტნებს.“

კარს გასალება მოარო. „ნუგზარის ტრაგედიას უფრო სერიოზული წვდომა უნდა“, — გაიფიქრა, კარი გააღო. „მოვედ საყდარში და იწყება „ოსანა“. — ჩაილაპარაკა, კურტაკი გაიხადა. ოთახში შვიდი. — „ჯერის სიმძიმე სადაა, აი, ვეგრძენი, — წელში მოიხარა. — აწი ყველაფერი ჩემდა სასიკეთოდ მოხდება“.

მთელი ოჯახი ლოჯიაში ტელევიზორს უყურებდა. კობამ, როგორც კი მამა დალანდა, ტელევიზორის თავი ანება.

— მამიკო, ხვალ ხომ წამიყვან ფეხბურთზე?

— როდის იყო, გატყუებდი. დილით მთაწმინდაზე გავისეირნოთ, საღამოს ფეხბურთზე წავიდეთ. როგორაა საქმეები, — სუნთქვა შეიკრა, ოჯახის წევრებს ალკოჰოლის სუნი რომ არ ეგრძნოთ.

— ფეხზე არ უნდა გაიხადო? — პირველი შეტევა დედამ წამოიწყო.

— სუფთა მაქვს, — გაღიზიანების დამალვა არც უცდია.

საძინებელში გავიდა, სკიტერი გაიხადა, სკამზე დაუდვეგრად მოისროლა, საწოლზე გაიშოტა.

— სად ბრძანდებოდი მთელი ორი დღე? — ნათია საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

— წუხელ ბორჯომში, დღეს — სტუდიაში.

— რა ვინდოდა ბორჯომში?

— ძალიან გთხოვ, ახლა ნუ დამიწყებ. დაღლილი ვარ. დასვენება მინდა.

— შენ ნასვამი ხარ? — ნათიამ შეიცხადა.

— ორი ქილა ბავარიული ლუდი მოიტანა ჯონდომ და სულმა წამძლია. არის რამე ტელევიზორში?

— არ ვიცი. დავიღალე ამდენი ნერვიულობით, მეტი ალარ შემიძლია. აქეთ შენზე დარდი, იქით ბავშვი, სამსახური...

— სამსახური, თორემ შენც კოსმოსურ ცენტრში მუშაობ, — შენიშნა, ნათია მოთმინებას კარგადაა, წამოიწია. — ნათია, გენაცვალე, მართლა დავიღალე. ერთმა ცნობილმა მოჭადრაკემ, იცი, რა თქვა: ერთ ნათამაშევ პარტიაზე იმდენი ენერგია მეხარჯება, პატარა ელექტროსადგურს ეყოფოდაო. მე კი დღისით და ღამით სულ ძიგბაში ვარ, ძილშიც კი მესიზმრება ხოლმე გაფრანდავი ადგილები. ზოგჯერ ლამისაა გავგიჟდე. დღეში ათჯერ მიწევს წნევა. მიკვირს, სისხლი როგორ არ მექცევა ტკინში. შენ კი, იმის მაგივრად, ხელი შემიწყო, მხარში ამომიდგე, აქეთ მიშლი ნერვებს.

— როგორ უნდა შეგიწყო ხელი, როდისმე სახლში ბრძანდები? თუ მოხვედი და, სიტყვას ვერ გთქმევინებს ადამიანი. ზღუბრლს გადმოაბიჯებ თუ არა, გაიძახი, დაღლილი ვარ, დამასვენეთო. ახა, ახლა ერთი რომელიმე ძმაკაცი მოგვიდეს, მაშინვე დაგავიწყდება დაღლაც, სამუშაოც, სიხარულით გადაირეკი. მაგალითად, ეგენ არავინ გინდა.

— ეეე, შენებურად გაუტიე, არა? დამტოვე, სამუშაო მაქვს.

სავარძელში ჩაჯდა, ფეხები გათბობის სექციას მიაბჯინა. „შეუსაბამო ტანდემი“, — ჩაილაპარაკა.

...ეკარანზე კვლავ ათამაშდნენ ტიტრები.

●

პაემნების ოთახში აღელვებული შვიდი. ჩაფიქრებული მამა მეკრიდნი ჩაიკრა.

— რა მოხდა, ხომ მშვიდობაა. გუშინ ბიჭები იყვნენ, ყველანი კარგად არიან, ამ თვეში ვერ გინახულებენ და არ ინერვიულო. დედა ხომ კარგად არის, სიდღან გაჩნდი? — მიაყარა სხაპასხუპით.

— ყველანი კარგადა ვართ, შვილო, უბრალოდ, ნებართვა მომეცეს და მოვედი, არ გიხარია?

— როგორ არა, მაგრამ... — თვალებში გამომცდელად ჩახედა. — არა, რაღაც ამბავია. უარს ხომ არ ამბობენ ჩემს წარდგინებაზე?

— არა, ნუ გეშინია, ახალ წელს ერთად შევხვდებით, — მამამ იმ ობილი ღიმილით გაუღიმა, რომელიც ესოდენ ხიბლავდა და, როგორც უნდა ყოფილიყო გაჯიუტებული, ფარ-ხმალს აყრევინებდა.

ჩანთა გახსნა, სიგარეტის ბლოკი ამოიღო, მაგიდაზე დადო.

— გურეკო, ერთ საკითხზე უნდა მოგეთათბირო.

კვლავ ავმა წინათგრძნობამ მოიცვა. სიგარეტს ნერვიულად მოუკიდა.

— გისმენ, მამა.

— გურამ, დგებერდი, ალბათ, იმიტომ გეუბნები ამას. ჩემი ერთადერთი ძე ხარ, ჩემი და დედაშენის კავშირის საშუალებელი. გევედრები, ნუ ამოგვიყვან ისე სულს, სიცოცხლის ბოლოს შენს თვალებს არ შევეყურებდეთ.

— რას ამბობ, მამა, მართლა ხომ არ დამიბერდი! — გვერდით მიუჯდა, ლოყაზე აკოცა.

— შვილო, ხომ იცი, გამწარებულ კაცს ადამიანები უფრო ცუდები ეჩვენებიან, ვიდრე სინამდვილეშია.

— ოუ, პირიქით, — გურამ სავანელს ცინიზმმა გადაჰკრა. — გამძაფრებული იმპულსი უფრო ცხადდება ააშკარავებს ზოგიერთის სულს.

— არა, დამიჯერე, ეგ იმპულსი ხშირად ცუდ სამსახურს უწევს ადამიანს. გაბოროტებულ კაცს ჯერ არავისთვის სიკეთე არ მოუტანია,

ნოდარ კოზერიძე
თეთრი ღრუბელი

ხოლო, ვინც სიკეთეს არ თესავს, ეგოისტია, არავინ უყვარს. შენ არა გაქვს ეგეთი გული.

— რა შუაშია ახლა, მამა, ასეთი ლაპარაკი. მე რაც შემემთხვა, არავის ვამტყუნებ, არც არავისზე მომლის გული. აქედან გამოვადწევ და მერე სულ ერთად ვიქნებით. დისერტაციასაც დავიცავ, ცოლსაც მოვიყვან, გეყოლება უამრავი შვილიშვილი და ვიცხოვრებთ ისე ტკბილად, როგორც ზღაპარში.

გიორგი სავანელმა ცრემლი გადაყლაპა.

— გურამ, მე შენთვის არასოდეს არაფერი მითხოვია...

— თქვი, მამა, ისეთი რა უნდა იყოს, რომ არ შეგისრულო...

— გურამ, — სუნთქვაშეკრულმა წარმოსთქვა. — გუშინ მარიკას მამა იყო ჩვენთან.

— მერე? — მოიქუფრა.

— არაფერთან არ დაუშვებს თქვენს შეუღლებას. სწორიც არის, მეფისხელა თანამდებობა აქვს და ჩვენ დაგვიმოყვრდება?

— რაო?! ამაღამვე მოვაყვანინებ მის ქალიშვილს და მერე, გაბახებული, ვისზეც უნდა, იმაზე გაათხოვოს.

— გურამ, ჩემი გულისთვის უნდა დათმო.

— შენ რა შუაში ხარ?

— თუ ეგ მსზვერპლი არ გაიღე, მე ლაბორატორიის დატოვება მომიწევს, ეს კი, ხომ იცი, ჩემს სიკვდილს ნიშნავს.

— სტუფი, მამაჩემო — ოთახში ნერვიულად გაბიჯა. — მაგას ვინ დაიჯერებს, რომ გიორგი სავანელმა შვილის ბედნიერება ბაზრიული გარიგებით თავის სასარგებლოდ მოაკვარახვინა. უმაღ ტყვიას იხლიდი შუბლში, — გურამ სავანელში ცოფმორეული ნაგაზი ჩასახლებულიყო. — თუმცა, მოიცადე, — ხმამაღლა გაეცინა. — ნაღდია, ოჰ, მე მაგის სისხლი დავლიე. შეგაშინა, არა, რომ აქ ამომლაპობს. თუ კაცი ვყოფილვარ, ვამპირივით გამოვწევ სისხლს, — მჯიღი მკერდში ჩაირტყა.

გიორგი სავანელი მუხლებზე დაემხო.

— რას შვრები, მამაჩემო, ხომ არ შეიშალე!

— გევედრები, განზე მაინც გადექი, გაათავისუფლე მარიკა პირობისგან. ნუ მამცირებ, გურამ.

გურამ სავანელმა თითქმის ძალით წამოაყენა, საკოდავად მობუზულ მამას თვალებში აკოცა. სახეზე ცივი ღიმილი აეკრა.

— რა პირობებზე ლაპარაკობ, მამა, რომელ დროში ცხოვრობ. შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ.

სიგარეტის ბლოკი აიღო, ოთახიდან გავიდა.

მთელი დღე თავგზააბნეული დაბორიალებდა ზონაში. ერთი ხანობა გაქცევაც იფიქრა, მაგრამ წამს მამის მაკვირებელი თვალები და მიცემული სიტყვა ეღობებოდა. რა ექნა, ალარ იცოდა. წინ კედე, სულ ცოტა, ექვსი უსასრულო, გატყლარტული თვე ელოდა. „როგორმე თავი უნდა მოვთოკო, მოვთოკო“, იმეორებდა წამდაწუმ.

კოოპერატიული მშენებლობის ყოფილმა თავმჯდომარემ შეაჩერა.

— რა იყო, ბატონო ვახტანგ, — კეპი გაუსწორა.

— გურამ, რაღაც აფორიაქებული ვარ და რამენაირად იქნება მიშველო.

შენიშნა, შარავალზე ღილი ასწყდომოდა და ჩანჩურასაკით მისთვრევდა.

— მე ექიმი ვარ და არა ღმერთი. თუმცა შეეცადეთ, ბავშვობაში მოწყენისას ან ბუტიაობის დროს რაზედაც გული გადგიყოლებიათ, ის გააკეთოთ ახლაც.

— სწორი ხარ, ხომ იცი, — მხარზე მხიარულად შემოჭკრა ხელი. გაბრუნება დააპირა. გურამ სავანელმა შეაჩერა.

— მაინც რას აყოლებდი ბავშვობაში გულს?

— მე-ე? — კაცს სახეზე ოცნების ღაღი ღიმილი აუთამაშდა, — ავიღებდი რუკას და ახალ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ვახდენდი. შენ, შენ რას აკეთებდი?

— მე რომელიმე ცნობილი სარდლის წაგებული ბრძოლის მოგებას ვცდილობდი, — თვალებში სხივი ჩაუდგა, — აბა, ახალ აღმოჩენებს გისურვებ.

— შენ კი აუსტერლიცის მზის ამობრწყინებას.

— სჯობია ვატერლოოს ბედის ჩარხის წაღმა დაბრუნება მისუოვო.

— მასე იყოს.

კეპიანი ბიბლიოთეკისკენ გაემართა. „იქნებ კინომთხრობა დამეწერა,“ გაიფიქრა, მაგრამ წამს დაცინვით ჩაილაპარაკა: „მერე რეჟისორი გავხდები და ფილმსაც გადავიღებ ჩემს არეულ სიყვარულზე“.

●

ტელევიზორში „მოამბე“ დაიწყო. „ნეტავ, ვაჟა რატომ არ მოვიდა?“ — სიგარეტი ჩააქრო, სამზარეულოში „ბორჯომი“ დალია. პულსი გაისინჯა. „რა გაათენებს ამ ღამეს“, — გაიფიქრა. კობა შემოვიდა.

— მამა, დედამ არ გშიაო?

— რა გაქვს საჭმელი, — გასძახა.

— კარტოფილია შემწყვარი.

გურამ სავანელმა პური მოიტეხა, ტაფას თავსახური ახადა, ფეხზე მდგომი ილუკმებოდა. ზარმა დარეკა.

„ბორჯომი“ მოსვა. კარი გააღო, სახე გაუნათდა.

— ნოდარს გაუმარჯოს. საიდან სადაო. შემოდით, რა კარებში გაჩერებულხართ. ნათია, დედა, ნანეთ, ვინ გვესტუმრა.

ნოდარ თალაკვაძე გადაკოცნეს. ვაჟა ზანდუკელმა ჯიბიდან საღეჭი რეზინა ამოიღო, კობას გაუწოდა.

— სად დაგვეკარგე, შვილო, რატომ აღარ ჩანხარ.

— რა ვიცი, დედა ანიკო, იმდენი საქმე მაქვს, საკუთარი ოჯახისთვის ვეღარ მომიცლია.

— მეორე გურამი. რა ხართ ამისთანა მოუცლელები. დასხედით, რა ფეხზე დგახართ.

გურამ სავანელმა კარადიდან კონიაკი გამოიღო.

— ნათია, გენაცვალე, რამე ტკბილი შემოგვიტანე.

— ვაჟამ მითხრა, ცუდად ყოფილხარ.

— არც ისე... — სიგარეტს მოუკიდა. — გაიარა ყველაფერმა.

ვაჟა ზანდუკელმა ისე გახედა, აშკარად გაიფიქრა, შენ რა უნდა გელაპარაკოო, ნამცხვარი გადაიღო.

— დიტომ — აუცილებლად მოვიდესო.

— როგორ არის?

— ერთ კვირაში ფეხზე იქნება.

— ხვალ ვნახავ. შენ სადა ხარ, ნოდარ, — ნოდარ თალაკვაძეს მიუბრუნდა, — საუკუნეა, არ მინახიხარ. ისევ ბლოკის „ცეხში“ ჩალიჩობ?

ნოდარ თალაკვაძე მაგიდას დაეყრდნო, სახე მუშტებში მოიქცია. ჩასუქებულ ლოყებში წვრილი თვალები სულ ჩაეკარგა.

— სწორედ მაგის საქმეზე ვართ მოსულები; აბა, გავვიმარჯოს. სიკეთე და სიხარული არ მოკლებოდეს ამ ოჯახს! — ვაჟა ზანდუკელმა კონიაკი გადაკრა.

— გაგვიმარჯოს. შენს მოსვლას გაუმარჯოს, ნოდარ, — სირაზი მიუპატიჟა.

— ნათია, დეიდა ანიკო, კობა, ბიძიკო, გაგიმარჯოთ!

— გურამ, რაღაც საქმე გქონდა, — ვაჟა ზანდუკელმა კობას შოკოლადი მიაწოდა.

გურამ სავანელმა უხერხულად გაიღიმა.

— ისეთი არაფერი, სხვა დროს გეტყვი.

მეგობრები თორმეტ საათზე გაიცალა. ზანტად გაიხადა, უხმოდ დაწვა.

თვალი რომ გაახილა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უსასრულოდ სძინებოდა. საათს შეხედა — ხუთის თხუთმეტი წუთი იყო, ჰაერი არ ჰყოფნიდა, გული გამალებით უცემდა. ტუალეტერზე ვალიდოლი მოიძია, ენის ქვეშ ჩაიდო; წამოდგა, კარადიდან კომპოტი გამოიღო, წყალში გაახვა, მოსვა. შეაცივა, ლოგინში ჩათბუნდა. თვალის დახუჭვა არც უფიქრია (იცოდა, ანლა აღარ დაეძინებოდა). საჩვენებელი თითი ვენას დაადო. პულსი აჩქარებული ჰქონდა. შიში შეეპარა: „ასე დიდხანს ვერ გავაწევ“.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ნათიამ ნამძინარევი თვალები მოისრისა.

— არა, ცოტა გულმა ამირია.

— ისე ხარ მობუზული, შეგაცივა. თუ გინდა, გადმოწექი ჩემთან.

გურამ სავანელი ცოლს ჩაეხუტა.

— მორჩა, ხვალიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ: სამსახური—სახლი.

ნათიას სახეზე ირონიამ გადაურბინა.

— მერამდენედ ამბობ მაგას, აბა, გაიხსენე? ერთი კვირა მაინც თუ გაგაყოლია ისეთ დროს ნათქვამი. მართლა რამე რომ მოგვიდეს, ჩვენ ვის ამარა გვტოვებ?

— გითხარი, უკანასკნელია-მეთქი. მაისის ბოლოს ფილმს მოვრჩები და დასასვენებლად წავიდეთ.

— მერე საქმეები? როდისმე ვყოფილვართ ერთად დასასვენებლად?

— კარგი ახლა, ნერვებს ნუ მიშლი.

— ბავშვსაც ენატრები. ერთთავად იმას გაიძახის, მამა როდის მოვალო. დაიწყდა ბავშვს თვალები შენს ლოდინში. მეორე გააჩინეო... ვის გავუჩინო, შენ თუ არ იქნები.

— ნუ გამიწყალე გული. გირჩევნია, წვეთები დამალეკინო.

— აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია, — ხალათი შემოიცვა. — შენმა გაუთავებელმა უფუნებობამ მომკლა. ჯერ სადა ხარ, დილით საერთოდ ვეღარ ადგები.

გურამ სავანელმა პულსი კვლავ გაისინჯა. „ღმერთო, შენ მიშველე,“ — ჩაილაპარაკა.

ნათიას ნამძინარევი დედა შემოჰყვა.

— ნემსი ხომ არ გაგიკეთო, გურამ?

— დაიძინე, არაფერი მინდა.

წვეთები დალია. ნათიას თმაში სახე მოზრდილ კენგურუსავით ჩამალა. „მაინც როგორ მოვიგებდით მე და ნაპოლეონი ვატერლოოს“, — გაიფიქრა და დაიწყო ვატერლოოს ჩვენება.

ცხრა საათზე კობას ხმამ გამოაღვიძა — მე და მამა ფეხბურთზე მივდივართო. დარუმბებულ კიდურებს უკმაყოფილოდ დახედა. თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტყო, მობილურობის შეგრძნება არ დაკარგეთ.

— ნათია, კობა!

ორივემ ერთდროულად შემოაღო კარი.

— დღეს ხომ მივდივართ ფეხბურთზე?

— როდის იყო, გატეკუნდი. ნათია, აბაზანა მომიმზადე.

ტელევიზორი ჩართო. „მგონი, გადავრჩი“, — გაიფიქრა. ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ნათიამ აიღო.

— ზაზა ხუციანიძეა, რა ეუთხრა?

— მომაწოდე.

ბალიში გაისწორა.

„ძმას სიცოცხლე“.

„შე ზარმაცო, ისევ გძინავს? დღეს რას აკეთებ?“

„არაფერს. რა იყო რო?“ — ასაფეთქებლად გამზადებულ ნათიას ანიშნა, ჩუმად იყავიო.

„სტუმრები მყავს, ჰოდა, დავით გარეჯში მინდა წავიყვანო. ხომ არ წამოხვიდოდი?“

„საიდან არიან?“

„მერე გეტყვი. შენ ისა თქვი, მოდიხარ თუ არა. თუ წამოხვალ, კონიაპარატი წამოიღე“

გურამ სავანელი შეყოფნდა, ხათრს ვერ უტეხდა. ნათიამ კარი მოაჯახუნა.

„ბიჭო, დღეს რომ კიდევ დავიკარგო, ოჯახში ნაღდად მეორე ფრონტი გამეხსნება“.

ყურმილში სიცილი გაისმა.

„მეც მასე არა ვარ. კარგი. ერთი-ორი საათი მაინც გაასეირნე ქალაქში, მანამ მეც ჩემს საქმეებს მოვაგვარებ და გაგათავისუფლებ“.

„საიდან მირეკავ?“

„ნახევარ საათში „ევერიასთან“ მოდი“.

„კარგი“.

— ნათია, ნათია! კობას ჩააცეი.

— კიდევ ბოელი დღით იკარგები? ბავშვი სადღა მიგყავს?

— არა, კაცო, რომ ვიკარგებოდე, ბავშვს წაეიყვანდი? შენც რას აკეთებ, წამოდი. ზაზას სტუმრები ჰყოლია და მთხოვა, ქარეულა დაათვალიერებინეო, მთაწმინდაზეც ავალთ.

როგორც კი სტუმრებს დაშორდნენ, ნათიამ ლოყაზე აკოცა.

— ძალიან მიყვარხარ, არადა, რა შესაყვარებელი ხარ.

გურამ სავანელმა მედიდური იერი მიიღო.

— არიციას თავგადასავალი ხომ გახსოვს. იქ არიცია, იციასთან შედარებით, ხომ უარყოფითი პერსონაჟია, მაგრამ ბავშვებს არიცია უფრო უყვართ. ის კი არადა, ცდილობენ, მასაკით თავაწყვეტილები იყვნენ, ინავრობაში ტოლი არ დაუდონ, ნა, საერთოდ, ყველფერში მიჰბაძონ. ეს იმიტომ ხდება, რომ არიციაში არის რაღაც რომანტიკული, თუ გინდა, პოეტურიც. არიცია ეფექაცია, იცია კი გამომშრალი ორცხობილაა და, რაც უნდა დიდებული სკმე ჩაიდინოს, არიციას ხიბლი მაინც არ ეწნება. ჰოდა, ჩემშიც არიციას სული ბობოქრობს.

ნათიამ გადაიკისკისა.

— ნამცხვარი რომ უნდა გვეჭამა?

— ბენზინს ჩავასხამ და, კი, ბატონო.

— მამა, ეაჯა-ფშაველს საფლავზე რატომ ენთო სანთელი?

— ეს, შვილო, ერთგვარი პატეიისცემაა დიდი პოეტის მიმართ. სანთლები სიმბოლოდ უნდა აღიქვა მისი სულიდან დანთებული ცეცხლისა და ხალხიც ცდილობს აგრერიგად გამოხატოს ბუმბერაზი პოეტის თაყვანისცემა.

— სტუმრებს ხატის ყიდვა რაღად უნდოდათ? განა მათ კეეყანაში არ არის ხატები? ანდა უარი რატომ უთხარით?

— არის, როგორ არ არის, მაგრამ ჩვენმა კულტურამ იმდენად დიდი წელილი შეიტანა კაცობრიობის განვითარებაში, რომ ყოველი ქართული ხელოვნების ნიმუშის ქონა ყველა ქვეყნისათვის საამაყოა, მით უმეტეს, კოლექციონერისათვის. გახსოვს, მეზეუეში მინაქრის ხატები გაჩვენე. ხომ მოგიყვეი ზოგიერთი მათგანის ისტორიაც, რა არ გადახდათ. მათი ფრაგმენტები მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებს ამშვენებს. აბა, თუ გახსოვს, ვის მიუძღვის უდიდესი ღვაწლი ჩვენი საეანძურის გადარჩენაში?

— ექვთიმე თაყაიშვილს.

ბენზინზე რიგი იდგა. მაჩვენებელს შეხედა, მეყოფაო, გაიფიქრა, შვილს თავზე ხელი გადაუსვა, მანქანა მოაბრუნა.

— ყოჩაღ! ნათია, შენთვის მგონი არ მომიყოლია დამასკოელ ქართველისა და მისი წმინდა გიორგის ხატის ამბავი.

— არა.

— დამასკოში ერთი ქართველი გავიცანი. იქ იყო დამბადებული, მაგრამ ქართული იცოდა. გაცნობის მეორე დღეს ძვირფასი თვლებით მოოქვილი წმინდა გიორგის ხატი მომიტანა და ერთ ამბავს მიმიყვა. თურმე მის პაპას ძვირფასი ხატი წამოეღია საქართველოდან, მერე ხატი უკვალოდ გაქრა.ალა, ახლა ამ შვილშვილს თავისი ხელით გაუკეთებია წმინდა გიორგის ხატი, ძვირფასი ქვებით შეუმკია და მთხოვა, საქართველოში წამომეღო და ეკლესიისთვის შემეწირა. ამით წინაპრების სულსაც ვიხსნი და მეც ნეტარი ვიქნებიო. უარს როგორ ვეტყოდი, მაგრამ საზღვარზე მთელი ამბავი ატყდა, არ მატანდნენ. საელჩოს და ექსპერტების ჩარევა დაგვჭირდა, რომ დაგვიმტკიცებინა, ხატს არავითარი ისტორიული ღირებულება არ ჰქონდა. ჩამოვიტანე და ყველი წესის დაცვით ეპისკოპოსს გადავეცი. ერთხელ წავიყვან, გაჩვენებ, წმინდა გიორგის ეკლესიაშია. საბუთები იმ ქართველს გადაუგზავნე, მადლობის ბარათიც მივიღე. თან იწერებოდა, ფულს ვიგზავებ, მინდა, შვილები საქართველოში სასწავლებლად გამოვგზავნო, სამშობლოს ნოსტალგიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამლია კაცი. არადა, ხომ გითხარი, საქართველოში არც იყო ნამყოფი.

— ქართველებისთვის ნოსტალგია, ალბათ, თვითგადარჩენის ინსტინქტია.

— უდავოდ მაგან გადაგვარჩინა. ეგ გრძნობა რომ არა, ისედაც ერთი მუქა ხალი რთული ისტორიული ქარტეხილების დროს სულ გავიფანტებოდით ან დიდი ერები ისე ჩაგვლაპავდნენ, როგორც ქვიშა ნემსს. ახლა ჩვენი მდგომარეობა სტატიერია და, ალბათ, საუკეთესო გამოსავალიცაა ამ პირობებში. დღევანდელი ქართველის ძირითადი მოვალეობა, მე მგონი, იმაში მდგომარეობს, ქვეყანას ჭეშმარიტი პატრიოტი გაუზარდოს და, რაც მთავარია, ენა შინაარჩუნოს. ეაი, კინაღამ გავიცდინ! — მანქანა დაამუხრუჭა. — აბა, გადმოდით.

დედის გვერდით ხტუნვა-ხტუნვით მიმავალ შვილს თვალი გააყოლა. უცბად მარიკა გაახსენდა. „ალარ შეეხვდები“, — ჩაილაპარაკა. წამს იგრძნო, ტყუოდა. უცბად გაორდა.

გაორების ამ შეგრძნებამ მთელი საღამო ჩააშხამა. ფეხბურთიდან დაბრუნებულმა თავი პირდაპირ ლოგინში შერგო. ერთხანს წიგნის წაკითხვა სცადა, მერე ტელევიზორი ჩართო. არაფერი არ უნდოდა, ეფიქრა იმაზე, რამაც ასე აფორიაქა.

დამამშვიდებელი აბი მიიღო, მაგრამ დამშვიდების მაგიერად პანიკამ შეიპყრო. იფიქრა, ჩავიცვამ და ქუჩაში გავბოდიალდებიო, მაგრამ ოჯახის წევრთა სახეები რომ წარმოიდგინა, წამს გადაიფიქრა. „ისანა“, — დაიყვირა მთელი ხმით. ნათია შემოვიდა.

— რა გაყვირებს, ხომ არ შეიშალე?

— ბევრი არაფერი მიკლია.

„ეეუხსტყაოსანი“ გადმოიღო. ხმამაღლა წაიკითხა ავთანდილის ანდერძი, მერე გალატონის, ტიერანის, გოგლის ლექსებს გაიძახოდა, შიგადაშიგ თავიანებიც შეაპარა. როცა დაიღალა, ზღაპრების წიგნი მოძებნა და ამირანის ზღაპრის კითხვაში ჩაეძინა. სიზმრად კოშმართა მთელი სერიალი ნახა. როგორც კი ინთა, თვალები დააჭუტა. ბედდა, წყალი მოდიოდა. ამაზანა მიიღო, წვერი გაიპარსა. ოდეკოლონსა ტონუსი აუწია. თავი თითქმის მხნედ იგრძნო, რაღაც მელოდია წაიღიღინა. დედის ოთახში შეიხედა. ბებია-შვილიშვილს უკვე ეღვიძათ.

— აბა, ადექით. კობა, სკოლაში დაგიგვიანდება. დღეს თუ დროზე მოვედი, კონსტრუქტორი ავაწყოთ. წავედი.

თაფლში შეზავებული წყალი დალია, კარი ფრთხილად მიიხურა.

უკანა საბურავი ჩაშვებული დახვდა. მთელი განწყობა გაუფუჭდა. „დავითარსე“, ხელის თითებს სინანულით დახედა. სათადარიგო საბურავი ამოიღო, დაიყარა. ხელები ტილოთი შეიწმინდა. „ახლა რომ არ დაიქოქოს, ნამდვილად გავაფრენ“, — გასაღები გადაატრიალა. მოტორი ათუხთუხდა. შეებით ამოისუნთქა, ოდნავ განიმეტხა. დასკვრილი ხელები ახლა უფრო საგულდაგულოდ გაიწმინდა.

სტუდიაში მარტო ფილმის დირიჟერტორი დახვდა. თხოვა, ჯონდო მესხი და დამდგმელი ოპერატორი რომ გამორწყნენ, გამაგებინეო. კვირის საღამოო გეგმაში ჩაიხედა. „დღეს რთული დღე მექნება. დუბლებიც გასასინჯია. ნეტავ, მონოლოგი თავიდან არ გამიხდეს გასაკეთებელი და რა უნდა იმ ძმერთს“. ჩაილაპარაკა, სკენარი გადაშალა.

...ტიტრები ამოძრავდნენ.

●

ეკა ზანდუკელმა, როგორც თავად ამბობდა, თავისუფლების ჰაერი დიდხანს არ ასუნთქა და თავის განყოფილებაში დაუწყვინია მუშაობა მორიგე ექიმად. სამორიგეოდ მარტო მაინც არ ტოვებდნენ — ყოველთვის ეიღაც რჩებოდა, აქაოდა, ზამთარია და ტრავმებმა იმატო, ამით ხსნიდნენ ფარულ უნდობლობას. გურამ სავანელს სიამოვნებდა კიდეც შექმნილი სიტუაცია, განველილ სამ წელიწადში ბევრი რამ დავიწყებოდა და დაბრუნება სწორედაც რომ ესაჭიროებოდა.

იმ ღამესაც მერან ვაშაყმაძესთან ერთად იმორიგეეკა. ჰოდა, ახლა წასასვლელად ემზადებოდა. ოთახში, მთ გარდა, კიდევ ორი ექიმი იჯდა. რაღაცას წერდნენ.

გაფიორებული ეკა ზანდუკელი შემოვიდა.

— გურამ, მორფი სად არის?

გურამ სავანელმა მხრები აიჩეჩა.

— ალბათ, სადაც იყო, იქ იქნება. მე არ დამჭირვებია.

— იქ არაფერი არაა. გამგე გიქსა ჰგავს, პროფესორთან ამირეს შესვლას.

— კარგად ნახე? სად უნდა გამჭრალიყო.

— გიიხსენე, ეინმესთვის ხომ არ მიგიცია?

— არა, — გურამ სავანელი აშკარად დააბნია მეგობრის ეჭვიანმა კილომ.

— მაშ, ღამის სტუმრები ხელცარიელები გაუშვი?

გურამ სავანელმა მერან ვაშაყმაძეს გადახედა.

— მერანს რას უყურებ, მე მიპასუხე.

— ისინი, ჯერ ერთი, ჩემი სტუმრები კი არა, ეიღაც ნაბიჭვრები იყვნენ. მეორეც, როგორც მოვიდნენ, ისე წავიდნენ. ასე არ იყო, მერან?

მერან ვაშაყმაძემ თვალი აარიდა.

— იეი რა, გურამ, როგორღაც გამომეპარა მათი წასვლა. იმას კი მოვკარი ყური, მორფს რომ გთხოვდნენ.

გურამ სავანელმა გაშიშვლებული კაკის უსუსურობა იგრძნო.

— როგორ, შენც ხომ ელაპარაკე, თანაც, მგონი, გიცნობდნენ, მოგესალმნენ კიდეც.

— რას ლაპარაკობ, შემოსვლისას ორივეს მოგვესალმნენ და, თუ ძმა ხარ, შარში ნუ მხვევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცბად ლოყა იგრძნო. ძლიერ გაიაზარა — ვაჟა ზანდუკელმა სილა გაჰწნა.

— მე შენ ყველი მეგონე, შენ კი იქ ყველფერი დაგიკარგავს!

ტუჩი მოიკვნიტა. სისხლი ცერით მოიწმინდა. ოთახიდან გასული ფერმის ვაშაძეს თვალი გაყოლა, რადაც ნაბი გაიფიქრა, ვაჟა ზანდუკელისთვის ხურდა დებრუნებინა, მაგრამ... რტემა დაუარა, სიცხეზელი მოეძალა, გასასვლელი ძლიერ ეპოვა. ფეხი რაღაცას წამოჰკრა, წაბორტყნინდა. საკუთარი თავი შეეზიზღა. ნაცვენი ძალლივით გაიძერწა. გარეთ გამოსული უცბად მიხვდა ყოველივეს.

სამი დღის შემდეგ მოსკოვში გაფრინდა და მშრენებლობაზე ყარაულად დაიწყო მუშაობა.

სიმართლე... სიმართლე ექვსი თვის შემდეგ გაიკეკვა.

ვაჟა ზანდუკელს მამის დაკრძალვაზე შეუერიგდა.

●

ჯონდო მესხმა დარეკა, პაველიონში გელოდებითო.

„არ მოვიდა. ნაწყენია შაბათის ამბავზე", — ჩაილაპარაკა, პაველიონში ჩავიდა.

გადაღების დაწყებამდე დრო უსაშველოდ გაიტყლარჭა. ნერვიულად გადა-გამოდიოდა, შეკითხვებზე არ პასუხობდა, არადა, ჯონდო ყველას მასთან აგზავნიდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გადაღება დიწყო.

რა წამს სილა გაჰწნეს, თვალი მოჰკრა ბორტ ღიმილს. ტუჩი მოიკვნიტა, სისხლი ცერით მოიწმინდა, „ერეკა ლაშამძისკენ" ნაბიჯი გადადგა. — ახლაეე გაგახსენებ, — გაბოლტა. სიტყვას მუშტი მოაყოლა. გონს მოსვლა არ აცალა, კიდევ მოუნაცვლა. „ვაჟა ზანდუკელისკენ" შებრუნდა, მარცხენა მოელი გამეტებით მოუქნია. სკამს მიაწვდა. მაგრამ უცბად ადგილზე გაქვავდა. „ვაჟა ზანდუკელს" ბულჩაწყვეტილი ღიმილით მიაჩერდა. — ესეც ასე, ამით ჩემს სამეფიცენრ პრაქტიკას სამუდამოდ დაესვა წერტილი, — ხალათი მოისროლა. გავიდა...

ჯონდო მესხს ოდგზნებული მიუახლოვდა.

— არ მომწონს, ვერ გადავრჩე, როგორც საჭიროა. ახალი ღუბლი დავიწყოთ

ღუბლის შემდეგ ჰაერის ნაკადი ისე თავისუფლად შეისუნთქა, თითქოს ნიშადური აყნოსესო. მიხვდა, გამოუვიდა.

ტაბურეტს ფეხით დაეყრდნო. თვითმკაყოფილება იგრძნო. ჯონდო მესხს გადაეხედა.

— ჩემი მოსაზრების სისწორეში მალე დაგარწმუნებ, — ტონალობაში საკუთარი უპირატესობის შეგრძნება გამოსჭვიოდა, რაც ჯონდო მესხს ზშირად ცოფს აყრევინებდა, — ჯგუფს გამოუცხადე: ყველ ღუბლის გასინჯვა საღამოს ცხრა საათისთვისაა დანიშნული. უთხარი, ბუღალტერიაში მივიდნენ სამივენიბენ თანხის ასაღებად. ბათუმის ბილეთები უკვე ალბერტ პარტნიორ ქალს ხელი გადაეხვია. — ნანიკო, ხელ შენი საყვარელი ტაბობა მელის. რომ იცოდე, როგორ ვ�d მაგ წამს, მთელ ტანში სიამოვნებისაგან მარცხელებს. შენც ხომ შემოგეთვა?

— რომელი ქალი იტყვის შენს სიყვარულზე უარს!! — ქათინაური შეუბერნა ნანიკომ.

— გაიოზ, რა იყო. ისე გამეტებით რომ მისილაქებდი, არ გეცოდებოდი?

— რომ ვიცოდი, რა მომელოდა, მიკვირს, ადგილზე არ გაგათავე.

ყველას გაეცინა.

— ჰო, მართლა, რომელი საათია — ქალაქის საბჭოში ვარ მისასვლელი.

— ორი ხდება.

— გავიქეცი. ჯონდო, ცხრაზე ვიკრიბებით.

გამოსასვლელში პარტბიუროს მდივანს მოჰკრა თვალი.

— ბატონ როსტომს სიცოცხლე და გამარჯვება. როგორ გიკითხოთ?

— რა მიჭირს, ჩემს ხნოვანებასთან კიდევ კარგად ვარ. ერთი, შემოდი ჩემთან, თუ გცალია. თუმცა, კარგი ამინდია, გვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გადაღებულს დიდი სიამოვნებით ვნახავდი, ხოლო რაც შეეხება გადადებას, იქ ჩემი დასწრება უკვე ზედმეტია. მოხარული ვარ, რომ სწორად გამიგე. აბა, აწი აღარ დგაყოვნებ.

გურამ სავანელმა ხელი ჩამოართვა. ისე იყო დაბნეული, მანქანის კარს გასდება ძლივს მოარგო.

კინოსტუდიის გასცდა თუ არა, მანქანა გააჩერა. „უმადური!“ — ეს იყო პირველი სიტყვა, რაც თავში მოუვიდა, რა წამსაც მიხედა, წეღანდელი დიალოგი ჯონდო მესხის დამსახურება იყო. „უმადური, უმადური“, — იმხელაზე გაჯავრებოდა შინაგანი ხმა, რომ, ლამის იყო, თავის ქალა გახეთქოდა. „ეს რა გამიკეთა“, — ჩაილაპარაკა. „ჩემი ბრალია. გდებულიყო კომბატანტში და ეწერა სიცოცხლის ბოლომდე მოხსენებები, რა ჯანდაბად მინდოდა, რეჟისორად რომ მოვთხრე. რაიმეს უნარი რომ ჰქონოდა, ათ წელიწადში ერთ ფილმს არ მისცემდნენ? თანამრახველია-მეთქი, გავიძახოდი, მთავარ როლს თავად ვთამაშობ და უმგისოდ ფილმს ვერ გავაკეთებ-მეთქი“. სიგარეტს მოუკიდა, თვალწინ ჯონდო მესხის მოუსვენარი სახე დადგება. „აკეცშეული ძალლად არ ადგებდა, მეგობარი მგავს არ ჰყავედ. გამგეს გოშია ძალლივით დასდევდა და ჯორების მიტანას უნდებოდა. ჩემმა სულელმა თავმა დამღუბა. მთელი ცხოვრება ამას გავიძახოდი, კაცს იმდენი მეგობარი ჰყავს, რამდენსაგნაც შეუძლია ფული ისესხოს-მეთქი, ჰოდა, დამიჭირა კიდეც ყურებით. აბლა, როცა თავისი გინაღდა, როცა ყველას თვალში ნიშეიერ და კეთილშობილ კაცად წარმოვეჩინე, რა გასაკვირია, ჩემი თავიდან მოშორება რომ მოინდომა“. — ნაფაზი დაარტყა. — „ისე, ცოტას ხომ არ ვაჭარბებ? იქნებ რაღაც შემთხვევით წამორიოს, მე კი იმ წუთში იყოს როლი მივაკუთვნე. ნაღდად ვაჭარბებ, სისულელეა!“

„სად წავიდე?“ — ჰკითხა თავს. ნაცნობ-მეგობრების მთელი კალენდოსკოპი დაუდგა თვალწინ, მაგრამ გულმა არსაით არ გაუწია. „უამრავი მეგობარი კაცის მარტოსულობაზე მეტყველებს“. — გაუღეღა.

კარდილოგიური ცენტრის აღმართს რომ აუყვა, მაშინვე გაიცნობიერა, სად მიდიოდა. მარიკა ავტობუსის გაჩერებასთან შენიშნა.

მანქანა მოაბრუნა.

— როგორა ხარ?

— რა მიჭირს. სახლში მიედიდი.

დენდროპარკისკენ წავიდა, მოფარებულ ადგილზე გაიჩერა მანქანა და უდაბნოგამოელილი მგზავრივით მოწყურებული დააცხრა მარიკას ტუჩებს.

„ჩემთან წავიდეთ“, — უჩურჩულა მარიკამ.

„სად შენთან?“ — ყვრიმალზე აკოცა.

„ძველ სახლში“.

გურამ სავანელი ენებამ გათანგა — მარიკას სხეულით ტკბობის მეტი ამქვეყნად აღარაფერი უნდოდა.

კარი მიიხურეს თუ არა, კვლავ ძერასავით დააცხრა.

— ლამადის გახდა მაინც მაცალე.

გურამ სავანელმა კურტაკი შეიხსნა, პირველივე კარი შეაღო.

— ეგ მამას ოთახია, გვერდით შედი.

თითქოს დიდი ხნის მოდრეიფე ნალმი აფეთქდაო, ისე შესცრა მარიკას სიტყვებმა. თვალები გაეყინა. რაღაც ძლიერმა დაიმონა, ენება გაუნელა და მანამდე უცნობი ცივი ცეცხლი აუგიზგიზა. თვალები ოდნავ მოხუჭა. თვალწინ დაჩოქილი, ვედრებად ქცეული მამის დამცირებული სახე დაუდგა.

— რა მოგიიდა, გურამ! — მარიკა დამფრთხალ ბაჭიას დამსგავსებოდა.

გურამ სავანელი მიუახლოვდა, წელზე ხელი შემოხვია.

— ხომ გითხარი, მაგ ოთახში არა-მეთქი, — გაიბრძოლა.

გურამ სავანელმა საზარლად ჩაიცინა, თითქმის ძალით შეიყვანა, საწოლზე გადააწვინა, მკერდი აუელვარა და ეამპირივით დააცხრა.

გონს რომ მოეგო ერთთავად კანკალებდა.

— გურამ, — მარიკა ჩაეკრა. — სულ ძაძაგებ, გაყინული ხარ.

— მალე გავთბები, — ხმა ძლივს დაიმორჩილა, იატაკზე დაგებულ შარადილს გადასწვდა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა. კოლოფს თავსახური მოაბია, ლეიბის პირზე დადო, ჩაეფერფლა.

— გიჟი ხარ. წეღან ისეთი თვალები გქონდა, შიშისგან კინაღამ სული გამძვრა, — თვალებში აკოცა. — რას იცინი? — კიდევ აკოცა. — რამდენი ეაღარა გაქვს. არადა, ისე არ გეტყობა.

— ბალიში გამისწორე, — წამოიწია. — აქ რომ ამმიფყვანე, არ გეშინია?

— დედაჩემი ჩემთანაა, მამა კი ექვსზე ადრე სამსახურიდან არ ბრუნდება, შენ რას მოიშიბავ?

— არა, ისეთი არაფერი მომხდარა, ერთმა პატარაზე მიმზაკვრა.

— მერე ვერ ასწავლი შენებურად ჭკუას?

ნაფაზი დაარტყა. საავადყოფოში ნანახი სიზმარი გაახსენდა. ქილიკად იქცა.

— რატომ გავიწყდება, რომ მე ერეტიკოსი კი არა, ნარეტიკოსული ვარ, ნარეტიკოსული მაწარწყლა.

— მაშინ მე მითხარი და თვალებს ამოვუკორტნი.

— სულ დამავიწყდა, რომ აგერ მყავხარ, „უშინი, ვითარცა უხორცო,“ მით უმეტეს, საკუთარ თავზე მყავხარ დაგეშილი.

— ჯერ ერთი, მოლად მასე არ არის; მეორეც, მე ნუ მამტყუნებ. მაშინ ისე ვიყავი არეული, თავის მოკვლაც კი ვცადე, მაგრამ, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიყვარვარ, ნუღარ გამახსენებ. — ჩაეხუტა, — გურამ, ცოლი გიყვარს?

გურამ სავანელმა შუბლი შეიქმუხნა, შეკითხვა არ ესიამოვნა.

— დღეს ძალიან დავიღალე, — ნაფაზი დაარტყა, გაიფიქრა: „მიყვარს, და ვითომ რატომ არ უნდა მიყვარდეს?“

— გასაგებია. — მარიკა გამორთულ უთოსავით უცმად გაწყდა. —ისე, შენი ყოველთვის მწარდა, მაგრამ, მე მგონი, საბოლოოდ შენივე ტემპერამენტი მოგიღებს ბოლოს.

— საიდან დაასკვენი? — სიგარეტი კოლოფზე გაუსწორა.

— ემოციები, ჩემო კარგო, ემოციები, — პერანგი გადაიცვა.

გურამ სავანელმა ბეჭებზე აკოცა.

— რა ცივი ხარ. არ მიყურო.

მარიკა საბაზანაში გავიდა. გურამ სავანელმა სწრაფად ჩაიცვა, წინკარში კურტაკი ჩამოხსნა, მოიხურა, ოთახში დაბრუნდა, სიგარეტს მოუკიდა. თვალწინ კვლავ ეკერრებად ქცეული მამის სახე დაუდგა, თითქოს სილა გაარტყესო, ლოყა აწვა.

მარიკამ საწოლი გაასწორა, საფარფლე გაიტანა. კარი მიიხურა თუ არა, გურამ სავანელმა ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, სწრაფად დწერა: „ბატონო დავით, თქვენმა საწოლმა დღეს არნახული სიამოვნება მომანიჭა. დიდი მადლობა. მარად თქვენი გურამ სავანელი“. — ფურცელი ამოხია, საბანი გადაწია, ბალიშზე გაშალა. „თვით ეღმინ დანტესსაც შეშურდებოდა“, — სისხლით გამძღარი სვავივით წაისისინა.

ოთახიდან გავიდა.

დარდმა დეკემბრის ღამესავით დარია ხელი. უცმად გაიაზრა, სიყვარულს საკუთარი ხელით გამოკრა ყელი და ახლა მარტო იყო, სულ მარტო. ფეთიანივით მობრუნდა, ოთახში შევარდა, ბალიშიდან თავისი ნაჯღაბნი ხელის კანკალით აიღო, ჯიბეში ჩაიჩარა.

„მარიკა, მანქანაში ველოდები!“ — დაუძახა. კიბეს მძიმე ნაბიჯით ჩაუყვა. უცმად ვიღაცის გამჭოლი მზერა იგრძნო. ქვემოთ, კიბის კუთხეში მარიკას მამა დალანდა — პატარა, მოჭუტული თვალები გაფაფრთოებოდა და ისე შემოსცქეროდა.

მარიკას ფეხის ხმა მოესმა.

გურამ სავანელმა ზეკით ინიდეა, შემდგომ მზერა კელავ ბატონ დავითისკენ გააპარა — მოჩვენებასავით გამქრალიყო. გურამ სავანელს ცივმა ოფლმა დასხა. მარიკას ბარათი გაახსენდა, ზონაში რომ მიიღო — გათხოვებას ატყობინებდა. ახლა კი, ამდენი წლის შემდეგ, როდესაც სიყვარული როგორც იქნა დაიბრუნა...

რეტი დაესხა. რაღაც ისე შემოაწვა, კინაღამ დაახრჩო. მოახლეობულ მარიკას გაგლეჯულმა დაუწყო კოცნა.

— რას შვრები, გურამ, მლუპავ? დამინახავს ვინმე და თავი მექნება მოსაკლავი.

— ფეხებზე მკიდია ყველა, — მიიუტა. ხელმოხვეული ჩაიყვანა ეზოში.

— ავტობუსის გაჩერებაზე ჩამიყვანე.

გურამ სავანელმა უსიტყვოდ დაამუხრუჭა.

— გურამ, ნუღარ მოხვალ. ასე სჯობია. შენთვისაც და ჩემთვისაც, — ნალვლიანად გაიღიმა. — ხომ სწორი ვარ, ჩემო ნაერეტიკოსალო?

მარიკა ავტობუსისკენ გაიქცა.

გურამ სავანელს სახლში არაკინ დახვდა. კარადიდან ფირფიტები გადმოალაგა. ბეთჰოვენის ელეგიური სიმფონია მოძებნა.

ოთახში ჯადოსნური მუსიკა აფეთქდა. სავარძლში ჩაფული, ფეხები ოიგივით აიკეცა, თვალები მილულა, მოეშვა. სევდაშეხავებული ნეტარება დაეუფლა. ალარაფერი უნდოდა, სრულიად ალარაფერი. გულისცემაც მინორულ რიტმს აპყვა. ირგვლივ ზღაპრული, სიხმრად ნანახი ფერები აცეკვდნენ. იასამნის სურნელი შეიგრძნო, მისი სული ღვთაებრივ ატმოსფეროში გაითქვიფა. თვალებში ცრემლები ჩაუდგა.

...ულამაზესი ტირება აცეკვდნენ.

●

მეცხრე კლასში გადასასვლელ გამოცდებს იმ დღეს მორჩნენ და მთელი კლასი მთაწმინდისკენ გაეშურა.

გურამ სავანელმა მოჭირახხული კაცივით წინასწარი თანხრიგი დაიპირა და ფოტოაპარატი წამოიღო. ფიქრობდა, დღეს მაინც აისრულებდა ოცნებას და ქურიკას (რატომღაც ამ სახელით მიმართავდნენ თანაკლასელები მზეკაქას) მალულად სურათს გადაუღებდა.

გურამ სავანელის სიყვარულზე უკვე მთელი კლასი ჩურჩულებდა, თავად კი მონუსხულივით დადუმებულიყო და, თითქოს ბორტ ჯადოქარს ტანტ დაედო, ქურიკოთან სიტყვას ვერ ძრავდა.

შინაგანი დიალოგის უცნაური ფორმა ამორჩია ორივემ— გაკვეთილების შემდეგ სარკმელთან დადგებოდნენ (მოპირდაპირე სახლებში ცხოვრობდნენ და მათი ფანჯრები ერთმანეთს უცინოდა) და ერთმანეთს თვალებით ათასგვარ ამბავს უყვებოდნენ. ასეთი დიალოგები უსასრულოდ გრძელდებოდა. შეიძლება, ამიტომაც დუმდნენ. ასე ეჩრენოთ, ეიოთ, საზიზღარ ყოფით პროზას მათი სიყვარულის იდუმალი ხიბლი წაეღოცა.

მთაწმინდის აღმართს ფეხით აუყვნენ. მეგობრებით გარშემორტყმულ ქურიკას სპასტონ მანანაზეზ მიპყვებოდა. ძმაკაცებმა რამდენჯერმე ხელიც გაპკრეს, მიდი, დაეღაბარაკეო, მაგრამ ყველა ღიმილით ჩამოიშორა.

შუა აღმართზე არც იყენენ ასულები, რომ მთის ძირში გამავალი ქუჩა მანქანის საყვირმა აიკლეს.

უცმად გაიფაფრნენ. მხიარული ყიჟინით შეეგებნენ მაყრიონს.

გურამ სავანელს მხედველობის არედან ქურ-

ციკი ამ წამს დეკაპრა, როგორც კი მანქანების გაბმული საყვირი მოისმა. ხაფანგში გაბმული ჩიტივით აუფართხალდა გული. ავეთ მიდგა, იქით ეცა და ბოლოს პატარა ბენჩზე ბრიწეულის ხეს ამოფფარებული შენიშნა.

ფოტოაპარატი მოიმარჯვა, სურათი გადაუღო. ქურციკმა გამოიხედა. გაღიმებულმა თვალებმა ანიშნა, მომიახლოვდიო.

გვერდით დაუდგა. მომძღვარებულ ღელვას ძლივს ეერეოდა.

„ქორწილია“, — ძლივგასაგონად წაიჩურჩულა.

ქურციკი ბედნიერი, ლაკი ღიმილით იღიმოდა. უცბად შეხედა და უთხრა:

— მე შენს ქორწილში პირველი მაყარი ვიქნები.

გურამ სავანელს სუნთქვა შეეკრა, აკარხლდა, სიყვარულის საოცარი ამბოხი იგრძნო. ქურციკს გაისკრეგნებულ თვალებში „ტრაგიკული“ სერიოზულობით ჩახედა, მთრთოლვარე, მაგრამ მტკიცე ხმით წარმოთქვა:

— შენ ჩემს ქორწილში მაყარი არ იქნები, შენ იქ უფრო სერიოზული მისია გეკისრება.

ქურციკის სახეს ბედნიერება ანთებდა. მამადავითიდან ზარების რეკვის ხმა მოისმა. ჰაერში მერცხლები აიკრნენ, სიომ ყვავილთა კვირტები შეარხია. ივნისი ფერთა სიმფონიას ქსოვდა, მთა კი თითქმი გადაეკ!დოთ, განბიუღიენენ და მზით გასხივოსნებულ ქალაქს გადაჰყურებდნენ.

●

— ეს რა კკამლი დაგიყენებია, არ იხრჩობი?

დედის საყვედურმა გამოაფხიზლა. გული ისე ჩასწყდა, ისე შეტკივდა, რომ კინაღამ განწირულივით იღრიალა.

— რა იყო, რა მოგვიდა, რა გაყვირებს? — თავისივე ბმახე ხმამ ოფალობის შეგრძნება დაუბრუნა, ოღონდ გაკარკარებული ნაღველი სალტესავით შემოეკვლო, კინაღამ დაახრჩო.

— თაკს იკლავ, შვილო, რამდენი მოგიწევია.

— ხათია და კომა სად არიან, რატომ იგვიანებენ?

— შენს დასთან წავიდნენ, მეც ხომ არ წამიყვან, მეთელი კვირაა, ბავშვები არ მინახავს.

— არა მცალია.

— ოჯახისთვის შენ არასოდეს გცალია, ამა, ვინმემ დაგიიახოს, თუ ქვეყნის დასალიერში არ გაპყეე!

— შენ და ჩემმა ცოლმა პირი ხომ არ შეკარით, რა მოგვიდათ, სამმე მაქვს-მეთქი, — საათს შეხედა. — დავიგვიანე კიდეც.

სწრაფად ჩაიცვა, გარეთ გამოვიდა. გულზე შემოკერილი სალტე უფრო და უფრო ვიწროვდებოდა. „ცეცხლს, ცეცხლს უნდა მისცე ყველა ნაერეტიკოსალი. არც თავად ცხოვრობენ და სხვასაც არ აძლევენ ცხოვრების საშუალებას“, — ჩაიღაპარაკა და მანქანა მოწყვეტილ-ბალ „ღმერთო, ოღონდ ეზოში მარიკასთან ჩახუტებული არ დავეცეს ამ არამზადას და ასეთ თეთლს დაგინთეს“ — გაიფიქრა. საქეს მთელი ძალით ჩაეკიდა.

პალატაში რომ შეკედა, დიტო ჩაჩიბაიაშ თვალი გაახილა.

— სად დაიკარგე, ბიჭო, ეგრე უნდა? დაჯექი.

— როგორა ხარ? წვერს ვერ გაიპარსავ?

— ეეკ, — ხელი ჩაიქნია. — ამ კვირის ბოლოს გამწერენ, მერე სადმე მთაში წავალ დასასვენებლად.

— კარგად გიფიქრია.

— თბილისი ერთ კვირასაც არ გაეჩერდები. რაღაც უნდა გადავწყვეტო კიდეც. ნაკლულ კვეკერში ღვინო ადრე თუ გვიან აუცილებლად ძმაღდება. შენ რა მოგვიდა, რაღაც არეული მეჩვენები.

— აბა, რა ვიცი, ბევრი სამუშაო მაქვს.

— არა, მუშაობის ბრალი არ არის ეგ. რაღაც სხვანაირად ხარ აწუწული, თვალებიც ამოგღიმებია. ეკლესიაში წადი, სანთლები ანთე, დაგამშვიდებს.

— რამდენჯერ ვცადე, მაგრამ არ მიშველა ლამაზ ქალს მოვკრავ თუ არა თვალს საყდარში. წამს სატანა სახლდება ჩემში, ვეღარც ხატსა ვხედავ და ვეღარც სანთელს.

— სულ როგორ უნდა მაიმუნობდე. ისე, გულით თუ გაკვირვია ვინმე, ქალზე გეკითხები.

— ალბათ.

„რომ მყვარებოდა, იმ საცოდავს ცეცხლში არ გადავუძახებდი და ქვაფენილზე არ მოვადგენდი ზღართანს, მერე მთელი ცხოვრ... „ოსანა“ მეძახა“, — გაიფიქრა. ჯიბიდან სიგარეტი და ხიზილალა ამოიღო.

— აბა, ჩახეთქე და დაიხრჩე!

—ეეთილი კაცი ხარ შენ.

— არ ამატირო ახლა. წავედი, მეჩქარება. რამე ხომ არ !გინდა?

დიტო ჩაჩიბაია წამოიწია.

— შემოიარე, როცა დრო გექნება.

— აბა, რას ვიზამ.

დერეფანში საათს დახედა. სტუდიაში მისვლა ჯერ ადრე იყო. „რა მკითხა, გაკვარებია ვინმეო?“ — ჩაილაპარაკა. „არაფერ, მართლაც, ვინც მიყვარდა, ყველას ჩემს წარმოსახვაში შექმნილ ყალიბს ვარგებდი და მერე ვიყვარებდი თავდავიწყებით. სხვა გზა არ მჭონდა. სიყვარული იყო ერთადერთი ნუგეში ჩემს არეულ ცხოვრებაში“.

ქურციკის სისხლის გათეთრებისაგან გაფითრებულმა სახემ და სასოწარკვეთილმა, სევდაშეყრილმა დიდმა ცისფერმა თვალებმა, შველას რომ ეეედრებოდნენ ყველას, ... ეფარა მხედველობის არე. მეხტუჭს მთელი ძალით დაეწვა. უკნიდან მკვეთრი დამუხრუჭების და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამბული სიგნალის ხმა მოესმა. არც მიუხედავს, მანქანა მარჯვენა რიგში გადაიყვანა და გაჩერა. საქმე ნიკაბით დაეყრდნო. ცხადლივ ადუდგა ცხრა ამრილის დილა, გაკვეთილზე შემოსულმა მასწავლებელმა რომ აუწყაო, ქურციკი გარდაიცვალა, დღეს გაკვეთილები არ გექნებიაო. თავზარდამცემმა ამბავმა კლასი გათანგა. თავჩაქნილრუქმა იგრძნო, ყველა მას მისჩერებოდა, ის კი გაუთავებლად წერდა და ზლიდა ქურციკის სახელს. მასწავლებელმა თავზე ხელი გადაუსვა და, წადიო, ხმადაბალი უთხრა. წამოწოლებული თვალება მასწავლებელს მიანათა და სარმაგამოდებული პატარა ბიჭივით ატირდა.

გურამ სავანელმა ნერწყვი გადაყლაპა, მომდგარი ცრცელი მაჯით მოიწმინდა და მანქანა ძმინეულ დაძრა.

ბაზარში შეკედა, გლადიოლუსების დიდ თაიგული იყიდა, ქურციკის საფლავზე აკიდა, ყვავილები მიმობნინა, დიიხარა. გაუფერფლებულ სურათს აკოცა, მარმარილოს ფილაზე ჩამოჯდა.

დიდხან იჯდა გაშეშებული. რაც ახლა ემართებოდა, იმას არც დეპრესია ერქვა და არც წარმოსახვა — ქურციკი თავისთან უხმობდა. მხრები ?ამოყარა, უდაბნოში, ამოშშრალ ჯასთან დამ? ობილ გზაბნეულ, სასოწარკვეთილ ბედუინს ?აეშსგავსა, რომელსაც წასასვლელი აღარსად ჰქონდა და სასრულის მიმლოდინეს ხელები ამბუნდ ჩამოეყარა. თვალებში უაზრობა გამეფებოდა.

ბინდბუნდში შორიახლო კაცის ლანდი შენიშნა, რომელიც დაუფარავი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა. სწრაფად წამოდგა, მაწანწალას თუმნიანი ჩაუდო მოსვრილ, ძონძებადკეცულ პალტოში, დამფრთხალ თვალებში შეხედა, თეთრად გაფლიმა და ათრეული ნაბიჯით გაპყვა ბილიკს.

საპროეკციო დარბაზში ჯონდო მესხს რომ მოკკრა თვალი, კვლავ გაფეცლა: „მართლაც რა მოხდა, რამ დადამრია, გულმოსულმა რაღაც წამოროშა და კინაღამ არ მოვიძულე მეგობარი!“ ჯონდო მესხმა რომ შენიშნა, ღაწვები ალერგიაშეყრილივით აუწითლდა; გაუბედავი ნაბიჯით მიეახლოვება.

— გურამ, შენი დახმარება მჭირდება.

„უკვე მოუხსენებიათ, პარტბიუროს მდივანი რომ მელაპარაკა, ახლა ცდილობს, გიიგოს, რა დონემდე ვარ მისული. მაინც რა ნაძირალაა“. — გაიღიმა.

— რა მოხდა?

— ბავშვს ფიგურული სრიალზე არ ღებულობენ, გვიანია უკვეო. გეყოლება ვინმე ნაცნობი...

— მთავარ მწვრთნელს უთხარი, მურთაზ ფირცხალავას ნათესავი ვარ-თქო და ყველაფერს გაგიკეთებს. ფირტბი მოიტანეს?

— ამწუთას დავიწყებთ.

— თენგიზ, — დამდგმელ ოპერატორს მიუბრუნდა, — ჩემთან დაჯექი.

დარბაზში სინათლე ჩაქრა. „რეზო ციმაკურიძის“ კაბინეტში გთამაშებულ ეპიზოდს რომ უყურებდნენ, უხერხული — ახლაც ვერაფერი მომიფიქრებიაო.

მასალის გასინჯვას რომ მორჩნენ, ჯონდო მესხს მიუბრუნდა:

— ჯონდო, სეანარში ჯერჯერობით ყველაფერი უცვლელი დავტოვოთ. იმ ადგილს ზღვაზე დავუბრუნდებით, — შეყოვნდა, ტუჩები მოკუმა, სახეზე გულნაკლული კაცის ღიმილი აუთამაშდა. — არავის არ ვუსურვებდი შენს იმედად ყოფნას, — სკამი აკეცა. — ხვალ, ჩვეულებისამებრ, ათზე ვიკრიბებით. თენგო, თუ ჩემკენ მოდიხარ, გაგიყვან, — დამდგმელმა ოპერატორმა თავი გაქნია; გურამ სავანელი უკვე ნანობდა თავის დაუფიქრებლობას. — წამოდი, წამოდი, გეხვრეგ. რა მნიშვნელობა აქვს, საით მიდიხარ.

სახლში ფეხაკრეფით შეკედა. ამაზანა გაავსო, თბილი წყალი ესიამოვნა გათთშილს. „ხვალ ცოტა ადრე უნდა ავდგე, თორემ სირცხვილია, ქალაქის საბუჩში დღესაც ვერ მივედი. ჩემი სიძეც ცხვირაბზუებული იქნება, ქეთინოს კიდევე რა შეირიგებს. წასვლამდე აუცილებლად უნდა ვნახო“.

სახე ოდეკოლონით დაიზილა, დეზოდორანტი შეისუნთქა. ტელეფონმა დარეკა. საათს შეხედა, ორი სრულდებოდა. „ვინ უნდა იყოს ამ შუაღამისას?“ — ჩაილაპარაკა. წამს ქვეცნობიერმა იმპულსმა პასუხი გასცა. იგრძნო, მიწისძვრისაგან აგორებულ ტალღასავით როგორ მიასცდა სისხლი საფეთქლებს.

„გისმენთ, ბატონო დავით“.

„გრაფ მონტე კრისტო, მელოდები და კიაფობ, არა? კაცი არ ვიყო, თუ წურბელასავით არ გამოგწოვო ეგ დამპალი სისხლი!“

ტელეფონის ზუმერის წყვეტილმა ხმამ მიაბეედრა — დიალოგი დამთავრდა.

— ვინ იყო? — მოესმა ნათიას ნამძინარევი ხმა.

— რა ვიცი, გრაფი მონტე კრისტო უნდოდათ. ვგავარ ახლა მე გრაფ მონტე კრისტოს?

— გაიჩნია. თუ მხედველობაში მივიღებთ საკუთარი ოჯახისა და შენი ჯანმრთელობისადმი შენს დამოკიდებულებას, კი ხარ. თუმცა ერთი გასარკვევი — პირველად რომელს უნდა მოუღო ბოლო.

— ოოო, ეგ იქნება მონტე კრისტოს ყველაზე დიდი, ამავე დროს, ბოლო შურისძიება. დაწექი, გაცივდები. დედა როგორაა, წნევას ხომ არ აუწევია? — ნათიამ თავი საბანში ჩარგო. — კობას კიდევ ხომ არ უჩხუბია? — ნათიამ არ უპასუხა. — კარგი რა, რას მებუტები. უნდა მომშზამო აუცილებლად! — საბანში გაეხვია. კედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისკენ გადაბრუნდა. „ნეტავ რას მიპირებს ბატონი დავითი. ეჰ, ერთი ბაგის დედაც ვატირე, გაუმბარჯოს გრაფი მონტე კრისტოს!"—ჩაილაპარაკა და „ბრაგ მონტე კრისტოს" სიუჟეტის [illegible] ...

მოგაძული ფილა გათხეხა. ჯუხაში ცივად ცრიდა. მელანქოლიად დარია ხელი.

— თუ დროზე გამოიტეგეთ, წაგიყვანთ, — ბასძახა სამზარეულოში მოფუსფუსეგებს.

— შენი ღრიალის თავი არავისი აქვს, მიბრძანდი! — დედამ კარი ცხეირწინ მიუხურა.

წინაკარში კობა გამოვიდა და საყვედურით სავსე თვალებით მიაჩერდა. ბავშვს უღიმღამოდ გაუღიმა. გავიდა.

ლერი ბუაძე ქალაქის საბჭოში დახვდა.

— ერთი წუმთით გამოდი დერეფანში, რაღაც მინდა გითხრა, — უთხრა, ერთმანეთი რომ მოიკითხეს.

დერეფანში გავიდნენ. კიბესთან შეჩერდნენ.

— სანდო ხალხს მანქანების სამრეცხაოს გახსნა უნდა, — ზმადაბლა დაიწყო. — შეგიძლია დაეხმარო?

— რამდენს იძლეიან?

— ოხუთმეტს.

ლერი ბუაძემ ირონია ვერ დაფარა.

— ბაგ ფასად, ბიჭო, საკამეს არ გაახსენებენ?

— ცოტაა? ძალიან ხომ არ ღირობთ?

— ასეა, ჩემი ძმაო, და რა ვქნა. მეც ხომ უნდა დამჩრეს ცოტა. შენც ისე ვერ დაგტოვებ, ათი პროცენტი შენია.

— მე თავი დამანებეთ. გითხარი, ჩემი ძმაკაცია.

— მოვიდეს შენი სახელით და დაველაპარაკები.

— კარგი, დაკურკეაე. მეჩქარება, წავედი.

— ნუ დაიკარგები, შეეხვედეთ, დაველაპარაკოთ.

— ეჰ, მაგისთვის მცალია. თანაც ვეღარ ვსცავ, — მოიბოდიშა.

— ყველას გეიბაზავს ეს ოხერი ჯანმრთელობა, მაგრამ, ხომ იცი, თუ გული გულობს... აბა, კარგად.

ნიდარ თალაკვაძეს დაურეკა და კინოსტუდიისკენ გაეშურა.

პავილიონის შესასვლელთან ტაქსი უშნოდ გახერგილიყო. ანიშნა, მანდ მე ვაყენებ მანქანასო. ტაქსმა ადგილი დაუთმო. მანქანიდან გადმოვიდა. ტაქსში მოთამაშე ბავშვები შეათვალიერა, კიკინებიანს თვალი ჩაუკრა.

ჩაბნელებულ დერეფაში ქალის სილუეტი შენიშნა — მარიკა შეიცნო. საარტილერიო კანონადასავით მოესმა საკუთარი გულის ძგერა.

— მარიკა, შენ?

— ჰო, გურამ, მე ვარ. კარგა ხანია, გიცდი. საქმე მაქვს.

— შემოდი, — გასაღები გადატრიალა. კარი შეაღო. მარიკა გაატარა. — ხომ მშვიდობაა?

მარიკამ ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა.

— მგონი მმაჩემმა რაღაც გაიგო. წუხელ კიბაღამ მოკაკლა. შუაკამისსა დაგვირეკეს, მე და ჯემალი მივედით. ოთახში არ შემიშვა. ამან ჯემალიც დაიტეკვა. რა ვქნა, ალარ ვიცი, — წამოდგა, სიგარეტი საფერფლეზე დაადგა. — გურამ, თუ ოდესმე გიყვარდი, ნუღარ მნახავ, გეევერები. ვიმყოფოთ ის სიხარული, რაც გვქონდა და ნუღარ შეეხვედებით. — საფერფლიდან სიგარეტი აიღო. ნერვიულობისაგან ისე უკანკალებდა თითები, ძლივს მოუკიდა. — ახლა წავედი, მელოდებიან.

— გადაეცალეს, — ხმა მთის წყაროსავით გაცივებოდა.

— არ მინდა, ტაქსი მელოდება.

— ეზომდე მაინც ჩამოვალ.

კიბეზე უხმოდ ჩავიდნენ. მარიკა წინ მიდიოდა. ტაქსიდან დაფინებით მომზრალმა ორმა წყვილმა თვალმა ადგილ მიაჯაჭვა, მათში ჩაბუდებულმა სიძულვილმა შეძრა. კიკინებიანი გოგონა დედას შემოეხვია, მის თმაში ჩამალა სახე. მანქანა დაიძრა. ფანჯრიდან ახლა ბიჭის უმწეო თვალები დალანდა. შეეფრაცხაოფილნი ბოლმით იმახსოვრებდნენ და შურისძიების პირდებოდნენ. გვერდზე გადგა. ეკედელ მიეყრდნო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ქურდობაში ამხილეს და ახლა სამარცხვინო ბოძზე იყო გაკრული. მოუსვენრობის მახრჩობელა გრძნობამ მოიცვა, თავგზა აგბნა. კობას საყვედურით სავსე თვალები გადაფდა. თავს მოიჩინა, გადასაღებ მოედანზე გავიდა. ტექნიკური პერსონალი და მსახიობები ნელნელა იკრიბებოდნენ.

— ვტაბებით დღეს სიყვარულით?

გურამ სავანელი ქალის ხმის გაგონებაზე შეკრა.

— ვერ გავიგე, როგორ შემოხვედი. დღეს მარტო შენს სცენას გადავიღებთ. ნანიკო, ყურადღებით მომისმინე. დღეს შენი გმირის... მოდი, ამ სიტყვას ნუ ვიხმართ. ის უკვე შენ უნდა იყო, შენში უნდა სახლობდეს, რადგანაც ეს ეპიზოდი მაყურებელს ყველაფერს დაანახვებს და საბოლოო მსჯავრის გამოტანაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს. ამიტომაც შენი ნახიჯი შენი შემდგომი ცხოვრების ბარომეტრად იქცევა. ხუმრობა ხომ არ არის, ოჯახი უნდა მიატოვო და პატარა ბავშვით უცხო ქალაქში გაიხიზნო კაცთან, რომელიც, არც კი იცი, მოგიწოლნებს თუ არა გადადგმულ ნაბიჯს. მთელი არსი ამაში მდგომარეობს, რომ სხვანაირად ალარ შეგიძლია ყოფნა. ცხოვრება მიდის, ზღვები გემატება, შენ კი ერთ დღესაც არ გიგრძვნია თავი ბედნიერად. შენი ცხოვრება სხვის მიერ დადგენილ წესს ემორჩილებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენც ბრმად მიპყვებოდი ამ წესს. არასოდეს არაგინ ბეთსნებებდა, გეკიდებოდა თუ არა ის, რასაც შენი მომავალი უნდა განესაზღვრა. შენი ოჯახის წევრებიც და ახლობლების ხელში ყოველთვის მარionეტი იყავი. სხვების სიხარულ, კმაყოფილებას, კეთილდღეობას მსხვერპლად შენი სმყარო ეწირებოდა. ახლა ცხადლივ შეიგრძენი, რომ ასე ცხოვრება აღარ შეგიძლია. თუ ამ ნაბიჯს არ გადადგამ, გეკარგება ინტისოდენა შანსიც, ცხოვრებაში ერთხელ მაინც იგრძნო თავი ქალად. კარგად იცი, შენი ნაბიჯი გარშემომყოფთათვის მიწისძვრის ტოლფასი იქნება, მაგრამ მაინც მიიღიხარ რისკზე. შაშს შეუპარიხარ, ერთმა ღმერთმა იცის, როგორ აეწყობა შენი შემდგომი ცხოვრება, მაგრამ უკვე აღარფერსა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ასეთ ყოფას სიკვდილი გიჯობს.

აი, ყველაფერი ეს უნდა იგრძნობოდეს შენს ყოველ მოძრაობაში, იქნება ეს ტანსაცმლის ჩალაგება, სოფლახო ალბომის ფურცელა, გამოუყენებელი დიპლომის თვალერება, ბავშვის დაბნეული მზერისათვის თვალის არიდება, რაც ყველაზე უფრო გბოჭავს, თუ უტყვი დამშვიდობება იმ გარემოსთან, სადაც დღემდე გიცხოვრია. ყოველი წამოსროლილი ფრაზა, შეკამთება წინ გადაღობილ სინდისის ქენჯნასთან ბრძოლაა, ბრძოლა, რომელიც არ შეიძლება ყაიმით დასრულდეს.

ნანიკო, თუ ბოლომდე არ შეგძრა ამ ქალის მოქმედების ტრაგიზმმა, იცოდე, შენი ფასი კაპიკია.

— გუთან, ათი წელია თეატრში ვარ. კინოც არაა ჩემთვის უცხო ხილი, მაგრამ მაინც მეშინია. საქმე რაშია, იცი? ღღეკანდელი ჩემი მოქმედებით ათასობით ქალის ბედს ვეჯაჭვებები. მათი ცხოვრებაც ზუსტად ისე წარიმართა, როგორც „ჩემი“. უმეტესობამ გამოროტებულ ღდებრებად დაამთავრა ცხოვრება. მოკლედ, თუ არაფერი გამომეიდა. მსახიობობას თავს ვანებებ.

— ნუ გეშინია. მე მჯერა შენი, ხოლო როცა სჯერათ... რა ინდური ფილმის გმირივით ვლაპარაკობ. თავს აღარ შეგაწყენ. თენგიზ, — ოპერატორს გასძახა. — ჯონდო არ მოსულა?

— თათბირზე ვარო, დარეკა.

„რას დაკაღლებოდა!“ — ტაში შემოკრა.

— ბოემზადეთ. თხუთმეტ წუთში ნანიკოს სცენას ვიწყებთ.

სამი დუბლის შემდეგ ნანიკოს ნერვებმა უმტყუნა, ცრემლებად იქცა. შემოსწრებულ ჯონდო მეესს ხელსახოცი, ქალისთვის მიეხვია. არეული, მოსვენებადაკარგული ადგილს ვერ პოულობდა. ფილმის დირექტორს ხუთჯერ მაინც ჰკითხა, სამგზავრიდ ყველაფერი მზად არის თუ არაო. თხოვა, ჯგუფი ხვალ სამ საათზე დაებარებინა — წასვლამდე პატარა კრება მინდა ჩავატაროო.

ყველაფერი რომ მიწყნარდა, მულტფილმების გაერთიანებაში გადავიდა. რედაქტორის მარტო ზეინაბი დაეჭვდა.

— მოკლედ, თქვენთან რომ შესაფერი სიწყნარეა, ტყუილია, სხვა ვერ დაიტრაბახებს. შენ, როგორ მოხდა, სამსახურში დაგიჭირა კაცმა.

— ჩვენ ჩვენს მოვალეობას ყოველთვის პირნათლად ვასრულებთ, — ზეინაბმა გაუღიმა. — და ამიტომ, ამხანაგო გუთან, ძალიან გთხოვთ, შეურაცხყოფას ნუ გვაყენებთ. ისე, თუ გნებავთ, ყავას შემოგთავაზებთ.

— გული ისედაც ხელით მიეჭიავს და ახლა ყავა მაკლია. ფეხბურთის თამაში უნდა დავიწყო, ფორემ ნოდად ფეხებს გაკეშმავ. ჩემი სცენარის რა ისმის?

— ისევ ჰაერშია გამოკიდებული.

— თქვენი ვერ გამიგია. თუ არ მოგწონთ, პირდაპირ მითხარით და უკან წავიღებ, სამი თვე გადის და წესიერ პასუხს ვერ ვეღირსე.

ზეინაბმა ყავის ჭიქა ამოაბრუნა.

— რა ბავშვივით ლაპარაკობ. იმას — თითი მთავარი რედაქტორის კაბინეტისკენ გაიშვირა, — და ჩვენს სამხატვრო ხელმძღვანელს რა ომი აქვთ ერთმანეთში, ხომ იცი. თავიანთი სცენარების გარდა სხვა არა სწამთ რა. წელიწადში ათ ნაწილზე მეტს ვერ ვიღებთ, ჰოდა, რომელი რეჟისორი მოჰკიდებს ხელს იმ სცენარს, რომელსაც გადაღება არ უწერია. ასეა შენი საქმეც, ოღონდ, იცოდე, მე არაფერი მითქვამს. იმასაც ჩურჩულებენ, მაგას სრულტერატაციანი ფილმიც ეყოფა, ჩვენც რომ არ მიეეხმაროთ ჯიბის გასქელებაშო, გიიგე, ძამიკ?

— სადაა ჩემი სცენარი?

— აგერ მაქვს უჯრაში, — საქაღალდე ამოიღო.

— მოელენ ეგენი ჩემთან.

— ეგრე სჯობია, — ზეინაბმა საქაღალდე მიაწოდა, ყასიდად გაუღიმა.

— კარგად იყავი.

სცენარი მანქანაში შეაგდო. შეჯაგუფულ კოლეგებს ერთხანს ფეხბურთზე ეკამთა, მაგრამ ის რაღაც (რისთვისაც სახელის დარქმევა არაფერით არ უნდოდა) არ ასვენებდა. ხუთი საათი რომ შესრულდა, მანქანაში ჩაჯდა და შმაგივით გაჭანდა.

ნათიას სამსახურის მოპირდაპირე ეზოში გაჩერდა და გაფაციცდა. ნათია რომ დალაგდა, იგრძნო, როგორ გაეყინა ძარღვებში სისხლი. არეული ნაბიჯით გამოედევნა. ნათია ავტობუსში ავიდა. გუთან საკანელმა მანქანასთან მიირბინა, ავტობუსს კვალში ჩაუდგა. მეტროს სადგურთან კვლავ მოჰკრა თვალი. ღმერთს შეევედრა, ნათია მეტროში არ ჩასულიყო. ნათიამ ქუჩა გადაკვეთა, წოგნების მაღაზიაში შევიდა. იქიდან გამოსული სწრაფი ნაბიჯით დაუყვა ქუჩას. აგურის ოთხსართულიან შენობაში რომ შევიდა, მაშინღა მიხვდა: აქ ხომ კობა სწავლობდა. ჩაეკრა. ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა. „არა, მაინც რა იდიოტი ვარ“, — გაუღლვა. მანქანა მოაბრუნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიხში შევიდა, ცოლ-შვილი გაატარა, ქუჩას შემოუარა და ცხვირწინ გაუჩერა.

— კობას წამოსაყვანად მოვდიოდი.

— როგორ მოხდა! — ნათიამ გაიოცა.

— რა ვიცი, სამმე არაფერი მქონდა და ვიფიქრე, გავასეირნებ-მეთქი.

— სად წამიყვან, მამიკო?

— სადაც შენ იტყვი.

— ციცინო წავიდეთ.

— დღეს რომ არ მუშაობს. თუ გინდა, სახლში ავიდეთ და კონსტრუქტორი ავაწყოთ. ნათია, შენ სადმე ხომ არ გინდა შეკვლა.

— არა. აი, წეგნების მაღაზიაში შილერი შემოხვდა და ვიყიდე.

ნუგზარ დავითაიას მოჰკონა თვალი. თავჩაღუნული თავისთვის რაღაცაზე ილიმოდა. სკლა შეანელა, მაგრამ შემდეგ აქსელერატორის სატერფულს ისე დააჭირა ფეხი, მანქანა ღმუილით გავარდა. „ერთი რამაზს უნდა ველაპარაკო“, — გაიფიქრა.

— გურამ, შენ კიდევ ცუდად ხომ არ იყავი?

— შემიკონა ხელში ამ გადაღებამ. ეგ ფილმი მომახარობინა ერთი და მერე ჩემი სცენარით ფილმის გადაღები აღარა ვარ, როლზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— ვერ ერევი?

— რა ვიცი. ამდენმა გარდასახვამ არასრულფასოვნების კომპლექსი გამიჩინა. ზოგჯერ ისეთ გუნებაზე ვარ, მინდა ყველაფერი მივატოვო და სადღაც გავიქცე.

— მაინც სად? — ნათიას სახეზე ირონიამ გადაურბინა.

— რა ვიცი, თუნდაც რაჭაში. დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი სოფლის ექიმად.

— შენ რა გგონია, სოფლის ექიმობა ადვილია? ისე, რახან ასე აკიკჭიკდი, ეტყობა, მართლა გაგიჭირდა.

— კარგი, მაგაზე სხვა დროს. ჩვენს სადარბაზოსთან რეზო ციმაკურიძის მანქანა არ დგას?

— ჰო. ეგეც თქვენი კონსტრუქტორის აწყობა. სახლში დროზე მოდი.

გურამ სავანელმა ამოოხრა.

მანქანა გააჩერა თუ არა, სადარბაზოდან რეზო ციმაკურიძე გამოვიდა.

— მოელი საათია დაგეძებ. ნათიას სიცოცხლე. კობა, ამერიკული მანქანა მოგიტანე, იცი, რას დაკრიხ!...

— სტუდიაში იყავი?

— ჰო, მითხრეს, წავიდაო. ნათი, ქმარი უნდა მოგტაცო.

— თუ არ დაალევინებ, სადაც გინდა, წაიყვანე.

— პირობას გაძლევ. დამიშვენე მხარი, ძველო.

— სად მივდიკართ? — ჰკითხა, როგორც კი სახლს მოშორდნენ.

— ერთ დელიკატურ საქმეში უნდა დამეხმარო. იცოდე, უარი არ მითხრა. ჰო, მარლ, ერთი საათის წინ შენმა ყოფილმა სასიძამრმ, ბატონმა დავითმა უფალს მიაბარა სული — ტკინში სისხლი ჩაექცა.

— ვინ გითხრა? — გაფციორდა.

— ჩემი მეზობელი არ იყო? რა მოგვიდა, შავვნის ჩაკვნას ხომ არ აპირებ?

„ეს რა ჩავიდინე, ეს რა ჩავიდინე! არამზაა ვარ, არამზაა!“ — დამარცალა.

— რას ბუტტუტებ, ხმა ამოიღე.

„არამზაღა, არამზაღა, არაღა, ნეტაკ რომელმა ეკთილისმოსურნეგმ დაურეკა იმ დღეს ბატონ დავითს?“

— ან გამაგებინე, რას ბურტყუნებ, ან მომისმინე.

— ჰო, გისმენ.

— ფიტოსთან უნდა ახვიდე და გულიკოს უთხრა, სატუთები დამიბრუნოს.

— რა სატუთები. შენ თვითონ ვერ ეტყვი?

— გუშინწინ ვიჩხუბეთ და დავშორდით. არადა, პირადობის მოწმობა და პარტბილეთი ამოუღია. რადაც უნდა დაგიჯდეს, უნდა შეახვინო. გადაყვანას მიპირებენ და ახლა ეგ მინდა? თანაც, ღმერთმა იცის, რას აპირებს. შენ ეგ საქმე გამიკეთე და მერე მე ვიცოდე.

გურამ სავანელს სახეზე სარკაზმი გამოესახა.

— რა ნოტებით გაქვს აწყობილი ცხოვრება.

— აბა, შენსავით ილუზიებით ვიცხოვრო? მე ნაღდი მიყვარს და სხვა ყველაფერი ფუჭებეზე მკიდია.

— ჰო, მაგარი ხარ, მაგრამ ამ საქმეში მე დესპანად არ გამოგადგები.

— თუ კაცი ხარ, ნუ სულელობ. შენს იქით გზა არა მაქვს. ეგ არის ჩვენი ძმობა? ახლა გინდა უარი გითქვამს და გინდა თოფი დაგიხლია ჩემთვის.

— გააჩერე, ჩამოვალ. რა ვქნა, ძალიან არ მინდა, გაწყენინო, მაგრამ...

რეზო ციმაკურიძემ მანქანა გააჩერა.

— იცოდე, დაგკარგავ, — შეყოფნდა. — არ ვარ მე დასაკარგავი კაცი.

— კარგად იყავი, რეზო.

მუხლზე ხელი დაარტყა, მანქანიდან გადავიდა. კურტკის საყელო აიწია. ქუჩას დაუყვა.

საათ წასულიყო, არ იცოდა. იფიქრა, დავლევ რამესო, მაგრამ მიხვდა, ახლა ღვინო უარესად დაბოღმავდა. „რა ვქნა? — ჰკითხა თავს. — თამაზთან ხომ არ აესულიყავი. არა, არ ღირს“. შემობრუნდა, ქუჩას აღმა აუყვა. ნაცემი ძალლივით მიძუნძულებდა, ამღვრეული, ანთებული თვალებით გამვლელებს აფრთხობდა. რამდენჯერმე სკადა, აჭაყუებული ქვეცნობიერი ლოგიკისთვის დაექვემდებარებინა, „ბოლოს და ბოლოს, ბორობი თავისივე იარაღით მოისპო“ — რამდენჯერმე გაიმეორა, მაგრამ ვუოკანდიან გადმოფრქვეული ლავა ვერაფერით გაენელები-

ნა. მისი ყოველი ნაბიჯი, მოძრაობა მექანიკური იყო. ერთხელ კინაღამ მანქანას ჩაეკარდა ბორბლებში, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მოუხდენია.

შუაღამე გადასული იყო, სახლს რომ მიუახლოვდა. ჩანნელებული ფარნის ბოძს მიეყრდნო. თავისი სახლის ფანჯრებს მიაჩერდა და ჩაჩურჩულა:

„რა ვქნა ახლა მე?“

„შენს ცხოვრებაზე უნდა იძოო შური“, — გამოეხმაურნენ.

„კი, ბატონო, მაგრამ როგორ?“

„უნდა დიდხანს იცოცხლო, რათა იტანჯო“.

„შეეძლებ?“

„აწი უკვე ყველფერს შეძლებ“.

უცბად რაღაც დაანჯა, ბეჭებში მოხარა.

„გრძნობ?“

„კი“.

„შენ კი ფიქრობდი, იქნებ კიდევ მაქვს შანსიო. ჰი, ჰი, ჰი, — წაიჭირქლა, — მთავარია, ერთხელ იგალობო, მერე, რაც უნდა იწვალო, ვერსად წამიხვალ“.

„როდის გიგალობ პირველად, ეს მაინც მითხარი“.

„როდესაც პირველად წაიწუნელე“.

„ახლა, ამ წუთში რა გავაკეთო, მასწავლე“.

„წადი და დაიძინე. შენ ეს დაიმსახურე, ხვალიდან კი გააგრძელე ძველი ცხოვრება. არ დაგავიწყდეს, ოჯახი გაქვს, ოჯახს კი პატრონობა უნდა. დილით იმ კაცსაც დაურეკეე, ღღეს რომ აწუწინე, აუცილებლად შეიჩივე და, რაც მთავარია, იყავი მორჩილი. კარგად დაიხსომე — იყავ მორჩილი, თავის წამოწევა აღარ გაბედო, თორემ... აბა, ახლა სირბილით თბილ საწოლში!“

ადგილიდან სპრინტერივით მოსხლტა, აკანკალებული თითებით გაალო კარი, ოთახში შეიპარა.

მთელი ღამე ბორგავდა.

დილით გვიან გაეღვიძა. დიდხანს იწვა გაყუჩებული. თავი უბრუოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მძიმე ავადმყოფობა გადაეტანა. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. შიშმა შეიპყრო, გაუთვითცნობიერებელმა შიშმა. ფაკაფუცით ჩაიცვა.

მოსახვევში თავის ყოფილ მასწავლებელს დაეწია. მანქანიდან გადმოვიდა.

— როგორ ბრძანდებით, ეთერი მასწავლებელო.

— გურამ, შვილო, შენა ხარ? როგორ გამოხარდი შენი ნახვა. როგორა ხარ?

— კარგად ვარ, რა მიჭირს. თქვენ მშვენივრად გამოიყურებით.

— ეჰ, დაბერდი, გურამ. ბიჭებს ხომ ნახულობ, როგორ არიან?

— ყველას ძალიან გვენატრებით. დაბრძანდით, წაგიყვანთ.

— არა, არ მინდა. ჩემს ასაკში ფეხით სიარული სჯობია. შენ კი, ალბათ, კვლავინდებურად გიჩქარება, — დედობრივი სითბო ჩაუდგა თვალებში. — მესამე კლასიდან გიყურებ და ჯერ დამშვიდებული არ მინახიხარ. სად მიჩქარხარ ყოველთვის, ბიჭო, სად გაგვიანდება?

— რა ვიცი, აბა! — ხმა გაებზარა. — კარგად ბრძანდებოდეთ. მართლაც მაგვიანდება. აუცილებლად გინახულებთ ბიჭები.

— კარგად იყავი, ჩემო გურიკო, და ცოტა დაფინჯდი, ბიჭო, დროა. ხომ ხედავ, ჭოლარაც გამოგრეკია.

— შეეცდები, — აკოცა. — კარგად ბრძანდებოდეთ.

„მართლაც, მთელი ჩემი ცხოვრება სულ სადღაც მიჩქარება“. გაახსენდა, სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს რომ აბარებდა, გამომცდელმა უთხრა: შვილო, ძალიან ჩქარობ და მაგიტ ცხოვრებაში ჩემსავით ბევრჯერ გამწარდებიო და, მიუხედავად შეორე გამომცდელის წინააღმდეგობისა, კომისიის თავმჯდომარესთან გაუშვა ხუთიანზე. მას შემდეგ რამდენჯერ დაინახა ის კაცი და ერთხელაც ვერ მოახერხა, მისულიყო და მადლობა ეთქვა. „არადა, აუხდენელ ოცნებისავით დამდევს ეს სურვილი“, ჩაილაპარაკა.

მანქანა ფსიქიატრული საავადმყოფოს ეზოში გაჩერდა. შენობაში შეეიდა. რამაზ ქაჯთარაძეს კიბეზე შეხვდა.

— ხმა არ ამოიღო, დიაგნოზი უნდა დაგისვა. ესე იგი, სულელი კოლეზია. ხომ სწორი ვარ? — რამაზ ქაჯთარაძემ გულღიად გიიცინა, გადაკოცნა.

— ეგ ჩემზე უკეთ მოგეხსენება, მაგრამ ჩემი მკურნალი ექიმი ვერასოდეს გახდები, არ გაღირსებ. საქმეზე მოვედი.

— აქ არ დაგვაცდინან, ეზოში ჩავიდეთ, მშვენიერი ამინდია, — კიბეს ჩაუყვნენ. — სულ ვფიქრობ, შემოგიარო, მაგრამ ამ სადოქტოროს გადამკიდეს წუთი არა მაქვს.

— ჩვენ თვითონ ექმნით ამის პირობებს, რომ ცხოვრებამ გაგვიიოს. შენ არა გცალია, მე არა მცალია, რეზოს არა სცალია. სამაგიეროდ, მარტოობა, გულგრილობა და, ბოლოს, ინფარქტი იქნის ჩვენთვის.

— სწორი ხარ, — სკამზე ჩამოსხდნენ. — ჩემი ბიჭის მეგობრებს რომ შევუყურებ, პირდაპირ შეურს მთი. სულში რაღაც სუსხი მიდგება, ლამისაა ვიტირო ხოლმე ამხელა კაცმა. აბა, გაიხსენე, განა ჩვენ კი წარმოგვეედგინა, რომ უერთმანეთოდ ერთ კვირასაც გავძლებდით? მაგრამ, რას იზამ, ეტყობა, ესაა ცხოვრება.

— აი, ეგ „რას იზამ“ გვღუპავს. „რას იზამ, ვერ მოვიცალე;“ „რას იზამ, ბოროტება ძლიერია და ხშირად იმარჯვებს;“ „რას იზამ, მხარში ვერ დაგიდგები;“ „რას იზამ, ცხოვრებამ გამტეხა“. რა არის, იცი: კაცმა თავისი თავი ამ მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფარ სამყაროში მაშინ გასწირა, როდესაც ეს „რას იზამ“ მოიგონა.

— თუ ძმა ხარ, ნუ მომიწამლე ღილა. თქვი, რა საქმე გაქვს.

გურამ სავანელმა ნაფაზი დაარტყა.

— ამ ორი დღის წინ ნუგზარ დაკეთაია ვნახე. კი არ დაკინაზე, ვნახე. — ხაზი გაუსვა. — ველაპარაკე კიდეც. ნუგზარი შენთან მკურნალობდა. მითხარი, მართლა ასე განწირულია?

რამაზ ქავთარაძე წამოდგა, ხელები უკან შემოიწყო, გიიარ-გამოიარა.

—ჩემო გურამ, ყველა ქმედებას თავისი საყრდენი აქვს, რაც, დროთა განმავლობაში, პოზიციურ ძვრებში იჩენს თავს. ნუგზარის შინაგანი სამყაროს წვდომა შეეძელი, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მასთან კონტაქტში ვერაფრით შეეედი. იცი, რატომ? არ სურს, — ხელები გაშალა. — თავის თავში ჩაკეტილი, ყველა და ყველაფერი შეეძულება, რწმენა დაუკარგავს და იდემალად განაჩენიც გამოუტანია. რა ღონე არ ვიხმარე, რა ხერხს არ მივმართე, როგორმე გამომეწვია და მერე მისკენ შეუმჩნეველად ჩავრეულიყავი, მაგრამ ისე აქვს გამახვილებული, თუ შეიძლება, ასე თქვას, თავდაცვის ინსტინქტი, წამს გრძნობს მოახლოებულ საფრთხეს და ცხრაკლატულით რაზავს ყველა მისადგომს. ერთ საღამელოს გაგიმხელ, — ფიქრიანი მზერა მიაპყრო, — ნუგზარს თავისი ძმა არ მოუკლავს. დამაცადე, — ხელით ანიშნა, ნუ მიშლიო. — ის ტრაგედია როგორ დატრიალდა, მოგიყვები. იმ დაწყევლილ დღეს ნუგზარი თურმე თავის უმცროს ძმასთან ერთად ბეღურებზე ამირებდა ნადირობაში. თოფი გაუტენია. სწორედ ამ დროს მამამისი მოსულა გამომტყვარალი და ნუგზარს სცემია — შე გათახსირებულო, იმის მაგივრად, რომ გაკვეთილები ისწავლო, რითი ირთობ თავს. მე სამზღერო აკადემია მარშალთან ერთად მაქვს დამთავრებული და დისციპლინის დარღვევას არაფის ეპატიებ: ან გამოსწორდები, ან მოგკლავო. თოფი ხელიდან გამოუტაცია. ეტყობა, პატარა ძმა დაფრთხა, ლულას ჩაეჭიდა და თოფიც გაეარდა. სისხლში მეცერავი ბავშვის დანახვაზე არამზადა ალკოჰოლიკი სახლიდან გავარდა და პატარამ სული ნუგზარის ხელში დალია. ამასობაში მეზობლები შემოვიდნენ და, ძმის უსულო სხეულთან მოკუნტული ბიჭი რომ დაინახეს, კიეილი ატეხეს. სწორედ მაშინ დაირღვა ნუგზარის ფსიქიკის მაჯისცემა.

გურამ სავანელი ერთხანს გაოგნებული მისჩერებოდა.

— შენ საიდან იცი ყოველივე ეს?

— ადრე შეუმჩნევეთით, ძლიერი აღგზნების დროს ძილში გაპყვიროდა, უდანაშაულო ვარო. სიმართლე გითხრა, პირველად, როგორც ყველამ, ავადმყოფის თვითდაცვის ინსტინქტს მივაწერე, ფსევდორემინისეენციული მოვლენაა. მეთქი, მაგრამ ერთხელაც რაღაც ეშმაკი შემჩნდა. არაყი ვასვი, აღგზნები საშუალებებიც მივეცი და შეადარეთ ყველაფერი თავიდან გადაეტანა. ბოლოს შოკში ჩავარდა. რიცა მოვპარეწეთ, ეუკად იქცა. ერთი კვირა კუდში დამდევდა, სულში მიძვრებოდა, ცდილობდა გაეგო, ვიცოდი რამე თუ არა. თვალი თვალში გავუყარე და თვალნათლივ დავინახე: საკმარისი იყო თუნდაც ერთი ნიშანი იმისა, რომ ყველაფერი ვიცოდი, თავს არ იცოცხლებდა. რამდენი ხანი გავიდა ამს შემდეგ და მაინც როგორც უწმინდურს, ისე მიფრთხის. დღე-ღამ ვფიქრობ, რა გზით მივუდგე, როგორ დავარწმუნო, რომ მისი ცხოვრება სხვისი ცოდვის ზიდვით არ უნდა ითანგებოდეს, რომ საჭირო ძალის მოკრება და იმ წყეული ზღუბლის გადაბიჯება, რომელიც აგრერიგად თრგუნავს. ერთიხანობა ვიფიქრე, ახლობლებს მოვეკაპარაკები-მეთქი, მაგრამ, ჯერ ერთი, ვინ დამიჯერებს, მეორეც — ამას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. — თითები ერთმანეთს გადაკაუჭდა, დაჯდა. — მოკლედ ვერავითარი გამოსავალი ვერ მიპოვია.

გურამ სავანელმა თავი ჩაქინდრა. შეეცადა, გაბნეული აზრები როგორმე მოეკრიბა. ხელი ისე აიქნია, თითქოს თავის თავს რაღაცას უმტკიცებდა. წამოდგა.

— ნეტავ ისევ შენთვის შეგენახა ეგ საიდუმლო. კარგი, აღარ მოგაცდენ.

— აბა, კარგად, ძამიკო, — რამაზ ქავთარაძემ მანქანამდე მიაცილა. — კვირას რას აკეთებ, ხომ არ შემოგიარდი?

— კვირას მათუმში ვიქნები, გადაღება მაქვს. რომ ჩამოვალ, გინახულებ. კარგად იყავი, — ხელი ჩამოართვა, აკოცა.

მანქანაში რომ ჩაჯდა, საოცარი უძლურება იგრძნო. „დავიღალე. მართლაც და, რამდენი წელი იქნება, არ დამისვენია, ეჰ, საშუალება რომ იყოს, დავსახლდებოდი სადმე ზღვისპირა კოპწია ქალაქში, ვიმუშავებდი პოლიკლინიკის ექიმად და ვიქნებოდი ჩემთვის“. მანქანა დაქოქა, მაგრამ ადგილიდან არ დაუძრავს. ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. ბოლოს უაზროდ დასძრა. „ბაღში შევივლი, — გაიფიქრა შუქნიშანთან. — ცოტა გულს გადავაყოლებ“.

ბაღში შეჯგუფულ ფეხბურთის გულშემატკივრებში გაერია. უცხო ხალხში თავი ლაღად იგრძნო. საუბარში ჩაება. ლაპარაკს არავის აცლიდა, მაგრამ მალე ესეც მობეზრდა. მანქანასთან დაბრუნდა, უკანა კარი გამოაღო, წინა სავარძელს იდაყვებით დაეყრდნო. ნუგზარ დავითაიას ნაღელიანმა სახემ კვლავ უსაყვედურა: „ხვალ იმდენი საქმე გამოჩნდება...“ თავი ხელებში ჩარგო.

...ეკარაზე ტატრები ითამაშდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომვლელმა კარი გადარაზა და განყოფილებაში შებრუნდა. ფოიეში ორნი დარჩნენ.

— საიდან გიიგე ჩემი ამბავი? — ნუგზარ დავითაიამ სიგარეტის ტლიკეტს დახედა.

— რამაზმა მითხრა.

— მოსკოვში რას აკეთებ?

— კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ვსწავლობ, სარეჟისოროზე. შენ რას შვრები, უძილობა ისევ გაწუხებს?

— რაც აქ გადმომიყვანეს, ძილის მეტი არაფერი მიკეთებია. მაშ, რეჟისორი გახდები? გახსოვს, ჩემი ოცნებაც ეგ იყო. როგორ მინდოდა რეჟისორობა...

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს. აი, ორ წელიწადში ინსტიტუტს დავამთავრებ და, თუ მიკადრება, ასისტენტად აგიყვან. მერე კი, ვნახოთ, მთელი ცხოვრება წინაა.

თითქოს ცას შორეული, ოდნავ მბჟუტავი ვარსკვლავი მოსწყდა, ისე ჩაკრა ოდნავ შესამჩნევი სხივი ნუგზარის გამოხედვაში.

— არ მინდა. შენი ამბავი გულწრფელად მაბარებს. თუ დრო დაგრჩეს, შემოიარე, მე აქ, სულ ცოტა, სამ თვეს მაინც გამაჩერებენ.

გურამ სავანელმა ჩანთა გახსნა. სიგარეტი, ფორთოხალი, შოკოლადი და ხაჭაპური ამოიღგა.

— ლობიანი პურია? სიზმარი ამიხდა, — ხაჭაპური მოიტეხა. — ხვალ ახალი წელია, ნაძვის ხე დაგვიდგეს.

გურამ სავანელმა მიმოიხედა. ჩანთიდან შამპანურის ბოთლი ამოაძვრინა.

— ამაზე რას იტყოდი?

— ოცნებასაც ვერ გვებედავდი. დროზე გახსენი, არავინ შემოვიდეს.

შამპანური უხმაუროდ გახსნა. ჯიბიდან პლასტმასის დასაყეფი ჭიქა ამოიღო. დაასხა.

— ბედნიერების მომტანი იყოს მომავალი წელი.

დალია. წამს შეავსო. გაუწოდა.

ნუგზარ დავითაია გაზის ბურთულებს მიაშტერდა.

— არ მეგონა, თუ ამქვეყნად კიდევ ვახსოვდი ვინმეს. ჩასახულ იმედს გაუმარჯოს, — დალია. — კიდევ დამისხი, ახლა მე ვიტყვი, — გურამ სავანელმა ჭიქა შეუფსო. — წეღან ვთქვი, ჩასახული იმედს გაუმარჯოს-მეთქი. მოდი, ახლა ცხოვრებაში გაჩენილ შანსს გაუმარჯოს. — ხაჭაპური მოიტეხა. ლოკები შეეფაკა, თვალებში სხივი აუღიალიღადა. — გურამ, ახლა ყველაფერს ვერ აგიხსნი, მაგრამ, თუ გამგიგე, ჩათვალე, რომ ჩემს სიცოცხლეში საფიერად მეყოლები.

—ისეთი რა უნდა მთხოვო, არ გავაკეთო.

— მე რომ აქ ბოლომდე დავრჩე და მერე ისევ ძველებურ ცხოვრებას დავუბრუნდე, იცოდე, ჩემი საქმე წასულია. მარტო შენ შეგიძლია დამეხმარო. — ვედრებად ქცეული თვალებით აპყრო. — შენი პასპორტი უნდა მათხოვო.

— რად გინდა?

— ქვეყნად რამდენი დიდი მშვენებლობაა, მოგვსხენება. იქ მე მხლოდ პასპორტი დამჭირდება და კიდეც, თუ თხოვნაა, თხოვნა იყოს, შენი ტანსაცმელი და ხუთასი მანეთი.

— დავუშვათ, თანახმა ვარ. აქედან როგორ გაგვალ?

— ხანდახან სასეირნოდ მიშვებენ. შენ თხოვ, ბაღში გავისეირნებთ-თქო. იქ ერთი ადგილი ვიცი, დადავიცავ და ავორთქლდები. შენ პასუხისმგებლობაზე ნუ იფიქრებ, იტყვი, ეზოშივე დავეშვიდობეთ.

მე კი იქ ჩემს ცხოვრებას ნელ-ნელა ავაწყობ. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვი, დანარჩენს მერე მოგწერ. შენ ეს მითხარი, თანახმა ხარ თუ არა, ოღონდ, ძალიან გთხოვ, ნუ მომატყუებ, — პასუხის მოლოდინში თავი ჩახარა.

— ერთიც მითხარი და თანახმა ვარ. აქედან რომ გახვალ, განა ყოველივეს შენი საბუთებით ვერ მოიმოქმედებ?

— რა ბავშვივით მელაპარაკები. ჩვენების ამბავი არ იცი? წამს იზოლატორში ამომაყოფინებენ თავს — საბოლოოდ გაგიდგაო. მეხმარები თუ არა?

გურამ სავანელმა ქვეყიდან ახედა. დაინახა, დაძაბულობისაგან როგორ უთრთოდა ყველა ნაკვთი. გული ჩაეფთქა.

— მოდის! რაც მოხდება, მოხდეს. თანახმა ვარ.

— როდის მოხვალ? — ნუგზარ დავითაია ერთთავად კანკალებდა.

— ხვალ ახალი წელია. ზეგ ამ დროს აქ ვიქნები.

— მაშ, ახლა წადი, ეჭვი არ აიღონ, — აკოცა. — ოღონდ არ დამაღალატო.

— ნუ სულელობ. ბედნიერ ახალ წელს გისურვებ.

მთელი ღღე სულ ნუგზარ დავითაიას სხივჩამდგარი გამოხედვა ედგა თვალწინ. თანდათან რწმენდებოდა, ნუგზარ დავითაიას სატკივარს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეშველებოდა, თუ გარდასულ ემოციებს როგორმე ამოშლიდა მეხსიერებიდან და ახალი ემოციები გაბატონდებოდნენ მის შინაგან სამყაროში, სადაც წარსულს არც ერთი კუნჭული არ ექნებოდა დათმობილი.

ორ იანვარს, დილით, თითქმის ყოველივე მზად ჰქონდა. ცოტა ფული აკლდა. ისიც წუთი წუთზე ეაჯა ზანდუკელს, თამაზ გურგენიძესა და დათო შენაძეს უნდა მოეტანათ.

თორმეტი საათისთვის ბიჭებიც მოვიდნენ.

— ბედობის დღეა, თითო ხომ არ დავლოთ? — წაისხვათაშორისა გურამ სავანელმა და შემდგომ მთელი ცხოვრება ნანობდა ამ დაუფიქრებლად ნასრული ფრაზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ჭიქას მეორე მოჰყვა, სტუმრებიც მოვიდნენ და საავადმყოფოში წასვლო ერთი საათიდან მეორესთვის იდებოდა. როცა გაეღვიძა, უკვე სამი იანვრის სამი საათი იყო. დასაკლავი ხარივით დაიღმუვლა, ტანი ჩაიცვა.

დილამდე ოთახში იბორიალა, თავს იწყმიდდა. შვიდ საათზე უკვე ეუჩაში იყო. ტელეფონ-ავტომატიდან თამაზ გურგენიძესა და დათო მენაბდეს დაურეკა. სახაშეში შეხვდნენ.

მეგობრებთან შეხვედრამ ცოტა დაამშვიდა. „მართლაც, ერთი დღე გინდ იქით ყოფილა, გინდ აქეთ“, — გუნებაში გაიმეორა ბიუების ნათქვამი.

ათი საათი იქნებოდა, უკვე კარგად შეზარხოშებულებმა საავადმყოფოს მეორე სართულის კარზე თამამად დაბრახუნეს.

„რა ამბავია, ვინ ამტვრევს კარს“?! — მოესმათ ჩახლჩილი ხმა. საკეტი ახხაკუნდა. ჩაფსკენილი სანტარი გამოჩნდა.

— ვინ გინდათ?

— პირველ ყოვლისა, გილოცავთ ახალ წელს, — თამაზ გურგენიძემ ჩურჩხელა გაუწოდა. — მეგობარს გვინდა მივულოცოთ ახალი წელი.

— რა გვარია?

— ნუგზარ დავითაია, — დათო მენაბდემ გაუღიმა. გურამ სავანელი ადგილზე ვეღარ ისვენებდა.

— ნუგზარ დავითაიამ წუხელ ძალიან გაფრინა და იზოლატორში გადაიყვანეს.

— როგორ თუ გააფრინა? — ძლივს ამოღერღა.

— როგორ და ფერადად. მთელი დღე ცოფინანივით აქეთ-იქით დარბოდა, საღამო ხანს გასერინება მთხოვა, მაგრამ მაგას ვეპატიე? წამს მივეხვედი, რასაც აპირებდა. ყელში მწვდა. ისე უცბად მოვეკვრიხე კისერი, რომ...

— მერე? — თამაზ გურგენიძემ ავად გაიღიმა. — მოიყვანე ჭკუაზე?

— უცბად.

— უხ, მე შენი!.. — დათო მენაბდემ ხელი მთელი ძალით მოიქნია.

— ხელიგნებმა ჭკლვენ! — იყვირა სანიტარმა და კარი ცხვირწინ მიუკეტა.

— აბა, პლეტი, თორემ ცუდადაა საქმე,—თამაზ გურგენიძემ ძლივს დასძრა გურამ სავანელი.

ეზოში გურამ სავანელმა ფეხი აითრია.

„ი ეს, რომ წაბორძიკდა“, — მოესმა უკნიდან. შემობრუნდა, თეთრად გაიღიმა. „ესენი თუ ცოტა არ შევახეხე, შეიძლება გემრიელად ვერცა მცემონ...“ ჩაილაპარაკა და მოახლოებულს მუშტი მუცელში ატკა.

●

კაკუნმა გამოაფხიზლა. თამაზ გურგენიძე უღიმოდა. კარის გაღება ძლივს მოისაზრა.

— რამ გამოგაშტერა, კინაღამ ჩამოვიბეგლეთ. ფანჯარა.

— როგორა ხარ. რა კარგია, დღეს რომ გნახე. აჭ საიდან გაჩნდი?

თამაზ გურგენიძემ თითი ზემოთ აღმართა.

— იქიდან.

— ნუ ახურებ. ამაღამ მათუმში მიდიხარ.

— ვერ ელევი, აბა, ილუზიებად ქცეულ ოცნებებს? გიგე, დაბერდი და წარსული საუფლამოდ გაქრა, წავედი. ვერ გამიგია, რისთვის იწერწყვა სულს, რისთვის ინგრევ ნერვებს, რა გინდა?

— მოვრჩები გადაღებას და ყოველივეს ერთხელ და სამუდამოდ იმ სკივრში მივუჩენ ადგილს, აუხდენელი ოცნებების ნაყარნუყარით რომ არის სავსე.

— თუ შეგრჩება რამე?

— როგორ არა. ჩემი შვილი, მომავალი და კიდევ რაღაც-რაღაცები.

— სამუშაო ბევრი დაგრჩა?

— საკმაოდ. რატომ არ შემოიარ, არ გაინტერესებს, რა გავაკეთეთ?

— მართლა, კაცო, ამ გახსენებაზე, შენსა და ჯონდოს შორის შავმა კატამ ხომ არ გაირბინა?

— რა იყო? — ფერი ეცვალა.

— გუშინ ერთ ადგილზე ვიყაიეთ და, რომ დათვრა, ცოტა გაახურა, მაგრამ, ეტყობა, სიმთვრალეთ ვერ მოზომა.

— ისე უცნაური ხალხი ვართ. თუ ვინმე რამეს იტყვის, მთელი ძალებით ვცდილობთ, გამართლება მოვეძებნოთ.

— არა, ისეთი კი არაფერი უთქვამს. გამოაცხადა, გურამ სავანელი ის კაცი არ ყოფილა, მე რომ მეგონოს. მოკლედ, რწმენა დაგიკარგავს კაცისთვის, — თამაზ გურგენიძის ხმაში ირონია გამოსჭვიოდა.

— „ოჰ, ისეთია ჩემი ცხოვრება, იანვარს მოძმედ არ ვეძნელები...“ — მწარედ ჩაიცინა, ფანჯარა ჩამოსწია. — საით მიდიხარ?

— პრინციპში არსაით. შენ ხომ არაფერი გინდა?

— არა, ისეთი არაფერი. მგონი ჭკუიდან ვიშლები, — გაიღიმა. მანქანა დაძრა.

— არ დაიჯერო, რომ ეგ სიკეთე აბლა დაგვმართა. კაი ხანია უკვე. წყვილ-წყვილად უფშტვენ. ასე რომ, მაგაზე ნუ იდარდებ, მაგრამ, მე მგონი, რაღაც სხვა გინდოდა და სხვა თქვი.

— აი, რომ ჩამოვალ, მერე გეტყვი.

— შენი ნება. ფრთხილად, ტაქსი!

— სად დამიმუხრუჭა. არ იქნება მაგათი საშველი. სად მიგიყვანო?

— კლუბში. გინდა, საღამოთი შეეხვდეთ.

— სამზე სტუდიაში ვრეა მაქვს. ხუთისთვის მეცლება. მოკლედ, რა ვქნათ, იცი? ორივემ

ნოდარ კოტორიძე
თეთრი ღრმილი

ჩემთან სახლში დავრეკოთ და დავიბაროთ, სად ვიქნებით. მართლა მინდა, რაღაც გითხრა.

— კი, ბატონო.

— ფეხბურთის რა ისმის, „ბელადი“ კმაყოფილია ახალი მწერთნელით?

— ისე რა. შენ დაგვიანინ და, იცოდე, ხანდახან რომ გვიჯერებდნენ, უკეთ იქნებოდა მაგათი საქმე.

— „ბელადი“ ნიჭიერი კაცია და აქამდე როგორ ვერ მოახერხა ფეხბურთის მოყვარულთა რაღაც ორგანიზაციაში გაერთიანება. ისეთ სიაფანდრახს კი არ ეგულისხმობ, ტელესტუდიაში რომ შეიქმნა. არა, ნაღდი კლუბი რომ ჩამოყალიბებულიყო, სადაც საშუალება გენქნებოდათ დისპუტების, პრესკონფერენციების და, ბოლოს, უბრალო საუბრების გამართვის. შეიმუშავებდით წესდებას, გადაიხდიდით საწევროს. შემოსავალთან, რომელიც, დამერწმუნე, გვარიანი იქნება, ერთ კარგ შენობას აიღებდით იჯარით. ამ საქმეში მთელი ქალაქი დაგიჭერდათ მხარს, თორემ ისე ბაღში დგიმბა და ცარიელი ლაპარაკი, არ გეწყინოს და, წყლის ნაყვაა.

— მაგაზე ჩვენც გვიფიქრია, ვცადეთ კიდეც. მაგრამ, სადაც მივედით, ყველგან უარით გამოგვისტუმრეს. თუმცა რას მალაპარაკებ, შენ თვითონ არ იცი, რომ მაგაზე ფიქრიც კი ჩვენთან უტოპიაა? წყალი.

— მონდომებაა საჭირო, მონდომება და შეუპოვრობა! — მიაძახა. — ისე, ხანდახან ხალხის მტრებივით რომ იქცევით, თუ გრძნობთ ამას! — კარი მოიჯახუნა.

თამაზ გურგენიძემ გაუღიმა, ხელი დაუქნია. გურამ სავანელმა თავი დაუქნია.

— აქეთ ვარ, ბარიმ ქეთინოს ენახავ, თორემ შეშფოთა დედაჩემმა, ერთი და გაყავს და ისიც მოიძულეო“, — გაიფიქრა.

ზარი გაბმულად დარეკა. კარი ორმოცდაათ წელს მიტანებულმა ქალმა გაუღო.

— ქეთინოს გაუმარჯოს!

— ოხ, დაკარგულო! — სახეზე არაფრის მთქმელი ღიმილი აუთამაშდა. ლოყა მიუშვირა. — როგორ მოხდა, გაგვიხსენე.

— მე სულ მახსოვხართ, — ლოკიაში გავიდა, ტახტზე ჩამოჯდა. — ბავშვები სკოლაში არიან? ჩემი ძვირფასი სიძე სადა ბრძანდება, ჯერ კიდევ არ დაუქერიათ აფერისტობისთვის?

— აფერისტი შენა ხარ, — კარს მიეყუდა. — აქეთ სად ბრძანდებოდი. რა გენაღვლება, არაფრის დარდი შენ არ გაწუხებს და ედება ღობეყორეს.

— მაშ, მაშ!

— ის რა საგზური მოგვიტანე — არც წყალი მოდიოდა, არც გათბობა იყო წესიერი.

— ქალო, ეგეც ჩემი ბრალია, ბაკურიანში რომ წყალი არ მოდიოდა?! გახურებულ სეზონში ქვეყანა შევაწრიალე, საგზური გიშოვეთ და კიდევ მემდური?

— კობას სპორტული პიკამა რომ გამოუტანე, ვითომ ჩვენ გვაწყენდა?

— გადამრეკეს ეს ქალი. კობას და შენს ჩოკინას ერთი ზომა სჭირდებათ? ხომ გამოვუგზავნე „სალამანდრას“ ფეხსაცმელები ამას წინათ.

— რად უნდოდა, მთელ თბილისს აცვია. იმ ხელა ჰორორარი რომ აიღე, ერთხელ რატომ არ გაგახსენეთ.

— არა, ხალხი ტყუილად კი არ ჭორაობს, ნაშვილებია, უმადური! — გაიფიქრა და წამს გაუელვა: „კიდევ კარგი, ადამიანის გონში დადადებული ყველა იმპულსის აღქმა შეუძლებელია სხვა ადამიანისათვის, თორემ ყაკობრობა დიდი ხნის წინათ შეწყვეტდა არსებობას“.

— კარგად იყავი.

— დედას უთხარი, ხვალ საღამოთი გამოვიდეს“, — გიიგონა მიმავლმა.

„მივეპარე, რომ მოვიდი. არ შემიკლეს ხელში გაუთავებელი პრეტენზიებით? იმ დასაწვავში ორჯერ მინახულეს და მას შემდეგ მარადიულ მოვალედ მთელიან. რაც უნდა გავუკეთო, ერთ მადლობას ვერ ვეღირსები. ჩემს რეგვენ სიძეს, თავი პირველ ვეფაკაცად რომ მოაქვს, მანქანის აკუმულატორი რა არის, ისიც ვერ უშოვია. ამას წინათ კობა ორი დღით არ დათტოვეს, დედაჩემი კი უნდათ მოსამსახურედ“. ბეჭის არეში თითქოს დახანჯლესო. სკლა შეანელა, ტაციელისგან თვალები მოეტუტა. „არაფერია, გამივლის. პირველი ხომ არ არის“, — გაიფიქრა, წამალი მოიძია. „ერთი ამ ფილმს მოვარჩე და მერე შეიძლება მარილა წავიდე პერიფერიაში ექიმად, თორემ აქ დიდი დღე არ მიწერია“. ქრაქელი მოესმა, თავი ნერვიულად გაიქნია, მანქანა აღმუვლებული ხარივით გაარქანა.

კრების დაწყება ოთხზე ძლივს მოახერხეს. მანამდე ფილმის დირექტორთან, ბატონ როლანდთან თათბირობდა.

— კარგია, ყველა რომ კარგად გრძნობს თავს. ესე იგი, ხელს არაფერი გვიშლის. ჩვენი ვიგონი მერეკეი, ხომ ყველამ იცის. მე ორად ორი თხოვნა მაქვს თქვენთან. პირველი ეხებაათ მამაკაცებს. ბიჭებო, ძმურად გთხოვთ, დღეს ნუ დათვრებით. მეორე თხოვნა მანდილოსნებთან მექნება: უმორჩილესად გეკედრებით, მატარებელზე არ დაიგვიანოთ. თუ რამე ტექნიკური დაბრკოლებაა, ბატონი როლანდი აგვრაა, თუ ჩემთან გაქვთ რამე საქმე, მეც აგვრა ვარ. თუ საქმე არაფერი გაქვთ, კრება დახურულად გამოვაცხადოთ და მატარებლის გასვლამდე თხუთმეტი წუთით ადრე ყველა სადგურზე იყოს. არ გემშვიდობებით.

ჯგუფმა ნელ-ნელა იწყო დაშლა.

„ახლა რომ თამაზს შევხვდე, ვითუ დალევამ მომიწიოს. ისევ სპობია, სახლში წავიდე და ცოტა დავისვენო“, ვაჟა ზანდუკელის სახლს რომ ჩაუარა, გაიფიქრა, წამით შეეფლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ზანდუკელს რეზინის ჩექმები ჩაეცვა და მანქანას რეცხავდა.

— გახუნდება, ბიჭო, ამდენი რეცხვით.

— შენ გირჩევნია, შენს ურემს მიხედო. საცოდავს ენა რომ ჰკონდეს, იყვირებდა, მიშველეთო, ხალხო, ჯუკუმა დამახრჩოო. როგორა ხარ?

—ამაღამ ბათუმში მივდივარ.

ვაჟა ზანდუკელმა თმა გადაიწია. ყურადღებით შეათვალიერა.

— არ მომწონხარ. დაწუეი ერთი-ორი კვირა, თორემ ყველაფერი უკან დაგრჩება.

— ვითომ ვიბრიდები?

— არ არის გამორიცხული, — ჩაიმუხლა, წინა სალონი ამოწმინდა.

— ჰოდა, მაშინ ეგ იქნება გრაფ მონტე კრისტოს ბოლო შურისძიება.

— შურისძიება? ვისზე?

— თავის მოუწესრიგებელ ცხოვრებაზე!

— რაც დრო გადის, უფრო და უფრო ტრეე. დათოს წერილი მივიღე.

— რას იწერება?

— ისეთს არაფერს. მოკითხვას გითვლით. შენ ოოდის ჩამოხვალ?

— რა ვიცი. თუ ამინდმა შეგვიწყო ხელი, მალე დავბრუნდები.

— თუ ძმა ხარ, წვეთი არ მიიკარო. თავს მოუფრთხილდი.

— შევეცდები. აბა, წავედი!

— იქიდან დარეკე, როგორ იქნები.

— კარგი. რომ ჩამოვალ, ერთი მეიეცალოთ, თორემ სულ საქმე მარილი არ შეიიღება, — ვაჟა ზანდუკელმა ჰაერივანი კოცნა გაუგზავნა.

სახლს რომ მიუახლოვდა, შეფარულმა სევდამ დარია ხელი. თავი ნერვიულად გაიქნია.

კარი დედამ გაუღო.

— სახლში ხართ? — კურტაკი ჩამოკიდა.

— კი. ნათიამ ყველაფერი გაგიმზადა. შენ სად დაიკარგე მთელი დღე. თამაზ გურგენიძემ დარეკა, სახლში ველოდებიო.

— კარგი. კობა მეცადინეობს?

— კი.

სწერ მაგიდასთან ჩაფიქრებულ შვილს მიუახლოვდა, ლოყაზე აკოცა.

— რას ჩაფიქრებულხარ?

— მასწავლებელმა დაგვავალა, მამულიშვილებზე თემა დაწერეთო და ვფიქრობ.

— ვისზე შეიჩერე არჩევანი? თუმც ჯერ ეს მითხარი, შენი აზრით, ვინ არის მამულიშვილი?

— მამულიშვილი ის ადამიანია, რომელსაც ყველა პატივს სცემს. უყვარს შრომა, აქვს დიდი თანამდებობა, აშენებს ქალაქებს, ქარხნებს, ანდა დიდი მეცნიერია; თუ მწერალია, წერს ბევრს და კარგად.

გურამ სავანელმა სიგარეტს მოუკიდა.

— რაც შენ ჩამოთვალე, ეგ ყველა ადამიანის მოვალეობაა. რომელსაც აგრეთვე აქვეყნიური კეთილდღეობაც მოაქვს. ჩემშარი. ტი მამულიშვილი კი ისაა, ვისაც შეუძლია ერის კეთილდღეობისათვის ცარი თქვას პირად ბედნიერებაზე. მოშს იქნება, შეცნიერი თუ ს- ზოგადო მოღვაწე, ანსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა.

კობამ ფუტკლზე წრე შემოხაზა.

— მამა, შენ ხარ მამულიშვილი?

გურამ სავანელ ვიფიქრა.

— შენ როგორ გგონია?

— რა ვიცი, აბა, — მხრები აიჩეჩა.

— კარგი ბიჭი ხარ შენ. — ჩაიხუტა. —ვისზე გინდა დაწერო?

— ეკვთიმე თაყაიშვილზე.

— სწორად გიფიქრია. აბა, ხელს აღრ შეგიშლი.

სამზარეულოში გავედა.

— მთელი დღე ლუკმა არ ჩამსვლი.

ნათიამ გაზი აანთო.

— კარტოფილია შემზეარი.

გურამ სავანელმა საყვედურის კალო შეიგრძნო.

— ძალიან გთხოვ, მოშხამულს ნუ გამიშვებ.

— მარტო შენ განწყობაზე რომ ფქრობ, რატომ არ კითხულობ, იმსახურებ თავზე ხელის გადასმას? სახლში პურის ფული არაა, თუმცა შენ ეს რაში გადარდებს!

— კარგი, ქალო, შემარგე ლუკმა.

ნათია სამზარეულოდან გავიდა გურამ სავ-ენელმა უგერგილოდ წაიღუკმა, სწოლ ოთახში შევიდა. ისე იყო მისავთებული,უეცად ჩაეძინა.

ძილ-ბურანში დედის ხმა ჩაესმა, მატარებელზე არ დაგიგვიანდესო. წამოდგა. საათს შეხედა. „როგორ გაფრენილი დრო“, გაიფიქრა. პირი დიბანა, ჩანთა აიღო, ლოჯიაში გავიდა.

— ხომ იცით, გაცილებას ვერ ვიტან. აბა კარგად მენახეთ. ალბათ, ჭალე დავბრუნდები, — შეამჩნია, ნათიას ცოემლები ახრჩობდა. — რა გატირებს, შე სულელო, ფრონტზე ხომ არ მისტეგრეთი, — თმაზე აკოცა. — კობა, კარებამდე გამომყევი.

გასასვლელში შეჩერდა, შვილი ხელში აიყვანა.

— რომ ჩამოვალ, შენს დღეკანდელი თემა აუცილებლად წამაკითხე, — თვალები დაუკოცნა.

ეუბნაში ცოოდა. ტაქსს კარგა ხანს ელოდა.

სადგურში განწყობა ერთბაშად გამოუკეთდა. გამცილებლის გვერდით მეეზოვესავით აყუდებულ ფილმის დირეკტორს ხელი ჩამოართვა.

— ხომ ყველაფერი რიგზეა?

— რა თქმა უნდა.

— რასა იქმენ?

— ზოგი კითხულობს, ზოგი ჯორაობს. უმეტესობა ნანიკოსთანაა შეჩერებული.

— ჯონკო თუ მოვიდა?

— კი, კუპეშია.

ვაგონში შევიდა, კუპე მოიძია. სახელურს

ბელი რომ ჩაავლო, საკუთარ თავზე გაბრაზდა — თითები უთრთოდა.

ჯონდო მესხმა წამოიწია. წიგნი დახურა.

— უკვე ვიღლავდი, სად არის მეთეი.

ჩანთა ზედა თაროზე შეადგა.

— ჯონდო, მიეჩინა ამის თქმა, მაგრამ შენ ბაღეშში არ წამოხვალ.

ჯონდო მესხი გაფითრდა, შემართული მარჯვენა უმწეოდ ჩამოუვარდა.

—პატიოსან სიტყვას გაძლევ, ჩვენს დიალოგს ვერაფიდეს ვერაკინ გიგიებს. რომ დაგბრუნდები, ისე ძველებურად განვაგრძობთ, მაგრამ ახლა ეხა გამიგო — იქ მარტომ უნდა ვიმუშაო.

ჯონდო მესხი კენგურუსავით მოიხარა მხრებში. ჯიბდან სიგარეტი ამოიღო, კოლოფს ერთხანს უყურიდ დაიკეკრდა, მაგიდაზე დაადგა და კუბიდან გაგვიდა.

გურამსავანელმა ფარდა გადასწია. სიგარეტს მოუკიდა

„რა უარონბაა ყოველიეე“, — უთხრა თავს.

მატარებელი ნელა დაიძრა. ლიანდაგების ელრიალმა დარდი ეროსავით დაუმძიმა. დერეფნიდან სიცილი მოესმა. „ბავალ, ცოტას გეულ გადაყაოლებ“.

„ჩვენს რეფისორს გაუმარჯოს! “— დაიძახა ერთმა. გამოვიისუფლებულ ადგილს ჩაეკვეხა, ხაჭაპურ მოიტეხა.

— გურამ, რაბე გვითხარი, — ნანიკომ კონიაკით სავსე ჭქა მიაწოდა. — ჩუმად! რეფისორი სადღეგრძელოს დგამს.

ყველამ ერთმად გაიცინა. გურამ სავანელმა კუბეში მსხდონნი შეათვალიერა, დარდიანად გაიღიმა.

— ერთი ის მითხარი, ხაკუთარ თავს რას ერჩოდი, შე კაცო?

— დილას, სულ ცოტა, ათი წუთით მაინც ვაგვიანებ სამსახურში, მოსვლის, ხალმოსაც ათითხუთმეტი წუთით აღრე მივრბივარ შინ.

— შეხვედებას როგორ იყენებ? — სიცილი ვერ შეიკავა ბაადურმა.

— ყოველდღე ერთის მაგიერად ორ საათს ვიხვენებ.

— მერე ამას ანონიმური წერილი რად უნდოდა, — ავდგებოდი და წესიერად ვიმუშავებდი, თავის დროზე მოვიდ-წავიდოდი.

— ჰმ... — ისევ ნიშნის მოგებით ჩაიცინა ფიტიკომ.

— რა გაცინებს, შე... — „რეგვენოო“, უნდოდა ეთქვა ბაადურს, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე დაიჭირა.

— შენი გულუბრყვილობა, — მშვიდად მიუგო ფიტულიამ, რომელსაც ბაადურის აღშფოთება არაფრად ჩაუგდია. — მარტო მე როდი ვიქცევი ასე. მთელი ანარატი ჩემსავითაა. ჩემი გამოსწორება საქმეს ვერაფერს უშველის, მაგრამ როცა მოვლენ ან მკითხავენ, რა როგორ არიანო, თავსაც ვამხელ და სხვებსაც შავ დღეს ვაკეთებ. მიხვდი?

— მიგიგდი, რომ არამზადა ყოფილხარ, და თუ ვეღირსე სამსახურში დაბრუნებას, შენს ოხტში ამოვალ!

„ღმერთმა ნუ ქნასს“ — გაიფიქრა ფიტიკომ და ჯამწამები ააპრიალა.

— თუ არ გეწყინება, ერთ რაღაცას გეტყვი... თქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— იმაზე საწყენი რაღა უნდა იყოს, რაც მითხარი.

— დარწმუნებული ვარ, ამ ბოლო ანონიმურ წერილს ჯერ კიდევ დაგიჭერენი... სამუშაოზე აღარ დაგაბრუნებენ. ახე რომ... — და ისევ გაიცინა, დემონურად, ზიზღისმომგვრელად.

ბაადურს ისე შეეშინაზა ეს კაცი, ზედაც არ უნდოდა შეეხედა. ის კი კვლავ ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა და ბაადურაშვილს ურცხვად გალიმბებული შესცქეროდა.

— წადი ახლა, ფიტულია, — უთხრა ბოლოს ბაადურმა.

— წავალ, — უცად შეეშინაზა ფიტიკო, — მაგრამ მინდა ერთი რამ გკითხო.

— რა? — უნებურად ჰკითხა ბაადურმა.

— არ გაინტერესებს, რატომ გადაგიშალე გული? — კითხვითვე მიუგო ფიტიკომ.

— არა, — გულგრილად უთხრა ბაადურმა.

ფიტიკომ თავი ჩაპკიდა.

კარგა ხანს იჯდა უძრავად, გასუსული.

— მაინც გეტყვი.

— მითხარი... — ისე უთხრა ბაადურმა, თითქოს ძიდ-ღვიძილშიაო.

— დარწმუნებული ვარ, ხაიკოზში ყველაფერი გიამბეს. ხომ მართალია? — ჰკითხა ბაადურმა.

— სიმართლე მითხარი!

— გითხრა, რომ მერე ანონიმური წერილი დამიწერია? — ბაადური წელით ხავსე გრავენს მიხეკდა და ფიტიკოს თვალები დაუბრიალდა: — წადი ახლა, მომწყდი თავიდან!

ამ დამეს ცუდად ეძინა. გამთენიისას იგრძნო, რომ სიცხეს ამუნია.

საერთოდ, კანმრთელი კაცი იყო — აშვიათად ავადმყოფობდა. ერთადერთი, რაც გამოეცალა, თავის ტკივილი იყო, სიცხე არასოდეს ჰქონია, სანამ ავარიაში არ მოჰყვა. ავარიის მერმე კი ისე დაბაზეზდა, ყველაფერი სტკიოდა, სიცხესაც ზშირად აძლევდა.

ცოლი გაადვიძა — ეკიმი გამომძახეო.

ხასლი, სადაც ბაადური ცხოვრობდა, კალაჭის ბაღის პირდაპირ იდგა. მისი ოთახის ფანჯრიდან მთელი ბაღი ხელისგულივით ჩანდა.

ბაღის ხრეშმოყრილ ბილიკზე პენსიონერი ბებიები და ბებუები პატარა ეტლებით დაბატარებდნენ თავიანთ შვილიშვილებს, ერთმანეთს ეხატყვებოდნენ, ბავშვებს ეხას უჩლეკდნენ, ნელა დახვირნობდნენ შეუჯარებული წყვილები; ბაღი ჩიტებით იყო ხავსე. წამდაუწუმ გაისმოდა ბულბულების სტვენა.

ბაადური ფანჯარასთან მიდგმულ საწოლზე იწვა, სარკმლიდან მობერილი გრილი ნიავს ხარბად ისუნთქავდა და ფრინველთა გალობა-ციკციკს უსმენდა.

ეკიმი რომ მოვიდა, მზე კარგა ხნის ამოსული იყო.

გულთბილად მიეკალმა, მოიკითხა.

— გეტყობიან, წუხელ ცუდად გიძინიათ, — უთხრა, გაანჯღრა რომ მორჩა. — ხომ არავის შეუწუხებიხართ?

ბაადურმა ხაბანი წაიხურა, წამით თვალები დახუჭა.

— დიდი არაფერი მომმდარა... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

— თქვენთვის ცოტაც ქმარა.

ბაადურმა თვალები გაახილა და ეკიმს შეხედა. ხაოცარი რამ მოსდიოდა — უმნიშვნელო რამეხაც კი მოთმინებიდან გამოჰყავდა. ახლაც ეკიმს ცუდი ხომ არაფერი უთქვამს, მაგრამ როგორღაც უცად გალიზიანდა.

— ნერვები გაკკთ დაძაბული და... — თავი გაიქნა ეკიმმა, თუმცა ბაადური ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეკიმის ეს ეესტი.

— მერე მიუშვეთო რამე, მომეხმარეთ... — თითქმის უკმეხად უთხრა ბაადურმა.

ეკიმმა ერთხანს იფუქრა, ავადმყოფს თვალებში ჩახედა, მაკა ისევ გაუხინჯა.

— არის ერთი ხაზლარგარეთული წამალი,

ნოდარ ხუდაძე
თანამტრისს მოციქული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თქვენთვის ზედგამოკრული იქნება, მაგრამ...

უადგილოდ შეწუვეტილმა ფრაზამ ბაადური დაარწმუნა, რომ ექიმმა იმ წამალზე ხელი მიუწვდებოდა, იმედის თვალი შეავლო და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ხელზე ხომ შეიძლება იშოვოს კაცმა?..

— კი შეიძლება, მაგრამ ოთუსბირი ღირს... — ისე თქვა ექიმმა, თითქოს სიტყვები ძალიან ძალად ამოგლეჯეს პირიდან. ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლილი შელოგ თავზე მოიხეა.

— თუ მოშიხდება... — ბაადურმა ფრაზა შუაზე გაწყვიტა, თუმცა ექიმს არ გასჯერვებია იმის გაგება, რომ მისი პაციენტი მზად იყო, დიდი ფული გადაეხადა, ოღონდ წამალი წასხდომოდა.

— რას ამბობთ! — შეხტა ექიმმა, ცხვირსახოცი დაკეცა და პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო. — უებარი წამალია!

— ფულს ახლავე მოგართმევთ.

— არა, რა საჭიროა. მოავარია, ვიშოვნო, ფული მეცა მაქვს...

ექიმმა შესაბე ფდეს მოაკითხა. პორთფელიდან ფიდის ამბით აშიოლო რაღაც შუშა და ბაადურს სახეგაბრწყინებულმა გაუწოდა.

— როგორც იქნა, გიშოვნეთ!

— დიდი მადლობა! — ბაადურმა ხელი სახუშალოკვნეზ შეჩყო და ფულის შეკვრა გამოიღო. — რამდენი გადაიხადეთ?

— არაფერი! — მაშინვე შეაგება ექიმმა. — არაფერი! — გაიმეორა და ხელები წინ ისე გაიშვირა, თითქოს ეეფდრებოდა, შეურაცხყოფას ნუ მომაყენებ, ფულს ნუ შემომაძღეო.

ბაადური ამას არ მოელოდა. იცოდა, რომ ექიმს ფული ისე უყვარდა, ცოლ-შვილს ერჩია, და მისმა უარმა გაოცა.

— ვიცი, რომ ეს წამალი ძალზე ძვირი ღირს...

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ... — სიტყვა გაწყვეტინა ექიმმა. — თუ ღმერთი გწყმნი და ჩემი ოჯახის ოდენი ბალი გაქვთ, ნუ ვილაპარაკებთ, რა დიდი ამბავია, ძველი ნაცნობისა და, შეიძლება ითქვას, მეგობრისთვის ადამიანმა მცირე მსხვერპლი გაიღოს...

ეს ისე თქვა, ბაადურმა ენა ვეღარ მოიბრუნა იმის თაქმელად, ფული გამომართვითო, თავი მადლიერად დაუკრა და უთხრა:

— სიკეთით გადამეხადოს.

ექიმმა ქმაყოფილად მოიფშვნიტა ხელები. შეეტყო, რომ გუნება ერთბაშად გამოუკეთდა: „ხვალ სხვას მიეყიდი ორმაგად, ეს კი სამუდამოდ ქმაყოფილი დამრჩება", — გაიფიქრა.

— წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე... — თქვა და უმალ დადუმდა. ხომ არ ვიჩქარე. იქნებ ჯერ არ დამდგარა იმის დრო, ეს საუბარი წამომეწყოო, გაიფიქრა.

ბაადურმა თავის მოვალეობად ჩათვალა გამოხმაურებოდა ამ თითქოსდა შემთხვევით ნათქვამ ფრაზას — რაც უნდა იყოს, ეს ექიმია. ახალი სიკეთე უფო ექიმმა.

— რა სიზმარი? — ჰკითხა და მოსასმენად მოემზადა.

— იქნებ დაღლილი ხართ და დასვენება გნებავთ... — ოდნავ დაიმორცხვა ექიმმა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ იმ სიზმარის მოეუვეზოდა, წუხელ რომ ენახა.

— არა, არა, სულ ახლახან გამომეღვიძა, სხვათა შორის, ეს ორი ღამე კარგად მეძინა, კარგად არა, — უცებ გაახწორა ბაადურმა, — მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უკეთ მაინც, ვინემ ადრე... აი, ამ წამალს მივიღებ და, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად კარგად დავიძინებ.

— ნამდვილად, ნამდვილად! — კვერი დაუკრა ექიმმა და ჩვენთანისაბერი ხელი მოიფშვნიტა.

— მაინც რა სიზმარი ნახეთ? — ცნობისწადილმა არ მოასვენა ბაადური.

— ნიტარსხვნენებული დედაჩემი მესიზმრა. ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა და თავისაკენ მიმპატიჟდა. ძალზიაც მახსოვდა, რომ დედა დიდი ხნის გარდაცვლილი იყო და ზაშთი აკანკალებული მიეუახლოვდი. თაიგული შემომპატიჟა, ერთადერთი სიტყვა მითხრა — „ეარუშჩუტ"! და გაქრა. მთელი დღეა ვუკირკიტებ ამ სიზმარს და ვერაფერი ამიხსნია. ვერც ის გამიგია, რას ნიშნავს სიტყვა „ეარუშჩუტ". თქვენ ხომ არ იცით?

ბაადურმა თავისი ლეკსიკური მარაგი გულდასმით მოიჩხრიკა, მაგრამ ამ სიტყვას ახსნა ვერ უპოვა. კარგა ხანს იჯდა დადუმებული, ფიქრებში ღრმად ჩაძირული.

— არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა, — თავი ასწია ბოლოს ბაადურმა — სიზმარი კი ცუდი არ არის.

— მართლა? — გაეხარდა ექიმს. — მთელი ღამე არ მიძინია, დღესაც ვერ მოვიხვენე. ვის არ ვუთხრე სიზმარი, მაგრამ კაცაზეელმა ვერ ამიხსნა. თქვენ, როგორც იქიდან დაბრუნებულ კაცს, ყველაფერი დაგეჭერებათ ფა...

ბაადური კარგად მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს „იქიდან", მგრამ ექიმის სიტყვები უასუხოდ დატოვა.

— თაიგული მოგცათ, ხომ არ წაუთრმეკია?

— არა, არა, არ წაუთრმეკია, მომცა და ის სიტყვა მითხრა, ის უცნაური და გაუგებარი სიტყვა.

— იცით, რა შეიძლება? — უთხრა ბაადურმა, რომელსაც უნდოდა, როგორმე ეხიამოვნებინა ექიმისათვის. — შეიძლება ეს სიტყვა ხაიკოის ენაზე მართლაც ნიშნავდეს რაშეს...

— შეიძლება, — უმალ დაეთანხმა ექიმი და ისე აწრიალდა, ბაადურმა ნამდვილად იგრძნო, რომ რაღაცის თხოვას უპირებდა.

— ხაიკოიში თავისი ტერმინები და კანონები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ... — ყოველისმცოდნეობა შეიფერა ბაადურმა.

— ხომ არ გეწყინებათ, ერთი რამ რომ გთხოვოთ? — საცოდავად დაიღრიჭა ექიმი. — ოღონდ უარს ნუ შეტყვით და, როცა გენებოთ, მიმახახურეთ, თქვენი უურმოჭრილი მონა ვიქნები.

— როგორ გეკადრებათ, — თავი გამოიდო ბაადურმა — ბრძანეთ.

— თუ კიდევ მოხვდეთ იქ... გამიგეთ, რას ნიშნავს სიტყვა „ეარუმჩუტ...“ გამიგეთ, თქვენი ბრძანებე!..

ექიმი ყელგამოწყვდილი ეხვეწებოდა და ბაადურს არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ აღეთქვა, გაგიგებ ამ მაგიური სიტყვის მნიშვნელობასო, თუმცა „იქ“ ხელახლა მოხვედრის სურვილი სულაც არა ჰქონია...

კოწია მეხაფლავე ბაადურის ოჯახში მუდამ სასურველ სტუმრად ითვლებოდა. იმიტომ კი არა, რომ მისგან სასიკეთო რაიმეს გაგება შეიძლებოდა. არა. ეს იყო უბრალო, უბირი, ეთილი, პიწახავით მსუქე და პაერივით გამჭვირვალე ბუნების კაცი. მოვიდოდა, თან აუცილებლად ბოთლ არაყს მოიტანდა და, რადგან ბაადურ ბაიდურაშვილი სასმელს არ ეკარებოდა, თვითონ ბიდონს მოხდილი წრუპავდა ნეხა-ნეხა და თავის თავგადასავალს ყვებოდა. მხოლოდ თავის თავგადასავალს, რაც ბაადურს, ალბათ, ათასჯერ მოესმინა, მაგრამ კოწია მეხფლავე იმდენად ნიჭიერი მთხრობელი იყო, მუდამ დაძაბული, ყურადღებად ქცეული უსმენდა.

იმ დღესაც კოწია ხმაურით ავიდა ბაადურის ხანლის ბოქაზზე, კარი დაუკაკუნებლად შეაღო და ოთახში რობოროსი შეაღაჯა.

— როგორა ხარ, ჯა, როგორა ხარ, ბიგო?

„ბავი ხატინის ბლუზა ეცვა, რომელსაც უჩვეულოდ დიდი გულის ჯიბე ჰქონდა დაკერებული, წელზე ხალიოსნიანი ქამარი შემოერტყა, როგორხაც ახლა იშვიათად თუ შეხვდებით. ქამაროში მარცვნენ ხელის ცერი ჩაეყო და ხელი ნახნეხანარივით ეკიდა. პერანგის გულის ჯიბიდან უზარმაზარი ავტოკალამივით ჩანდა ყალიონის ტარი. მარჯვენაში არაყის ბოთლი ეჭირა. ბოთლი თავმოხდილი იყო — ეტყობა, სუფთა წახძლია და გზაშივე მოწრუპა რამდენიმე ყლუპი.

ბაადურმა არ უუპასუხა — მოყირჭებული ჰქონდა ეს გაზეპირებულივით ფრაზები „როგორა ხარ?“ — „არა მიშავს რა“ ან: „მიდგას სული“. მოყირჭებული რომ ჰქონდა, იმიტომ არ უპასუხა, უბრალოდ გაღელვა, მთელი ხახით გაღღმა, რაგორც ფას სჩვეოდა, და კოწიაც, ცხადია, დაკმაყოფილდა ამით. ალბათ, ამიტომ ჩაიბუზღუნა:

— ჰოდა, მადლობა ღმერთსს!..

ხკაინ ხაწოლთან მიაჩოჩა და დაჯდა.

ზონზრობა კაცი იყო, ახე, ხაშუალო სიდიდის კამეჩრის წონისა, და რომ დაჯდა, ახალთახალი ეროვნული ბიბლიოთეკა სკამმა ხაცოდავად დაიკვნესა.

— კარგად იყავი! — დალოცა მეხპანიერი, ერთი თვალიც ჩაუკაკუნა და ბოთლი მოიკუდა. არე თვალი დაუხუჭავს, არაკი მემზწარაო, წარბიც არ შეუხრია. — ბოთლი თითქმის შუადგე ჩაიყვანა, იატაკზე დადგა და ტუჩები ხელის ზურგით მოიწმინდა.

ოთხმოცდაშვიდი წლის კაცი იყო, ქვაბავით მაგარი და კამეჩივით ღონიერი. ცოლი ჰყავდა — შვილიშვილად ერგებოდა. ოთხმოცდახამი წლისას ვაჟიშვილი შეეძინა, რომელსაც კოწო შეარქვა. კოწო ხუთს ერარა, იმას რომ დაიფიცებდა, წუალს ადარ დალეკდა.

თავისი დღე და მოხსენება ხასიფლაოზე გაეტარებინა. როცა ხაკმე არაფერი ჰქონდა, იმ ხაფლავებს ჩამოუფლდა, ხადაც, მინი ბრძრი, ბრძენკაცები განინსენებდნენ. ყოველი მათგანის ხაფლავის ქვაზე ჩამოჯდებოდა, ხმადაბალი ღღღინებდა და ოცნებაში ესაუბრებოდა. ღიღინნში, მაგალითად, აი, ახეთ ფრაზებს გამოერევდა: „შე ჭკვანო კაცო, ჩემსავით რომ ფიცხოვრა, ხომ დღეხაც ეოცახით იქნებოდი...“ „დღეხაც ყველას ახსოვხარ, ჯიგარო, შენი ხორ-მარილის მადლი დაეფიწყანაო...“ „კარგი კაცი კი იყავ, მაგრამ წუწურაკის ხახელი ჭქონდა ბავარდნილი, ძმა-ბიჭები ამიტომაც არ გაკეთხავენ...“

თუ არა და, ხვამდა.

კეფიაში, ხულ ცოტა, ხუთი დღე მაინც შეზარხოშებული დახმაცლოდნა. ახე არ დათვრებოდა, ბონი დაეკარგა და ფრიგიდ მოჭეეფილიყო. რაგორც დეკაკეთა უმრავლესობა, მთვრალიც ხაოცრად გულკეთილი, მაგრამ უსაშველოდ ფიცხიც იყო. აქეთ არაფერს დაგაშავებდა, თუმცა ოტის ოდენა დანაშაულიც არ გაპატიებდა. მუშტი არახოდეს უხმარია — იმოდენა მუშტების პატარინი იყო, ერთი დარტყმით კაბეჩსაც წაჭეცავდა, — „შეგარცხვნინ ღმერთმა!“ — მოგაძახებდა გაბრაზებული და თავის ბუხს ეწეოდა. მთელმა ქალაქმა იცოდა, ერთხელ მთვრალი, ახეზარი ბიჭები როგორ დახაჯა. რომ არ მოახვეწეს და ზოთმინება დაკარგვინეს, ბიჭები ერთმანეთზე თოკით ბედაბა და ხახაფლაოს რკინის ღობეზე გადაბა და ხახაფლაოს ბალინის ღობეზე გადაჭკიდა...

— წუნელ ჩემს კუბოში შეიძინა... — ჩაყვითლებული ღოკეში გამოაჩინა კოწიამ.

ბაადურმა იცოდა, რომ ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ კოწიამ ზუხის კუბო გაკეთებინა. თავი მოჭაშნეცა თავისი კუბოთი — რეფუტი ფიცხოგანაა შეკერული. ეს, რომ მოკვდეხი, ჩემთვის ზუხის ხაკუთრე ფიცრის ხაძერხად თავს ვინ შეიწუხებხო!

— ჩემი ხულცხონებენი მშობლები რომ მომენაცრტეს, კუბოში ვიძინებ და ინოსთანა ტკბილ ხიზმრებს ვნაბულთს, მშვენიერ გუნებაზე მეღვიძება...

კოწიამ გულის ჯიბიდან ყალიონი დააძრო, ქიცა ამოიღო და ჩიბუხის დატენას შეუდგა. ნელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოპნობდა, აუჩქარებლად — ეტყობა, დღეს სახაფფლაოზე საკმე არაფერი ჩქონდა.

— მე ალარ ვეწევი... — უთხრა ბაადურმა, ამით უნდოდა ეგრძნობინებინა, აქ ნუ მოსწევ, ჩემზე ცუდად მოკმედებსო, კოწიამ კი მისი სიტყვები თავისებურად გაიგო.

— ძალიან კარგი, — ახანთი გაპკრა, ყალიონი რამდენჯერმე მოსუტა, მერე ღრმა ნაფაზი დაარტყა და გააბოლა. — რაც გვნებს, ახლოსაც არ უნდა გაიკარო.

ბაადურს არაფერი უთქვამს, ყომრალ კვამლს თვალი უხმოდ გაყოლა.

— ჰოდა, ორივე არ გამომეცხადა, — განაგრძო წუთის წინ შეწყვეტილი ამბავი კოწიამ, პირჯვარი გადაიწერა: — ღმერთმა გამინათლოს იმათი სულის!..

— იცი, რა არის საოცარი? — ჰკითხა მერე ბაადურს და არყიან ბოთლს ისევ მისწვდა. სანამ ბოთლს მოიყუდებდა, ყალიონი ერთხელ მოსუტა.

ოთახი თამბაქოს მძაღე სუნით აყროლდა. ბაადურმა ფანჯარას ხელი ჩაჭრა და გააღო.

— მახე სკობია, — მოუწონა კოწიამ და ბოთლი ფეხებშუა ჩაიდგა, თითქოს იმის ეშინოდა, ვინმე ონავარი არ წამომეპაროს და არ ამართვასო. — კუბოში რომ ვიძინებს, სულ ფერად სიზმრებს ვნახულობ...

ბაადურმა ნათქვამი არ დაუჯერა, რადგან თვითონ არაჩოდეს დაზმანებია ფერადი სიზმარი, თუმცა ამის გამო არ შეპაიჭერებდა. მიუხედავად იმისა, რომ ოთახი თამბაქოს სუნით აავსოლა, ბაადურს მაინც სიამოვნებდა ამ უბოროტო კაცის ყმენა.

— მათგან სიტყვა „ეარუმჩოტ“ ხომ არ გაგიგონია? — უცებ გაახსენდა ეჩიმის ამახსენებლელი თხოვნა ბაადურს.

— წუხელ — არა, — მაშინვე მიუგო კოწიამ და წამით ჩაფიქრდა. — ისე კი, მგონი, სადღაც მომიკრავს ყური — სიკვდილს უნდა ნიშნავდეს მიცვალებულთა ენაზე.

ბაადურს გაეღიმა: მიცვალებულთა ენა რას ჰქვიაო.

— შენ სად გაიგენე ეგ სიტყვა? — კოწია ალმაცერად მიაჩერდა და ბასუხის მოლოდინში ხელი ისევ ბოთლისაკენ გაიწვდინა.

— ჩვენი უბნის ეჩიმს დედა დასიზმრებია და იმას უთქვამს ეს ერთადერთი სიტყვა.

— ხომ გითხარი, სიკვდილს უნდა ნიშნავდეს-მეთქი!.. — თითქოს ნიშნის მოგებით შესძახა კოწიამ. — ღმერთმა აცხონოს, წუხელ შეიცხადეს...

ბაადური ჩაბეჭირდა.

კოწია გაოცებით მიაჩერდა — ვერ გიეგო, რა აციებდეს ამ კაცს.

— რის წუხელო, კოწია, ეჩიმს დედა ხელრინად არც კი ახსოვს!.. — ისევ გაიცინა ბაადურმა.

— მე ეჩიმზე გეუბნები, ბიჭო, თორე დედამისი როდის გარდაიცვალა, ჩემზე ადრე-ი ცის.

ბაადური გაოგნდა, ყბა განზე გაექცა და სხეულის ნაკვთები ისე აუტოკავი, შეციებულივით ამაგრებდა. მერე სლოკინი აუტყდა და გული კინაღამ შეუწუხდა.

კოწიამ ჭიქით წყალი მიაწოდა. ბაადურმა წყალი მოსვა და ოდნავ დამშვიდდა.

— გუშინწინ მინახულა... კარგად იყო...

— ვიცი, — დაემოწმა კოწია, — მაგრამ წუხელ გაჭიმა ფეხი საცოდავმა. უცაბედ, არავინ რომ არ მოელოდა, ისე.

— საცოდავი... — თქვა უკვე ხავსებით დამშვიდებულმა ბაადურმა. — ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.

— აი, ეს კი მართალია, — რატომღაც გაუბარდა კოწიას. — მეც მალე მოგკვდები... — მერე ჩაიცინა და ბაადურს გამამხნევებლად შეხედა: — ნუ შეგეშინდება და, შენ რემზე ადრე წახვალ ხაეკონის...

— ცოდვილი კაცი ხარ შენ, კოწია! — შეულრინა ბაადურმა და ამ წამს იგრძნო, რომ კოწია ჭირვეულ შეეჯავრა.

კოწიამ პირჯვარი რამდენჯერმე გადაიწერა და შემკრთალი თვალები დაეცეცა.

— ყველაფერმიდას ვფიცავ, ერთადერთი ცოდვის მეტი არაფოდეს ჩამიდენია, მხოლოდ ერთადერთი... — და რაღაც ლოცვის ჩურჩულს მოჰყვა.

ბაადურს მაინც შეებრალა ბერიკაცი და ეხიკამოვნა იმის შეგრძნება, რომ წელანდელი უცაური ზიზღი მის მიმართ თანდათანობით უქარწყლდებოდა.

— მაინც, რა ცოდვა გაკეთს ჩადენილი, კოწია? — ჰკითხა მოგვიანებით ლოცვით გართულს.

— კაცს კაცზე ვმარხავდი, უფალო, შემინდე, შენი ხახელის ჭირიმე...

—ეს რა დიდი ცოდვაა, შე კაცო! — უდარდელად უთხრა ბაადურმა, რომ ენუგეშებინა.

— ცოდვაა, როგორ არა, — დაბოღმილი ხმით თქვა კოწიამ, — მაგრამ რა მეკნა — მომაფეგებოდა ჭირიოუფალი და შემეეფდრნოდა — ამა და ამ ადგილას დამისაფლავე ჩემი მიცვალებული და, რაც ვინდა, მთხოვეთ. მე ხომ ვიცოდი, რომ იქ დიდი ხნის მკვდარი ეცვენა, მაგრამ მსუნაგი ბუნების რომ ვიყავი, ადვენებას ვერ ვძლეუდი... — თავში ხელი წაიშინა კოწიამ.

— ბევრი დაგისაფლავებია ასე? — ჰკითხა ბაადურმა.

აუმ, ვინ დათვლის! — შეიცხადა კოწიამ. — თავდაპირველად მიგვირდა, თორე მერე და მერე ისე ვაკეთებდი ამ საქმეს, თითქოს ბუნებრივი ყოფილიყო!..

— ნუ ეშინია, კოწია, ღმერთი შეგინდობს...

კოწია წამოვარდა, ბადურს ხელები მოხვია და მკერდში ჩაიკრა.

— კოწია არ ვიყო, თუ ხამეფო ადგილი არ გამოგინახო საფლავისთვის!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოდო გვიშიანი

დედამიწა

როგორც ნამსხვრევები აფეთქებულ
ჭურვისა,
თავბრუდამხვევი სიჩქარით მიჭრიან
გალაქტიკები.
იწვიან და ცვივიან უფსკრულში
ყამმოთეული ვარსკვლავები.
ნთქავენ შავი ხვრელები კოსმიურ
სხეულებს,
როგორც ხახადაბჩენილი ვეშაპები
ლიფსიტებს,
და ამ საყოველთაო ორომტრიალში
ბრუნავს მზის ოქროსფერ აბლაბუდაში
გახვეული
ცისფერი დედამიწა...

მოვიდა გაზაფხული

მოვიდა გაზაფხული.
ნიშნად განახლებული სიყვარულისა
მე შენთან მომაქვს
აყვავებული ატმის ტოტი,
მზის სხივებით და მერცხლების
ჭიკჭიკით
დახუნძლული.

ზღვის სიმფონია

დასრიალებენ მზის გრძელი,
ოქროსფერი თითები
ზღვის ლურჯ კლავიშებზე,
რომელნიც გამოსცემენ ჯადოსნურ
ჰანგებს,
იძირება ნარინჯისფერი ჰორიზონტი
ცისფერ გამებში და
ნაპირზე გამორიყული ნიყარა იწერს
ზღვის ულამაზეს სიმფონიას.

მხატვარი

რენო თურქიას ხსოვნას

მან შეაგროვა:
ნაკადულის წკრიალა ხმები,
სიოს ჩურჩული,
ფოთოლთ შრიალი,
მზის შუქი და
ყვავილთა ფერი,
შეაზავა ერთმანეთში,
ჩასვა ჩარჩოში
და ჩამოჰკიდა სახლის კედელზე...
მხატვარი დიდი ხანია აღარ არის,
ხოლო სურათში
ისევ ტრიალებს მარადიული
გაზაფხულის
თბილი ჰაერი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ტაბიძე

●

ჭიშკართან ძაღლი
გამუდმებით
აჯავრებს ღამეს,
ზიხარ ბუხართან,
მუხლზე გიდევს,
წიგნი გრანელის,
მძივივით ბრწყინავს,
ცრემლი შენი
ბაიას თვალზე,
და ახდილია
ახლა ფიქრის
ყველა სარქველი.

შენ უკვე იცი,
დაგივწყა
დიდმა ქალაქმა,
თოვს, ისევ მოჩანს
ყანის ბოლოს
ღობე ჩამტყდარი...
და ოღრო-ჩოღრო
ბილიკებს თუ
პატარა ფერდობს,
სულ ერთიანად
გაასწორებს
მალე ზამთარი.

●

ღილაა, შენთვის
დაუსწრია აღგომა სოფელს,
ჭალის მიკარგულ
ღარტაფებში ნახირი ბღავის,
და წელში მძიმედ
ჩაფერხილ და ჩალეწილ ღობეს,
ხედავ, თუ როგორ
დატყობია სიბერე მამის.
ცოტაზე შხუმფლავს,
მაგიდაზე ღრენს ტრანზისტორი,
მკვლელობა, ომი
ბოროტებას მავანთა ამხელს,
ვეღარ იცხოვრებს

ადამის ძე სინაზით, ნდომით,
ტყუილად ვმალავთ
სქელ ნიღბებში ცოდვიან სახეს.
ხოლო სოფელი
სიმშვიდის ხმას იუფლებს, როგორ
ნელინელ გტოვებს
გაქრობის თუ ტკივილის შიში.
გარბის მინდორში
გალუმპული ნინველა გოგო,
ხარ დაჯერებით,
რომ ამ შემცდარ
პლანეტას იხსნის!

მამა

ალაგე, ყორე, იქვე ახლოს
გვიმრა, ჯაგნარი,
— მაშველი ხელი სჭირდებაო,
შეღერილ ყანას.
წევს, მარილებმა სულ დაშალეს
ყველა სახსარი,
ოთხმოცი წელი რა უწყალოდ
შეჰყრია მამას.
და ნაღვლობს, ვეღარ აუყვება

ეზოს წინ ფერდობს
და ტკივილს, როგორც ყრუ
მბრძანებელს
მორჩილად უთმენს,
გაახვევს თუთუნს, უილაჯოდ
გახედავს ეზოს,
მერე მთელი დღე მოღუღუნე
შვილიშვილს უსმენს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო მორჩაძე

●

სძინავს ქალაქს...
ისმის წყნარი ადაქიო,
რიონს
მარტო თბილი სუნთქვა მოაქვს:
იის ყრუოლა,
გაზაფხულის ეშხი.
მე კი ისევ
შენს ჭრელ სიზმრებს ვხატავ...

კვლავ შენ გელი,
და ჩემს ჭერქვეშ,
შენი ლანდი დადის.
ციდან
დაფნის გვირგვინები ცვივა.
რა ღამეა?!
დაფნის ჩრდილში —
ჩვენს პატარას სძინავს...

●

სხვა არაფერი:
საქართველოს ლურჯი თვალები.
ქართული სიტყვა,
ქართული ქუდი
მკვდარს მერამდენედ აღმომაცენებს.
თორემ სიცოცხლე დამფრთხალი გულის
უცხო ჩიტივით გამიფრინდება.
დამეკარგება, როგორც დუმილით
გაწამებული უთქმელი სიტყვა
და ჩემი ყოფნაც ამქვეყნიური
ჩემს შემდეგ არვის გაახსენდება.

●

როგორც კი შეგხვდი
მისანივით მაშინვე მივხვდი:
როგორც ანკესზე მოთამაშე თევზის
სიცოცხლე,
ჩემი სიცოცხლეც, იმ თევზივით
ბეწვზე ეკიდა.
შენი თვალების ულურჯეს ზღვაში.

●

ო, ღმერთო ჩემო,
ასე უცებ როგორ დაღამდა,
ჯერ გათენება არ გამიგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანც კაფკა

ახალი თარგმანები

„ძმის სისხლი“

დადგინდა, რომ მკვლელობა ახე მოხდა: შმარი, მკვლელი, ერთ მთვარიან საღამოს, ცხრა საათისთვის ქუჩის კუთხეში დადგა, იქ, სადაც ბიურიდან სახლისკენ მომავალ ვეზეს, მხხვერპლს ენდა ჩაეკლო.

ცოიოდა, ძვალსა და რბილში ატანდა ღამის მაერი. შმარს კი მხოლოდ თხელი ლურჯი ხალათი ეცვა; თანაც ღილები შეხსნილი ჰქონდა, სიცივეს ვერ გრძნობდა, განეწყვეტლივ მოძრაობდა. ერთიანად გაშიშვლებული იარაღი, ნახევრად — ხიშტი, ნახევრად — პიუის დანა ფაკიცედ ეპყრა ხელში. მთვარის შუაზე ათვალიერებდა; ბასრმა პირმა იელვა; ეს არ იკმარა; ქვაფენილს დაკერა და ნაპერწკლები გაიარეგნა; შესაძლოა, ინანა კიდეც; შეცდომა რომ გამოესწორებინა, დანა ვიოლინის ხემივით დაუსვა ჩექმის ლანჩას; ცალ ფეხზე იდგა და წელში მობრალი იარაღის ელრიალს ისმენდა, ბეღანსწერით სავსე შუკას აყურადებდა.

რაკომ ითმენდა ამას კერძო პირი პალასი, რომელიც შორიახლოდან, მესამე სართულის ფანჯრიდან აკვირდებოდა ყოველივეს? უცნაურია ადამიანის ბუნება! საყელო აეწია, სწელ ტანზე ქამრით შემოეგბია ხალათი, კვეკვი იცქირებოდა და თავს აქნევდა.

ხუთი სახლის იქით კი, მოპირდაპირე მხარეს ვეზეს მეუღლე იდგა, ღამის პერანგზე მელითის ქურქი მოესხა და მას ელოდა, ვინც დღეს უჩვეულოდ აყოვნებდა სახლში დაბრუნებას.

ბოლოს და ბოლოს წყარუნობს ვეზეს ბიუროს კარის ზანზალაკი, წარმოუდგენლად მკვეთრად; მისი ხმა მთელს ქალაქს ეღება, ცამდე აღწევს და იუწყება, რომ ვეზე, ღამის მუკაითი მშრომელი, ქუჩისთვის ჯერჯერობით უჩინარი, შეწონიდან გამოდის; მალე მის წყარ ნაბიჯებს ქვაფენილი ოვლის.

პალასი კისერს იგრძელებს; ხომ შეიძლება, რამე გამორჩეს. ვეზეს მეუღლე, ზარისაგან დამიდგებული, სარკმელს ხმაურით კეტავს. შმარი ჩრკვებს და სახით და ხელებით ეკვრის ქვებს; ყველაფერი გაფრენილა. შმარი კი ბუსს.

ხურიდან ქუჩაზის გამეფენ ზღვართან შეჩერდა ვეზე, ზღვარს იქით დაეკრდნო ჯოხი, ისე, უბრალოდ. ღამეულმა ცამ მიიზიდა, მუქმა სალურჯემ და ოქროსფერმა, გაუაზრებლად შესცქერის ზეცას, გაუაზრებლად იხდის ქუდს და თმაზე ხელს ისვამს: იქ, ზემოთ არაფერი იძვრის, რომ უახლოესი მერმისი აუწყოს; ყველაფერი თავის უაზრო და ამოუცნობ ადგილზე რჩება. თავისთავად ჭკვიანურია, რომ ვეზე გზას განაგრძობს, მაგრამ ის პირდაპირ შმარის დანაზე ეგება.

„ვეზე!“ ყვირის შმარი, ფეხის თითებზე აწეული, მკლავი აღუმართავს, ხელში დანა უპყრია ირიბად. „ვეზე! ტუოლად გელის იოლია!“ ყელში ჩასცემს მარჯვნივ, მერე მარცხნივ, მერე მუცელში გაუკრის ღრმად. გაფატრული წყლის ვირთხები გამოსცემენ ხოლმე ისეთ ხმას, როგორიც ვეზემ გამოსცა.

„აღსრულდა!“, ამბობს შმარი და დანას, როგორც სისხლიან, ზედმეტ ტვირთს, უახლოესი ჭიშრთისკენ ისვრის. „მკვლელობის ნიტარებავ! სხვისი დაღვრილი სისხლით მოინებებული სიმსუბუქეც, ადმაფრენავ! ვეზე, ღამეულო ანრდილო, მეგობარო, თანამეინახეკ, ქუჩის ბნელ კუთხეში გხდება სული. რაკომ სისხლით სავსე ბუშტი არა ხარ, ზედ დაგაჯდებოდი და საერთოდ გაქრებოდი. არ უწერია ყველაფერს ასრულება, არ დამწიფდ ყველა სიზმარი. შენი მძიმე ნაშთი დეეს აქ, უგრძნობი ყოველგვარი შეხებისადმი, რაღას მოგიტანს მუნჯი შეკითხვა, რომელსაც გვისვამ?“

პალასს მთელს სხეულში შხამი უტრიალებს, თავისი სახლის ფართოდ გახსნილ კარებში ჩნდება. „შმარ! შმარ! ყველაფერი შევაშინე, არაფერი გამომპარვია!“ პალასი და შმარი ერთმანეთს გამომცდელად შესცქერიან. პალასი ცმაოფლილია, შმარი იხნევა.

ვეზეს მეუღლე მოიჩქარის, ხალხის ბრბოთი გარშემორტყმული, ელდისაგან უცეს დაბერებული სახით. ქურქი ეხსნება, ვეზეს ეკონება, ღამის პერანგით შემოსილი მისი სხეული ვეზეს ეკუთვნის, ქურქი კი, რომელიც სალათის ბალახივით ფარავს ცოლ-ქმარს, ბრბოს წილხვედრია.

შმარი ძლივს იკავებს მოწოლილ გულისრევას, პირისახით პოლიციელის მხარს დაპკრდნობია და მის მხუბუქ ნაბიჯებს ემორჩილება.

გერმანულიდან თარგმნა ბაბა ჩხეიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

80-კარლო კალაძე-80

ოთხმოცი წელი ადამიანისთვის ბევრიც არის და ცოტაც... ბევრია იგი იმისთვის, ვისაც უქმად და გაურჯელად გაულევია წუთისოფელი. ცოტაა იმ კაცისთვის, ვინც დღენიადაგ იღწვოდა და იწვოდა. კინც მუხლჩაუხრელად შრომობდა და მუშაობდა. ვინც განუწყვეტლივ თავს დასტრიალებდა სიტყვას, როგორც ფუტკარი ყვავილს...

აჰა, ოთხმოცი წელიც მოგდგომია კარს, ბატონო კარლო! ნამდვილად რომ ცოტაა იგი თქვენთვის — ადამიანისთვის, ვინც ეპოქის მხარდამხარ დაუღლელად იარა და მხნედ ზიდა თავისი წილი ტვირთი.

თქვენ იყავით ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი პროლეტარული მწერლობისა, მისი მეორე თაობის თავკაცი და წინამძღოლი. იმ პერიოდის ლექსებისთვის დამახასიათებელი რევოლუციური რომანტიკა და ბალადა ნათლად გამოხატავდა დროის სულისკვეთებას, ადამიანთა შემართებას ახალი ცხოვრების აღმშენებლობისათვის.

30-იან წლებში თქვენ ნაყოფიერად მუშაობდით დრამატურგიაშიც. თქვენს პიესები „როგორ“, „ხატიჯე“, „სახლი მტკვრის პირას“ დიდი მოწონებით მიიღო მაყურებელმა.

კოლექტივიზაციისა და სოციალისტური მშენებლობის წლებს გვაცოცხლებს თქვენი პოემა „უჩარდიონი“, „მთების ეპოსი“, „ხერთვისის განიადები“

ახალი ელვარებით გამობრწყინდა თქვენი პოეტური ნიჭი სამამული ომის წლებში. ისეთ ნაწარმოებებში როგორიცაა „საქვეყნოდ ომის ხმა დარხეულა“, „უსახელო მთის ბალადა“, „შეხვედრები ბრძოლის ველზე“ შესანიშნავად აისახა სამამულო ომის გმირული ბრძოლის ბატალიები, საბჭოთა ხალხის სულიერი სიმტკიცე და გაუტეხლობა.

...თქვენ პირად ცხოვრებაშიც საოცრად კაცთმოყვარე, ყველასადმი კეთილად და მეგობრულად განწყობილი პიროვნება ბრძანდებით. ამ პიროვნულმა თვისებებმაც შეუწყო ალბათ ხელი ისეთი ნაწარმოებების შექმნას, როგორიცაა „მედიანი“, „სიმღერები დნეპრის პირად“, „ფიქრი გზადაგზა“. რომლებიც ხალხთა შორის ძმობასა და მეგობრობას ადიდებენ.

განსაკუთრებული ინტერესით მიიღო მკითხველმა 60-70-იან წლებში შექმნილი თქვენი ნაწარმოებები, რომლებშიც წინა პლანზეა წამოწეული უკვე მრავალჭირნანახი კაცის ფილოსოფიური დაფიქრება საწუთროს აკვარგზე, სიცოცხლის აზრზე, ადამიანის დანიშნულებაზე.

როგორც ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში თქვით, თქვენი შემოქმედება საქართველოს რესპუბლიკის თანატოლია. თქვენი შემოქმედებაც ჩვენს რესპუბლიკასთან ერთად იზრდებოდა, ძლიერდებოდა, ღონიერდებოდა. ის საბჭოთა საქართველოს მატიანის ერთი უაღრესად საინტერესო ფურცელთაგანია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელიც იმ დღიდან დაიწყო, როცა ჯერ კიდევ 19 წლის ჭაბუკი თეატრის დირექტორად მიგიწვიათ კოტე მარჯანიშვილმა. მას შემდეგ მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გიმუშავიათ და ყველგან ერთგულად ემსახურებოდით საქვეყნო საქმეს.

თქვენი ნაწარმოებები ახლაც ხშირად გაიელვებენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებითი წვა გრძელდება...

დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სულიერ მხნეობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ, ბატონო კარლო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

გმირი და დრო

ახალი სამყარო, ახალი ხილვები, ახალი სახეები

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ახალ სამყაროს, ახალ ერას მისცა დასაბამი. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველივე წლებიდან, მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, გაპარახებული მეშეკედრეობისა, საყოველთაო შიმშილისა, დაიწყო არნახული და უმაგალითო ბრძოლა არა მარტო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის, საერთოდ ეკონომიკის, არამედ კულტურული აღმავლობისთვისაც.

ლიტერატურამ და ხელოვნებამ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პირველად საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში მოიპოვეს ეშშმრიტი თავისუფლება, აშკარად და თამამად ჩადგნენ ხალხის სამსახურში, იქცნენ მასების იდეურ-ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ უმძლავრეს საშუალებად. მსატვრული სიტყვის ემოციური ძალისა და დამჯერებლობის ზემოქმედებით საბჭოთა ლიტერატურა თავიდანვე შთაგონებდა განთავისუფლებულ ხალხებს მთელი ენერგიითა და თავდადებით ეშენებინათ ახალი საზოგადოება, ებრძოლათ კაცობრიობის უდიდესი და უკეთილშობილესი მიზნის — კომუნიზმის განხორციელებისათვის. საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ძირითადად ერთსულოვანი იყო ამ თავის მოწოდებასა და ხულისკვეთებაში, მათ დღემდე გამოყვათ ამგვარი ერთსულოვნება, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კულტურის განვითარების გზა არ იყო სწორხაზოვანი და დაბრკოლებებ ! ოყლებული. მან თავისი სიძნელეები გაიჩნდა ! ანვითარების ყოველ ეტაპზე, განსაკუთრებით კი — დასაწყის პერიოდში, როცა არსებობდა და ძალას იკრებდა.

ოქტომბრის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 20-იან წლებში, ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურას მოუხდა დიდი სიძნელეების დაძლევა, ეს იყო პერიოდი ბრძოლისა სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურულ მიმდინარეობებთან და დაჯგუფებებთან, რომელნიც ზოგ შემთხვევაში აშკარად მტრულ დამოკიდებულებაშიც კი იყვნენ როგორც ახალ ცხოვრებასთან, ისევე ამ ცხოვრებით წარმოშობილ კულტურასთან. მაგრამ ვინაიდან საბჭოთა ლიტერატურა ეყრდნობოდა უაღრესად სწორსა და თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევ პრინციპებს და თანაკვეკვნის ბედ-იღბალი თვით ხალხის ხელში იყო, რომლის ინტერესების გამომხატველიც გახდა იგი, ბრძოლის ბედი საბჭოთა ლიტერატურის სასარგებლოდ გადაწყდა.

სიმბოლიზმი და სხვადასხვა ლიტერატურული დეკადანსით განმსჭვალული მიმართულებები და ჯგუფები, რომლებმაც შეინარჩუნეს თავი ნი პოზიციები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, ხოლო ზოგიერთი კი სწორედ იმ პერიოდში აღმოცენდა, ერთგვარად წინ ელობებოდნენ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების ძირითად რეალისტურ გზას. ამან თავისი უარყოფითი გავლენა იქონია იმ დროის ქართულ მწერლობაზე საერთოდ, განსაკუთრებით კი პროზაზე.

დეკადენტური მოდას აყოლილი ლიტერატორები მთელი სერიოზულობით ამტკიცებდნენ, თითქოს ახალი ეპოქისთვის დიდი, ფართოპლანიანი პროზაული ტილოები ნაკლებ ორგანული ყოფილიყო, ამიტომაც მოუწოდებდნენ მწერლებს, ხელი აეღოთ რომანებზე და ისეთი ეშშმარტი პროზაული ნიმუშებისათვის მიემართთან, როგორებიცაა მცირე ფორმის ნაწარმოებები — მინიატურა, ეტიუდი, ესკიზი და სხვა. ამ თვალსაზრისმა საკმაოდ ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართულ მწერლობაში. ზოგი ლიტერატურის თეორეტიკოსი იმ უკიდურესობამდეც კი მივი-

---

[1] ბგოიძეული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ საერთოდ უარყოფდა მხატვრულ პროზას და ამტკიცებდა, ამ ეპიზოდის ნაწარმოებები მხოლოდ სათაურებამდე უნდა დავიყვანოთო. ახლი თვალსაზრისს ადგა ქართული სიმბოლიზმის ერთ-ერთი ადეილადგა ხანერო (ირეკეძე, ომიდელი) საკუთარი მხატვრული პროკეტიკით ცდილობდა დაემტკიცებინა თავისივე ზოგადთეორიული მოსაზრებები.

ქართული პიესების ტრადიციები უფრო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ამიტომაც ახეთი ხასიათის დეკადენტური შემოკვეთებისგან და განწყობილებისგან ჩვენში მხატვრული პროზა უფრო დაზარალდა. საკმარისია შევადაროთ ზოგადად ამ პერიოდის რუსული და ქართული ბელეტრისტიკა, რომ ეს სიხუსტე თვალნათლივი გახდეს. თუ რუსულ პროზაში იმ დროს უკვე ჩქონდა ახალი ცხოვრების ამსახველი მთელი რიგი საინტერესო რომანები, ქართულს ამგვარი რამ ნაკლებად გააჩნდა ან სულაც არ გააჩნდა.

დეკადენტური ლიტერატურის მოზღვავება და პროზის დაკნინება არ შეიძლებოდა დიდნანს ყოგრძელებულიყო, რადგან ეს იყო ცხოვრების ეროსოფნილებების წინააღმდეგ ხელა. კლასიკური მემკვიდრეობის ტრადიციები სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამ მალე აღადგინა და განავითარა. საბჭოთა ლიტერატურაში ფართოპლანიანმა პროზაულმა ტილოებმა, რომლებმაც გადაიკანეს დეკადანსის შემოტევა, კვლავ ეროვოვეს თავისი დიდმნიშვნელოვანი ადგილი და უფლებები. პროზა, განსაკუთრებით რომანი, თანდათან სულ უფრო აშკარად გახდა წამყვანი ეანრი ხაბჭოთა ლიტერატურაში. ეს შემოხვევითი მოვლენა არ იყო. „სინამდვილე მოზუმენტალურია, იგი დიდი ხანია ღირსი ფართო ტილოებისა, ფართო განზოგადებისა სახეებში", — ეუბნებოდა მაკსიმ გორკი ხაბჭოთა მწერლებს.

მართლაც, ხაბჭოთა სინამდვილე, მისთვის დამახასიათებელი უდიდები ძვრებითა და გარდაქმნებით, ჩვენი ხალხის გმირული ცხოვრება, ხავსე შრომითი ათოსობთ, ჯანსაღი ოპენებებითა და ამ ოცენებათა განსახორციელებლად დაუცხრომელი ბრძოლით, ხაბჭოთა ადამიანების სულიერი სამყაროს სიდიადე და სილამაზე შესაფერი მხატვრული სიძლიერითა და სისრულით ასახვისათვის ბუნებრივად მოითხოვდნენ და მოითხოვენ ფართო ეპიკურ ტილოებს.

ქართულმა ხაბჭოთა პროზამ პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები მხოლოდ 20-ანი წლების მიწურულსა და 30-ანი წლების დასაწყისში მოგვეცა. 20-იანი წლების დამდეგს ქართული მხატვრული პროზის გამოჩენილი ოსტატებისათვის, რომლებიც ხუთადასეა ლიტერატურულ ჯგუფებში იყვნენ გაერთიანებულნი, ძნელი გახდა ახალი, სოციალისტური სინამდვილის მთელი სიდიადის დანახვა და შეგრძნება. ძველის ნგრევანა და ახლის დამადებეს ქარცეცხლიანი ეპოქა მათთვის პირველ წლებში რთული ამოხსენობი აღმოჩნდა, ხოლო ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლებს კი, რომლებიც გულწრფელად ისწრაფვოდნენ შეეკმნათ ახალი ცხოვრების ამსახველი ფართო პროზაული ტილოები, აშკარად არ ყოფნიდათ გამოცდილება და ოსტატობა. ამიტომაც ერთგვარად შეუოვნდეს ქართული პროზის განვითარება, რამაც თავისთავად განსაზღვრა ისიც, რომ 20-ანი წლების ლიტერატურაში არ გვაკვს ეოტადგ თუ ბევრად მნიშვნელოვანი მხატვრული სახეები ჩვენი თანამედროვე ადამიანებისა.

მაკსიმ გორკკი იმ წლებში საყვედურობდა ხაბჭოთა მწერლებას იმის გამო, რომ „ლიტერატურის ყურადღება უმთავრესად მიმართულია იმისაკენ, რაც კვდება, და არა იმისაკენ რამაც დაიწყო ცხოვრება და მოკმედება". გორკის ამ საყვედურს, რომელიც უშუალოდ რუსი მწერლების მისამართით იყო თქმული, ქართველი ხაბჭოთა მწერლებიც იმსახურებდნენ.

ახეთი მდგომარეობა ქართულ მხატვრულ პროზაში დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე 20-ანი წლების მეორე ნახევარში რევოლუციამდელი მწერლობის თაობის საუკეთესო წარმომადგენელები, მხატვრული სიტყვის ეუშმარიტი ოსტატები თანდათანობით გადავიდნენ, ხოლო შემდეგ მეტაოცად დადგნენ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის პოზიციებზე. ამ დროიდან მოლიანად მწერალი ხალხის ინტერესების სამსახურს დაუმორჩილეს. საყოველთაოსახალხო შემოკმედებითი შრომის პათოსმა, ოკტომბრის სოციალისტური რევოლუციით შობილი სახელმწიფოსა და ხაზოგადოების ბერიკეთი ხავსე ყოფამ, ხაბჭოთა ადამიანების დაუცხრომელმა მოკმედებამ და ხამშობლის კეთილდეღობისათვის უანგარო თავდადებამ ალანთო მწერლები, ახალი ხამყარო გადაუხსნა და გადაუშალა თვალწინ, შემოკმედებითი ინტერესებით ალავსო. მწერლობამ ეგრძნო ცხოვრების მძლავრი რიგები და თავისი ნაბეჯი აუწყო ბამ. ახალი ხაზოგადოების მშენებლობისა და ჩამოყალიბების პროცესი, ახალი ეპოქის ადამიანის ცხოვრება და მოკმედება ამიერიდან ქართული ხაბჭოთა ლიტერატურის ძირითადი თემა და ყურადღების ხაგანი გახდა.

20-იანი წლების ბოლო პერიოდი და 30-იანი წლები ქართული მხატვრული პროზის ეუშმარიტი აღორძინების ხანად იქცა. პროზის ცენტრალური გმირი გახდა ახალი ადამიანი, — რევოლუციური ბრძოლების მონაწილეი, თავიდუფალი და ბედნიერი ცხოვრების შემოკმედი. ქართული ლიტერატურა აღიარებულ იქნა მრავალეროვანი ხაბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად. მაგრამ მთელი სიცხადით ეახახა ხაბჭოთა ხაზოგადოების განვითარების ეტაპები. მხატვრული პროზის ოსტატებმა ცხოვრების მართალ სურათებთან

ერთად შექმნეს მთელი რიგი დასამახსოვრებელი, მაღალმხატვრული სახეები თანამედროვეობისა, რომლებიც მთელი სისრულით გვიხსნიან საბჭოთა ადამიანის ფორმირების პროცესს საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ კონკრეტულ ეტაპზე.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველ ხანებში ქართული პროზა დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიულ თემატიკას, რომლის მხატვრულ გადაწყვეტაში მას ძველი და საკმაოდ მდიდარი ტრადიციები გააჩნდა. ისტორიული თემებისადმი ძლიერი ინტერესი მარტო ქართული საბჭოთა ლიტერატურისათვის როდი იყო დამახასიათებელი, რუსულმა ლიტერატურამ, რომ აღარაფერი ვთქვათ ისტორიული დრამების შესახებ, რომლითაც ახე იყენენ გატაცებული რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროს, უკვე თავისი არსებობის პირველსავე წლებში მოგვცა არაერთი მნიშვნელოვანი რომანი რუსი ხალხის ისტორიული წარსულის შესახებ. ეს არც შემთხვევითი და არც უმნიშვნელო ამბავი იყო. მაგრამ გორკი პირდაპირ მოუწოდებდა საბჭოთა მწერლებს, შეექმნათ მაღალმხატვრული ნაწარმოებები ისტორიულ თემებზე. „ჩვენთვის — წერდა იგი, — აუცილებელია ვიცოდეთ ყველაფერი, რაც იყო წარსულში, მაგრამ ვიცოდეთ არა ისე, როგორც უკვე მოთხრობილია მის შესახებ, არამედ როგორც ყველაფერ ამას აშუქებს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება...“

გამარჯვებული ხალხისათვის წარსული ეპოქების ცხოვრება როდი იყო უინტერესო. ეს უნდოდა შეეცნო თავისი ისტორიული განვითარება, სცოდნოდა სიმართლე, გარდასული ბრძოლების ხასიათი და ბედი, განსაზღვრა იმ ბრძოლების მგრეხლი. ამაში კი ხალხისათვის თავისი სამსახური მხატვრულ ლიტერატურასაც უნდა გაეწია, ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ისტორიულ-რევოლუციური ხასიათის თემატიკას განმსაზღვრელი ადგილი უკავია საბჭოთა ლიტერატურის ისტორიულ რომანებში. მათში აშკარად იგრძნობა განსაკუთრებული ინტერესი სახალხო აჯანყებებისა და მოძრაობების მიმართ.

საბჭოთა ისტორიული პროზის ერთიანან მრავალფეროვან ფონდში იმ პერიოდის ქართულმა მწერლობამ შეიტანა მიხეილ ჯავახიშვილის შეხანიშნავი რომანი „არსენა მარადელი“, სადაც გაცოცხლებულია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ლეგენდარული სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი. მწერალმა, რომელიც ამ რომანში უკვე აშკარად დგას სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე, შეძლო დიდი მხატვრული სიმართლით ეჩვენებინა ქართველი ყმაგლეხების ყოფის მძიმე სურათები და ამასთანავე შეექმნა ღრმად შთამბეჭდავი სახეები დადებითი გმირებისა, რომლებიც ხალხის წიაღიდან არიან გამოსულები და ხალხისავე ინტერესებისათვის, ადამიანური უფლებებისათვის იბრძვიან თავდადებით. უსამართლოების წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანის მთელი სულიერი სილამაზეცა და ხალხის ნებისყოფის სიტკბეცეს განსაკუთრებული სილალერით გვიხსნის რომანის მთავარი გმირი არსენა ოძელაშვილი, მასთან ერთად კი მთელი მრავალფეროვანი გალერეა დადებითი გმირების სახეებისა, რომელიც ასე ოსტატურად არის გამოკვეთილი რომანში. მწერალმა არსენას მსარში ამოუყენა კარაპინა და ოსტაპი, ამით გაგვიხსნა ის მტკიცე სათუოვნელი, რომელსაც ემყარებოდა სხვადასხვა ეროს მშრომელ ხალხთა სოლიდარობა და ურთიერთგაგება.

საბჭოთა მწერლები, უმეტეს შემთხვევაში, თავისი ისტორიული რომანებისათვის ირჩევდნენ გასული საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების მძვინვარე პერიოდს, მთელი თავისი მშფოთვარე სულით, ხალხთა იმ აზვირთებული მოძრაობით, რომელსაც უნდა წაელიკა და სახლოო შედეგში წაელეკა კიდეც ძველი ყოფა. განსაკუთრებით აღიორთოვანებდა მწერლობას სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ბერიოკული რომანტიკა, რის გამოხატვასაც მიეძღვნა ოცი და ოცდაათიანი წლების საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები. ა. ფადეევის „განადგურება“, ა. სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი“, დ. ფურმანოვის „ჩაპაევი“, ნ. ოსტროვსკის — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ა. ტოლსტოის „ტანჯვის გზაზე“, მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“ და სხვა რომანები, რომლებიც დიდი მხატვრული სიძლეერით გვიხსნიან იმ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს, იმ ეპოქების გმირების ხასიათს, რევოლუციურ შეგნებას, ცხოვრებასა და მოკმედებას საბჭოთა ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებებად იქცნენ.

ქართული მწერლობაც, მხატვრული პროზაც დიდი ყურადღებითა და სიყვარულით ეკიდებოდა რევოლუციების ეპოქის ადამიანის სულიერი სამყაროს გახსნის საქმეს, ხოლო ცხოვრების მართალი სურათების შექმნას. ამით დაიწყო ჩვენი თანამედროვე ადამიანის მხატვრული სახეების ის მდიდარი გალერეა, რომელიც დღეს საერთოდ საბჭოთა ლიტერატურას, კერძოდ კი ქართულ მწერლობას გააჩნია. აქ შეიძლებოდა თავის დროზევე შეუმჩნეველი დარჩენილიყო ეს მობრუნება ქართული მწერლობისა თანამედროვე ცხოვრებისა და თანამედროვე ადამიანის ინტერესების გამოხატვისაკენ.

მიხეილ ჯავახიშვილი დიდი ქმაყოფილებს გრძნობით აღნიშნავდა: „მწერლობაში სხვა მხრივაც უდიდესი ცვლილება მოხდა. გაქრა შამანინი დეკადენსი, პირქუში მისტიკა, კულტი ზეკაცური ინდივიდუალიზმის და შორეული ბუმბერაზებისა. გაჩნდა ახალნაირი თემა, სტი-

ლიც და ბეტყველების ხერხიც. ახლა გმირს თვითონ დღევანდელობა გვთავაზობს. იგი თანხობით მოიპოვება კოლმეურნეობაში, ქარხანაში, მაღაროში, ყინულეთში, ბაღრში, წყალზედაც და წყალქვეშაც... ცალკეულ მწერალს შეუძლიან თუნდა ფარნაზის დრო გვიჩვენის, ხ

ლი საერთად მწერლობის უმთავრესი ამოცანა ის ახალი ადამიანი, ის დღევანდელობაა, ის ახალგაზრი მეტყველებაა, რომელიც თითქმის დაკიეფილია და რომელსაც კიდევ დიდძალ ენერგიას შეეფიცეთო".

სწორი იყო მიხეილ ჯავახიშვილის ეს დასკვნა. ქართული სიტყვითა მწერლობა თანამედროვეობის სულია და ინტერესებით იყო თავიდანვე განმსჭვალული და თავისი განვითარების პირველი ეტაპებიდანვე იგი დიდი გულწრფელობით ვკითხულვდა ახალი სამყაროს სურათებს, ახალი ადამიანის, დადებითი გმირის მხატვრულ ხასიეს.

თანამედროვე ადამიანის, სოციალისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის მხატვრული ხასიეს შექმნა, მისი მაღალი შეგნებისა და მორალის სიფაქიზეს ბანმა თავიხთავად მოითხოვდა ამ ახალი ცხოვრების გმირის დასადგენად მხატვრული ისტორიის გადმოცემას. ამიხათვის, რომ სწორად გაგვეგო სიტყვითა ადამიანების სულიერი სამყარო, მათი შემოქმედებითი შრომისა და მოკვლეულის ინსპიუნი, უნდა გვცოდნოდა ამავე ადამიანების გუშინდელი ცხოვრება, როდესაც ისინი რევოლუციისა და ომიანობის ომის ქარცეცხლში ისადებოდნენ, კიდევ ადრეც, ინერნდენ სოციალისტურ შეგნებას. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ ქართველმა სიტყვითა პროზამ პირველად თავისი ყურადღება რევოლუციის ეპოქის გმირებს მიაპყრო. მართალია, ამ დროისათვის სიტყვითა ადამიანს რევოლუციური ბრძოლები უკვე უკან მოეტოვებინა და იგი ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გეგმების განხორციელებით იყო გატაცებული, მაგრამ ლიტერატურას მაინც მაინდამაინც ჩვენი თანამედროვის განვითარების სისრულისათვის მისი რევოლუციური ნათლობის სურათები მოეცმა. ამდენად, კანონზომიერად და მართებულად უნდა მივიჩნიოთ ქართული პროზის პირველი ნაბიჯები დაკავშირება რევოლუციურ თემატიკასთან.

ლეო ქიაჩელის რომანი „ხიხლი", რომელიც 1927 წელს გამოქვეყნდა, კიდევ უფრო ადრეული პერიოდისაკენ გვახედებს, იგი პირველი რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული რეაქციის პერიოდის მხატვრულ სურათებს გვიშლის თვალწინა. მწერალი საკართველოში ნაბეჭდოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სწორედ ამ რომანით დაუბრუნდა ფართო პროზაულ ტალღებს. თავისი თემატიკის და ახასიეთი ეპოქის მხრივ რომანი „ხიხლი" მწერლისათვის არ იყო ახალი. ჯერ კიდევ ოკტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში ლეო ქიაჩელმა შექმნა ხასიეთა ერთიდან ქართული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო რომანი „ტარიელ გოლეულ". რომელშიც რუსეთის პირველი რევოლუციის დროის გლეხთა მოძრაობის სურათებია მოცემული. მაგრამ თუ ახასიხავი ეპოქის მიხედვით ამ ორ რომანს შორის დიდი სხვაობა არ არის, სამაგიეროდ ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვა მხარეებით.

განსაკუთრებული ლირიზმი, ავტორისეული ხითხო და ხიყვარული, რითაც გარემოცულნი არიან მწერლის სხვა რომანების თავადი გმირები, მონუმენტური, არ შეუცდები თუ ვიტყვი, რომანტიკული ხასიეთრიობა, რაც დამახასიათებელია ქიაჩელის მსხვილი პროზაული ნაწარმოებებისათვის, რომანში „ხიხლი" არ იგრძნობა. აქ იგი შეცვლილია შედარებით დინჯი, ერთი შეხედვით ცივი და თითქოს გულგრილი თხრობითაც კი.

წერის თუ თხრობის ეს თავიხებური მანერა ამით არის გამოწვეული, რომ მწერალი „ხიხლში" ლალატობს რომანის აგების თავის ხაყვარელ ხერხს და ნაწარმოების ცენტრალურ ფიგურად ხასავს უარყოფით გმირს არჩილ დადიანიას. თავდაპრველად ქართულმა ხალატერატურო კრიტიკამ ვერ გაიგო სწორად დადიანის ხასე და ზოგმა იგი მწერლის დადებითი გმირის შექმნის ცდად მიიჩნია: „რატომ არის არჩილი თავადი და ისიც დადებითი ტიპი ისეთი რომანისა, რომელიც დაწერილია რევოლუციის წარსულის ასახვის პრეტენზიით?"

ახლა ეკვეს ალარ იწვევს ის გარემოება, რომ მწერალი, როდესაც „უნებლიე რევოლუციონერ"-ს, მენშევიკ არჩილ დადიანის ხასეს ჭვრეტდა, მიზნად ისახავდა გიეხსნა წარილბრეფაზეული ინტელიგენტის ხასიათი, ვინც თავისი შინაგანი რწმენითა და მოწოდებით კი არ დაუკავშირდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, არამედ მოლიხერალო ახალგაზრდობის მოდურ გატაცებას აყვა. მწერალი დამაკერებლად გვიჩვენებს ამ გზას სოციალ-დემოკრატია ბანაკიდან ნაციონალისტობამდე, რასაც გადის რომანის მთავარი გმირი არჩილ დადიანი. ეს უხერხულო და უნებისყოფო ადამიანი ცდილობს თავი რევოლუციონერად წარმოგვიდგინოს, მაგრამ ხაკმარისია დეკლარაციების ნაცვლად მისგან მოკმედება და აკტიური ბრძოლა მოთხოვნოს, რომ იგი მაშინვე ლალატობს რევოლუციის ხაკმეს.

არჩილ დადიანის ბიოგრაფია არავითარ ხაფუძველს არ იძლევა ამხასათვის, რომ იგი დადებით გმირად მიეჩნიათო, ამიტომაც ამჭვარი ხასიათის გაუგებრობები მალე ჩამოიცილა ხალატერატურო კრიტიკამ. პირიქით, თავისი უნებისყოფო ხასიათით, წარილბურეფაზეული შეგნებით, რევოლუციისადმი შიშით, ნაციონალისტური განწყობილებებით არჩილი მკვეთრად ჩამოყალიბებული უარყოფითი გმირია.

ამაში გვარწმუნებს ავტორის აზრი და შეუფარავი დამოკიდებულებაც გმირისადმი. მაგრამ სალიტერატურო კრიტიკამ ახლა სხვა მხრივ უხაზეველია ავტორის, თითქოს მას ხაბეითი რომანის მოკვარ გმირად ან უნდა აერჩია უარყოფითი გმირი.

არც ამგვარი საუკეთესოა მართებული. სოციალისტური რეალიზმის შეთიდი არაგვითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ლიტერატურის გამომსახველობითი ხერხებისა და საშუალებების მდიდარი არსენალის გადარიბებას. ხაბეოდ ლიტერატურაში ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრული ჩვენებისა და განხნის გზები მრავალმხრივია. ორიგინალური მიდგომა საკოხისადაში მწერალს არამცოუ არ შეუშლის ხელს შექმნას მაღალი მხატვრული ღირსებისა და სიმართლის მატარებელი ნაწარმოები, არამედ პირიქით, ხელსაც შეუწყობს ამ საქმეში, რადგან ახასიათებ მახალისადმი თავისებურად, შემოქმედებითი დამოკიდებულება წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობათაგანია.

ამ შემთხვევაში პრინციპულად ისმის ხაბეოთა რომანის ცენტრალური გმირის საკითხი. ლიტერატურათმცოდნეებისა და კრიტიკოსების ერთი ნაწილი დიდხანს ადგა იმ აზრს, რომ თითქოს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში, გარდა საკრძალო ნაწარმოებისა (ამ მოსაზრების განსაკუთრებით თავგამოდებული დამცველნი არც საკრძალ გამორიცხავდნენ, ან ხარეოთად არა სცნობდნენ საკრძალ ეანრს), რომანის ცენტრალურ სახედ აუცილებლად დადებითი გმირი უნდა იყოს გამოყვანილი. ამგვარი ხასიათის დაკვა, შეიძლებოდა თუ არა რომანის ცენტრში უარყოფითი გმირის დაყენება ან ნაწარმოებში რა პროპორციებით უნდა განაწილებულიყო დადებითი და უარყოფითი ძალები, ხაბეოთა ლიტერატურისათვის მხოლოდ ზეიანის მოტანა თუ შეეძლო. მსგავსი თეორიული რეკომენდაციები ზღუდავენ მწერალს მის მხატვრულ-შემოქმედებით თავისუფლებაში, უხიმგებენ მას დაშტამპული ნაწარმოებების შექმნისაკენ, სადაც თანამედროვეთა სიხსნასავეე ხეეე

პორტრეტია იმ ბურჟუაზიული ინტელიგენტია, რომელიც ლოგიკური თანმიდევრობით გადის გზას მენშევიკური ოპოზიციონერობიდან უკიდურეს ნაციონალისტობამდე. აი, ამგვარი მხატვრული და შემეცნებითი ღირსებები გააჩნია არჩილ დადღიანის სახეს და, მაშასადამე, მთლიანად რომანისაც.

რომანის „სისხლი" ღირსება იხიკ არის, რომ აქ ქართული ხაბჯოთა პრობლის ერთ-ერთი პირველი ჩაინტერესები, დასაბამსოფრენები მხატვრული სახეც არის შეკმნილი. მხედველობაში მაქვს ანდრო ჭარიავაზე.

მწერალი რომანში მოკმედებას ისე ოსტატურად ანვითარებს, რომ მკითხველის ყურადღების ცენტრში არჩილ დადღიანთან ერთად უბრალო გლეხი ახალგაზრდის, ანდრო ჭარიავაძის ბედიც აღმოჩნდება. ამ ორი გმირის ცხოვრება ცალ-ცალკე კი არ მიედინება, არამედ ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. თუ არჩილ დადღიანის სახით მწერალი ხაზგადაფენს ერთი ნაწილის ბრალებას ისახავს მიზნად, ანდრო ჭარიავაძეს უნდა გვიჩვენოს ქართველ გლეხებში რევოლუციური შეგნების ზრდის პროცესი. თუ სხვა გმირები და პერსონაჟები რომანია, ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით საუბრადღესაა პროფესიონალი რევოლუციონერი ბოლშევიკების სახეები მწერალს არცთუ ხულ დამაჯერებელი, მართალი, სისხლსავსე გამოუვიდა, სამაგიეროდ ცენტრალური გმირები, არჩილ დადღიანი და ანდრო ჭარიავაძე, უდაოდ ფიდი მხატვრული სიმართლის მატარებელნი არიან.

ლეო ქიაჩელი თავიდანვე მძაფრ დრამატულ სიტუაციაში გვაცნობს თავის გმირს ანდრო ჭარიავაძეს. რომანის დასაწყისშივე ჩვენ მოწმენი ვხდებით ანდროს ამაღლებული, წმინდა სიყვარულის ტრაგიკული დასასრულისა. ამ ეპიზოდით მწერალი თავიდანვე გვიხსნის ანდროს კეთილშობილურ ბუნებას და თანაც თბილად განგვაწყობს მისადმი, თანაგრძნობას გვიღვიძებს, რომ ინტერესით ვადევნოთ თვალი მის შემდგომ ბედს.

ანდროსა და მისი თანასოფლელი მეგობრების მოკმედებაა, რასაც ოსტატურად დაწერილ ეპიზოდებში ვეცნობით, აშკარას ხდის, რომ სოფლად არე რეაქციის პერიოდში ჩამკვდარა რევოლუციური მოძრაობა და მშრომელი გლეხობა მზადაა ახალი ძალით შეუტიოს თვითმპყრობელობას, კვლავაც თავგანწირვით იბრძოლოს სოციალური და პოლიტიკური თანასწორობის მოსაპოვებლად. ანდრო განსახიერებია სოფლის მებრძოლი ადამიანისა, მახში ჩვენ ვხედავთ რევოლუციის რიგით მებრძოლის ხასიათისო თვისებებს — შეუფერებელობასა და უშიშრობებას, ნებისყოფის სიმტკიცეს, რევოლუციის ხალმბასადმი თავდადებასა და ერთგულებას, მშრომელი ხალხის გამაჯერების ღრმა რწმენას.

არჩილისა და ანდროს ცხოვრება რომანში პარალელურად, ერთმანეთთან მჭიდროდ, ერთ-კავშირებულად ვითარდება, ისინი ხან ბავშვობის მეგობრები არიან. და რამდენადაც ღრმად ეფლობა ერთი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ჭაობში, იმდენად სწრაფად იზრდება მეორის რევოლუციური შეგნება და აკტივობა. უნდა ვფიქრობთ, რომ მწერალმა განზრახად გაუხვა ხაში არჩილისა და ანდროს ნიკრმის მეგობრობას, რომ ამით უფრო კონტრასტულად გამოკვეთილიყო მათი ბედ-იღბალი.

ანდრო ჭალკაში გადავა საცხოვრებლად. პირადი უბედურება და იმის საშიშროება, რომ მისი რევოლუციური მოკმედება აშკარა გახდება მეფის მოხელეებისათვის, აიძულებს მას მიატოვოს სოფელი. აქ იგი უკვე პროფესიონალი რევოლუციონერების წრეში ხვდება. ანდროს ჯერ კიდევ არ ესმის ნათლად იმ იდეოლოგიური ბრძოლის არსი, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში წარმოშობილიყო ბოლშევიკებსა და მენშევიკების შორის. იგი ინსტინქტურად, შინაგანი ალღოთი გრძნობს ბოლშევიკების ისტორიულ სიმართლეს და მათკენ მიიწევს გული. თუმცა სიყრმის მეგობარი სხვა ბანაკისაკენ ეკანჭნა. მისი აქტიური ბუნება და ახალი ცხოვრებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა ვერ გუოობს მენშევიკების ფარისევლურ ტაქტიკას, არჩილისა და მისი თანამოზრეების პასიურობას. აქედან იწყება ამ ორი გმირის ცხოვრების გზები ბაკრას და ისინი თანდათან სულ უფრო შორდებიან ერთმანეთს.

რომანის ბოლოს, მოკმედების დასასრულს მწერალი საბოლოოდ განსაზღვრავს თავისი გმირების ხასიათსა და ბედსაც. ნაწარმოების ფინალი ღრმად გვარწმუნებს. რომ დადღიანების, რევოლუციის ამ დეზერტირების ნაცვლად პარტიაში მიდიან ნამდვილი მებრძოლები, შეუდრეკელი რევოლუციონერები, რომელთა განსახიერებაცაა ანდრო ჭარიავაძე. თუ არჩილ დადღიანი, ხალხის რევოლუციური აზვირთვით დამფრთხალი ადამიანი, მისი ცხოვრების გზაზ, ემიგრაციაში მიმავალ თავის საზეიმოდ, სამაგიეროდ ახალი ცხოვრების გამარჯვების ღრმა რწმენით სავსე ანდრო ჭარიავაძის გზა ციმბირისაკენ, გადასახლებისაკენ მიდის, იქიდან, ნელაც მოახლოებული რევოლუციური ქარიშხლის წინამორბედნი ბოლშევიკურ წრეთაბას გადიოდნენ.

მწერლის ის შეხედულებითი მიღწევები და ნაკლებნი, რაც რომანში „სისხლი" შეინიშნება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბევრად იყო დამაკადებული ლეო ქიაჩელის პირადი ბიოგრაფიის ნასიათზეც. მონუმენტური სახე ტარიელ გოლუაში ამავე სახელწოდების რომანიდან, არჩილ დადღიანის და ანდრო ჭარიავაძის სახეები, ვფიქრობ, იმიტომაც გამოუვიდა ლეო ქიაჩელს ასე დამაჯერებელი და მხატვრულად ძლიერი, რომ მან პროტოტიპებს მწერალი კარგად იცნობდა 1905 წლის რევოლუციაში უშუალო მო-

ნაწილებისთან. როგორც ლეო ჭიაჩელის მიოგრაფიიდან ვიცით, მისთვის შედარებით ნაკლები იყო ცნობილი პირადი გამოცდილების თვალსაზრისით პროფესიონალი რევოლუციონერ-ბოლშევიკების ცხოვრება და მოღვაწეობა 1905 წლის მომდევნო ხანაში და, როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა ის შეცდომები, რაც მწერალმა ბოლშევიკების სახელის შექმნის დროს დაუშვა რომანში „სისხლი“. ცხადია, კატეგორიულად ამის განცხადება არ შეიძლება, რაკი სარწმუნოდ ფაქტების ძიებაც არ გაკეთებულა, მაგრამ მწერლის უშუალო გამოცდილებას და განცდას გადაამწყვეტი თუ არა, დიდი მნიშვნელობა მაინც ენიჭება მთლიანად ნაწარმოების თუ კერძოდ მისი გმირის სიმართლისა და დამაჯერებლობისათვის.

ისიც უნდა ითქვას ზოგადად, რომ იმ დროისათვის, როცა ქართული საბჭოთა ლიტერატურა პირველ ნაბიჯებს დგამდა სოციალისტური რეალიზმის გზაზე და ახალი საყოველთაო, თანამეშრომლობის ნიშნის შექმნის თვალსაზრისით ჯერ კიდევ შემოქმედებით ძიებაში იყო, მსგავსი ხასიათის შეცდომები და ხარვეზები საერთოდ იყო წმერლობისთვის დამახასიათებელი. თვით ისეთმა შესანიშნავმა მწერალმაც კი, როგორიც იყო კონსტანტინე ფეიდინი, ვისაც პოზიციას უმაგრებდა თანამოძმე რუსი მწერლების უკვე მდიდარი გამოცდილება, თავის ადრინდელ რომანში „ჭალაკები და წყლები“ ვერ მოგვცა რევოლუციონერი ბოლშევიკების მაღალმხატვრული, ბოლომდე ღრმად გახსნილი სახეები. ქართულ მწერლობაშიც ერთგვარად შეზღუდულია, ისტორიულად არცთუ მთლიანად გამჭვირვალეა სხვ რევოლუციონერი ბოლშევიკებისა მარტო ჭიაჩელის როდი გამოუვიდა. დაახლოებით ცხკვნი რამ დაემართა მიხეილ ჯავახიშვილსაც „ჭალის ტკბილში“.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული ოსტატობა ამ რომანშიც, „ჭალის ტკბილშიც“ ძლიერად იგრძნობა. ბოლშევიკების ზურაბის, მართას, ნიკოს, ლევანის თუ მენშევიკ-ფედერალისტების აკაკის და დიმიტრის მხატვრულ სახეებში შეუძლებელია არ შევნიშნოთ ხასიათების გახსნის ის დიდი უნარი, რაც მწერალს გააჩნდა. თუმცა, ამასთანავე ისიც უნდა გულწრფელად ითქვას, რომ „ჭალის ტკბილშიც“ ბოლშევიკების განმასახიერებელი გმირები ბოლომდე სწორად და ღრმად ვერ გვიხსნიან რევოლუციის ამ შემოქმედთა ისტორიულ მოღვაწეობას.

სრულფასოვანი, მაღალმხატვრული დადებითი გმირების სახეების შექმნა საბჭოთა ლიტერატურისთვის მისი არსებობის პირველ თეთრ წელში არცთუ ისე იოლი გადასაწყვეტი პრობლემა იყო. დღეს თუ ადრევე შემჩნეულმა ხარვეზებმა და ნაკლმა არ უნდა დაგვიგიწყოს ის მნიშვნელობა, რაც ენიშნებოდათ თავის დროსათვის საბჭოთა ლიტერატურაში პირველად გამოჩენილ თანამედროვეთა მხატვრულ სახეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მწერლები თავიდანვე დიდ ეურადღებას უთმობდნენ უშუალად იმ მშვიდობიანე ეპოქას, იმ ბობოჭარ წლებს, როდესაც მოჯალმოლილნიანი მშრომელების შეკავშირებულმა მარჯვენამ დაამხო ძველი სამყარო და ახალი საზოგადოების საძირკველის ჩაყრა დაიწყო. რევოლუციური მასების ფსიქოლოგიის გამომხატველი გმირის მხატვრული სახის შექმნა, ბურჟუაზიულ-ფეოდალური საზოგადოების უკვე არა მხოლოდ მორალური კრახის, არამედ ფიზიკური განადგურებისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების შენების მხატვრული სურათების წარმოქმნა საბჭოთა მწერლობის შინაგან მოთხოვნილებად და უმთავრეს ამოცანად იქცა.

რევოლუციურ მიჯნაზე ამ ორი საზოგადოებრივი წყობის ადამიანთა ბედ-იღბლის, მათი ცხოვრებისა და მოქმედების მხატვრული გაარკვევა და ბორცხეულსნა თავისთავად ითხოვდა მწერლობაში დაპირისპირების მეთოდის მომარჯვებას, როდესაც დეგრადირებული საზოგადოების წარმომადგენელთა ავადმყოფური ფსიქიკის, გამოფიტული სულიერი სამყაროს, გზააბნეული ცხოვრების სურათების ფონზე კიდევ უფრო მკვეთრად იხატება ახალი ცხოვრებისათვის შებრძოლი გმირის სახე. ამიტომაც, მხატვრული დაპირისპირების მეთოდი მწერლობის მიერ მოგონილი ხელოვნური რამ კი არ იყო, არამედ იგი თვით ცხოვრების მიერ იყო ნაკარნახევი, როგორც მეტად ეფექტური და შომბენეფიციი ხერხი.

მწერლები თავის იმ ნაწარმოებებში, რომლებშიც რევოლუციური გარდაქმნის მხატვრული სურათები მოცემული, მეტ-ნაკლებად, საკუთარი მხატვრული ჩანაფიქრის შესაბამისად თითქმის ყოველთვის იყენებენ კონტრასტებისა და დაპირისპირების ხერხს. მაგრამ არის ისეთი ნაწარმოებები, რომლებშეც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ავტორთა მიერ ამ ხერხის მომარჯვება. ასეთ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება რაფიელ გვეტაძის ვრცელი მოთხრობა „თეო“, რომელიც ოცაანი წლების მიწურულს გამოქვეყნდა. „თეო“ მნიშვნელოვანი მოლენა იყო არა მხოლოდ რაფიელ გვეტაძის შემოქმედებითი ზრდის, არამედ საერთოდ ქართული საბჭოთა პროზის განვითარების თვალსაზრისითაც.

საერთოდ რაფიელ გვეტაძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მარტივი (ამ სიტყვის კარგი გაგებით) თხრობა, სიუჟეტის ლაღი და დინამიური განვითარება. მწერალი არ ტკივრობს თავის ნაწარმოებებს ზედმეტი ფსიქოლოგიური ანალიზებითა და მსჯელობებით, ერთი შეხედვით, იგი თითქოს არც ცდილობს გმირების ხასიერი სამყაროს ხილვრეებში ჩაწვდომას, უბრალოდ გვიყვება საინტერესო ამბავს,

თავისი გმირების ამაღელვებელ ბიოგრაფიას. მაგრამ, ამასთან ერთად, იგი ამერიკეს სწორედ ამ უბრალოებასა და სიმარტივეში „შემოაპარო“ მკითხველს მთელი ეპოქისა თუ თაობების მზაკვრული დახასიათება. და რამდენადაც შეუფარული ავტორისეული თვალსაზრისი, იმდენად უფრო შთამბეჭდავი მსატვრულად რიგორც ცალკეული სახეები, ასევე მთლიანად ნაწარმოებიც. ასეთივე მანერითაა დაწერილი მოთხრობა „თეიო“, თუმცა იმ განსხვავებით, რომ აქ სიუჟეტს უფრო ამბავურებს ის დაპირისპირებები თაობებისა, რომელიც მწერალმა ამ ნაწარმოებებში ოსტატურად მოიშველია.

როგორც თვით სათაური მიგვანიშნებს, მოთხრობის ცენტრალური გმირი თეო უნდა იყოს. ეს ეროვანად ახეცაა, თეოს სახეა ის სიუჟეტური ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს დათითრიდება მთელი მოქმედება. მაგრამ თავისი იდეურ-ესთეტიკური დატვირთვით, არ შეუცდებით თუ ვიტყვით, რომ მოთხრობაში ძირითად სახეებად უთუოდ მემამელი ყაფლანი და მოჯამაგირე მირზა გვევლინებიან. რომლებიც განასახიერებენ რევოლუციის ეპოქის ქართული საზოგადოების ანტაგონისტურ ბანაკებს. ყაფლანისა და მირზას სასიათები, მდგომარეობა და ბედის კონტრასტულობა, მათი ცხოვრების რიფული გზები, რომლებიც მოთხრობაში თუმცა პარალელურად ვითარდება, მაგრამ სულ სხვა პოლუსის მიმართულებები აქვთ და ფინალი მოქმედების განვითარებისა — პირველის სრულ მორალურ გახმწნილებასთან ერთად ფიზიკური განადგურებაც, ხოლო მეორის ჯანსაღი და წმინდა სულიერი საწყისების გამარჯვება და ზეიმი — დამაჯერებლად გვეხსნიან საზოგადოების ისტორიულ და ლოგიკურ განვითარებას.

ძველი დახავსებული კერძომესაკუთრული სამყაროს ისტორიული განწირულების შეგნება, რომელსაც გვიმტკიცებს ეს მსატვრული ნაწარმოები, კიდევ უფრო რელიეფურად გვიჩვენებს რეაფილეციური მოძრაობის გარდუვალობასა და უძლეველობას. ასევე, ყაფლანის, ფეოდალური წოდების ამ უკანასკნელი მოჩიკანის, ცხოვრების ფონზე მთელი სისრულითა და სიძლიერით გადაიშლება ჩვენ წინ მშრომელი ხალხის წოდიდან გამოსული რევოლუციონერი გმირის მირზას სულიერი სილამაზე, კეთილშობილება, ენერგია, ახლის შენების წყურვილი.

ყაფლანი თავიდანვე მრავალნაირ მებაკონედ წარმოგვიდგება. პირველი გაცნობისთანავე მკითხველისთვის აღვილი შესამჩნევი ხდება, რომ მას თავისი წინაპრებისაგან მემკვიდრეობად მხოლოდ გულქკოობა და არაადამიანური სისასტიკე კი არ მოეცა, არამედ ის აღვირახსნილობა და მრუშობაც. რაც ასე დამახასიათებელი იყო ქართველი ფეოდალებისა თუ მებაკონეებისათვის. მართალია, ყაფლანს სულ სხვა ეპოქაში უხდება ცხოვრება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს კვევა, იგი შორს არ წასულა ილია ჭავჭავაძის დათოკოსგან, ან კიდევ ტარიელ მკლავაძისგან. — ეგნატე ნინოშვილის მიერ ასე ოსტატურად გაშიშვლებული „ჩვენი ქვეყნის რაინდისგან“. ყაფლანის ერთადერთ საზრუნავს და საფიქრებელს ნადიმი და დროსტარება წარმოადგენდა. გულუხვ მასპინძელს სტუმრები ყოველ ცისმარე დღეს ჰყავდა და ისიც ქეიფს ხან ტიკებზე მართავდა ტაბისკართან, ხან ტაეში სასეირო ნადირობის შემდეგ და ხან კიდევ სად.

მწერალი ერთი ასეთი ნადიმის მოწმედ ჩვენც გვეყოლა. თეოს ნათლობის მეორე დღეს ყაფლანმა ნამდვილი ღრეობა მოაწყო მთის წვერზე. რომლის დროსაც მოქეიფენი მასპინძლის უსაზღვრო და უპრეცედენტო დეხპოტაზმის მოწმენი გახდნენ. ქეიფით გალალებული ყაფლანი ჯიბეის რეტს ძალით აჩრდილ ხელში არაკაოგამოლეული სტუმრებს, რომ უეცრად თვალი მოჰკრა ნახის გამოთიშულ ბრელ მოზვერს, რომელიც მინდვრის ბოლოს მადიანად შეექცეოდა ცვრიან ბალახს. ხმალდაშიშვლებული გადიჭრა ყაფლანი, ერთი ძლიერი დაკვრით მოზვერს თავი გააგდებინა. ამ ამბით დიდად ნასიამოვნები მებაკონე თავმოჭრილიდან და ამაყად განაგრძობდა ქეიფს, ოოდესაც გიორგის, ახალგაზრდა გამჩენე ელეს დამფრთხალმა მენახირეებმა მისი მოზვერის ბედი შეატყობინეს. ეს მოზვერი იყო გიორგის ერთადერთი იმედი. ფეოდურებისგან თავგზაბნეული და გაბორკილებული გიორგი მოქეიფეების მუუვარდა პასუხის მოსათხოვად. ამ დროს დატრიალდა ტრაგედია, ყაფლანმა ერთი დაკვრით, ისევე, როგორც რამდენიმე ხნის წინ მოზვერს, ახლა მის პატრონს გიორგის გააგდებინა თავი.

მოთხრობის დადებით გმირს, მირზას, მწერალი სწორედ ამ სცენაში გვაცნობს. გიორგის ამ შემაძრწენელი დაღუპვის დროს შემოჰყავს მოქმედებაში და ამით თითქოს ბაზს უსვამს, თუ რამდენად სწორი იყო ის გზა, შემდგომ რომ მირზა აირჩიეს საბრძოლველად, ისასთან შედარებით, რასაც დადგა შურისსაძიებლად გახელებული გიორგი.

თავმოკვეთილი გიორგის გვამმა ყაფლანის უგულო თანამეზობლებისაკენ ამ შეაძრწენა და სამუდამო კვალი დატოვა პატარა მირზას წმინდა და ანკარა სულში. ეგების სწორედ ამ ამბავმა ჰუხლია მას პირველად თვალი ცხოვრების უკუღმართობაზე და მჩაგვრელების მიმართ გაუნელებელი სიძულვილი ჩაუნერგა გულში. შეიძლება სულაც ამ შემთხვევამ გადაწყვიტა მირზას ბედი და მომავლის გზა, ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ კი გასაგებია, ეს დღე ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურამ ბეგიაშვილი

ბერი და დრო

ერთი გადამწყვეტი იყო მირზას ცხოვრებაში. ამ დღიდან ცოცხალი და მხიარული მირზა, ვინ ი ტანჯული ბმა და ბაიათები ახე რიგად უკვარდათ უაფლანსაც და მის სტუმრებსაც, გადაიქცა გულჩათხრობილად, დინჯ და ჩაფიქრებულ ვაჟუკად.

მას შემდეგ მირზა კიდეკ ბევრი უსამართლობის მოწმე გახდება. სოციალისტური უთანასწორობის მეილი ბოროტება თანდათან უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის. მირზა ცხოვრების უკუდამართნის შეცნობამ მხოლოდ გულჩათხრობილი როდი გახადა. მისი ძლიერი, კეთილშობილური და აქტიური ბუნება ვერ შეურიგდებოდა და შეიგუებოდა მწარე სინამდვილეს, თუმცა მან ჯერ კიდეკ არაფერი იცოდა, თუ როგორ და რა გზით შეიძლო ებრძოლა დახავსებულ სამყაროსთან. ამიტომაც, მისი პირველი პროტესტი უუფლებო ბლეხობის მოსარჩლეობაში ისატბებოდა. მირზას შიშით ისე თავისუფლად ვეღარ პარაპეშებდა ადრე ფრიგადასული მოურავი. მაგრამ ეს ჯერ კიდეკ არ იყო მირზას შეგნებული და აქტიური ბრძოლის დასაწყისი.

ცხოვრების სწორი გზის არჩევაში მირზას მუშა-რეკოლუციონერები დაეხმარნენ, რომლებიც მას პროფესტრული მუშათა წრის წევრმა მოხუცმა მეისრე თანდალამ გაიცნო. მწერალი დიდი მხატვრული ტაქტით ახერხებს გვიჩვენოს ის ზემოქმედების ძალა, რასაც მუშათა მოძრაობა ახდენს მისი გმირის, მოწინავე მშრომელი გლეხობის წარმომადგენელის რევოლუციური შეგნების ზრდაზე. მირზა უყოყმანოდ, დიდი ენთუზიაზმით ადგება რევოლუციური ბრძოლის მხარე, თუმცა ნათელ გზაზ და თავისი ცხოვრების მიზანს მშრომელი ხალხის განთავისუფლების უანგარო სამსახურში პოულობს.

საქართველოში მეწუეიკების ბატონობის პერიოდს მწერალი არ უთმობს მოთხრობაში დიდ ადგილს, იგი მხოლოდ გაკვრით, ორიოდე სიტყვით გვაცნობს ამ ამბავს, მოთხრობის ამ მცირე მონაკვეთში მირზას, უაფლანის თუ სხვა გმირების სახეები ძალიან ცოცხალ არის დახატული. იქნებ ამის მიზეზი ისა, რომ ამ პერიოდმა თავისი დაღი არ დასვა გმირების ხასიათს და არც რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებას ჭკონია მათ ცხოვრებაში ადგილი? უაფლანის მიმართ ეს მართლაც ასეა. მისი პირუტყვული ბაში რევოლუციისადმი მალე გაკრა მეწუეიკური ხელისუფლების პერიოდზე. უაფლანი სულ მალე დარწმუნდა, ახალი მთავრობა არას მერჩის, პირიკით, ჯობადგადაც კი მომეკლინაო, და თავი მშვიდად იგრძნო.

რაც შეეხება მოთხრობის დადებით გმირს, აქ საქმე სულ სხვაგვარად დაგრიალდა. მირზასათვის სწორედ ამ პერიოდს აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მის ცხოვრებაში სწორედ ამ წლებში მოხდა გარდატეხა, იგი პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა. როგორც ვიცვრთ ვიგებთ, მირზასთვის ეს ხანა ბაგაზე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენებით, იგი აქტიური მუშათას ეწეოდა ბაკოს ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, იწვნია მთელი სისასტიკე რეაქციისა, გამოსცადა პოლიტიკური ტუსაღის ცხოვრება, მოახერხა გაქცევა და კვლავ დაუბრუნდა ილეგალურ რევოლუციურ მუშაობას. საგმეუხაროა, რომ გმირის ცხოვრების ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპის შესახებ ჩვენ ვიგებთ ან ავტორის რეპლიკებიდან, ან იმ ძუნწი ეპიზოდებიდან, რომლებიც კინემატოგრაფიის ხასიერაფით გაიელვებენ ჩვენს თვალწინ.

ავტორი აშკარად ჩქარობს გადავიდეს საკართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამაჯვების პერიოდზე, როდესაც განსაკუთრებით თვალნათლივ უნდა გამარჩნდეს მოთხრობის გმირის განსხვავებული ხვედრი, და ჩვენც იძულებული ვართ მივყეთ მწერალს. რადგან ვგეგმაძე ახეკე მოკლედ, თუმცა საგმეანი ნათლად გვისურათებს მეწუეიკების გაქცევას საკართველოდან და ხაბეოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებს. იგი არც ისახავს მიზნად დაწერილებით აგვიწეროს ეს მნიშვნელოვანი პერიოდი ჩვენი ცხოვრებისა და მოგვაცეს მისი ფართო სურათი. მწერლის მხატვრული ჩანფიქრით მოთხრობის გმირების კერძო ბედთან დაკავშირებით უნდა გაიხსნას ზოგადი ხასიათი ახალი ეპოქისა. ზმიტომაც, მთელი ყურადღება მთავარ გმირებს ეთმობა, რომელთა ცხოვრება და მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება ახალ ისტორიულ პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობის ამ დასკვნით ნაწილში მხატვრული თვალსაზრისით უფრო სრული და დახვეწილი აღმოჩნდა უარყოფითი გმირის უაფლანის სახე, ხოლო თანამედროვე ადამიანის დადებითი სახის განვითარება შედარებით მკრთალია და მხატვრულად ნაკლები მიტივიერებული.

მირზას სახის ესთეტიკური ღირსება ბევრად დიდი იქნებოდა, რომ ავტორს მოთხრობის ფინალში იგი უაფლანივით ცოცხალ მოქმედებაში მოეცა, თუ ჩვენ საშუალება გვეძლევა უშუალოდ მივადევნოთ თვალი უაფლანის ცხოვრების ლოგიკურ დასასრულს და ავტორისეული განმარტების გარეშე დავრწმუნდეთ გმირის სრულ მორალურ და ფიზიკურ დაცემაში, ივივეს ვერ ვიტყვეთ მირზას შესახებ, რომელის უაღრესად სანნტერესო, დაძაბული, შრომითა და ბრძოლით სავსე ცხოვრების შესახებ იძულებული ვართ ზმირად მხოლოდ ავტორისეული ტეკსტის საშუალებით გავიგოთ. ეს კი გვაბრკოლებს ნათელი და სრული მხატვრული წარმოდგენა ვიქონიოთ მირზას ცხოვრებაზე, რაც თავისთავად ვნებს სახის მხატვრულ-შემეცნებით ღირსებას.

ერთი მხრივ, ეფოლუცია დესპოტი მემამულის უაფლანისა და თავზეხელაღებული და პარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიტული ცხოვრებიდან სრულ მარალურ გადაგვარებამდე და მათხოვრობამდე. მეორე მხრივ კი, მირზას ზრდა და განვითარება უუფლებო მოჯამაგირედან ახალი ცხოვრების აქტიურ მშენებლამდე — ისევი მოთხრობა „თოლიაᲗ" მოაკლი გმირების ცხოვრების გზა. მოთხრობა მთავრდება ლოგიკური დასასრულებით, ერთის, ისტორიულად განწირული გმირის, დაღუპვით და მეორის, ხალხს კანსაცი სულის მატარებელი გმირის, ნათელი პერსპექტივით. ეს კონტრასტულობა გმირების ხასიათისა, მდგომარეობისა, შეგნებისა და აქედან გამომდინარე მათი ცხოვრების ბედისაც კიდევ უფრო ძლიერად გვიხსნის თანამედროვეობის სულის გამომპატეკელი დადებითი გმირის მირზას სახეს.

●

20-იანი წლების მიწურულსა და 30-იან წლებში, როდესაც უკან დარჩა სამოქალაქო ომიც და პირველი ათეული წლის სამრეწველო თუ ეკონომიური სიძნელეებიც, როდესაც ძირითადად დასრულდა ძველის ნგრევის პროცესი და ახალი საზოგადოების მოელი ყურადღება და ენერგია შემოქმედებითის შრომას მპარდებოდა, საბჭოთა ლიტერატურის გმირებად გახდნენ, გორკისეული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ის „დიდი პატარა ადამიანები", რომელნიც თავის თავდადებული და დაუცხრომელი შრომით აშენებენენ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში. აკამდე ისტორიამ არ იცოდა ასეთი ტიპები და გაკანება სამრეწველო შენებლობისა თუ სოფლის მეურნეობის აღორძინებისა.

მშვიდობიანი შრომის სარბიელზე დიდი წარმატების მოპოვება შესაძლებელი გახდა მასების შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად, რომელთათვისაც პირველად კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შრომა იქცა პატივის, სახელისა და გმირობის საქმედ.

რაღა თქმა უნდა, საბჭოთა ლიტერატურა მოკალი იყო მხატვრულად გაეხსნა და ეჩვენებინა ეს გარდაქმნები. ლიტერატურას, იმისათვის რომ შეეხილულებინა თანამედროვე ცხოვრების მხატვრული მეშტალნის საპატო მოვალეობა, უნდა გადმოეცა ჩვენთვის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პირობებში ახალი ადამიანის ხასიათისა და შეგნების ფორმირების პროცესი, უნდა გაეხსნა მხატვრულად საბჭოთა ადამიანის — მშენებლის სულიერი სამყაროს მთელი სიმდიდრე. სიძლიერე და სილამაზე.

სწორედ აქეთ მიმართავდა მწერლობის ყურადღებას გაზეთი „პრავდა", როდესაც თავის ფურცლებზე ხაზს უსვამდა ხალხთა მასების აღზრდის თვალსაზრისით დადებითი მაგალითის უდიდეს მნიშვნელობას და მოუწოდებდა მწერლობას შეეკმნა შრომის გმირების მხატვრული სახეები, თავის ერთ-ერთ მოწინავე სტატიაში ამ წლებში „პრავდა" წერდა: „წარმოების ბანაჩენი ენთუზიასტების, როგორც მუშების, ასევე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის, დადებითი ხასიათების დადასტურებულია ჩვენმა გადაქცევა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მასების შემდგომი მობილიზაციის მძლავრ ბარიერად"

ახალი შრომითი ყოფა თავისთავად ითხოვდა მხატვრულ ხორცშესხმასა და განსახიერებას. ქართველი მწერლებიც — პოეტები, დრამატურგები თუ ბელეტრისტები მთელ მონდომებით შეუდგნენ თვით ცხოვრების მერვე წლიანკილი ამ ამოცანის განხორციელებას. ოცდაათიანი წლები საერთოდ მთელი რიგალელრიოვანი სახეთა ლიტერატურისათვის, მათ შორის, რასაკვირველია, ქართული ლიტერატურისთვისაც, „ყო სოციალისტური ცხოვრების აქტიური მშენებლობის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის" და კოლექტივიზაციის ისტორიული პროცესებმის მონაწილე ადამიანების ცხოვრებით და ფსიქოლოგიის ეტაპების წლები.

იმ პერიოდის ქართულმა მხატვრულმა პროზამ შეკმნა ნაწარმოებები, რომანები თუ მოთხრობები, რომლებიც მაზნად ისახავდნენ გადმოეცათ ჩვენი ქალაქის მშრომელების, მუშათა კლასის თავდადებული შრომა სოციალისტური წარმოების შესაკმნელად და ახალოძძინებელად. ამ ნაწარმოებებს შორის გამოირჩეოდა ბ. ჩხეიძეის „ხართველები", დ. შენგელაიას „შთაგონება", ბ. ჩხეიძის „ფერო", ი. ლისაშვილის „ჯარდნილი", „ძახილი მთაში" და სხვა. რასაკვირველია ეს ნაწარმოები თანაბარი სიძლიერისა და მხატვრული ღირსებების მატარებელი არ იყო, ბევრ მათგანს სერიოზული ხარვეზებიც დაჰყვა თან, მაგრამ მაინც ისინი, საეჭვოდ ეზონი არიან არა მარტო თემატურად, არამედ ახალი გამომსახველობითი ხერხებისა და მეთოდების ძიებითაც.

ბორის ჩხეიძის „ფერო" ერთ-ერთი პირველი რომანია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, რომელშიც წარმოიხატა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის პროცესი და სადაც მწერლის ყურადღება მიდიოანად მუშათა ყოფის მხატვრული ხორცშესხმისაკენაა მიმართული. უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საინტერესო გარემოება, — თითქმის ყველა ნაწარმოები ამ წლების საბჭოთა ლიტერატურისა, რომელიც კი ნაწარმოთ თემაზე შეიქმნა, კონკრეტული მშენებლობისა და წარმოების მუშათა ცხოვრების მხატვრულ განსახიერებას წარმოადგენს. ასე მაგალითად, ილია ერენბურგის რომანი „დღე მეორე" შეიქმნა მას შემდეგ, როდესაც მწერალმა ინახულა კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატი და მისი მუშების სანტერესო და დამაბული შრომის უშუალო მოწმე გახდა, მარიეტა შაგინიანმა თავისი რომანი „ჰიდროცენტრალი" სოხმეთში ძორგეთის ელსადგურის მშენებლობას მიუძღვნა, ვალენტინ კატაევმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის რომან „დროვ, წან“ საფუძველად დაუდო მაგნტოკოოსის მშენებლობისა და ხარკოვის მუშების სოციალისტური შეჯიბრების ფაქტები. საინტერესოა, რომ ამ მხრივ არც ბ. ჩხეიძის რომანი წარმოადგენს გამონაკლისს, „ფერო“ მიეძღვნა პატარა ქართული ქალაქის ზეტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის მშენებელთა ცხოვრებას.

30-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურის მიდწეველნის ერთ-ერთი ძირითადი წინააღობანა სწორედ ცხოვრებასთან, წარმოებასა და მშენებლობასთან ამ უშუალო და მჭიდრო კავშირში უნდა დავინახოთ. თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ თუ ასეთი კონტაკტის საერთოდ მწერლობისათვის სასარგებლო მნიშვნელობა ჰქონდა, ცალკეულ შემთხვევაში ამან პირიქით, უარყოფითი შედეგი გამოიღო. საკმე ისაა, რომ ზოგიერთი მწერალი ეტლისმტეად მოიქცა იმდროინდელი ყოფითი დეტალების გადელენაში. განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებები შეკმნეს ის მწერლებმა, რომლებმაც შესძლეს ცხოვრების კონკრეტული მაგალითები მხატვრულ განზოგადებამდე ამაღლებინაო. ერთი სიტყვით, მარტო შრომითი ყოფის სურათების შექმნა რიდი ეგარაოდ, ყველაფერ ამას მხატვრული გაგაზრებაც სჭირდებოდა. ის მწერლებმა კი, რომლებმაც ეს ვერ შეძლეს და თავის მიზნად მხოლოდ ფაქტების მხატვრული რეგისტრაცია დაისახეს, ვერც შეკმნეს ცოტად თუ ბევრად სანიტერესო მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც დრის გამოცდას გაუძლებდნენ.

თავიდანვე უნდა განვაცხადოთ გულახდილად, რომ რომანი „ფერო“ არ განეკუთვნება ქართული საბჭოთა პროზის მნიშვნელოვან ნაწარმოებთა რიგს. ვერც მის დადებით გმირებს მივიჩნევთ მაღალმხატვრულ ლიტერატურულ სახეებად. სქემატურობა და მთელი რიგი ხაზოგადოებრივი მოვლენების პრიმიტიული მხატვრული ინტერპრეტაცია, — ესაა ძირითადი ნაკლი ამ ნაწარმოებისა. ამიტომაც რომანი „ფერო“, დღეს ყოველ შემთხვევაში, ალარ იმსახურებს იმ აღფრთოვანებულ შეფასებას, რომელიც გამოთქვა ქარიფულმა ხალიტერატურო კრიტიკამ მისი გამოქვეყნებისთანავე.

მაგრამ ისიც შეცდომა იქნებოდა, რომ პირწმინდად უარყოფო ისეთი ნაწარმოებების რომელი, როგორიცაა, მაგალითად, რომანი „ფერო“. მართალია, ასეთი ნაწარმოებების მხატვრულმა ღირებულებამ ვერ გაუძლო დროის მკაცრ გამოცდას და მათი დადებითი თუ უარყოფითი გმირები დღეს ჩვენ ნაკლებ ან სულ არ გვაღელვებენენ, მაგრამ, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ თავის დროზე მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ადამიანების სოციალისტური აღზრდის საქმეში და მეტ-ნაკლები მნიშვნელობაც ჰქონდათ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და მხატვრული ენის ყოფის საერთო პროცესში. უფრო მეტიც, სიმართლე რომ ითქვას, ძნელია თვალი მიგდეენო ქართული საბჭოთა პროზის დადებითი გმირის თანდათანობით განვითარებას, თუკი ასეთი ბაჯიათის ნაწარმოებებს საერთოდ გამორცხავ კვლევის და დაკვირვების არიდან. რომან „ფერ-როს“ ცენტრალური სახეების ანალიზის გარეშე ისე თვალსაჩინო და სრული ალარ იქნება ის გზა, რომელიც განვლო ქართულმა ლიტერატურამ იმ მაღალი მხატვრული ღირსებების მქონე დადებითი გმირების სახეების ძიებაში, რომლებმაც ახლა საყოველთაო აღიარება მოიპოვეს.

რა ხასიათის ნაკლოვანებებიც არ უნდა ჰქონდეს „ფეროს“ მთავარი გმირის ლუკა ვოლკოვის სახეს, არ უნდა დავეჭვიანებდეს, რომ იგი ერთ-ერთი პირველი სახეა ახალი ადამიანისა ჩვენს ლიტერატურაში, იგი ერთ-ერთი პირველი განასახიერებს ქართულ პროზაში ინდუსტრიალიზაციის ეპოქის მშენებელს და მისი მხატვრული ღირსებანაკლოვანებები ერთგვარი მაგალითი იყო ქართული მწერლობისათვის.

ვფიქრობ არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ის სერიოზული ხასიათის ხარვეზები, რომლებიც რომან „ფეროს“ დადებითი გმირების სახეებს გაჩენიათ, ნაწილობრივ შეპირობებულია მწერლის მიერ მშენებლთა ცხოვრების ერთგვარად ზერეული ცოდნით, იმით, რომ მწერალი ჯერ თვითონ ვერ გარკვეულა ღრმად და სრულად ახალი ადამიანის შეგნებასა და განსაკუთრებით კი ფსიქიკაში. ეს შეიძლება ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, რადგან ცოტა წემით ადგნიშნეთ, რომ რომანი ზეტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობას მიეძღვნა და უშუალო სინამდვილეთაა შთაგაწოვნი. მაგრამ ამ ორ განცალებას შორის არაფერია ურთიერთსაწინააღმდეგო. საკმე ისაა, რომ რომანი აწერებოდა ფერომარგანეცის მშენებლობის პერიოდში და მწერალს, რომელმაც მოიხილა თავისი ნაწარმოებით გაეცნერო მშენებლობისათვის, როგორც ჩანს, ალარ ეყო დრო და უნარი საუფლელისად შეეხწავლა და გაეგო მშენებელთა ცხოვრების ყოფა და პათოსი, განსაკუთრებით კი ღრმად ჩამწვდარიყო მათ სულიერ სამყაროს. როდესაც მწერლის ცალკეული ნაწარმოების, ან, მით უმეტეს, საერთოდ შემოქმედების ნაკლოვანებებს ან სუსტ მხარეებს ადვილშეავეთ, ხშირად ვცდილობთ რაღაც ობიექტური მიზეზები მოვიძებნოთ ამას. შემოქმედებითი პროცესის სუბიექტურ მხარეს კი თითქოს უგულებელყოფთ. ცალკეული ნაწარმოების თუ მთლიანად შემოქმედების სისუსტე მწერლის ნაკლება უნარითა და ნებიერებითაც უნდა აიხსნას, რადგან უამბოოდ ვერაკვეთარი ცხოვრების ღრმა ცოდნა ვერ ახსნის მწერალს.

„ფერროს“ არსებითი ხასიათის ბარეულები იმითაც არის გამოწვეული, რომ მწერალი ცოცხალი სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილებიან მხატვრული ობრაზშეხსნის ნაცვლად, საკმაოდ ზზრიად სხვა ლიტერატურული ნაწარმოების მიბაძვან ცდილობს. ახეთი თამამი განცალებების საფუძველს საკმაოდ იძლევა რომანიცა და მისი გმირებიც. „ფერრო“ ბევრი რამით გვაგონებს ცხობილი რუსი მწერლის ფ. გლადკოვის „ცემენტს“. ჯერ თვით სათაურიც კი ერთგვაარად მიგვანიშნებს ამას, ხოლო შემდეგ სიუჟეტური განვითარება, მწერლის დამოკიდებულება მთელი რიგი მოვლენებისადმი, გმირების ბიოგრაფია და მათი ხასიათები, რომანში დასმული პრობლემები და მათი ინტერპრეტაცია, ავრეთვე სხვა მომენტებიც აშკარად მეტყველებენ, რომ ზზრი შემთხვევაში „ფერროს“ ავტორი, ცხოვრებისა და სინამდვილის ნაცვლად, ეურდნობოდა და გამოდიოდა ფ. გლადკოვის „ცემენტიდან“, რომელიც იმთავითვე აღიარებულ იქნა მნიშვნელოვან მოკლენად მთელ საბჭოთა ლიტერატურაში.

ბორის ჩხეიძის რომანის „ფერროს“ ცენტრალურ სახეს ლუკა ვოლკოვი (იგივე ლაგრენი მგელაძე) წარმოადგენს. როგორც შემდეგ ვიგებთ, ლაგრენი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ბიათერის მაგარიაში მუშაობდა, აქვე ეზიარა რევოლუციურ ნათლობას. შემდეგ საბოჭალაკო ოფის აქტიური მონაწილე ყოფილა. ინტერენტებისგან საბოლოო გამარჯვების შემდეგ ურალს მიაშურა, სადაც ლუკა ვოლკოვის ხახელით მუშაობდა ერთ-ერთ მეტალურგიულ ქარხანაში. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც კარგი ოსტატი-მეტალურგის სახელი მოიხვეჭა, იგი დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. რომანში მოკმედების განვითარება სწორედ აქედან იწყება, როდესაც იგი ჩამოდის ქალაქ ზესტაფონში და სათავეში ჩაუდგება ფერომარგანეცის, რესპუბლიკის ამ ერთ-ერთი უდიდესი ქარხნის მშენებლობას. აქედან მოყოლებული ჩვენ უშუალო მონაწილენი ვხდებით ლუკას ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ვოლკოვს ახასიათებს საბჭოთა ადამიანის ისეთი დადებითი თვისებები, როგორიცაა სოციალიზმის საქმის ერთგულება, შრომისმოყვარეობა, ენერგიულობა, კოლექტივიზმის გრძნობა და სხვა. მას აღმოაჩენდა საქმის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ნიჭი და უნარი.

ლუკა ვოლკოვის ბიოგრაფია საერთო შტრიხებით ადვილად გვაგონებს გლადკოვის რომანის „ცემენტის“ გმირის გლებ ჩუმალოვის ბიოგრაფიას, თუმცა, მხატვრული დამჯერებლობის თვალსაზრისით, ამ ორ ლიტერატურულ სახეს შორის დიდი განსხვავებაა. ჩხეიძე აშკარად გატაცებულია თავისი გმირით და იმის მოკარბებული სურვილი, რომ ამაღლოს იგი მკითხველის თვალში, მწერალს ერთგვაროვნად უდგებს ზმირების გრძნობას. ამიტომაცა, რომ ლუკა ვოლკოვის მოკმედება, გრძნობები, ხასიათის მხარეები, რომლებიც მწერლის მხოლოდ ამ ერთ მიზანს ემსახურებიან, სინამდვილეში მოკლებული არიან დამაჯერებლობის ძალას.

მართალია, გლებ ჩუმალოვიც გლადკოვის „ცემენტიდან“, სამოკალაკო ომიდან მშობლიურ ქალაქში დაბრუნებისთანავე ქარხნის აღდგენისა და მშენებლობის ორგანიზატორი ხდება, მაგრამ ამაში განსაკვირი და უალბი არაფერია, რადგან იგი ჩამოდის მშობლიურ ქალაქში, უბრუნდება იმ ქარხანას, სადაც მას ყველა იცნობს, ახსოვთ იგი, აფასებენ კიდეც მას ძველი თუ ახალი დამსახურებისათვის. ამიტომაც, ის დიდი ნდობა და პატივისცემა, რომელსაც მუშები ამყდავნებენ ცხოვრების გამოცდილებით აღსავსე ჩუმალოვის მიმართ, სავსებით ბუნებრივი ეჩვენება მკითხველს. თავისი ენერგიული შუამბიანი, პარტიული წრფთნი, საერთო სახალხო საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომით, ორგანიზატორული ნიჭით, კომუნისტის კეთილსინდისიერებითა და შრომელი ხალხისადმი ერთგულებით ჩუმალოვი ხასიათის წინამძღოლი ხდება. ყველაფერი ეს ლოგიკური და სარწმუნოა.

ასეთივე ცხოვრებისეული ლოგიკით სავსებით როდინა გამართლებული ლუკა ვოლკოვის შშობლიურ მხარეში დაბრუნება და ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობის ორგანიზატორად გამდომა. რატომღაც ვოლკოვს არ ხურს თავისი ნამდვილი სახელისა და გვარის გამხელა, მას ეერავინ ცნობს მშობლიურ მხარეში და თავისი ახალი სახელითა და გვარით გაგაგრძობს ცხოვრებას. ამა რა დამაჯერებლობაზე უნდა ვილაპარაკოთ, როდესაც ახე სრულიად უცნობ ადამიანს ქალაქ ზესტაფონის მცხოვრებები, პირველ რიგში კი ქარხნის მუშები, ჩამოსვლის მეორე დღესვე უდიდეს ნდობას უცხადებენ.

მწერალი იჩქარის დაანახოს მკითხველს თავისი გმირის ზრდა და განვითარება, მაგრამ, სამწუხაროდ, ოიღი გზით მიდის და თავისი დადებითი გმირის ასამაღლებლად უფრო ამას გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება იგი თავისი მდგომარეობიდან (საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ლუკა ვოლკოვი ოიღად ხდება მშენებლობისა და ქარხნის ორგანიზატორი, ხოლო სულ მალე მას ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელად ვხედავთ. ეს ის სენია, რომელსაც მხატვრული სახის გაუბრალოება ჰქვია და რომელიც არა მარტო ოცი და ოცდათათანი წლების ლიტერატურისათვის იყო ახე დამახასიათებელი, არამედ დღესაც ეჩენს თავს, და არც თუ ახე იშვიათად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გმირის ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიათა, მისი ანტეკედენტური თუ მორალური სიძლიერე და სიმტკიცე. უფრო სრულად და თვალსაჩინოდ მეღალფენა წინაადმდეგობათა დამლევას პროცესში. სწორედ ის გმირი ხდება, თავები თანამედროვე ადამიანების ეგზისტენციალ და სულიერი სიმტკიცის გამოსახველი, რომელიც ეპოქისეულ სიძნელეებთან ბრძოლაშია მოცემული.

კოლოსალური სიძნელეების გადალახვაში იზრდებოდა, კაჟდებოდა და ვაჟკაცდებოდა ხაბეგოთა ადამიანი. ყოფილი რუსეთის იმპერიის გაპარტახებულ ტერიტორიაზე ახალი, გრანდიოზული მშენებლობების გაშლა ბევრს უნაყოფო ოცნებად მიაჩნდა. ხაბეგოთა ადამიანებმა დაუშტკიცეს ყველას, რომ თავისუფალი ადამიანის მარჯვენას, რომელიც მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ იღვწის, ოცნების აღსრულებაც შეძლებია. ზოგიერთმა მწერალმა ინდუსტრიალიზაციის საკმეში უდიდესი მიღწევებისა და ტემპების იქით მთელი სისრულით ვეღარ დაინახა ის დიდი სიძნელეები, რომლებთანაც გმირული შეებიდნა მოუხდა ხაბეგოთა ხალხს და თავის რომანებში ცხოვრებისეული სიმართლე გამოსაგონით შეცვალა, რეალური კონფლიქტები კი ხელოვნურით. ბორის ჩხეიძის „ფერიონში" შეხვდება მკითხველი მსგავს მოვლენებს. არ შეიძლება გოცება არ გამოიწვიოს ჩვენში იმან, თუ ლუკა ვოლკოვი როგორ გადაწყვეტს ქარხნის მშენებლობაზე მუშახელის ნაკლებობის მწვავე პრობლემას. ამისათვის ვოლკოვი დაეკიდა ქალაქში დუქნებსა და რესტორანს, და იქ მოიშუაეთ მშენებლობაზე გაგზავნის ახე ითოდა არ წყდებოდა რთული პრობლემები. მითუმეტეს, როდ ეს უცნაური გადაწყვეტილება არავითარ წინააღმდეგობას არ აწყდება, მკითხველს კი კარგად! მოეხსენება, წვრილბურჟუაზიული ელემენტების ხიერთ-ხახალო მშენებლობაში ასე უმტკივნეულოდ ჩაბმა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უბრალოდ დაუჯერებელია. ასეთი გაუბრალოება ცხოვრებისეული მოვლენებისა მარტო ამ რომანში როდი გვხვდება, ეს ხიერთოდ დამახასიათებელი იყო მწერლობის ნაწილისათვის, რადგან ზოგს მიაჩნდა, რომ ცხოვრების სირთულის მთელი სიცხადით ჩვენება ერთგვარად ჩრდილს მიაყენებდა ამ ახლის სიდიადეს, რომელიც მაშინ იბადებოდა.

ოცდაათიანი წლების ქართულ მხატვრულ პროზაში ხალიტერატურო კრიტიკა ალრთხილებდა, რომ მხატვრული ხახის სისრულისათვის და მთლიანობისათვის საჭიროა გმირის ცხოვრების ყოველმხრივი ჩვენება და არა მხოლოდ მისი საზარბოო მიღვწეობითი შეზრდაგვლა. ბორის ჩხეიძემ „ფერიონში" სცადა გაეხლვია ეს შეზღუდულობა და თავები გმირები არა მარტო „ბრძოლურებისა. მოღვაწეობის ასპექტში წარმოედგინა, არამედ მთელი თავისი სიცხლისეზე ცხოვრებით ეჩვენებინა, მათი ეროვნულობისა და განცდების თანამონაწილე გაეხადა მკითხველი. ამ მხრივ მას საკუთხერი არ ეთქმის, სხვა საქმეა, თუ რამდენად სწორად შეძლო მან თავისი გმირების მეშვეობით ხაბეგოთა ადამიანების ბრალი, თუნდაც ოჯახური ცხოვრების დამახასიათებელი სურათების შექმნა.

„ფერონ" გმირები ლუკა ვოლკოვი და მელაშა თავიანთი პირადი ცხოვრებით, განსაკუთრებით კი თავიანთი შეხედულებებით ისეთ ხაკითხებზე, როგორიცაა სიყვარული, ოჯახური ურთიერთობა და სხვა, ისეც და ისეც გლადკოვის რომანის „ციმენტის" გმირებს გლებ ჩუბაროვსა და დაშას გვაგონებენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი დამოკიდებულება ოჯახთან, და საერთოდ, ადამიანის პირადი ცხოვრების სხვა ხაკითხებთან გაცილებით უფრო უკიდურესი და მცდარია.

გლადკოვის რომანის გმირი დაშა დიდი ნეგიხაკოფიასა და რეგოლუციით ეღელვახნილი ქალის განსახიერებაა, აქედგან მონაწილეობას იღებს შრომით ცხოვრებაში. იგი თავს ხაზოგადოების სრულფასოვნად ეწერად თვლის. დაშას ეშინია, რომ ვაითუ ოჯახურმა ცხოვრებამ შეზღუდოს მისი დამოუკიდებლობა, ჩამოაშოროს ხახალხო ხაქმეს. კვლავ ოთხ კედელს შუა გამოკეტოს. დაშას ამ უნებური შიშითაა გამოწვეული ჩუმალოვების ოჯახის მთელი გახვარი და მღელვარება. ამასთანავე, დაშას ხულაც არ ეუცხოვება სიყვარულის გრძნობა. ამიტომაც იგი ეძებს გზას ისეთი ოჯახის შეხაქმნელად, რომელიც დაფუძნებული იქნება სრულ თანასწორუფლებიანობაზე და არ შეზღუდავს მას ცოლ-ქმრის ტრადიციული ურთიერთდამოკიდებულებით. მართალია, დაშას შიში ახალი ხაზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში უსაფუძვლოა და მთელ რიგ ხაკითხებში მისი პოზიცია მცდარიც კია, მაგრამ ეს გამოწვეულია კეთილშობილური მისწრაფებით — შეთავსოს დედობა და ხაყოველთაო-ხახალხო ხაქმისათვის მშრომელის მოვალეობა. ამიტომაც, მიუხედავად მთელი თავისი უნიადაგობისა და მცდარობისა, დაშას მოქმედება ახერხებდ არ ეჩოთირება მკითხველს, ეოველ შემთხვევაში, მისი გაკეცვნა ამის გამო ძნელი ხდება. გახათვალისწინებელია ასეთი განცდებისა და გაორების რეალურობაც, მისი ცხოვრებისეული სიმართლე

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲘᲡᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘᲪ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲬᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲬᲘᲠ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ ᲛᲘᲪᲘᲧᲔᲑᲓᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ ᲘᲒᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲠᲘᲝᲜᲓᲐᲜ, ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲓᲠᲔ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲪ ᲓᲔᲜᲐᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲓᲔᲜᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲡ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ ᲛᲝᲘᲠᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲙᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲗᲐᲜ. ᲛᲓᲒᲠᲝᲛᲘᲜᲔ ᲙᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘᲜᲓᲐᲜ ᲐᲦᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ, ᲠᲐᲨᲘᲪ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘᲡ — ᲛᲐᲜᲫᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲔᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲐᲛᲘᲠᲘᲜᲓᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲮᲒᲔᲚᲘᲡᲐᲒᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲪᲕᲘᲚᲔᲑᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲜᲐᲒᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲣᲪᲕᲘᲚᲔᲑᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲓᲐ.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ ᲛᲝᲛᲯᲓᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲓᲐᲯᲑᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲓᲐᲯᲑᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. Ს. ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲪᲔᲚᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲬᲘᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲘ,“ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲜᲗᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲠᲐᲨᲘᲪ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ — ᲛᲐᲜᲫᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲔᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲮᲒᲔᲚᲘᲡᲐᲒᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲪᲕᲘᲚᲔᲑᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲠᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲓᲘᲓᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲓᲠᲘᲡᲗᲐᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲖᲣᲠᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐᲡ ᲓᲐᲯᲑᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲠᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲓᲘᲓᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲓᲠᲘᲡᲗᲐᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲖᲣᲠᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲔᲚᲘ ᲘᲒᲘ ᲣᲪᲠᲝᲜᲐᲓ ᲐᲦᲬᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐᲓ ᲐᲮᲚ ᲘᲑᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲠᲝᲜᲐᲓ ᲣᲪᲠᲝ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐᲡᲯᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲝᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ. ᲔᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲯᲒᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲠᲘᲜᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲘᲡᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲯᲒᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲖᲣᲠᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲯᲑᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲚᲐᲰᲘᲜᲔᲚᲘ ᲘᲒᲘ ᲣᲪᲠᲝᲜᲐᲓ ᲐᲦᲬᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲣᲪᲠᲝ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲘᲡᲔᲗᲘ ᲔᲠᲘᲡᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲣᲯᲐ. ᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲐᲮᲚᲘ ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲝᲜᲝᲔᲠᲗᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲪᲚᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲚ-

ვთისმეტყველო ლიტერატურა, შექმნილი შემდგომ პერიოდში, ამ ერეხების შესახებ ხდუს და ქრისტიანობის დამკვიდრების უმტკივნეულო პროცესად წარმოგვიდგენს. გიორგი მთაწმინდელი, მაგალითად, როცა ანტიოქიის პატრიარქთან პაეკრობაში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უფლებებს იცავდა, ამტკიცებდა: „წმიდათა მოციქულთა განაღებულნი ვართ. და ვინაცთგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არცარა უარგვიყოფიეს. და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი, და ყოველთა უარისმყოფელთა და მწვალებელთა შეეჩვენენთი და დაეხსენეთო" (ქართული პროზა, ტ. 1. 1981. გვ. 465). ამ აზრის ავთენტრებდა ეფრემ მცირეც, ეს კონსეპტეცია ბოლომდე შერჩა ქართულ ხალხისმეტყველო ლიტერატურას, მაგრამ იგი სინამდვილეს არ ასახავს.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ გაარკვია, რომ ერეხი, მწვალებლობა (განსაკუთრებით მონოფიზიტობა) ფართოდ იყო გავრცელებული ქრისტიანობის პირველ ეტაპზე. ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს მრავალი სარწმუნო საბუთი იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოში „მწვალებლობის არსებობის ქალაქ" დაგვანახოს. ჯაჭვნერს, მაგალითად, ქართლის მოქცევის პირველ პერიოდზე (მიქიანდიდან ვახტანგამდე) რომ ლაპარაკობს, ეპისკოპოსთა შორის მოხსენიებული ყავს „შემწვალენი წესისანნი", რაშიც ორთოდოქსების მოწინააღმდეგენი, ანუ „მწვალებელნი" იგულისხმებიან. მთაგან ერთი, ყველაზე ცნობილი ყოფილა არჩილ მეფის დროინდელი ეპისკოპოსი მობიდანი, რომელიც იყო „ნათესავად ხპარსი და ახოეენეთი იგი მართლმადიდებლობასა, ხოლო იყო ვინმე მოგვი უსჯელი და შემწვალენი წესთაჲ". მეფეს იგი გადაუყენებია, ხოლო ეპისკოპოს მიქაელს დაუწყიესია. მანიქეველი ჩანს არა მარტო მობიდანი, არამედ სხვა ოთხი ეპისკოპოსი, რომელთაც ქართლის მოქცევის მატიანე გარკვეული მოსაზრებით არ ასახელებს („ქართველი ერის ისტორია", I, 1960, გვ. 304). ივ. ჯავახიშვილი ქრისტიანობის საწყის ეტაპზე საქართველოში ხედავს არა მარტო მანიქეველობას, არამედ ნესტორიანობასაც. ნესტორიანები „ხაქმოდ ყოფილან, მათ თავანთნი მრეული და სამწესსო ყოლიათ". ქართულ ეკლესიას უცდია ნესტორიანთა შეზიდობიანი გზით მოქცევა, მაგრამ წარმატებისათვის რომ ვერ მიუღწევია, მაშინ „ნესტორიანნი ეკლესიიდან განუკვეთიათ და შეუჩვენებიათ" (იქვე, გვ. 309). V საუკუნის მეორე ნახევრიდან (ქალქედონის 451 წ. კრების შემდეგ:) ქრისტიანთა შორის დიდი ბრძოლა ჰქონდა ქრისტეს ერთბუნებოვნობისა თუ ორბუნებოვნობის შესახებ (მონოფიზიტები და დიოფიზიტები). ბრძოლაშ მოიცვა მთელი ქრისტიანული სამყარო. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ეკეკლესიის (ეგვიპტე, პალესტინა, ასურეთი, სპარსეთი) ქრისტიანებმა [illegible] ტობა აღიარეს. ამ მიმდინარეობას მიზანდასაც ბევრი მომხრე გამოსჩენია (ივ. ჯავახიშვილს მონოფიზიტობის ერთ-ერთ ბურჯად მიაჩნია პეტრე ქართველი, რომელიც ბიზანტიაში მოღვაწეობდა). ქრისტიანთაგან ორ მიმდინარეობას შორის ბრძოლა გაწელილა საქართველოშიც. მონოფიზიტობა ამ კაცელებით უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე დანარჩენი ერეხი. ივ. ჯავახშვილის მონოფიზიტად მიაჩნია ვახტანგ გორგასალი და ფეოქრობს, ის დიდი განხეთქილება, რომელიც მას ეპისკოპოს მიქაელთან ჰქონდა, ამ ნიადაგზე იყო წარმოქმნილი. (იქვე, გვ.341). სარგის კაკაბაძის აზრით, სარწმუნოებრივი განხეთქილება უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ფექტორი ვახტანგის ბიერ სატახტო ქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანისა.

ქრისტიანობის საწყის ფაზაშივე სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის საკართველოში გაჩაღებული ბრძოლა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს რელიგია უმალლეს წრეებში დოგმატურად არ ყოფილა ათვისებული და თავიდანვე ქრისტიანობის მიმდევარი ხალხადგილის ხალხოვანი დონე ახეთი ბრძოლისათვის შეშფოდებული იყო. ივ. ჯავახიშვილი, ერეხთა შორის ბრძოლის ისტორიას რომ მოიხილავს, ასკვნის: „მთავარი პრობლემების გამო ბრძოლა, რომელიც მსოფლიო ეკლესიას აღელვებდა, ქართველი ხარწმუნოებრივი აზროვნებისათვისაც უცხო არ ყოფილა" (იქვე, გვ.318). როგორც ცნობილი, ქართულმა ეკლესიამ ხანო�eოდ დიოფიზიტობა აღიარა. ესეც შემთხვევით არ მომხდარა. ამ აღიარების ხარხულად ედო ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესები, ტრადიცია. აღმოსავლური მონოფიზიტური მიმდინარეობისადმი ზურგის შექცევამ და ბიზანტიური დიოფიზიტური მიმდინარეობის დაკანონებამ არსებითად განსაზღვრა ქართული ფეოდალური კულტურის ტიპოლოგიური ხასიათიც, იგი შევიდა დასავლური კულტურის რეგიონში და დასავლური ტიპის კულტურად ჩამოყალიბდა.

შეენიერება დღეს ხაკმაო მონაცემები აქვს იმის საკარაუდოდ, რომ წარმართული ეპოქის საკართველოს ჰქონდა თავისი დამწერლობა, გაანალიზებული ტრადიციები. სხვაგვარად შეუძლებელია ახსნილან ამ მაგალითი პროფეტიული დონე მხატვრული წერილობანა, რომელიც ახე თვალსაჩინოა V საუკ. ტეგლში — „შუშანეკის წამებაში. როგორც ჩანს, ქრისტიანულმა რელიგიამ წარმართული ეპოქის ნაკვლევები მოსპო და გაანადგურა. წარმართული ეპოქის დამწერლობის მოსპობა. [illegible] ქრისტიანობამ, რა თქმა უნდა, დიდი ზიანი [illegible] ქართული კულტურის, დროცდი [illegible] ძირი გაგითიარება. მაგრამ იმავე ქრისტიანობამ შემდგომში ხელი შეუწყო ქართული დამწერლობის, ლი-

ტერატურის სწრაფ წინსვლას. ამის ნათელი მოწმობაა თუნდაც ქართული ჟღიგოროფიული მწერლობა, რომელიც V-X საუკუნის მანძილზე დიდი შემოქმედებითი აღმასლობი ხასიათდება.

ცალკე კვლევის საფერია ქართულ წარმართულ და ქრისტიანულ ეპოქამთა კულტურების ურთიერთდამოკიდებულება. უდავოა, რომ ქრისტიანობამდელმა ქართულმა კულტურამ განვითარების დიდი გზა გაიარა. წარმართული ეპოქის ქართველ ტომებს შემუშავებული ჰქონდათ ცხოვრების თავისებური წესი, თავისი მორალურ-ეთიკური ნორმები და ზნე-ჩვეულებანი. ქრისტიანობას, რაგინდ დიდი მისწრაფება უნდა ჰქონოდა ამისი, არ შეეძლო ერთის დაკვრით მოესპო ყოველივე ის, რაც ხალხს ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრებით შეეხსიერნოცებინა, ამ გზით იგი ფეხს ვერ მოიდგამდა, ვერ გავრცელდებოდა. ქრისტიანობა სპობდა იმას, რაც მის საჯვარო დოგმებს, მის არსს დიამეტრალურად უპირისპირდებოდა, მაგრამ, ამასთან ერთად, მიდიოდა კომპრომისზეც: იღებდა, ისისხლხორცებდა და ახალ ირ-სახეს აძლევდა წარმართულ წარმოდგენებსა თუ წეს-ჩვეულებებს, თვით ადრინდელ კულტებსაც კი. მიმდინარეობდა ახალთან ძველის სინკრეტიზაციის პროცესი. ეს გზა ახალი რელიგიის გავლენის ქვეშ ადამიანთა მოკავშირეს უკეთესი საშუალება იყო. ამის ერთ-ერთი მაგალითია ფშიელ ჟიორგის კულტი, რომელშაც ლმერთების ქართულ ქრისტიანულ ანთონრში ჩამყვანი ადგილი დაიკავა.

გ. ჭიკოძე შენიშნავს, „თუ ქრისტიანობას თავისი ისტორიული მისია წარმართული ხელოვნების და მწერლობის ძეგლების სრული განადგურებით დაეწყო, იგი ვიწრო ებრაულ სეკტად დარჩებოდა და ვერასოდეს მსოფლიო რელიგიად ვერ გადაიქცეოდა. ქრისტიანობამ წარმართული კულტურა კი არ მოსპო, არამედ გადალახა, ე. ი. ამ კულტურიდან უკუაგდო, რაც მისთვის მიუღებელი ჩანდა, და აითვისა, რაც მისთვის აუცილებელად საჭირო იყო" („ეტიუდები და პორტრეტები", 1946, გვ. 18).

ძველის „მოხსნის" ან შეთვისების ეს მისწრაფება ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას თავიდანვე ახასიათებდა. „შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველები არასდროს ყოფილან ქრისტიანობის (ადრინდელი და შემდგომი პერიოდის) დოგმატიკოსები და ფანატიკოსი მომდევრები; ქართული მართლმადიდებლობის ყველაზე კონსერვატულად მოაზროვნეთა ბანაკს მიკუთვნებული ღვთისმეტყველებიც კი (არსენ იყალთოელი, ტიმოთე გაბაშვილი და სხვები) ქრისტიანულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულების დროს ირენნენ ერთდაგვარ თავისუფლებას. ისინი არასოდეს ყოფილან ბიბლიისეული მოთხოვნის — „ხოლო გარეშენი იგი ფერხთან განაკოთხეს და ბოსპოთ უკეთური იგი შორის თქვენსა" — ბრმა მიმდევრები და გაჰტარებლები" — მიუთითებენ. რელიგიის ქართველი მკვლევარი დ. ეგეგაძე („საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის საღვთისმეტყველო კონცეფციის კრიტიკა", 1986, გვ. 5).

წარმართულ რელიგიასთან შედარებით ქრისტიანობა ადამიანთა ხელიერ ცხოვრებაში წინგადადგმული ნაბიჯი იყო. იგი უფრო მეტად უპასუხებდა განვითარების ახალ ეტაპზე ახალ ხასოგადოების მოთხოვნილებებს, უფრო შეეხებამებოდა მის მორალურ-ეთიკურ დონეს. ქრისტიანობა ისეთი წინსვლა იყო ადამიანთა ხასოგადოების ხელიერ განვითარებაში, როგორც. ვთქვათ, ფეოდალიზმი თემურ-გვაროვნულ წყობილებასთან ან მონათმფლობელურ ფორმაციასთან შედარებით.

ქრისტიანობას ხაქართველოში იმ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში სხვა დადებითი როლიც ეკისრებოდა: ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების პერიოდი, მთელი მისი მომდევნო ხანა X-XI საუკუნემდე, დაემთხვა ქართველურ ტომთა ეთნიკურ-ტომობრივი გამოლიანების პერიოდს. ეს გამოლიანება ქართლის ხამეფოს ინიციატივით დაიწყო. ცალკეულ მონათესავე ტომთა ქართველიზაციის პროცესში ქრისტიანული რელიგია არსებით როლს ასრულებდა. ქრისტიანული აღმსარებლობის ქართულ ენაზე დაწესებამ თითოეულ ცალკე ტომობრივ ერთეულში ერთიანი ქართული კულტურის დამკვიდრების პროცესს მოასწავებდა. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ „იმერ-აბერ ხაქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა და ნიადაგს გაცილებით უფრო ადრე მომზადარ ხაელენო ერთობისა და მთელიანობის პროცესი უმზადებდა" („ქართველი ერის ისტორია," I, 301-302).

ქრისტიანული აღმსარებლობის ერთობლიობა ამ ამლეკვდა უფლებას გიორგი მერჩულეს ეთქვა, რომ „ქართლად ფრიად ჭეეკანაჲ აღიარებენს, რომელთაცა შინა ქართველითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების..." ქართველი დოკუმენტური წყარო ვახტანგის მეფობაში 88 ხაეპისკოპოსოს ახასელებს. ხაეპისკოპოსოთა რიცხვი მრავლდებოდა. ქართველ ენაზე ქრისტიანული აღმსარებლობა ქართველიზაციას უწყობდა ხელს. ხაეპისკოპოსანი, ამასთან, ქართული მწიგნობრობის, სწავლა-აღზრდის, განათლების ცენტრებად იქცეოდა.

ხაქართველოში ქრისტიანობამ, მისი კოსმოპოლიტური ხასიათის მიუხედავად, ხელი შეუწყო არა მარტო ეროვნულ-კულტურული კონსოლიდაციის პროცესს, არამედ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ხალხის შემართებას, ეროვნულობის გრძნობების გაღვიძებას. ცნობილია, რომ ხაქართველოზე შუაგ პრეტენზიას აცხადებდა ბიზანტიის იმპერია. თავის დამპყრობლურ პოლიტიკაში ბიზანტიის მმართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეები, ცხადია, რელიგიასაც იზეიმებდნენ. მას შემდეგ, რაც ქართულმა ქრისტიანობამ დიოფიზიტური მიმდინარეობა გაიზიარა, იგი ძლიერი ბიზანტიური ეკლესიის არეალში მოექცა და იმპერიის მარცხმადიდებლური საეკლესიო ცენტრები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ქართული ეკლესია მთავლი დაკვეთდებარებული ყოფილიყო. ამრიგად, ბიზანტიის პოლიტიკურ ანექსიას, მის დამპყრობლურ პოლიტიკას იდეოლოგიურად ზურგს რელიგია უმაგრებდა, ქართველი ხალხი შეუპოვრად იცავდა თავს ბიზანტიელ დამპყრობთაგან. ამ ბრძოლაში მასაც, ისე როგორც ბიზანტიას, იდეოლოგიური მხარდაჭერა სჭირდებოდა, ახეთი მხარდამჭერის როლში ქართული ქრისტიანული ეკლესია გამოვიდა. დამოუკიდებლობისათვის ქართული ეკლესიის ბრძოლა განსაკუთრებული შეუპოვრობით VIII საუკუნიდან გაჩაღდა. ქართველმა სასულიერო ზედაფენამ მართებულად განაზღვრა ამ ბრძოლის შინაარსი და მიმართულება. საჭიროო იყო დასაბუთება იმისა, რომ ქართული ეკლესია თვითმყოფადი ფენომენია, რომ ქართულ საეკლესიო კულტურას თავისი ტრადიციები, თავისი ეროვნული იერ-სახე გააჩნია. დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჯერ კიდევ V საუკუნეში ქართული საპატრიარქოს შექმნა. გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწეების: გრიგორ ხანძთელის, იოანე ზოსიმეს, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, ეფრემ მცირის და სხვათა და სხვათა მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ქართული ქრისტიანული ტრადიციები და კულტურა ბიზანტიურს შეეპირისპირებოდა, ქართული ეკლესიის თავისთავადობა დაესაბუთებინა. ამ მიზნით ეწეოდნენ ისინი გაცხოველებულ თარგმნელობით საქმიანობას და ქართულ სასულიერო კულტურას მსოფლიოს კულტურული მონაპოვრებით ამდიდრებდნენ. ამასთან, ყოველ თარგმანში ან თანდართულ კომენტარებში შექონდათ ქართული ეროვნული ელემენტები. ამ მიზნით ეპაკრებოდნენ ისინი ანტიოქიის პატრიარქს თუ ბიზანტიის საეკლესიო ცენტრების გამოჩენილ ღვთისმეტყველთან, ცდილობდნენ რომ ქართული ქრისტიანობის ჭადაგება ქრისტეს პირველმოციქულ ანდრიასათვის დაეკისრებინათ, ქართული ქრისტიანობა თავიდანვე მწვალებლობიდან თავისუფალ და ეკუმენიკურ სარწმუნოებად წარმოედგინათ. ეს გამოჩენილი მოღვაწენი ქართული კულტურის ადრინდელ მონაპოვარს ბერძნულად თარგმნიდნენ საგანგებოდ იმ მიზნით, რომ ცხადეყოთ ქართული კულტურის დონე და ადრეული ტრადიციები. „ყველი კულტურის მქონენებელმა ქართველმა ხალხმა ამ კოსმოპოლიტურ რელიგიას (ქრისტიანობას ა. ს.) ქართული ელფერი მისცა და „ქართველი“ ახლო აღმოსავლეთში სიმბოლისა და ბერძნული ქრისტიანობისაგან განსხვავებული (ენით) რელიგიის აღმნიშვნელ ცნებად იქცა. ეს იყო ქრისტიანობის ინდივიდუალიზაცია ქართველი ხალხის მიერ. სიმბოლისა და ბერძნების გვერდით. ეს იყო დიდი კულტურული გამარჯვება, დიდი კულტურული ძალის მოწმობა და ქართული ქრისტიანობის გაფრცელება, ეს იყო ქართული ეროვნული უცილობელი გამარჯვების აჭარა მოწმობა... ეს იყო დიდი ეროვნული ნაჭმე“, — შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი („საქართველოს ისტორიის საკითხები“, ნ. VIII. გვ. 888).

რა თქმა უნდა, ქართული ეკლესია ამ დიდ საქმეს თავისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის, ქართული ეკლესიის მაღალი უფლების დაკანონებისათვის აკეთებდა, მაგრამ ობიექტურად ეს საქმიანობა ქართული კულტურის სწრაფი წინასწალის ერთ-ერთი ფაქტორს წარმოადგენდა. იგი შორს სცილდებოდა სასულიერო ჩარჩოებს და ქართველი ხალხის სულიერი ამაღლების, მისი ეროვნული თავისთავადობის გამოკვეთის დიდ დანშნულებას ემსახურებოდა.

ქრისტიანობის დაკანონების შემდეგ, როგორც ცნობილია, საქართველოში სასულიერო ლიტერატურა სწრაფი აღმავლობის გზაზე დგება. განსაკუთრებით ვითარდება აგიოგრაფიული მწერლობა, ჰიმნოგრაფია და სხვა ეარები, მართალია, ამ ბოლო დროს ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გაჩნდა ტენდენცია, რომ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა მისი შეუფარავი ტენდენციურობისა და აზკარა პროპაგანდისტული ხასიათის გამო მხატვრულ თხზულებათა მიღმა დაეკუნებინათ, მაგრამ ამ ტენდენციამ სამეცნიერო წრეებში აღიარება ვერ ჰპოვა. ქართული მეცნიერება თავიდანვე იყო და დარჩა იმ აზრისა, რომ „უძველესი, საეკლესიო სასულიერო სტილის მწერლობა ისეთივე ორგანული ნაწილია ჩვენი ლიტერატურის საერთო მდინარისა, როგორც საერო. ის პირველი, აუცილებელი საფეხურია ჩვენი ლიტერატურული ეპოხისა“, დღეს ქრისტომათიაული ეგზემპლიტებია რომ „შუშანიკის წამებაა“ და „აბოს მარტვილობა“, გრიგორ ხანძთელისა და გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებანი“ ისეთი მხატვრული შედევრებია, ყველა დროის ეხეთიერ კრიტერიუმს რომ დაკმაყოფილებს“ (გაზ. „ლომუნისტი“, 26. III. 1986).

სასულიერო ლიტერატურამ უდიდესი ამაგი დასდო ქართული ენის განვითარებას. „სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ნიადაგზე ჩამოყალიბდა, დაიხვეწა და ჩამოიკენა ქართული ლიტერატურული ენა“ — ნათქვამია ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში. მერჩულესა და იოანე ხანანისძის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ენის გარეშე არ გვეკნებოდა ის უმდიდრესი ენობრივი არსენალი, რომლითაც უზვად საზრდოობდა „ეფეთხუტაოსნის“ ავტორი.

„იუო პერიოდი, როცა დაეინებით ცდილობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ არა მარტო „ეფეზისტაკოსანი", არა მარტო ძველი ქართული მწერლობა. არამედ მთელი ქართული ლიტერატურა მიუწვეიტათ ქრისტიანული გარემოსაგან და იგი ან ბამამდიანური სამყაროს ნაწილად, ან, უკეთეს შემთხვევაში, წარმართული კულტურის ორიენტაციის მოგლენად გამოცცხადებინათ, ე. ი. საქართველო ფეკტიურად საკუთარი, თვითმყმადი კულტურის გარეშე დაეტოვებინათ. ყველა შემთხვევაში უარყოფილი იყო ქრისტიანობის გადამწყვეტი როლი ძველი ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენებისა და ჩამოყალიბების საქმეში". ამ უმართებულო ტენდენციის შესახებ რომ მსჯელობს, გ. ბარნოვი მართებულად ასკვნის, რომ სასულიერო და საერო მწერლობას შორის საქართველოში გადაულახავი ეტაპები არასოდეს არ არსებულა, რომ ქრისტიანობას მხაგრული ანრონების განვითარებისათვის ხელი არასოდეს არ შეუშლია, რომ გარდა ქრისტიანობისა, საქართველოს ფეოდალურ ეპოქაში „არც სხვა იდეოლოგია არსებობდა და არც რაიმე ძალა, რომელიც შეძლებდა ქართველი ხალხის ხპობილო გაერთიანებას, ეს მისი თავისთავად დაეკიცრა ქრისტიანობას. ქართული კულტურაზე „აღმოსავლური გავლენა არსებითად გარეშე გავლენა იყო, ხოლო ქრისტიანული — ჩვენი კულტურის არსი" („მნათობი").

ეროვნული კულტურისადმი ქრისტიანობის სამსახური ყველა კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში ერთნაირი და თანაბარი არ ყოფილა. იყო ცალკეული ხანა და მოვლენები, როცა ქართული ეკლესია ეროვნული კულტურის განვითარების შემფერებრივად ძალადაც კი იქცოდა.

საკმე ისაა, რომ ეკლესიაც ფეოდალურ ყაიდაზე ეწყობოდა. მსხვილი საეკლესიო სენიორიები საკუთარ საყმო-სამფლობელოებს ქმნიდნენ, საკუთარი ორგანიზაციითა და იერარიდგენიით. ეკლესია თანდათან საერო ხელისუფლებაზე გავლენასაც აღწევდა. მას განსაკუთრებით ცენტრალური (სამეფო) ხელისუფლების მოშლის ვითარებაში უჩნდებოდა ტენდენცია ამ ვეკეენიური ხელისუფლების სრულიად დაპატრონებისა. ვრცელდებოდა რწმენა, რომ მეფე ერისთავი, ყველა საერო ხელისუფალი საეკლესიოს უნდა ემორჩილებოდეს, რადგან ეკლესია შუამავალი ღმერთსა და ამქვეყნიურ სამყაროს შორის. მიწიერი მეფე ემორჩილება ქრისტე-მეფეს, რომლის ამქვეყნიური შუამავალი ეკლესიაა, საეკლესიო ხელისუფლება განაგებს ადამიანის სულს, ამიტომ მეუფენიც მას უნდა ემორჩილებოდნენ. ეს თვალსაზრისი ნათლად არის ჩამოყალიბებული სბა იშხნელის სიტყვებში, რომლებიც ბაგრატ კურაპალატისადმია მიმართული: „დიდებული მეფეო, შენ ქუეყანანაჰა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქვეყანისა და ქუესკნელთა. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა: დაბადებულთაჰა! შენ წარმავალთა ამათ ეამთა მეფეს ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოთა მეუფეს და სრული ბაგის უცვალებელი. უფაფი, დიუნაბამი, დაფარულებელი მეფეს ანგელოზთა და კაცთაჰ. და უფროას შენსა კერძოს სმენი ხილუკვთა მისთჳა, ოდენ მეფეჰსაცა ბრძანა, ვითარედაი: „ეერვეს ეენიფეს ბრძანებ, ორთა უფალთაი. არამედ აწ სიტყვეთა ამისა და მოძღოსა ჩემისა ბრძანებელისთა მოგედ წინაშე შენსა" („ძველი ქართული ენა-მწერლობა ლიტერატურის ძეგლები," I, 1964, გვ. 274).

ეს შეხედულება ქართულ ნიადაგზე არ შექმნილი. იგი მოდიოდა V საუკუნის საეკლესიო მოღვაწე ავრელიუს ავგუსტინეს-აგან, რომელმაც შემდეგ ბიზანტიაშიც და კათოლიკურ დასავლეთშიც მრავალი მიმდეკვარი გაიჩინა, ქართულ ნიადაგზეც ამ მოძღვრებას ბროპაგანდას უწევდნენ გიორგი მერჩულე და მისი მოშიდენი საეკლესიო მოღვაწენი. ეს ის დრო იყო, როცა ბიზანტიაში სამეფო ხელისუფლების თეოკრატიზაცია განხორციელდა, ხოლო რომის პაპი მეფეებს აიძულებდა, მუნლმოდრეკილი მიეღოთ სასულიერო ხელისუფლების ნებართვა ქვეყნის გამგეობისაგან. თეოკრატიული იდეების წარმოშობას საკარო-ველიში, — ლეონტიევის ბ. ლეონტიევის — „თავისი სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები მოეპოვებოდა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ეკლესიის პოლიტიკური და ეკონომიკური ხელმძღვანელობა ამ პერიოდში ერთი მხრივ, მეორე მხრივ ბრძოლა ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის" (იხ. კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 77).

თეოკრატიული იდეოლოგიის მომძლავრება ქართულ ეკლესიაში მისი ეკონომიკური ძალიერების და შეუვალობის ზრდის თანმხვედრ პროცესს წარმოადგენდა. ეკლესია X-XI საუკუნეებში იმდენად მოძალეულდა, რომ იგი საერთოდ დაუპირისპირდა საერო ხელისუფლებას. მეტისმეტად დამოუკიდებლობამ და ეკონომიკურმა სიძლიერემ ეკლესია კრიერისტა და ავგუსტა ბუდდაჰეკ გადაჰქცია. რა თქმა უნდა, ამ დროსაც ზორაციელდებოდ რიგი დადებითი მნიშვნელობის ჰტკბები, რასაც ქართული კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (სასულიერო ცენტრების მნეგნობრული საქმიანობა, გიორგი მთაწმინდელის ღონისძიებანი ეკლესიის დემოკრატიზაციისათვის და სხვ.), მაგრამ, საერთოდ, ამ ეპოქაში ეკლესიის როლი ქართველი ხალხის პოლიტიკურო და კულტურული მხლიანობისათვის ბრძოლაში პოზიტიურად ვერ გამოიყურება. ყველაზე ნათლად ეს დავით აღმაშენებელმა დაინახა და ერთერთ პირველ და მნიშვნელოვან ღონისძიებად დაინახა სასულიერო წოდების შედაფენის თავგასულობის აღგამვა, ეკლესიის საქმიანობის ხასელმწიფოს ინტერესებისადმი დაქვემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებარება. როგორც ცნობილია, ეს დიდი და დროიული ჩანაფიქრი დავითმა წარმატებით განახორციელა რიფა-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებით. მანვე ეკლესიას ხალხმწყალობა პატრონი ეიოჩისა მწიგნობართუხუცეს-ბეკონდიდელის სახელოს დაწერებით.

დავითი აღმაშენებელმა იმდენად მოდერიკა წელში ქართული ეკლესია, რომ შემდგომ ეპოკებში მას საერო ხელისუფლებაზე მაღლა დგომის პრეტენზია აღარ ეგასრნია. პირიქით, დავითის ეპოქაში წინა პლანზე წამოიწია ერთმმართველი მეფის ავტორიტეტმა. განსდა მეფის ხელისუფლების ღვთიური წარმოშობის იდეოლოგიაც. ამ ახალი იდეოლოგიის ყველაზე თანმიმდევრული, დამტკიცული დავითის ისტორიკოსია. მისი წარმოდგენით, მეფე ღმერთისაგან არის დასმული სამეფო ტახტზე და მის ღონისძიებათა საპირისპირო ყველა მოქმედება ღვთის სანინააღმდეგო მოვლენად არის გამოცხადებული. „ვინაცაგან ღმერთი ესე განაგებდა საქმეთა დავითისთა, — დასძენს დავითის ისტორიკოსი მეფის ყოველ ღონისძიებათა შეფასებისას, ხოლო დავითის მტრებს „უმჯობესსა", „ავაზასა", „უმეცრად უსამართლოს" უწოდებს. დავითის დიდ საგაბერო გამარჯვებათა შესახებ რომ მსჯელობს, ისტორიკოსი გვარწმუნებს, რომ „წმიდა მოწამე, გიორგი განცხადებულად ყოველთა სახლთველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თუისითა მოახერიდა ზედა მოწინააღმეთა ურჯულოთა მათ წარმართთა". თვით დავითი უზენაესს ასე შეჰღაღადებს: „ხატსა თვისსა მამსგავსე და საკერელად გრძნობადისა და გონიერისა მეფობისად დამიწესე" („გალობანი სინანულისანი"). დავითის ისტორიკოსის და იმდროინდელი პროგრესული საზოგადოების წარმოდგენა მეფეზე ახსოლუტური მონარქიის ის იდეოლოგია, რომელშიც ბიზანტიაში პპოვა სათავე, ხოლო შემდგომ ეპოქაში მთელს ევროპაში გავრცელდა.

დავით აღმაშენებელი, ქრისტიანული ეკლესიის ძალაუფლებას რომ ზღუდავდა, შესანიშნავად ერკვეოდა რელიგიის როლსა და დანიშნულებაში, სწამდა, რომ ქრისტიანული რელიგია დიდი ძალა იყო და წარმატებათა მიღწევა როგორც საგარეო, ისე საშინაო საქმეებში მხოლოდ მისი მხარდაჭერითა და დახმარებით შეიძლებოდა. ამიტომ შეიპრთა მან მწიგნობართუხუცესის სახელო ბეკონდიდელობასთან და პირველ მწიგნობართუხუცეს-ბეკონდიდელად ბერი დაიკენა. ამიტომ ეკავა ხაპაკინი ადგილი საკანონმდებლო პატრიარქს, ამიტომ ეხერხებოდნენ დარბაზის სხდომებს დავითის დროსაც და შემდეგაც მსხვილ მონასტერთა წინამძღვრები, ამიტომ ერთ-ერთ მრჩეველად დავითსა და მის მეკვლიერებს სასულიერო წარმომადგენელნი ჰყავდათ.

დავითის მიერ დამკვიდრებული „ტრადიცია" შემდგომაც გრძელდებოდა. ეკლესია მბრძანედგა ხაერო ხელისუფლებას. მისი კანონიერი, მისი მითითებებით მოქმედებდა. „მეფე გამოდიოდა არა ეკლესიის მოთხოვნილებათა გამტარებლად სახელმწიფო ცხოვრებაში, არამედ სახელმწიფოს მოთხოვნათა გამტარებლად საეკლესიო ცხოვრებაში" (ხ. ლომბინაძე, მით. ნაშრომი, გვ.90) ასე იყო თამარის მეფობაში და იმ საშინელი ძნელებრძოლის ეპოქაც, რომელიც საქართველოს XIII საუკუნის შუა წლებიდან დაიფდა. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამ და თვით მონღოლთა დამოკიდებულებამ ქრისტიანული ეკლესიისადმი არსებითად ვერ შეარყია ეს ტენდენცია. ზოგიერთი სასულიერო სენიორების დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილების ისეც გაძლიერების მიუხედავად, ქართული ეკლესია, ძირითადად, მაინც საერო ხელისუფლების ვეფერდით იდგა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ერთიანი საქართველოს ორ სამეფოდ გათიშვის შემდეგ ერთიანი ქართული ეკლესიაც გაითიშა. XV საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს თავისი კათალიკოს-პატრიარქი ჰყავდა, იმერეთის სამეფოს — თავისი, მაგრამ ქვეყნის გათიშვის ამ მძიმე ვითარებაშიც ქართული ეკლესიის ერთიანობისაკენ მისწრაფება ახასიათებდა. აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები XV-XVIII საუკუნეთა განმავლობაში ედგანენ ქვეყნის იმ მოწინავე ძალებს, რომლებიც დაუღალავად იბრძოდნენ „ბაბრისა" და „ფოცხეთრის" ქალაქებიდან ქვეყნის დასახსნელად და ამ მიზნით მოკავშირეებს ეძიებდნენ როგორც დასავლურ, ისე ჩრდილოეთის ქრისტიანულ სამყაროში. ცნობილია ის დიდი მბარდაჭერა, რომელიც სოლომონ პირველს და სოლომონ მეორეს იმერეთის სამეფოს მთლიანობისათვის, დასავეთი და აღმოსავლეთ საქართველოს ვეერთიანებისათვის ეკლესიის მეხუთეზეთაგან ჰქონდათ. ეკლესია ასევე შეუთავრად ებრძოდა ტაეეთა ხეიდვის საშინელ ხენს, რომელიც ოსმალთა მფლობელობის ხანას მოჰყვა, ებრძოდა „გათათრების" მისწრაფებას, რომელიც არა ერთ წარჩინებულთ საერო პირს „უჩნდებოდა" ამ ძნელებდროში.

ასევე იყო აღმოსავლეთ საქართველოში. ქართლის კათალიკოსები მბარში ედგნენ ვიორგი ბრწყინვალეს, თეიმურაზ პირველს, ირჩილ მეფეს, ვახტანგ მეექვსეს, თეიმურაზ მეორეს, ერეკლეს ყაზილბაშ და ოსმალო დამპყრობლებთაგან ქვეყნის დაცვის საქმეში, კათოლიკურ დასავლეთთან თუ მართლმადიდებელურ რუსეთთან კავშირების ძიებაში, მტერთაგან იავარქმნილ კულტურულ ერთა აღდგენა-აღორძინებაში. ამ დროის ქართული ეკლესია სამეფო

ხელისუფლების ეკვემდებარებოდა. მართალია, საეკლესიო სენიორება ძლიერი ფეოდალური ერთეულები იყვნენ, მაგრამ ისინი ან ადგილობრივი დიდი ფეოდალის, ან მეფის, ან კათალიკოსის ვასალური დამოკიდებულებაში იყვნენ (ზ. ბიდურელი, „სამეფო დომები და ეკლესია". კრ. საქართველოს ფეოდ. ხანის ისტ. საკითხები 1980, გვ. 77-94). მანგლელი, ბოლნელი, თბილელი, ნიკოზელი, მროველი, წოდკენელი ეპისკოპოზები დედოფლის ან მეფის ვასალები იყვნენ. კახეთში ყველა ეპისკოპოსი უშუალო ვასალურ დაკვემდებარებაში იყო სამეფო სახლთან. სამთავისის საყდრის სენიორია ეკვემდებარებოდა ამილახორს, როგორც სათავადის მეთაურს. სამეფო სახლთან პატრონყმურ დამოკიდებულებაში იყვნენ სახასო ტერიტორიაზე მდებარე ეპარქიები. ყველა სხვა ეპარქიაზე დიდი და ძლიერი იყო მცხეთის სეხტიცხოველი კათალიკოსის რეზიდენციათი. ქართლის კათალიკოსი მთელი აღმოსავლეთ საქართველოდან ეკლესიის მფლეელმთავარი იყო და, ამდენად, საეკლესიო ხაზით მას ეკვემდებარებოდა ყველა სახსენიერო სენიორიის მეთაური, მათი ნაწილი კი ვასალი იყო კათალიკოსისა (იქვე, გვ. 79). მაგრამ თვით კათალიკოსი, მცხეთის საყდრის ყმა-მამულის გამგებლობის ფეოროში, ეკვემდებარებოდა მეფეს, აღიარებდა მის სუვერენიტეტს. მეფე ეროვნულ ქართლისა და კახეთის საეპისკოპოსოთა სამეფონეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, უწყალობებდა ან ართმევდა მათ ყმა-მამულს და სახელოებს, აძლევდა ბრძანებებსა და სხვ. მსგავსი ვითარება ვვაკვს დასავლეთ საქართველოშიც, სადაც მეტი რელიეფურობით არის გამოკვეთილი სამეფო ხელისუფლებაზე ეკლესიის დამოკიდებულება.

ეს ვითარება ან დებულების სახეითა, რომ ეკლესიამ დავით აღმაშენებლის რეფორმების შემდეგ სამოლოდ დაკარგა თვითმყოფადობა. იგი სოციალ-პოლიტიკურად საერო ხელისუფლებას დაემორჩილა. ამან განაპირობა მისი იდეოლოგიური მორჩილებაც. ქრისტიანული იდეოლოგია საერო ინტერესების სამსახურში ჩადგა, ერის პოლიტიკური ტკივილები გაითავისა და ძირითად მიზან-ამოცანად ქართული ეროვნული მეობის დაცვა გაიხადა, რაც ქრისტიანული აღმსარებლობის დაცვასა და მრევლის შენარჩუნების ამოცანებთან შეასინხლხორცა.

აქ ადარ შეეჩერდებით იმ დიდ საფრთხეზე, რომელიც საქართველოს დაუდგა XVI საუკუნიდან. ოსმალეთის და ირანის მთავარი მიზნადასახულობა საქართველოს დაპყრობა-დამონება გახდა. ორთავე დამპყრობელი მიზნის განხორციელებას ისლამის დროშით წარმმართავდა. ისლამური რელიგია კი, მისი ორთავე მიმართულებით (შიიტური თუ სუნიტური), როგორც სოციალურ, ისე სულიერ ასპექტში ქართველს უპირისპირდებოდა.

ისლამი თავისი შინაგანი სუნებითა, ეროვნული ბერეთი უპირისპირდებოდა არ მარტო ქრისტიანობას, არამედ ქართული ცხოვრების წესს, ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს და, საერთოდ, კულტურას. ისლამი, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა არა მარტო რწმენის დოგმაზე დაფუძნებულ სპეკულატურ მოძღვრებად, არამედ თავისებურ მტკაცედ რეგლამენტრებულ ცხოვრების წესად, სადაც ერთმანეთს შეეხამა რელიგიური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები. „ფიკჰი" (ანუ მუსლიმურ რელიგიურ სკოლათა ურთიერთობა) სრულიად უცხო მოგლენაა ქრისტიანობისათვის. ისლამში კი, ეკონომია და სუნას საფუძველზე, შემოუშვდა ბიერი და სასულიერო ცხოვრების ერთიანების სამართლებრივი პრინციპები, შეიქმნა ყოფილისმომცველი კანონიკური კანონი, ანუ შარიათი, რომელიც მთლიანად დაეუფლა არა მარტო ცალკეული ადამიანის ყოფიერების ყველა დონეს, განსაზღვრა და მოაწესრიგა იგი, არამედ დაეუფლა საზოგადოებასაც და მთელი მისი ყოფაცხოვრების ბაგონ-პატრონი და მარეგულირებელი გახდა.

ისლამის სჯულზე მოკეცვა ქრისტიანი ქართველისათვის ცხოვრების წესის, ზნე-ჩვეულებების დიამეტრალურ ცვლილებას, მის ყველა ადრინდელ სულიერ ღირებულებათა გადაფასებას ნიშნავს. იგი ძირფესვიანად შეიცვლას უქადდა მიწათმფლობელობის ქართველურ ფორმებს, მთელს სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. აქედან გამომდინარე — მთელს ქართულ კულტურას.

ამიტომ გაჰხდა ისლამისაგან ქართული საზოგადოებრიობის დაცვა სიკვდილ-სიცოცხლის საკმე, ეროვნული რაობის შენარჩუნების საკმე და, ბუნებრივია, ამ სასიცოცხლო პრობლემისათვის გაერთიანებული ძალით უნდა ებრძოლა ქართულ საერო ხელისუფლებას და მისგან დაკვემდებარებულ ქრისტიანულ ეკლესიას.

ამბრაგდა, საკითხი როდი ეხებიდა მხოლოდ რწმენას. საკითხი ეხებოდა მთლიანად ქართული ცხოვრების წესს. ქრისტიანული სჯულის დაცვისათვის ყველა მებრძოლი, „ეთაურების" წინააღმდეგ ყველა ამბედრებული, სჯულთან ერთად თავის ეროვნულ მეობას, ცხოვრების წესს, კულტურასა და ტრადიციებს იცავდა. ამიტომ მოხდა, რომ ქრისტიანული სჯულისათვის ბრძოლამ ეროვნული თავისთავადობისათვის ბრძოლის შინაარსი შეიძინა. ქრისტიანობა ერთადერთი იდეოლოგია იყო, რომელსაც ძალი შესწევდა ებრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის; ასეთი ერთიანობის ჯარში თავად იგი დაღუპვისათვის იყო განწირული. ისლამისაგან თავდაცვით იგი იცავდა ქართველი ხალხის თავისთავადობას. ახე გადაეშვნო ამ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში რწმენის ფენომენი ეროვნულობის ფენომენს. ერთი მე-

ორეს შემპარობებელი გაბდა, „ნუ გათთორდები“-ს შინაარსი გამოლაინდა: მასში ეგულებოდა ორა მარტო რწმენა. არამედ ქართველობა ბის ხიელიერ და ეროულურად ერთიანობაში. რელიგიისა და ეროვნულობის საერთო მოწოდებას ყველაზე უ�. ყველაზე ღრმად ჩაწვდა ჩვენი ისტორიის დიდი მეცოდე და დიდი მოკრძალებელე ილია ჭავჭავაძე. იგი შენიშნავს: „ქრისტეს რჯული ქართველებისთვის მარტო სარწმენოებიდან აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერიად პოლიტიკური ქვეყანრიც იყო საკართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებელად და შემოსაკრებად, ერთობის სარწმენოებისა ერთობას ერთხან მოაბნევდეა. ფრო იყო ამიტომაც და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდან ხასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ერი ამიხათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსებას გარდა, დეულებობას უწევდეა ერთობასა. ამ ხიელიეს დიდი ხანი მრავნეს ჩვენთა ბეღლს-გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი ხასელგანოვმოული კაცი, ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეეურებინა ქრისტეს სარწმენოებისათვის“ (თხზ. ტ. IV, გვ. 65-66).

ამ ფონზე, ერთის შეხედვით, უცნაურობად მოსანს ის რაკლშემეწუნარეწლობა, რაც ქართველ ხალხს, ქართულ ეკლესიისაც კი, მოდან ახასიათებდა ფეოდალური ეპოქის მთელ მანძილზე. ვერავინ იტყვის, რომ ისლამური ქვეყნებისადმი პოლიტიკური მტრობა საქართველოში სარწმენოერიგ-ეროვნულ მტრობაში გადაზრდილიყო. არაბმა დამპყრობლებმა, თურქ-სელჯუკებმა საქართველოს დიდი ზიანი მიაყენეს, ქართველი ხასელწმენო ხელისუფალნი მტრულად მომმდურად მამაცურად ებრძოდნენ, მაგრამ შემწეწუარებელთას ირწმენნენ მათი რწმენისადმი. ამის თვალსაჩინო მაგალითებია დავით აღმაშენებლის, დემეტრეს, თამარის დამოკიდებულება თბილისელ მუსლიმთა მიმართ. ფეოდალური ეპოქისათვის თითქოს სრულიად უჩვეულოა ის ტოლერანტიზმი (რასაც საგანგებოდ მიუთითებს ი. ჭავჭავაძე) დავით აღმაშენებელს რომ ახასიათებს. ყიზილბაშობის პერიოდში თბილისში რამდენიმე მეჩეთი არსებობდა. ყიზილბაშ დამპყრობთაგან გათავისუფლებული დედაქალაქის ქართული მოსახლეობა არასოდეს ამ მეჩეთებს არ შეხებია და მშვიდობიანად მცხოვრები მუსლიმები როგორც აქ, ისე მთელს ქართულ-კახეთში, სადაც კი სამკვიდრო გაიჩინეს, აშკარად, თავისუფლად ეწეოდნენ თავიანთ სკულთაღმსარებლობას. სარწმენოებრივი ფანატიზმი არ ქცეულა ქართული ქრისტიანული ეკლესიის დაბასიათებელ ბუნებად. ფართოდ გამოხატული სარწმენოებრივი თავისუფლება ხასელწმენოყობრივი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა. ეს ტრადიცია, დავით აღმაშენებელმა რომ დაამკვიდრა, ბოლომდე გაგვაჯერა ქრისტიანულ ეკლესიიან, რომელსაც შინაგანად ხურდა თუ არა ეს, სხვა გზა არ ჰქონდა — განსხვავებული რწმენის მიმართ ლოიალური უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, თუ როგორი ომი იყო ალეგიელი შუასუუუნეების ევროპაში მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის, თვით კათოლიციზმის შიგნით გაჩენილი სხვადასხვა მიმდინარეობანი (პროტესტანტები, ბუგენოტები და მრ. სხვ.) როგორ დაუნდობლად ხპობდნენ ერთიმეორეს, როგორი ხაშინელი სისასტიკით ხასიათდებოდა რელიგიური ომები. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია კი კათოლიკობისადმი ხავსებით ინდიფერენტულად იყო განწყობილი და კათოლიკეთა მისიონერულ საქმიანობას ხელს სრულიადაც არ უშლიდა. რუსეთიდან მეფე პაპ ბენედიქტ IX-ს სთხოვდა დაბმარებას მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ანაკლეოდ ქართული ეკლესიის რომაულთან შეერთებას ალუქვამდა. რომის ეკლესიის მეხვეურებმა იცოდნენ საქართველოს ხასელმწიფოს მეთაურთა კათოლიკური მიმდინარეობისადმი ეკლიი განწყობილების შესახებ და თავიანთ მისიონერებს ჭაბვიზიენენ ამ ქვეეანაში. როგორც ცნობილია, ფრანციხკანელი ორდენის წევრებს იაკობ როგსალენის მეთაურობით თბილისში თავიანთი მონასტერიც ჰქონდათ და კათოლიკობის პროპაგანდას ეწეოდნენ. ფრანციხკანელებს შემდეგ დომინიკელთა ორდენის მისიონერები მომყვნენ ჯ მათაც თბილისში თავიანთი მონასტერი დაარსეს, ზოგი ქართველი მართლმადიდებელი კათოლიკობას იღებდა, ორდენის წევრი ხდებოდა. 1829 წელს პაპ იოანეს ბრძანებით თბილისში შეიქმნა კათოლიკეთა ხაეპისკოპოსოც კი (პირველი ეპისკოპოსი იყანე ფელორენციელი). მართალია, ისმალთა მიერ კონსტანტინეპოლის ჩაკეტვის შემდეგ ამ ხაეპისკოპოსომ შეწყვიტა არსებობა, მაგრამ კათოლიკე მისიონერებს თავიანთი საქმიანობა არ ალუკვეთიათ. XVII-XVIII ხაუუუნეებში ეს საქმიანობა კიდევ უფრო გაცხოველდა. ცნობილია ვახტანგ VI-ის, ხოსხან ხაბა ორბელიანის, ეროკეთის ახლო ურთიერთობა კათოლიკე პატრებთან. მათ საქმიანობას ხაეკლესიო მეხვეურნიც (მაგ. ანტონ კათალიკოსი) უწყობდნენ ხელს, ასევე აღმსარებლობის თავისუფლებით ხარგებლობდა საკართველოში სომხური გრიგორიანული ეკლესია.

შუა ხაუუუნეებისათვის, რელიგიური ფანატიზმის ამ ეპოქისათვის, ასეთი სულთშემწყნარებლობა, ჩვენი აზრით, ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების თავისებურებით და ძნელბედობით იყო შეპირობებული. უცხო რელიგიურ გარემოცვაში მოკეცილ ქვეყანას მეზობლებთან კეთილი ურთიერთობა ხეირადა, რაც

მათი რელიგიისადმი მშვიდობიანი და შემრიგებლური განწყობილების გარეშე შეუძლებელი იყო. ჯერჯერ, რწმენა ქართველი კაცისათვის იყო არა თვითმიზანი, არამედ კომპონენტი მშვიდი ცხოვრებისა: მარად მოსული იგი მარტოლად ხვდებოდა, ხოლო სხვა ეროვნებანი თუ რელიგიის ხალხს, ქართულ მიწაზე მყოფს, თუ იგი მარტად ხაჭიანობას არ ეწეოდა, პატივს სცემდა, ემეგობლებოდა. ამ შემთხვევაშიც წინა ალანეკი ხარო, ·ხასელმწიფოებრივი ინტერესები იყო წამოწეული. ანგარშგადაწყვეტილი ისიც, რომ სხვა რწმენისადმი შემწყნარებლობის კულტურა ქართულ ეკლესიას მისი სათავეებიდან მომყვა, როცა იგი შეურიგდა რიგ წარმმართველ ტრადიციებს (განსაკუთრებით მთაში); და მისი არა მოსპობის, არამედ ქრისტიანულად მოდელირებისათვის იბრძოდა. გავიხსენოთ ისიც, როგორი ბრელი იყო იბერიის დედაქალაქი მცხეთა თავისი ეთნიკური შემადგენლობით. აქ, მაგალითად, ებრაელებს საკუთარი უბანი ჰქონდათ. ებრაელები ფეოდალური საქართველოს მრავალ კუთხეში მოსახლეობდნენ, მაგრამ ისტორიულ წყაროებს ანტისემიტიზმის არც ერთი გამოვლინება არ შემოუნახავთ.

ფრიად საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ცნობილია, რომ რელიგიურმა ფანატიზმმა განსაკუთრებული გაჯანება მსოფლიოში გვიანი შუასაუკუნეების ხანაში ჰპოვა. ამ ეპიკიდან ინტერიას შემორჩა ინკვიზიციის ამაზრზენი ფაქტები რომში, ესპანეთში, საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში, სადაც ეროტიკოსებს კოცონზე წვავდნენ ან ჯურღმულებში ტანჯავდნენ. XVI საუკუნიდან ევროპაში დაიწყო რელიგიური ომების მთელი სერია. ფეოდალური ურთიერთობის კრიზისი, ხალხის აღშფოთება სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ რელიგიურ გარსში იყო გახვეული (ტალიური ომები, ჰუგენოტები). კათოლიკური ეკლესია ამ დროს რამდენიმე მიმდინარეობად გაითქვა (პროტესტანტიზმი, ანგლიკანური ეკლესია, ევანგელიკური ეკლესია, ცვინგლიანები, კალვინიზმი, პრესვიტერიანობა და სხვ.), რომლებიც ერთიმეორეს ხამკვდროსახიერცლლად უპირისპირდებოდნენ, რელიგიური ფანატიზმის მთელი საშინელების დასახასიათებლად მარტო „ბართლომის ღამეს" ეკმარა.

გაბაკონეფული მიმართულებიდან გამოყოფილი და მის მიმართ ოპოზიციურად, ზოგჯერ მტრულად განწყობილი სხვადასხვა რელიგიური ჯგუფები, თემები, გაერთიანებანი თავიდანვე ახასიათებდა ბუდაზმისაც, იუდაიზმსაც, ისლამსაც; ისლამი არა მარტო გაითქმა სუნიტებად და შიიტებად, არამედ თითოეულ მათგანში აღმოცენდა მრავალი სექტა (ხარიჯიტები, ისმაილიტები, ზეიდიტები, იმამიტები და სხვ.), რომლებიც ერთი მეორეს ხამკვდრო-სასიცოცხლოდ მტრობდნენ.

ერეტიკულმა მოძრაობამ ჯერ კიდევ XIV-XV საუკუნიდან მოიცვა მართლმადიდებლური რუსეთი. ნიკონის რეფორმების შემდეგ საყოველთაო გახდა სექტანტობა (ხლისტები, ხკოპელები, დუხობორები, მოლაკნები). მთავრობა სინოდთან ერთად უმაკერეს ბრძოლას ეწეოდა სექტანტური თემების წინააღმდეგ მოსკოვის სახელმწიფოს სხვადასხვა რაიონებში. ამიტომ გამთაშველები მოსკოვის სამეფოს გარეთ გარბოდნენ. ბირონოვშჩინის ხანაში (XVIII ს. 30-იანი წლები) გამთაშველთა წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლამ არნახული გაჯანება ჰოვა. ამას მოჰყვა დონდან 40 ათასი გამთაშველის ემიგრაცია. გამთაშველები მიდენენ დაუსახლებელ ადგილებს ციმბირში, ბელორუსიაში, პოლონეთში, ხერსონიაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთს გარეთ — მოლდავეთსა და ვალაქეთში, ავსტრიაში, თურქეთში. რელიგიური ფანატიზმი ამ დროს უმაღლეს დონეზე იყო სასული და ეგზალტირებული მწვანილელები კოლექტიურად იწვავდნენ ან ჭყალში ახრჩობდნენ თავს. ეს სექტები უპირატესად გლეხურ მოსახლეობაში იქმნებოდა, რაც მათს სოციალურ ხასიათზე მიუთითებს. ბაბანისა და ბაბანეფმური ხასელმწიფოს უმძიმესი ჩაგვრით სულშეხუთული გლეხი, ვერავითარ გამოსავალს რომ ვერ ხედავდა, რელიგიურ რწმენაში ეოვებდა ზეციას და, ბეკადგებული რჩეულს აყოლილი, ან გარბოდა ხაძულვეთი ადგილსამყოფელიდან, ან თავს იწვავდა, ან აქეთ-იქით აწყდებოდა უკაცრიელს გარეშოში. (Н. М. Никольский, История Русской церквы, м. 1988, გვ. 288).

გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ აქ ანაგითარ სექტანტობას ადგილი არ ჰქონია, არც რელიგიურ ფანატიზმს მიუღია რუსეთსა და დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნების მსგავსი უკიდურესი ხასიათი, არც რეფორმაციული ხასიათის მოძრაობა დაწყებულა.

რით უნდა ავხსნათ ეს ხაოცარი მოვლენა ქართველი ქრისტიანობის ისტორიაში? რა თქმა უნდა, კრიტიკას ვერ უძლებს ამ მოვლენის საღვთისმეტყველო ეგზეგეტიკა, თითქოს ქართული ქრისტიანობა თავისი ბუნებით ვერ ეგუებოდა ვერავითარ მწვანილელობას, რომ იგი თავიდანვე თავდავიწყებით ერთგული იყო ბეშშარიტი, ორთოდოქსალური მოძღვრებისა და ხოლოდ ბისდეგდა პრინციპს, რომელიც გიორგი მთაწმინდელის შემდეგ სიტყვებზია ჩამოყალიბებული: „...არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, განა მაჯვენ, და არც მოვდრეკნით თუ ფეერთსა ზენელი..."

ამ მოვლენას ახსნა, პირველ რიგში, გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ დონეზე და ურთიერთობებზე ეძებნება. ქართველ სინამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვილში ფეოდალურმა ურთიერთობამ, ქვეყნის იმპერიული ძნელბედობის გამო, ხანგრძლივი სტაგნაცია განიცადა. ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის ის ძალები, რომლებმაც გვიანდ შუასაუკუნეების ევროპაში იჩინეს თავი და თავიანთი სოციალური პროტესტი რელიგიურ სამოსელში გასვეს, საკართველოში XV-XVIII საუკუნეებში არ წამოჩნდნალ, არ გამლეერებულა. ამ ძალებმა მხოლოდ XVIII საუკ. მეორე ნახევრიდან იჩინეს თავი, ისიც ხუთსად და ამ ძალთა პირველი გამოვლენა XVIII საუკ. მიწერიულის პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ჩაქლა. მართალია, ამ ეპოქის საკართველოსნი კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა და ბატონყმური ჩაგვრით სულშეხუთული ვლეხობა თავდახსნის არიერთ საშუალებას მიმართავდა, მაგრამ სოციალური პროტესტი მაინც შორს იდგა რელიგიური ფანატიზმისაგან, რომელსაც ჩვენში ან არც ტრადიცია გააჩნდა და არც ქრისტიანული ეკლესიის ძლიერება უწყობდა ხელს. სპერო ხელისუფლებისადმი დაკვეთმდებარეულ ქართულ ქრისტიანობას, რომელსაც ამ ეპოქაში სხვა მიხი ჰქონდა დაკისრებული და ქვეყნის სამეფო სამოსაორობად გათიშვის ეთიპრაბაში მთელან, კოსმოლიდრებულ ძალას ალარ წარმოადგენდა, არ შეხწევდა უნარი ყურადღება რწმენის ფანატიზმზე გადაეტანა.

სოციალურის თანამარმნშვნელოვან ფაქტორს ახრულებდა ეროვნული მომენტი. ქართული ეკლესია ჩაბმული იყო სახელმწიფო სამსახურში. იგი, როგორც ზემოთ ითქვა, სახელმწიფოს ეკვეთდებარებოდა და ამ ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობდა, რასაც ქვეყნის მმართველი ფენა ძალი ბრძოლიერდნენ. ქრისტიანული იდეოლოგიის მთავარ მიმართულებად ეროვნული მოლიანობის დაცვა რჩებოდა. კათალიკოს-პატრიარქები როგორც ალმოსავლეთ, ისე დასავლეთ საკართველოში, ცალკე სათავადოთა სასულიერო მესვეურებიც ქვეყნის მმართველებს, ნებისთ თუ უნებლიეთ, ყველნენი ედგნენ მათს ხრძოლაში, რაც, უპირატესად, ოჩან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ფეოდალურ ხელისუფლებამ საკართველოში მოახერხა საეკლესიო ძალაუფლების ინგვარი მოდელირება, რომ ეს ეროვნული ინტერესების სამსახურში დამდგარიყო. ასე იყო XVIII საუკუნის დასასრულამდე, შემდეგ კი, როცა ქრისტიანულმა ეკლესიამ ეს ფუნქცია დაკარგა, იგი, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსგავსად, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების შემაფერხებელ ძალად იქცა. რა თქმა უნდა, ამ ფუნქციის განხორციელების პერიოდშიც საეკლესიო დოგმატიკა მეცნიერულის ხასიათისაკენ იყო. იგი ახევე ასრულებდა ბანგის დანაშნულებას, როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყანაში. მაგრამ ეს შინაგანი ბუნება ქრისტიანული რელიგიისა, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მაინც განსახიერებდა იმ აღმგზნებ ძალას, რაც ეროვნულად კონსოლიდაციის პროცესს უწყობდა ხელს. მარჯანიშ-ლენინიანში, ბაზს უსაჯმნ ბა რელიგიის, ხუცობის რეაქციულ ხასიათს ხაერთოდ, არ უარყოფს ამა თუ ამ ქვეყნის კონკრეტული ისტორიული პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში მის დადებით როლსაც. როცა ამ დადებითს ვუსვამთ ბაზს, მხედველობაში გვაქვს საერთო მიმართულება, ძირითადი ტენდენცია, რაც ხრულებითაც არ გამორიცხავს ეკლესიის ცალკე მსახურთა რეაქციულ, ან ხანრთო ტენდენციის ხაპირისპირო მიზწრაფებებს ან ერთიულ ფანატიკოსთა გაბაცებას წმინდა რელიგიურ-ხელოსანტიკური დოგმებით, ზოგის სხარბესა და გაუმაძღრობას, რაც ამ ხაერთო მიმართულებაში მაინც უმნიშვნელო ეპიზოდურ ფაქტებად წარმოგვიდგება და ერთიან სურათს ვერ ცვლის.

ახეთია, ჩვენი აზრით, პოლიტიკური ასპექტი ქრისტიანული რელიგიისა ფეოდალურ საკართველოში. ეს პოლიტიკური ასპექტი განსაზღვრავს მის როლსა და დანიშნულებას კულტურის სფეროში.

ეკლესია-მონასტრები ქართველი განათლების, მწიგნობრობის კერპებს წარმოადგენდნენ, ქართველი ახალგაზრდები ცოდნას უმთავრესად ამ კერებში ეზიარებოდნენ ხოლმე, უძველესი ქართული კულტურის ძეგლები უპირატესად ამ ეკლესია-მონასტრებსა შემოგვინახეს. ქართული ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში პოვა ძლავრი განვითარება ქართული ხუროთმოძღვრებამ. მონუმენტურმა ფერწერამ, ქედრამ ხელოვნებამ, ხელნაწერთა მხატვრულმა გაფორმებამ, ჩვენი ჰუმანიანენაც, გადამწყვეტიც უპირატესად სასულიერო პირები იყვნენ. ქართული ეკლესიის უშუალო მესვეურობით მიმდინარეობდა მტრების მიერ განადგურებული სასულიერო ცენტრების აღდგენა და მრავალი სხვა. ნ. ბერძენიშვილი, ერთიანი ქართული კულტურის სამ საყრდენ საკუთრებად რომ მიუთითებს (ქრისტიანობა, „ქართლის ცხოვრება", „ვეფხისტყაოსანი"), ქრისტიანობას აფასებს არა მხოლოდ საეკლესიო კულტურული კერების სიუხვეს თვალსაზრისით, არამედ როგორც ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული მოლიანობის დაცვასა და შენარჩუნებაში.

ქართული ეთიერატურ ლიტერატურაში სამარილიანად არის გაკრიტიკებული საღვთისმეტყველო კონცეფცია საკართველოს ისტორიისა და კულტურაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის შესახებ, დახასიათებულია მეცნიერული უსუნურობა ხალელნი მესვეურთა დებულებისა ამის თაობაზე, თითქოს ქრისტიანულმა რელიგიამ საკართველოს ისტორიასა და კულტურაში წამყვანი, გადამწყვეტი როლი შეასრულა. მაგრამ საღვთისმეტყველო კონცეფციების მარქსისტულ-ლენინური პოზიციიდან მართებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკის გვერდით უსათუოდ იგრძნობა ჯოხის მარცხნივ გადადგმა და გაუფასურება იმ დადებითი როლისა, რომელიც საქართველოს ფეოდალური ეპოქის ისტორიასა და კულტურაში ქრისტიანობას შეუსრულებია. დ. ეგეგაშიე, რომელმაც ამ პრობლემას ცალკე წიგნი უძღვნა (იხ. „საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის ხალვთისმეტყველო კონცეფციის კრიტიკა"), მართალია, ხავალდებულოდ თვლის აღნიშნოს, რომ „ქართულმა მართლმადიდებლობამ გარკვეულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში დადებითი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის სულიერ კულტურაზე" და „ამ ფაქტის არც უარყოფა... და არც გაზვიადება შეიძლება" (გვ. 74-75). მაგრამ შემდეგ ფაქტები და მოვლენები ისე აქვს დალაგებული და შეფასებული, რომ დადებითი არსად და არაფერში ჩანს. ავტორს საგანგებო თავი მიუძღვნია კულტურის მართლმადიდებლური კონცეფციის მცდარობისათვის და მას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ფეიერბახის სიტყვები: „შესანიშნავია რელიგიური მუსიკა, მაგრამ შესანიშნავია არა რელიგია, არამედ მუსიკა". ამის შემდეგ ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართული მართლმადიდებლობის მხოლოდ მსოფლმხედველობრივ პრინციპებზე, რაც თავისთავად რეაქციულია და თუ აჭა-იქ ქრისტიანობას ქართველ მოღვაწეთა საქმიანობის დადებით შედეგებზე მიუთითებს, მას მხოლოდ წინაქრისტიანულ წარმოდგენებს და ქართველი ხალხის თვისებებსა და ჩვევებს უკავშირებს. ასევე ნაძალადევად ჩანს წიგნში ხასულიერო და საერო შეხედულებებისა და განწყობილებების დაპირისპირება. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საღვთისმეტყველო კონცეფციაში რელიგია „ამბტრაგირებულია ყოველგვარი ხოციალური და კლასობრივი მდგომარეობისაგან, იგი მიჩნეულია ისეთი ხასიათის ფენომენად, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი თვითმყობადი ისტორია აქვს" (გვ.86).

მართლაც, თუ ქართული ეკლესიის ისტორიას ერის ისტორიიდან განცალკევებულად განვიხილავთ, მისი როლი სწორად ვერ წარმოიდგინება, მაგრამ ქვეყნის ისტორიულ ბედ-იღბალთან, მის პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებთან მიმართებაში განხილვის შემდეგ ქართული ქრისტიანული ეკლესია წარმოგვიდგება ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად იმ დიდ ისტორიულ მისიაში, რაც საქართველოს გადარჩენასა და მისი დიდი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში მდგომარეობდა.

რუსუდან კილაძე

გურამ დოჩანაშვილის ჟრუა ოთხრეზის გამო

ნისლს დაუფარავს ირგვლივ ყოველივე. ... ბა, ამალლებულს „შეფარებულ დაცემულ ... ბუეი კაცი გზას ვერ პოულობს. საკუთარს სახ... ... ,, ... ,, ... ,,

თი ირონიული ტონით აცნობს უში „წრეულებს“ ამ მიზეზს, რომელსაც მართან თავი ცოცხლად დაასამარებინა.

სულ სხვა სახით წარმოგვიდგება ეს სალხი საზოგადოებაში: „...ისინი, ან იქ უნდა ვენახოთ, ერთმანეთის ოჯახებში, წვეულებებზე, ანდა — საბერო ზეციერთა ხალხის თანდასწრებით ხომ... რა ბეწი ახლდათ, რა ხიოსტაკეე, რა-გორგითარი მზადეოფნა, ანდა რანაირი სიტყვა-პასუხი, ხვეწნურად ძლიერ მომდილიენე მზერის ალაპყრობდნენ ნუმსუფწშიგამძვერალთ, დახვეწილები გახდნენ ისეთი უცხო თვალს მათოვის რომ ზეციერეა? — სულო და ვულო... ალაშვილის მიხვრა-მოხვრა ჰკონდათ“.

ახლა თვალი გავადევნოთ ანიკოს სოლის მოძრაობას. იგი რაღაცით მაინც განსხვავდება თავისი „წრეულებისაგან“. მის გარეგნულ ბუნებაში თითქოს ერთმანეთს ებრძვის სული და ხორცი. სული მის ბავშობაში დარჩა. ბავშვობის ხატი კი მას ყოველ ნაბიჯზე თან ხდევს. ანიკო წარხულთან ნოსტალგიურებული კაცი.

თუ გავიხსენებთ დოსტოიევსკის აზრს, რომ ადამიანი თავის ცხოვრებას მაფინას იდილიით იწყებს და ამთავრებს სოდომის იდეალით, მაშინ ანიკოს მაფინას იდეალით დაიწყო. ავტორის მწარე სინანულია ამ სიტყვებში „ოჰაფი, ადრე ანიკო ბიჭი იყო? ნაარდადეგებს, რაღაც სიწმინდე ჩამოკოწიწა თითქოს ბაზრეს ტუსპირად გაშეშებული ამ სოფლიდან, მისი ოჯახის ახლოხლები რომ ცხოვრობენენ“. ბავშვობა ანიკოსთვის ამალლებული, სიწმინდის, სიკეთის, დიდი სიყვარულის, ქვეტექსტების გარეშე დანახული ცხოვრო იყო. „მეცხე და რბილი, უკიდეგანოდ ფერადოვანი, ღრმა ხარდაფები, ბის სათუო იდუმალება, სულიყოველივეს მმატედ რომ ედო... მაინც დღე, და სანათლი, მართლ სინათლე“.

ანიკო ის ბავშვი იყო, სილამაზეზე გული რომ წყდებოდა. ამ სოფელში, სადაც იგი ზაფხულობით ჩადიოდა, ყოველივე სიმპრილე იყო. თუ ზვიმდა, ნამდვილად ზვიმდა. „მზე თუ ჩანდა და, მართლა აცხუნებდა“, ჭარიც ნამდვილად ჭარიდა. „...ამ ზვინეს ბიერს გატარუნული ენოსავდა ბიჭი, სოფლის კვამლიც კი ზვინეს გახლდათ, იქ ყოველივე სიმპრილეო იყო, და იქაური რეტს სხვა ვერო ჰკონდა, იქ ნამდვილ ჭარიოულს ლაპარაკობდნენ“.

მაგრამ მზეციერება ბავშვობაში დარჩა. ცხოვრების ულმობელმა ლოგიკამ ბეერჯერ განაცდევინა ფუსპრთხილმა, ბეერჯერ დაიწყვეტინა ფული, კარგად დაანახა სილამაზის ბილმა დაფარული სიმპინეე, სამარილიანობას შეფარებული ტკუილი, სიკეთის ნაცვლად ბორობეტა და ისიც მიუვა მის დინებამ. ალარა სოდომის იდეალი, რა ადგა „ადამიანთა ეფრავლეთის სასოვის სწორედ მაშინა სილამაზე“.

მოთხრობაში ერთი ასეთი ეპიზოდია. ანიკო და მისი მეგობრები ორთქლის ბანაში არიან. მართას ბინის საკითხზე გულარღლილად ბეჭიმენ თან ლუდს და თევზს შეიქცევიან. „ირჩილი იმ თავიდა ბრძენი დანით ეუჩიდ ოჯდა და თევზებს შეიწვიდა“. ეს მეტად საყურადღებო მომენტი მოლიანად ხსნის მოთხრობის დედაბაზის. იგი ყოველგვარ კეაზეის ზეყვეტს ღვთიერთან და ადიარებს ეშმაკეულს. ეს რომ ასეა, ყოველ ნაბიჯზე ამტკიცებს იგი. არ იმრეშოო, და მაინც მრეშო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს რაღაცნაირად გარდაიქმნა, სხვანაირი სიყვარულით გაუთბა გული, წარსულის მოგონებებმა სული აუფრფიალეს, გაახსენდა თავისი აუხდენელი და მიუწვდომელი სიყვარული „ნ"-ხადმი: „ეჰ, სიყვარულში დიდი რამ იდო, და როცა ახლა დაჰყურებდა შშობლიურ კალაქს, აიმ ბავშვობით ეორთოლებული რაღაც დდდი, ამაღლებული, გამოსასწორებელი რამ მოენატრა, როგორც თავისთვის, უფრორე — სხვისთვის, ჯიბეზე შიშით მოისვა ხელი და უკვე იცოდა, რას ჩაიდენდა, რასაც ეზამდა".

დავსვამთ ასეთი კითხვა. იქნება ანიკოს ამ ნაბიჯს რაღაც გამამართლებელი მიზეზი ჰქონდეს. იქნებ იგი, ისე, როგორც რასკოლნიკოვი, რაიმე იდეისთვის ჩადის ამას? ან მიტია კარამაზოვივით ჯოჯოხეთის მოხილვის შემდეგ სურს ეზიარის ბეშმარიტს, იხილოს ღვთიური, ნამდვილი? ასე რომ ყოფილიყო, ანიკოს გამართლებაც ექნებოდა. მაგრამ ეს ასე არ არის. მას ამხელა ნებისყოფა არ გააჩნია და, კაცმა რომ თქვას, ამის მიზეზრაც არა აქვს.

რასკოლნიკოვი თუ კლავს, კლავს იდეის გამო. იმის გამო, რომ რაც შეიძლება მალე გადაბიჯოს ზღვარს ღვთიურსა და დემიურს შორის. მე კაცი კი არა, პრინციპი მოვკალიო, — აცხადებს იგი.

დოსტოევსკის გმირებისათვის დაცემა ერთგვარი კათარზისია, ისინი სრულად და ბოლომდე ეზიარებიან ეშმაკეულს, რათა ახვევ სრულად და ბოლომდე მიეახლონ ზეციურს, ღვთიურს, ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობას გადაწვდნენ. ეს გზა მათთვის ერთგვარი ინიციაციის გზაა. ამ გზით ცდილობდნენ ისინი ამაღლებას, აღორძინებას. „ზხოლოდ დანაშაულის ჩადენით შეიძლება გახდე წმინდანი, სატანურის აღიარება ნიშნავს დაუბრუნდე ღმერთს" („ესთეტიზმის ტრაგედია", პ. გაიდენკო).

არჩილში კი პირიქით, თითქოს ერთმანეთს ებრძვის ორი საწყისი — სინათლისა და სიბნელისა, ღვთიურისა და ეშმაკეულისა. მაგრამ ეს ერთი შეხედვით, ზედაპირულად. იგი დოსტოევსკის გმირებივით პიროვნება არ არის. მას საიმისო ძალა არ გააჩნია, მიტია კარამაზოვივით თქვას: „...თუკი უფსკრულში გადავეშვები, მაშინ პირდაპირ თავდაყირა. ამაკეთილიც ვიქნები ამით, რადგან ამგვარ დამამცირებელ მდგომარეობაში ყოფნას ვთვლი სილამაზედ. და სწორედ ასეთი შერცხვენის დრო უეცრად ვიწყებ ბიმნს. დაე, ვიყო შერცხვენილი, დამდაბლებული, მაგრამ ვკოცნიდე იმ ანაფორის კალთას, რომელშიც აირეკლება ღმერთი ჩემი. დაე, ავალლაკავალ მიეყვებოდე ეშმაკს, მაგრამ მე მაინც შენი შვილი ვარ, უფალო, მიეკარხარ და განვიცდიდ სიხარულს, ფრომლისადაც სამყაროს არსებობა არ შეუძლია".

ანიკო მეწყრილმანეკი. იგი კლავს არა იდეისთვის, არამედ უბრალოდ, სიმაძღრის გამო. იგი ის კაცი არ არის, ოში გამოუცხადოს საკუთარ თავს, ჩაღრმავდეს საკუთარ სულში, ებრძოლოს პიროვნულ „ეს" დ დათრგუნოს მასში ცხოველური.

გურამ დოჩანაშვილის „განსმდგომი შუაკაცი" მეტად მტკივნეულ პრობლემას ეხება. ანიკო მარტო არ არის, იგი ბევრსა და ბევრი მას ჰგავს.

ანიკოსავით ყველას დავიწყებია წმიდათა-წმიდა რამ: „ჩვენ, ყველა ადამიანი, მთლად უხლავი რაღაც ქსელით სულ ერთმანეთზე ვართ გადაბმული, რის უცნობიმ, მთლად უცხონიც კი ერთმანეთის ვართ".

ამ საზოგადოებაში კი ყველა მარტოა, უცხონი არიან ერთმანეთისთვის.

...და ნისლში საკუთარი სახლის წინ უმწეოდ დგას მოხუცი კაცი. ამ დროს ეზოდან გამოფის ბავშვი, გაბედულად დადგება ამ დაბურულ, ვინ იცის, საიოკენ წამავალ გზას და იბადება ტრაგედია, ტრაგედია დაკარგული რწმენისა, გამქრალი ოცნებებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ ბურბელა

მეგობრობის ხმები

ბევრ ნათელ, გმირულ ფურცელს მოიცავს უკრაინელი დ ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მატიანე. მათგან ერთ-ერთი უველაზე მნიშვნელოვანი 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდშია ჩაწერილი და უკავშირდება საბჭოთა, — უფრო ზუსტად, უკრაინულ რადიომაუწყებლობას — ჰიტლერულ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხების სულიერი და პოლიტიკური მობილიზების რთ-ერთ უძლიერეს ფაქტორს და ინფორმაციისა და პროპაგანდის უველაზე ოპერატიულ საშუალებას.

უკრაინის რადიომაუწყებლობის ცენტრებიდან. ომამდელ რადიოსადგურებთან ერთად უნდა დავასახელოთ 1941-1945 წლებში შექმნილი დროებითი რადიოსადგურები: ტ. შევჩენკოს სახელობის რადიოსადგური ქალაქ სარატოვში; „რადიანსკა უკრაინა“ („საბჭოთა უკრაინა“) და „პარტიზანი ქალი“ მოსკოვში; მოძრავი რადიოსადგური „დნიპრო“ („დნეპრი“), რომელიც უშუალოდ ფრონტის წინა ხაზზე მოქმედებდა და სხვ). ომის დღეებში გადაიცემოდა მასალები, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობოდა საქართველოს — მის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. გადაცემები მოგვითხრობდა, აგრეთვე, საქართველოში ევაკუირებულ უკრაინელ ხელოვნების ოსტატთა მოღვაწეობაზე, ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ საერთო-სახალხო ბრძოლაში ქართველ მეომართა მონაწილეობაზე...

აღნიშნული საკითხების გაშუქების უველაზე აქტიური ფორმა იყო „ინფორმბიუროსა“ და „უკანასკნელი საათის“ პერიოდული გამოშვებების ცნობები. ასე, მაგალითად, 1941 წლის მხოლოდ ერთი, დეკემბრის თვის განმავლობაში რადიოსადგურმა „რადიანსკა უკრაინამ“ მოამზადა საქართველოს ცხოვრების ამსახველი სამი გადაცემა, 15 დეკემბრის გადაცემა მიეძღვნა მოსკოვთან საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის გამო თბილისში გამართულ მასობრივ მიტინგს; 18 დეკემბერს გადაიცა მასალა ქართველ მეჩაიეთა შესახებ, რომელთაც წარმატებით შეასრულეს ჩაის ფოთლის ჩაბარების წლიური გეგმა, ხოლო 29 დეკემბრის გადაცემამ მსმენელს ამცნო, რომ საქართველოს მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის მეშვაკებმა ვადაზე ადრე შეასრულეს წლიური გეგმა და დამატებით აწარმოეს 10 მილიონი მანეთის პროდუქცია.

1942 წლის 17 მაისს რადიოსადგურმა „რადიანსკა უკრაინამ“ გადმოსცა ვრცელი მიმოხილვითი სტატია „უკრაინული კულტურა სამამულო ომის დღეებში“. გადაცემაში მოთხრობილი იყო ქაკალისასა და ყუბანში უკრაინული საგუნდო კაპელა „დუმკას“ წარმატებით გასტროლებზე და უკრაინელი კომპოზიტორის კ. დანკევიჩის მოღვაწეობაზე საბჭოთა საქართველოში. „აქტიურად მოღვაწეობენ უკრაინელი კომპოზიტორები; — აღნიშნავდა რადიოსტატია, — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. დანკევიჩი საბჭოთა საქართველოში განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას. კომპოზიტორმა დაასრულა მეორე სიმფონია, რომელიც მშობელი ხალხისათვის თავდადებულ გმირებს მიეძღვნა. ამჟამად კ. დანკევიჩი, მ. რილსკისთან ერთად, ახალ ოპერაზე მუშაობს. ამასთან, მან შექმნა რამდენიმე ახალი სიმღერა წითელი არმიის გმირულ ბრძოლებზე“. სტატია მოიცავდა საბჭოთა ხალხების, მათ შორის, უკრაინელი ხალხის, მისი ეროვნული კულტურის უძლეველობის გამომხატველი ფრაზით: „ფაშისტური ურდოები ვერ შეესძლებენ უკრაინელი ხალხის, მისი კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განადგურებას. მომავ ხალხთა მეგობრული ოჯახის წევრი — უკრაინელი ხალხი არ დამარცხდება!“

ომის პირველ ხანებში, რიდესაც ეთერი ხავსე იყო აღმოსავლეთის ფრონტზე ჰიტლერული არმიების წარმატებებსა და „ახალი წესრიგის“ უპირატესობაზე ბეჭედსის პროპაგანდისტული ფალსიფიკაციებ, უკრაინის რადიო ეწეოდა აქტიურ კონტრპროპაგანდას. გადაცემის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი მწერლები და ჟურნალისტები.

1942 წლის 28 მაისს „რადიანსკა უკრაინამ“ გადასცა ცნობილი უკრაინელი პუბლიცის-

ტისა და მწერლის იაროსლავ გალანის კომენტარი. იგი მთლიანად აკარწყლებდა ჰიტლერის პროპაგანდისტთა მონაჯორს, რომელიც ცდილობდა, როგორმე გიმპარსლენინა მოსკოვთან და დონის როსტოვთან ჰიტლერელთა მარცხი. გერმანელი რადიო და პრესა ამტკიცებდა, თითქოს მარცხი გამოიწვია „ობიექტურმა მიზეზებმა“ — ეს გახლდათ მკაცრი ზამთარი და ხაბჭოთა მეომრების მიერ საბრძოლო ტერიტორიის უკეთ ცოდნა (სწორედ ამას ამტკიცებდა თავის გამოსვლაში ჰიტლერელთა ერთ-ერთი მესაფლავე დიტმარი). ა. გალანი ირონიულად შენიშნავდა: „გენერალი დიტმარი აღმოსავლეთის ფრონტზე წარუმატებელი ბრძოლების კიდევ სხვა მიზეზებს ეძებს. მისი აზრით, ამ მარცხის ერთ-ერთი გამომწვევი პირობაა ის, რომ გერმანელები არ იცნობენ ადგილმდებარეობას, სადაც ბრძოლა უწევთ... წითელარმიელები? — კითხულობს კომენტატორი, იმბობს რა მოკაზმრედ წუნდაღუდები ლოგიას, — დიტმარის აზრით, წითელარმიელები კარგად იცნობენ ბრძოლის ველს, ესეც მისი მორიგი სისულელე! საიდან უნდა იცოდეს, ვთქვათ, ციმბირში გაზრდილმა კაცმა სმოლენსკის შემოგარენი, ხოლო უზბეკმა და ჭართველმა — სლობოდაზშინა... მთავარი მიზეზი ადგილმდებარეობის ცოდნაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ წითელარმიელთა მორალურ თვისებებში!“

1944 წლის 18 ივნისს — ფაშისტ დამპყრობთაგან ხაბჭოთა უკრაინის ხელ ახალ-ახალი რეგიონების განთავისუფლების დღეებში, როცა გამოაშკარავდა დროებით ოკუპირებულ ხაბჭოთა ტერიტორიებზე ჰიტლერელთა მრავალი დანაშაულებრივი ქმედება, რადიოსადგურმა „დნიპრომ“ გადასცა მწერალ დ. კოსარიკის სტატია „ხელფოფილი მუზეუმები“, რომელშიც ლაპარაკი იყო, თუ როგორ გაანადგურეს გერმანელებმა მუზეუმში დაცული „ბეერ ხულ ახლახან აღმოჩენილი მახალა ქალაქ მირგოროდში 151 წლის წინათ მცხოვრებ დიდ ქართველ პოეტ დავით გურამიშვილზე“.

როგორც პოეტურ ნაწარმოებებში, ასევე უკრაინის რადიოთი გადაცემულ სტატიებსა ხალხთა მეგობრობის თანამიმდევრულ მეხოტბედ ჯეველინება ფრთიანი ოფორაზენის — „ერთიანი ოჯახის გრძნობა“ — ავტორი პავლო ტიჩინა. მის საყოველთაოდ ცნობილ სტატიაში „ხალხთა მეგობრობა“ ბევრი თბილი სტრიქონი მიეძღვნა უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობას. „ხალხთა მეგობრობა, — ალნიშნავს მწერალი, — უფლეველია იმით, რომ იგი განამტკიცებს ადამიანში სხვათა მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობას“ და მაგალითად მოპყავს ადგილები იმ წლების პერიოდიკიდან, საგაზეთო გამოსვლებიდან. „ჩვენს წმიდათაწმიდა ძმურ ვალად ვრაცხთ უკრაინელი კოლმეურნეებისადმი დახმარებას, რომელთაც დიდი ზარალი მიაყენეს ფაშისტებმა“, აღნიშნავენ თავიანთ წერილში მაბარაძის რაიონის სოფელ ფანდის მოლმეურნეები. ცხობილი მბრძოლი, უკრაინელი ალექსეი სემიონოვი, რომელიც ურალში მუშაობს, გვიზიარებს თავის გამოცდილებას: „დონთან ეკ ვიბრძოდი ხაკრიელოსტანის,“ — წერს „კომშომოლსკაია პრავდაში“ უფროსი ინჟინერ-ფილეტენანტი ვასტანე ბოლოკაძე. გაზეთ „კომუნისტში“ წითელარმიელი მ. ტოპოროვსკი გამოხატავს სიხარულს იმის გამო, რომ მან, უკრაინელმა მოიწია ლენინის ქალაქის დაცვა...

